საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

1

1992

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
Известия Академии наук Грузии

ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

1. 1992

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ო. ცქიტიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, Ю. М. Качарава, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мусхелишвили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), О. В. Цкитишвили, Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 29.1.92; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.IV.92; ანაწყობის ზომა 7X12; ქაღალდის ზომა 70X108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 15,4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,36;
შეკვეთა № 42; ტირაჟი 500
ფასი 2 მან.

●

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

●

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

მ. ინაძე, ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები 7
ა. ქორანაშვილი, კლასობრივი ბრძოლის საკითხი „ადრეკლასობრივი" და ფეოდალური ხანის საქართველოში 21
შ. ვანიშვილი, მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა 39
ჯ. ვათეიშვილი, ნაყოფიერი ძიების ნაკვალევზე 55

ცნობები და შენიშვნები

ი. კუპატაძე, კავკასიის დასაცავად მიმდინარე ბრძოლების ისტორიული მნიშვნელობა (1942—1943 წწ.) 71
მ. სანაძე, რ. კაშია, ფეოდალური არისტოკრატია და პირველადი კაპიტალის დაგროვების პროცესი XVIII ს-ის საქართველოში 79
თ. ამაზაშვილი, დ. აფციაური. მუსულმან ქალთა ემანსიპაცია ტუნისში 89
ე. ერიაშვილი. „მკვიდრი" — „არამკვიდრი", როგორც ბუნებრივ-ისტორიული მოვლენა 97
ა. ზაქარაია, ხოფის სამონასტრო კომპლექსი 106
მ. კანთარია, პასუხი ერთი რეცენზიის გამო 128

პუბლიკაცია

ნ. ბაგოშიძე, ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის კარიბჭეზე 134

დისკუსია და განხილვა

სარედაქციო კოლეგიისაგან 149

გ. მელიქიშვილი, ფორმაციათა თეორიის შესახებ 149
ი. ხოშტარია-ბროსე, ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონისა და ძირითადი ამოცანების შესახებ 156
დ. ბოგოლაძე, მოსაზრებანი საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე . . . 162

ჩვენი მილოცვა

გივი ჟორდანია (დაბადების 60 წლისთავი) 169

საისტორიო მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი

ჯ. რუხაძე, აკადემიკოს გ. ჩიტაიას დაბადების 100 წლისთავი 172

ო. ცქიტიშვილი, კეთილ კაცის ხსოვნას (ნეკროლოგი) 175

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

М. П. ИНАДЗЕ, **Вопросы этно-политической истории древней Абхазии** . . 7

Г. В. КОРАНАШВИЛИ, **Проблема классовой борьбы в «раннеклассовой» и феодальной Грузии** 21

Ш. Н. ВАНИШВИЛИ, **Экономическая и социальная политика кавказской администрации царского правительства** 39

Дж. Л. ВАТЕИШВИЛИ, **По следам Никифора Ирбаха** 55

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Э. С. КУПАТАДЗЕ, **Историческое значение битвы за Кавказ (1942—1943 гг.)** 71

М. В. САНАДЗЕ, Р. С. КАШИА, **Феодальная аристократия и процесс накопления начального капитала в Грузии в XVIII в.** 79

Т. В. АМАЗАШВИЛИ, Д. Н. АПЦИАУРИ, **Эмансипация мусульманских женщин в Тунисе** 89

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ, **Деление народов на «коренной» и «некоренной» как естественно-историческое явление** 97

П. П. ЗАКАРАЯ, **Хопа. Монастырский комплекс** 106

М. Б. КАНТАРИЯ, **Ответ на одну реплику** 133

ПУБЛИКАЦИИ

Г. Ю. ГАГОШИДЗЕ, **Надписи грузинских паломников на портале храма Гроба Господня в Иерусалиме** 134

ДИСКУССИИ И ОБСУЖДЕНИЯ

От редколлегии . . . . . ь 149

Г. А. МЕЛИКИШВИЛИ, **О теории формаций** 149

Э. В. ХОШТАРИЯ-БРОССЕ, **О современном уровне развития и основных задачах грузинской исторической науки** 156

Д. А. ГОГОЛАДЗЕ, **Соображения по актуальным вопросам истории Грузии** 162

НАШИ ПОЗДРАВЛЕНИЯ

Г. ЖОРДАНИЯ **(К 80-летию со дня рождения)** 169

ВЫДАЮЩИЕСЯ ДЕЯТЕЛИ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

Дж. А. РУХАДЗЕ, **К 100-летию со дня рождения академика Г. С. Читая** . 172

О. В. ЦКИТИШВИЛИ, **Памяти Клода Каена (некролог)** 175

CONTENTS

ARTICLES

M. I n a d z e, The problems of the ethnic-political history of ancient Abkhazia . 7
G. C o r a n a s h v i l i, The problem of class struggle in „Early class" and feudal Georgia 21
Sh. V a n i s h v i l i, Colonial policy of the Tsarist government in Georgia . . . 39
J. V a t e i s h v i l i, By the Steps of Nikiphor Irbakh 55

PROCEEDINGS AND NOTES

E. K u p a t a d z e, The problem-historical meaning of the struggles for Caucasus (1942—1943) 71
M. S a n a d z e, R. K a s h i a, Feudal nobility and the Initial Process of the Accumulation of Capital in the 18th Century Georgia 79
T. A m a z a s h v i l i, D. A p t s i a u r i, Emancipation of Moslem-women in Tunisia 89
J. E r i a s h v i l i, The division of people on „native" and „non-native ones" — as a process of natural- historical development of the society 97
P. Z a k a r a i a, Hoppa the monastery complex 106
M. K a n t a r i a, The response to one reply 133

PUBLICATION

G. G a g o s h i d z e, Inscriptions of Georgian piligrims on the portal of the Holy Sepulchre in Jerusalem 134

DISCUSSION AND ANALYSIS

G. M e l i k i s h v i l i, From the editorial board on the theory of socio-economic formations 149
E. K h o s h t a r i a-B r o s s e t, Present day standard of the development of Georgian historical science and its main problems 156
D. G o g o l a d z e, Considerations on present-day problems of Georgian history . 162

OUG CONGRETULATION

G. Z h o r d a n i a (to the 80th Aniversary) 169

AN OUTSTANDING STATESMEN OF HISTORICAL SCIENCE

O. R u k h a d z e. Century academician G. Chitaya 172
O. T s k i t i s h v i l i. Memory of Klod Kaen (Obituary) 175

მარი ინაძე

ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები

ანტიკურ ხანაში აფხაზეთის ტერიტორიაზე ანუ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ეთნიკური კუთვნილების, მათი წარმომავლობისა და ადგილსაცხოვრისის, ამ ტომებში მიმდინარე ეთნო-სოციალური პროცესების შესწავლას მრავალი წლის ისტორია აქვს. ამ საკითხების კვლევა-ძიებას მიეძღვნა და დღესაც ეძღვნება როგორც სპეციალური ნაშრომები, ისე მეცნიერულ-პოპულარული წერილები, რომლებშიც აღნიშნული საკითხები მეტ-ნაკლები სისრულით და ობიექტურობით არის გაშუქებული.

შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის სრულ შესწავლას ადრიდანვე სხვადასხვა გარემოებანი უქმნიდნენ დაბრკოლებას. ერთ-ერთი მთავარი დამაბრკოლებელი გარემოება წერილობით წყაროთა სიმცირე და ცალმხრივობა. ცნობილია, რომ აფხაზეთის მიწა-წყალზე მობინადრე უძველესი მოსახლეობის ეთნოპოლიტიკური ისტორიის კვლევის ძირითად ლიტერატურულ წყაროს საღლეისოდ წარმოადგენენ ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები, რომლებშიც გარკვეული თანამიმდევრობით, ამ მხარეში სანაპიროს გაყოლებით მცხოვრებ ტომთა ჩამოთვლა და მოკლე აღწერილობაა მოცემული, მეტწილად მათ შორის არსებული ეთნიკური სხვაობისა და მათი წარმომავლობის აღნიშვნის გარეშე.

წერილობითი ცნობების სიმცირე, განსაკუთრებით კი ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ ამ სანაპიროს ტომთა ხსენება მეტწილ შემთხვევაში მათი ეთნიკური ვინაობის მითითების გარეშე, მნიშვნელოვნად აძნელებს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნო-პოლიტიკური პროცესების კვლევას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ საკითხებზე მსჯელობისას მკვლევართა შორის დისკუსიების გაშლისა და აზრთა სხვადასხვაობის გაჩენისათვის.

მეორე მხრივ, ბერძენ-რომაელ ავტორთა ცნობები ბიზანტიურ წყაროებთან ერთად განეკუთვნებიან სწორედ იმ ხანას, როდესაც აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ მოსახლეობაში იწყება და ინტენსიურად მიმდინარეობს სატომო ერთეულებიდან ეროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი; ამდენად, აღნიშნულ ცნობებს, რაგინდ ნაკლული და ცალმხრივიც არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც დაუფასებელი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, რადგან მათი მეშვეობით გარკვეული შესაძლებლობა გვეძლევა თვალი გავადევნოთ ამ პროცესს დაწყებული წინა და ადრეანტიკური ხანიდან — გვიანანტიკური ხანის დასასრულამდე და მის მომდევნო პერიოდშიც.

ზემოაღნიშნული გარემოება აფხაზეთის მიწაზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური წარმომავლობისა და ისტორიის საკითხების მკვლევართაგან მოითხოვს წერილობითი წყაროებისადმი დიდი სიფრთხილით მიდგომას, მათ დეტალურ შესწავლას და პირუთვნელ შეფასებას.

წინამდებარე წერილიც სწორედ ამ წყაროების, სახელდობრ, ბერძენ-რომაელ და ბიზანტიელ ავტორთა ცნობების განხილვა-შეფასებას ეძღვნება[1].

საისტორიო წყაროებთან ერთად ჩვენ ვითვალისწინებთ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ სპეციალურ ლიტერატურას, სადაც კონკრეტული მონაცემების შუქზე თეორიულად არის დამუშავებული ის საერთო კანონზომიერებანი, რომელნიც საფუძვლად ედო ამა თუ იმ ეთნოსის კულტურის თავისებურებათა, მათი ეროვნული თვითშეგნების, თვითსახელის და სხვათა ჩამოყალიბებას.

ამავე დროს ვცდილობთ წერილობითი ცნობები შევავსოთ არქეოლოგიური მასალით, ენობრივი მონაცემებით, ტოპონიმიკური კვლევა-ძიების შედეგებით და სხვ.

ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრები ტომების შესახებ ყველაზე ადრინდელი წერილობითი ცნობები ძველ ბერძენ ავტორთა — ჰეკატაიოს მილეტელის (ძვ. წ. VI ს.), ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ. წ. IV) ნაწარმოებებში ყოფილა დაცული. აღნიშნულ ავტორთა გადმოცემით, ამ მხარეში ოდითგანვე სახლობდნენ კოლხური ტომები. სახელდობრ, მათი ცნობების განხილვიდან ირკვევა, რომ კოლხურ ტომებს კოლებსა და კორაქსებს ეჭირათ ქ. დიოსკურიის (დღევანდელი სოხუმის) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორია, ხოლო თვით ეს ქალაქი კოლხთა მიწა-წყლის ფარგლებში შედიოდა. ფსევდო-სკილაქსი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით სანაპიროზე ჯერ ასახელებს ჰენიოხებს, მათ შემდეგ კორაქსებს, კორაქსების შემდეგ კოლიკეს ტომს, ხოლო ამ უკანასკნელის მერე (ანუ სამხრეთით) კოლხებს და ქ. დიოსკურიას[2].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ჰენიოხები აღებულ ხანაში განსახლებული იყვნენ მდ. ბზიფის და ბიჭვინტის ჩრდილოეთით, დაახლოებით დღ. ტუაფსემდე (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი), უნდა ვიფიქროთ, რომ კოლებსა და კორაქსებს, რომლებიც ფსევდო-სკილაქსს დასახელებული ჰყავს ჰენიოხებსა და ქ. დიოსკურიას შორის, ეჭირათ მდ. ბზიფსა და დღ. სოხუმს შორის მდებარე ტერიტორია (იგულისხმება როგორც სანაპირო, ასევე მთიანი რეგიონები). აღნიშნულ ტომთაგან კოლებს ძირითადად უნდა ეცხოვრათ კავკასიონის ფერდობებთან მდებარე ადგილებში, რადგან ჰეკატაიოს მი-

---

1 აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობისა და ისტორიის საკითხების შესახებ არსებულ წერილობით წყაროებს ჩვენ ადრეც ვიკვლევდით (იხ. ჩვენი წერილი „ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის", საქ. მეცნ. აკად. „მოამბე", 1960, № 2, გვ. 145—163), მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბევრი რამ დაიწერა და გამოქვეყნდა. ამის გამო საჭირო შეიქმნა ჩვენ მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრებების გადასინჯვა და მათი ხელახალი გააზრება, თუმც აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ძირითადად არ შეგვიცვლია ადრინდელი თვალსაზრისი ზემოთ დასახელებული საკითხების შესახებ.

2 Ps.—Scyl. 77, 78, 81. მართალია, ფსევდო-სკილაქსი კოლებსა და კოლხებს შორის ათავსებს მელანხლენებსა და გელონებს, მაგრამ ჰეროდოტეს „ისტორიის" მიხედვით ვიცით, რომ ეს უკანასკნელი ტომები დღევანდელი უკრაინის ტერიტორიაზე ბინადრობდნენ (Her., IV. 101, 102). ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ მათ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზედაც ეცხოვრათ. ვფიქრობთ, ფსევდო-სკილაქსის მიერ ამ ტომების კოლებსა და კოლხებს შორის აღნიშვნა რაღაც გაუგებრობით უნდა იყოს გამოწვეული (შდრ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბ., 1967, გვ. 29, 30).

ლეტელის ჩვენებით, კოლები კავკასიონთან მოსახლე ტომია. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ცნობაც, რომელშიც მოხსენიებულია „კავკასიონის ქვედა ფერდები, კოლიკედ წოდებული მთები“. რაც შეეხება კორაქსებს, მათი ადგილსაცხოვრისი უმთავრესად დიოსკურიის მეზობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით უნდა ვიგულისხმოთ[3].

ამრიგად, ჰეკატაიოსისა და ფსევდო-სკილაქსის ცნობების განხილვიდან, ჩვენი აზრით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს ორი ბერძენი ავტორი ემყარება საერთო წყაროს, რომელშიც ადრეანტიკური ხანის ჩრდილოეთ კოლხეთში არსებული ეთნო-პოლიტიკური ვითარებაა ასახული. ის გარემოება, რომ ჰეკატაიოს მილეტელი კოლებსა და კორაქსებს კოლხურ ტომებს უწოდებს, ანდა ფსევდო-სკილაქსი დიოსკურიას კოლხთა მიწა-წყალზე ათავსებს, თავისთავად არ ნიშნავს ამ ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ კოლხური წარმოშობის ტომების განსახლებას. ამ ცნობებით არც ის მტკიცდება, რომ საკუთრივ კოლხთა ეთნიკური საზღვარი მაინცადამაინც დღ. სოხუმამდე აღწევდა, რადგან ზემოხსენებული ცნობების მიხედვით წყაროებში შეეძლო გამოეწვია იმ ხანებში დაწინაურებული კოლხური ეთნიკური ბირთვის მიერ დიდი გაერთიანების შექმნას და მისი პოლიტიკური გავლენის გავრცელებას ამ მხარის მოსახლეობაზე. მაგრამ დღ. აფხაზეთის მიწა-წყალზე მცხოვრებ ტომთა ეთნიკური კუთვნილების დადგენის თვალსაზრისით, ვფიქრობთ, მაინც უთუოდ ანგარიშგასაწევია კოლების კავკასიონთან მოსახლე ტომად ხსენება ჰეკატაიოსის მიერ, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი და სანდო ცნობები ჰქონდა დაცული არაბერძნული ეთნიკური სამყაროს შესახებ. სახელდობრ, ეს ჩვენება იმით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ აღნიშნული სახელწოდების ფუძე „კოლ“ დადასტურებულია უფრო გვიან სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი ოლქის სახელში „კოლა“[4], ორივე ეს სახელწოდება („კოლები“ და „კოლა“) უკავშირდება ამავე ფუძის მქონე ეთნონიმს „კოლ-ხი“. აღნიშნული გარემოება იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ დიოსკურიის მახლობლად, მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მთაგორიანი ადგილები და სანაპირო ზოლიც ადრეანტიკურ ხანაში ქართული წარმომავლობის ტომებით იყო დასახლებული. იმ დროს აქ, როგორც ჩანს, პოლიტიკურად და უთუოდ ეთნიკურადაც წამყვანია კოლხური ელემენტი. მყარია და ძლიერი აგრეთვე კოლხური კულტურის ტრადიციებიც, რომლის გავლენა ჩანს ამ ტომებისგან შემორჩენილ მატერიალურ კულტურაში (ყულანურხვას სამაროვანი, ლიხნის და ბიჭვინტის (ლიძავის) ცულების განძი, არქეოლოგიური მონაპოვარი სოხუმის მიდამოებში და სხვ.)[5]. მთელი ეს მასალა მოწმობს, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის აღმოსავლეთი სექტორის ძველი მოსახლეობა ადრიდანვე კოლხური კულტურის არეალში იყო მოქცეული, და ასე გრძელდებოდა ეს ადრეანტიკურ ხანაშიც.

ამ დროის წყაროებში ჯერ კიდევ არ ჩანან კოლხური ეთნო-პოლიტიკური ერთობისაგან ცალკე მდგომი, კავკასიონთან მოსახლე წვრილი და სხვადასხვა

---

[3] მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1960, გვ. 12.

[5] М. М. Трапш, Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии, Труды, I, Сухуми, 1970, с. 174—194; ა. ლ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1964.

ენაზე მოლაპარაკე, მრავალრიცხოვანი ტომები, რომელნიც მომდევნო ხანაში იჩენენ თავს ბერძენ-რომაელ ავტორთა გადმოცემებში.

ყველაზე ადრინდელი მინიშნება კოლხების ჩრდილოეთით, კავკასიონამდე მცხოვრებ ტომებზე, რომელნიც კოლხებთან ერთად ნებაყოფლობით აღიარებდნენ სპარსეთის პოლიტიკურ გავლენას და ძღვენს უხდიდნენ მის მბრძანებელს, დამოწმებულია ჰეროდოტეს ისტორიაში (Her., III, 97), მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ ტომებში, უპირველესად, უნდა იგულისხმებოდნენ წყაროების მიერ „კოლხურ" ტომებად დასახელებული კოლები და კორაქსები. საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ უკვე ამ ხანაში კოლებისა და კორაქსების მეზობლად, მათ აღმოსავლეთით, კავკასიონის ფერდობებთან განსახლებული იყვნენ სვანური ტომებიც, რომელნიც უფრო მოგვიანო ავტორთა (სტრაბონის და მისი წყაროს — პოსიდონიოსის) ჩვენებით, ფლობდნენ ქალაქ დიოსკურიის ზემოთ (უთუოდ ჩრდილო-აღმოსავლეთით) მდებარე მთიან ადგილებს.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გუდაუთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ყულანურხვის კოლხურ სამაროვანზე აღმოჩენილი სკვითური ინვენტარის შემცველი რამდენიმე სამარხის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ[6], ძვ. წ. VII ს-დან აღნიშნულ რეგიონში უკვე დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან სკვითური წარმომავლობის ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ჩამოსვლა. საერთოდ, არქეოლოგიური მასალებიდან ირკვევა, რომ მთელი ეს ტერიტორია ანტიკური ხანის მანძილზე წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიიდან სხვადასხვა წვრილი ტომების შემოჭრის ასპარეზს.

კოლხურ ტომებს — კოლებსა და კორაქსებს — ძვ. წ. V—II სს-ში ჩრდილო-დასავლეთიდან ემეზობლებოდნენ ჰენიოხები (ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე ეფესოელი).

პირველი, ვინც ასახელებს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ჰენიოხებს, არის ჰელანიკე მიტილენელი (ძვ. წ. V ს.). იგი ჰენიოხებს იხსენიებს კერკეტების, მოსხების, ხარიმატებისა და კორაქსების მეზობლად[7]. მაგრამ ჩვენამდე მოღწეული მისი ცნობა ფრაგმენტულია, რის გამო მთლად გამართული არ არის. ჰენიოხთა საცხოვრისის შედარებით ზუსტი დადგენა ხერხდება არტემიდორე ეფესოელის ჩვენებით, რომელიც სტრაბონის „გეოგრაფიაშია" დაცული. ამ ცნობის თანახმად, ნავსადგურ ბატადან (დღ. ნოვოროსიისკის რაიონში მდებარეობდა) სანაპიროზე ბინადრობდნენ ჯერ კერკეტები — 850 სტადიონის მანძილზე, შემდეგ აქეელები — 500 სტადიონის მანძილზე[8], მათ შემდეგ კი ჰენიოხები — 1000 სტადიონზე. ჰენიოხების მიწაწყლის შემდეგ (იგულისხმება მის სამხრეთით) არტემიდორე ასახელებს ქ. პიტიუნტს (დღ. ბიჭვინტა) (Strabo, XI, 2,14). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არტემიდორეს ჩვენებები და მანძილთა გამოთვლები, ჩვეულებრივ, სიზუსტით ხასიათდება, მაშინ ჰენიოხებს ზღვის სანაპიროს გაყოლებით დიდი ტერიტორია სჭერიათ. მათი საცხოვრისის ფარგლებში შედიოდა ბიჭვინტის, სოჭის და სხვა რეგიონები, ვიდრე ტუაფსემდე, დაახლოებით 180 კმ-ის მანძილზე[9]

[6] М. М. Трапш, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

[7] თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საცხოვრისთვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 2. (ჰენიოხები), „მაცნე", ისტორიის სერია, 1980, № 4, გვ. 57—77.

[8] აქეელების შესახებ დაწვრილებით იხ. თ. ყაუხჩიშვილი, კავკასიის ტომების საცხოვრისთვის ანტიკური წყაროების მიხედვით. 1. „მაცნე", ისტორიის სერია, 1980, № 3.

[9] მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

რაც შეეხება სტრაბონს, მისი ცნობა მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. რადგან გარდა იმისა, რომ გვამცნობს ჰენიოხთა სოციალურ-პოლიტიკური წყობის თავისებურებას (მათ ოთხი დიდი ტომის კავშირი ჰქონიათ, ოთხი „მეფით", ხოლო ტომთა კავშირებში მრავალი ტომი იყო გაერთიანებული თავისი ბელადებით — სკეპტუხებით) [XI, 2, 13], იგი კარგად ადასტურებს პლინიუსის ჩვენებას ჰენიოხთა „მრავალსახელწოდებიანობის" (ანუ მრავალტომიანობის) შესახებ (VI, 14, 15).

სტრაბონისა და პლინიუსის ამ ცნობებიდან კარგად ჩანს, რომ ადრეულ ხანებში (ძვ. წ. I ს. — ახ. წ. I ს.) საერთო სატომო სახელწოდებაში „ჰენიოხ"-ი ბერძნების მიერ იგულისხმებოდნენ მრავალი სხვადასხვა სახელწოდების მქონე წვრილი ტომები. ხოლო წერილობითი წყაროების მიერ ამ ტომების სახელთა მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ კრებითი ეთნონიმი „ჰენიოხი" ჰფარავდა სხვა დანარჩენ სატომო სახელწოდებებს.

აქვე დგება საკითხი ჰენიოხთა ეთნიკური ვინაობის შესახებ. აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობისა და მასში მიმდინარე ეთნოპროცესების შესწავლა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ საკითხის მთელი სისრულით გაშუქებასთან, ამიტომ საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ იგი.

ჰენიოხთა მრავალსახელწოდებიანობა და მრავალტომიანობა, რასაც საგანგებოდ აღნიშნავენ ბერძენ-რომაელი ავტორები, სავსებით შესაძლებელს ხდის, რომ ჰენიოხებში ვიგულისხმოთ სხვადასხვა წარმომავლობის ტომები.

აღნიშნული გარემოება უკვე შენიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების საკითხის კვლევისას. მიუხედავად ამისა, მკვლევარნი მაინც ცდილობენ ჰენიოხებში დაინახონ და გამოჰყონ მთავარი სატომო ბირთვი და იგი რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნონ. გ. მელიქიშვილის აზრით, ჰენიოხთა სახელს კრებითი ხასიათი უნდა ჰქონოდა, მაგრამ დროდადრო იგი სხვადასხვა წარმოშობის ტომთა აღმნიშვნელადაც გამოიყენებოდა. მკვლევრის აზრით, ადრეულ ხანაში ამ სახელწოდებაში ბერძნებს ეთნიკურად უპირატესად სვანური ტომები უნდა ეგულისხმათ. ანტიკურ ხანაში ჩრდილოეთ კოლხეთის ჰენიოხთა ტომებში ძირითადი ეთნიკური ბირთვი სვანური წარმოშობისა უნდა ყოფილიყო, ხოლო სამხრეთის ჰენიოხები ჭანები იყვნენ[10].

საყურადღებოა აგრეთვე ი. ორბელის მოსაზრებაც, რომელმაც „ჰენიოხის" თავდაპირველ ფორმად მიიჩნია „ჰენიხი", რაც გაიგივა „სანიგთან"-, „სანთან" და გამოთქვა ვარაუდი, რომ ისინი იგივე სვანები არიან[11] (ამ მოსაზრების შესახებ ქვემოთ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი). ეს აზრი შემდეგ გაიზიარა ნ. მარმა[12].

---

[10] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 67.

[11] И. Орбели, Город близнецов Διοσκουριας и племя возниц Ἡνίοχοι, ЖМНП, 1911, апр., с. 200, 208.

[12] Н. Марр, К истории термина «абхаз». კრებულში: «О языке и истории абхазов», 1938, М.-Л. 44—52.

ივ. ჯავახიშვილი ჰენიოხთა სატომო სახელწოდებას ხედავდა „შესაქმეთა“ წიგნის ენოხში (ჰენოხში). იგი ჰენიოხებს ტომობრივად ჭან-მეგრელებს მიაკუთვნებდა[13].

პ. ინგოროყვამ ჰენიოხების სახელი სანებთან და სანიგებთან დააკავშირა და ყველა ესენი მეგრულ-ჭანურ ტომებად მიიჩნია[14]. ანალოგიური მოსაზრება გვაქვს გამოთქმული ჩვენც[15].

ჰენიოხური ტომების მეგრულ-ჭანური სამყაროსადმი კუთვნილების თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩრდილოეთ კოლხეთის ჰენიოხთა გაერთიანების მემკვიდრეებად გამოდიან სანიგები, რომლებსაც ბერძენ-ბიზანტიელი ავტორები სანებს — ჭანებს უკავშირებენ. ანალოგიური სურათია სამხრეთ კოლხეთშიც, სადაც წყაროები ჰენიოხებს იხსენიებენ ხან სანებთან (ანუ ჭანებთან) (Plin., VI), ხან კი მაკრონებთან (ე. ი. მეგრული წარმოშობის ტომთან) კავშირში (Arr. § 11).

ამასთან, ნიშანდობლივი ჩანს ისიც, რომ ეთნონიმი ჰენიოხი კრებით სახელწოდებად გვევლინება არა მხოლოდ ჩრდილოეთ კოლხეთში, არამედ სამხრეთითაც. ახ. წ. V ს-ის ანონიმური ავტორი აქ იხსენიებს „შერეულტომიან“ ჰენიოხებს, რომელთა ჩამომავლებად ახ. წ. VI ს-სათვის მრავალსახელწოდებიანი ჭანური ტომები გვევლინებიან[16].

ჰენიოხთა მთავარი სატომო ბირთვის მეგრულ-ჭანური წარმომავლობის თვალსაზრისით დიდ ინტერესს იწვევს ბ. გიგინეიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ის აზრია გატარებული, რომ ჰენიოხი არის იგივე ჭანი (ტომობრივადაც და ენობრივადაც). ჰენიოხთა ტომის მეგრულ-ჭანურ სახელწოდებას „ჭანი“ ენობრივი კანონზომიერების მიხედვით შეესაბამებოდა სვანური „ჰენი“ და ქართული „წენი“ (თუმცა სათანადო ფორმები დღეს არც სვანურში და არც ქართულში არ მოგვეპოვება)[17].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი აზრი ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ ასეთია: შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძვ. წ. V—II სს-ში მოსახლე ჰენიოხური ტომების ერთი ნაწილი, სავსებით შესაძლებელია, მართლაც, სვანური წარმომავლობისა იყო, მაგრამ, სვანურ ტომებთან ერთად, ჰენიოხებში უნდა ვიგულისხმოთ „ჭანი“ სახელწოდების მქონე ეთნიკური ბირთვი, რომელიც ადრიდანვე წამყვან როლს ასრულებდა, როგორც ჰენიოხურ ტომთა კავშირის, ისე მათი საერთო, კრებითი სახელწოდების შექმნაში (თორემ ძნელია პასუხი გაეცეს კითხვას — რა საფუძველზე წარმოიშვა ძვ. წ. V ს-სათვის კრებითი ეთნონიმი — ჰენიოხი? ანდა, მრავალ ტომებად დაყოფის მიუხედავად, რატომ გააერთიანეს ბერძენ-რომაელმა ავტორებმა ეს ტომები ერთ სახელწოდებაში?)

აქვე უნდა გავიხსენოთ ის გარემოება, რომ ანტიკური წყაროების ჰენიოხები მკვლევართა მიერ გაიგივებულია ურარტული ტექსტების იგანიეხთან, რომელიც ჩილდირის ტბის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარე ტომთა დიდ გა-

---

13 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, დამატება 1, თბ., 1951, გვ. 401, 403.

14 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 135.

15 მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 150—151.

16 Anon., 9; Proc., De aedificiis, III, 6. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1965, გვ. 7, 216.

17 ბ. გიგინეიშვილი, [illegible] „ჰენიოხის“ წარმომავლობისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1975, № 1, გვ. 115—124.

ერთიანება იყო; მას ერთი „მეფე" ედგა სათავეში. ივანიეხის ტომთა გაერთიანება განსაკუთრებით ძლიერი ჩანს ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებში (748—746 წწ.), ურარტუს მეფე სარდურ II-ის დროს (764—735)[18]. ამ მონაცემებიდან გამომდინარე ადრეანტიკური ხანის ბერძენ ავტორთა (არისტოტელეს და სხვ.) ცნობებზე დაყრდნობით ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ივანიეხი-ჰენიოხის სახელწოდების მქონე ამ გაერთიანებაში შემავალი ტომები, ადრეულ ხანაში ტერიტორიულად ფართოდ უნდა ყოფილიყვნენ გავრცელებული ამიერკავკასიის სამხრეთ და დასავლეთ რეგიონებშიც[19]. მაგრამ შემდეგში კოლხთაგან შევიწროებული ჰენიოხების ცალკეული ტომები, ჩვენი ვარაუდით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ ინაცვლებენ და აქ იდებენ ბინას. მწირ და უნაყოფო ადგილებში (ჩრდილოეთ კოლხეთის სანაპიროზე) დასახლებული ჰენიოხები დროთა განმავლობაში (ძვ. წ. VI—I სს.) სოციალურ-ეკონომიურად და პოლიტიკურადაც მნიშვნელოვან დაქვეითებას გან[?]ცდიან[20]. იმ ხანებში, როდესაც სტრაბონი (და მისი წყარო) აღწერდა ჰენიოხურ ტომთა ყოფას ქ. პიტიუნტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სანაპიროზე, მათ ჰყავდათ არა ერთი საერთო მეფე, არამედ ოთხი „ბასილევსი", ანუ სატომო კავშირის ბელადი, რომელთაც ექვემდებარებოდნენ ამ ტომებში შემავალი თემების მმართველი სკეპტუხები. მიუხედავად ამისა, ჰენიოხები, როგორც ირკვევა, მაინც ინარჩუნებდნენ თავიანთ პირვანდელ, მათი ვრცელი გაერთიანების დროს წარმოქმნილ საერთო კრებით ეთნო-პოლიტიკურ სახელწოდებას „ჰენიოხი", რომელიც თავდაპირველად, უთუოდ, პოლიტიკურად ყველაზე ძლიერი ჰენიოხთა ტომის ეთნონიმი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება თვით სახელწოდებას — „ჰენიოხი", რომელიც ბერძნულად მეეტლეებს ნიშნავს, სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ იგი უთუოდ ადგილობრივი საკუთარი სახელია, მხოლოდ ბერძენთა მიერ თავის ენაზე გამართული და გააზრებული[21].

როგორც ცნობილია, ჰენიოხების მეეტლეებად გააზრებას საფუძვლად დაედო ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ ამ ეთნონიმის მქონე ტომის წარმომავლობის დაკავშირება ლაკონელებთან, რომელთა მეეტლეები, გადმოცემის მიხედვით, თან ახლდნენ დიოსკურებს (ტყუპ ძმებს), როცა ისინი იასონთან ერთად პონტოში შემოვიდნენ და კოლხეთში თავისი სახელწოდების ქალაქი — დიოსკურია დააარსეს. მაგრამ წყაროებიდან ირკვევა, რომ ჰენიოხთა სახელ-

---

18 Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 211—212.

19 მ. ინაძე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ტომთა ისტორიისათვის, მასალები... ნაკვ. 32, 1955, გვ. 13—21.

20 მ. ინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20. ივანიეხთა-ჰენიოხური ტომების ფართოდ გავრცელების ძირითადად ადრეული ხანისათვის ვარაუდობს გ. მელიქიშვილიც. მკვლევრის აზრით, ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე ჰენიოხები უკვე სახლობენ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე. მაგრამ აქ მათ გარკვეული შევიწროება განიცადეს, როგორც სამხრეთით, ისე ჩრდილოეთით (გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის... გვ. 67). ივ. ჯავახიშვილი, ჯერ კიდევ უძველეს ტექსტებში ივანიეხის შესახებ დაცული ცნობების შესწავლამდე, სატომო სახელის „ჰენიოხის" გავრცელების დამოწმების „ჰენიოხთან", აღნიშნავდა „ის გარემოება, რომ I—II ს. ქ. შ. ჰენიოხები უფრო თა-რეშსა და მეზობლების ძარცვა-გლეჯას მისდევდნენ, ხოლო დაბადებაში „ჰენიოხი" ქალაქის აღმაშენებლად ითვლება, რასაკვირველია, დამახასიათებლად ვერ ჩაითვლება. ისიც რომ ერის ამგვარი დაქვეითება ერთხელ და ორჯელ არ მომხდარა" (იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 401).

21 თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

წოდების ასეთი გააზრება განეკუთვნება შედარებით მოგვიანო ხანას და პირველად სტრაბონის „გეოგრაფიაშია“ დამოწმებული (Strab. XI, 2, 12), ხოლო ამის შემდგომ მეტწილად რომაელ ავტორებთან (პომპონიუს მელა, პლინიუს და სხვ.) გვხვდება. ამაზე ადრინდელ ავტორთა ცნობებში კი ჰენიოხთა სახელწოდების ამგვარი გააზრება არ ჩანს. არისტოტელეს, დიოდორე სიცილიელის და სხვათა თხზულებებში ჰენიოხები დახასიათებულნი არიან მხოლოდ როგორც ადგილობრივი, უძველესი, ზღვაზე მთარეშე ტომი. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ ბერძენ-რომაელი ავტორები „ჰენიოხ“-ს უწოდებენ არა მხოლოდ დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით, სანაპიროზე მოსახლე მრავალრიცხოვან ტომებს, არამედ სამხრეთ კოლხეთში მობინადრე ცალკეულ ეთნიკურ ჯგუფებსაც, რომელთა ადგილსაცხოვრისის მახლობლად ასეთი სახელწოდების ქალაქი არ იყო და, ამდენად, არც არავითარი საფუძველი არ ჩანდა მათი დიოსკურების მეეტლეებად ანუ ჰენიოხებად გასააზრებლად.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ბერძნულად „ჰენიოხოს“ ნიშნავს არა მხოლოდ მეეტლეს, არამედ იმ პირს, ვისაც ხელთ უპყრია ცხენის სადავე (ἡνία) ე. ი. „მხედარს“ „ცხენოსანს“. თუ ჰენიოხებად წოდებული ტომების ადგილობრივი ეთნონიმის ფუძე სინამდვილეში, მართლაც, „ჰენ“-ი იყო, რასაც ზემომოტანილი ენათმეცნიერული კვლევაც უჭერს მხარს, ამასთან გავითვალისწინებთ, რომ უძველეს ბერძნულ მწერლობაში ჰენიოხთა მეეტლეებად გააზრების არავითარი კვალი არ არსებობს, საფუძველი გვაქვს „ჰენი“, „ჰენიოხი“ ეთნონიმის კავშირი ინდოევროპულ სიტყვებთან „ცხენის სადავე“, „მხედარი“ გაცილებით უფრო ადრეულ ხანაში ვივარაუდოთ, ვიდრე ბერძნები ამ სატომო სახელს მითოლოგიურ ნიადაგზე გაიაზრებდნენ როგორც მეეტლეებს[22].

ჰენიოხთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ზ. ანჩაბაძე ჰენიოხებს აიგივებს სანიგებთან და ორივეს აფხაზურ-ადიღეურ ტომებად — საძებად მიიჩნევს[23] (ამის შესახებ ქვემოთ).

დღევანდელი აფხაზეთის სანაპირო ზოლზე ძვ. წ. V—II სს-ში ჰენიოხების ჩრდილო-დასავლეთით მოიხსენიებიან აქეელები და კერკეტები, რომლებშიც მკვლევარნი ჩერქეზულ ტომებს ვარაუდობენ[24]. ფსევდო-სკილაქსი კერკეტების შესახებ გვამცნობს, რომ სინდიკის ნავსადგურის შემდეგ (იგულისხმება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით — მ. ი.) კერკეტების ტომია, კერკეტების შემდეგ ტორეტების ტომი, მათ მერე, აქეელები. აქეელების შემდეგ ჰენიოხთა ტომი (Ps. Scyl., 74—77)[25], ხოლო ძვ. წ. II ს-ის მწერალი არტემიდორე ეფესოელი (სტრაბონის გადმოცემით), ნავსადგურ ბატა:

---

22 სატომო სახელწოდებას „ჰენი“ და მის ვარიანტებს „ჰინი“, „ჰენი“ ძველ ქართულ სახელწოდებას „ჰენე“ უკავშირებდა ი. ო რ ბ ე ლ ი (დასახ. ნაშრომი, გვ. 214. 215). ვინაიდან „ჰენის“ ვარიანტული სახესხვაობიდან „ჰენი“ შესაძლებელია ნაწარმოები იყოს ზანა „ჰენება“.

23 З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, М., 1964, с. 134—137.

24 კერკეტებს ჩერქეზებთან აიგივებდნენ კიხლინგი, ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა და სხვ. (თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75).

25 თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 47.

შემდეგ ასახელებს კერკეტების სანაპიროს დაბებით და ნავთსაყუდლებით, შემდეგ კი აქეელების მიწა-წყალს, ვიდრე ჰენიოხებამდე (Strabo, XI, 2, 14)[26].

ამრიგად, ბერძენ მწერალთა ცნობებიდან ირკვევა, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე სვანურ-ზანურ ტომებს ჩრდილო-დასავლეთიდან ძველთაგანვე ემეზობლებოდნენ ჩერქეზული ტომები — კერკეტები; მათ აქეელებთან ერთად ეპყრათ სანაპირო ტუაფსედან ძველ ნავსადგურ ბატამდე.

წერილობით წყაროებით დადასტურებული ეს ტერიტორიული მეზობლობა ადიღეური (ჩერქეზული) და სვანურ-მეგრული შტოს ტომებისა გვაფიქრებინებს, რომ ის ინტენსიური კონტაქტი, რომელსაც მკვლევარნი ვარაუდობენ ამ ტომთა შორის მათი ენობრივი მონაცემების მიხედვით, მართლაც ადრეულ ხანაში უნდა დაწყებულიყო. როგორც ვიცით, ადიღეურ (ჩერქეზული) და ყაბარდოულ ენათაგან შემოსული ლექსიკური, თუ სხვა ხასიათის ენობრივი მასალა ქართულში (სვანურში) საკმაოდ არის გამოვლენილი მკვლევართა მიერ. „ჩერქეზული ელემენტი სვანურში — წერდა ს. ჯანაშია — მხოლოდ იმის მოწმობაა, რომ ამ ქართველურ... ენას (იგულისხმება სვანური — მ. ი.) რომელიღაც ისტორიულ პერიოდში... მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონია ჩერქეზულ ენობრივ-კულტურულ სამყაროსთან"[27].

ადრეულ ხანაში ჩერქეზული ეთნიკური ჯგუფების ბინადრობა შეიძლება ვივარაუდოთ არა მხოლოდ კოლხეთის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სექტორში, არამედ მის სამხრეთ რეგიონებშიც, სადაც აგრეთვე მეგრულ-ჭანური ტომები სახლობდნენ. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ს. ჯანაშიას მიერ ჩერქეზულ ტოპონიმებად მიჩნეული „ყვა" ნაწილაკიანი გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მკვლევრის დაკვირვებით, თავმოყრილი აღმოჩნდა დღევანდელი გურია-აჭარის ტერიტორიაზე[28]. ამგვარი სტრუქტურის სახელებია აგიდაყვა, ბერეყვა, მდინარე და სოფელი აჭყვა; იმავე აღნაგობის სახელწოდებებია, მხოლოდ გართულებული ქართული ადგილის -ეთ სუფიქსით: ჯურუყვეთი, ბობოყვათი, მერეყვეთი და სხვ. სამხრეთ კოლხეთის ტერიტორიაზე დამოწმებული ეს ტოპონიმები შესაძლებელია, მართლაც, ამ რეგიონში ჩერქეზული მოსახლეობის არსებობის ნაკვალევი იყოს. თუმც ამ სახელების საფუძველზე შორსმიმავალი დასკვნების გაკეთებისას უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ წერილობით ცნობებში ამგვარი ტოპონიმები დადასტურებული არ არის, რის გამო ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას ლიტერატურული წყაროებით შევამოწმოთ კოლხეთში ამ სახელების წარმოქმნის ქრონოლოგიური ჩარჩოები. მიუხედავად ამისა, ჩერქეზულად მიჩნეული ტოპონიმების თავმოყრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მაინც ანგარიშგასაწევი ფაქტია, რადგან ჩვენ ხელთაა სტრაბონის ერთი მეტად საყურადღებო ჩვენება, რომლის მიხედვით ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ მცხოვრები ტიბარანების, ქალდებისა (-ხალიბების) და სანების

---

[26] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 120.

[27] ს. ჯანაშია, სვანურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 86.

[28] ს. ჯანაშიას მოსაზრებით, „ყვა" — ჩერქეზული სიტყვაა ღელეს, ხევის, ხეობის მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავშირისთვის და ტოპონიმიკური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოულების ტერიტორიაზე (ს. ჯანაშია, ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში, შრომები, III, გვ. 121).

(-მაკრონების) მახლობლად სახლობდნენ აპსილები, უწინდელი კერკეტები (Strabo, XI, 3, 18)[29]. სტრაბონის ამ ცნობით, თითქოს უფრო სარწმუნო ხდება ადრეულ ხანაში კერკეტების ანუ ჩერქეზთა მონათესავე ეთნიკური ჯგუფის ბინადრობა კოლხეთის სამხრეთ რეგიონში მდ. ჭოროხის შესართავთან, მის სამხრეთით და ჩრდილოეთით განსახლებულ მეგრულ-ჭანური ტომების — მაკრონ-სანების მახლობლად.

ამ რეგიონში დასავლურ-ქართველი ტომების მეზობლად ჩერქეზული მოსახლეობის დამკვიდრება შეიძლება აიხსნას ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მწირ და უნაყოფო ადგილებში მცხოვრები ჩერქეზული ტომების ერთ-ერთი ჯგუფის აქ ჩამოსახლებით. ასეთი ეთნოპროცესები შეინიშნება ისტორიის სხვა მონაკვეთებშიც. ამავე გზით შეიძლება ვივარაუდოთ ყვა-თი წარმოებული ტოპონიმების (მალთაყვა და სხვ.) გავრცელება კოლხეთის სანაპიროს სხვა ადგილებშიც.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ადიღეური (ჩერქეზული) მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევს ს. ჯანაშია ვარაუდობდა დასავლეთ საქართველოს ფს-დაბოლოებიანი მდინარეთა სახელწოდების შესწავლის საფუძველზედაც, ხოლო უფრო ადრე აღნიშნულ საკითხს იკვლევდა ივ. ჯავახიშვილი, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება დაწვრილებით საუბარი.

აქვე საჭიროა შევეხოთ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კერკეტებისა და ჰენიოხების მეზობლად მოსხთა ბინადრობის შესახებ მთელ რიგ წყაროებში დაცული ცნობების მეცნიერული ღირებულების შეფასებას, რასაც თავის მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის კვლევა-ძიებისათვის.

დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსხები ძველ ავტორთაგან დასახელებული ჰყავთ ჰელანიკე მიტილენელს (ძვ. წ. V ს.), პალეფატე აბიდოსელს (ძვ. წ. IV ს.) და მითრიდატეს ომების ისტორიკოსებს.

ჰელანიკე მიტილენელი მოსხებზე წერს: „კერკეტების ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ხარიმატები, ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქსები“. მსგავსი ჩვენება აქვს დაცული პალეფატე აბიდოსელს. იგი გადმოგვცემს: „კერკეტებს ემეზობლებიან მოსხები და ხარიმატები, ფლობენ პართენიოსს ევქსინის პონტომდე“. პალეფატეს ცნობაში ნიშანდობლივად გვეჩვენება ადგილ პართენიოსის ხსენება. მდინარე პართენიოსი იგივე მცირე აზიის მდ. კოჯა-ირმაკია, იგი პაფლაგონელების ქვეყანას ჩამოუდიოდა. აქვე, მის შესართავში ბერძენი ავტორები ასახელებენ ამავე სახელწოდების ადგილსაც (Arr., § 14). პალეფატე აბიდოსელის მითითება, რომლის მიხედვით, მოსხები და ხარიმატები ფლობენ პართენიოსს ევქსინის პონტომდე იმას ნიშნავს, რომ ამ ჩვენებაში საუბარია მცირე აზიაში მცხოვრებ მოსხებზე, რომელნიც აქ მატიენებს ემეზობლებოდნენ. ეს უკანასკნელნი კი, მართლაც, პართენიოსსა და პაფლაგონიამდე ვრცელდებოდნენ[30].

ყველაფერი ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მოსხთა ადგილსამყოფელის განსაზღვრისას პალეფატე ერთმანეთში ურევს მოსხებს, რომელნიც დღ. აფხა-

---

29 აპსილებს ასახელებს პლინიუსიც (VI).

30 ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ., 1984, გვ. 19—24.

ზღვის მიწა-წყალზე კერკეტების მეზობლად [მათ ზემოთ] ცხოვრობდნენ, ძვ. წ. VI ს-ში მცირე აზიაში მობინადრე მოსხებთან.

ამას ნათელყოფს პალეფატეს ჩვენების შედარება ჰელანიკეს ცნობასთან, რომელშიც მოსხები აგრეთვე ხარიმატებთან და კერკეტებთან კონტექსტში იხსენიებიან, მაგრამ მასში არსად არის ლაპარაკი მოსხებისა და ხარიმატების პართენიოსამდე გავრცობაზე. ეს გარემოება ჩვენ საგულისხმოდ გვეჩვენება; იგი უთუოდ უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ თუმცა ორივე დასახელებული ავტორი (პალეფატე და ჰელანიკე) ემყარება ერთი და იმავე წყაროს, რომელშიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე კერკეტების მეზობელ მოსხებზეა საუბარი, მაგრამ პალეფატეს, რომელსაც, ჩანს, საკმაოდ ზუსტი ცნობები ჰქონდა მცირე აზიაში მცხოვრები ტომების, მათ შორის მოსხთა (მესხთა) შესახებ[31], მის მიერ გამოყენებულ წყაროში (სადაც კერკეტების მეზობელ მოსხებზეა საუბარი), შეაქვს დამატებითი დეტალი, რომ მოსხები ხარიმატებთან ერთად „ფლობენ პართენიოსს ევქსინის პონტომდე". ამით პალეფატეს მის ხელთ არსებულ წყაროში კერკეტების მეზობლად დასახელებული მოსხები გადაჰყავს მცირე აზიაში, სადაც ალებულ ხანაში მოსხებს ვრცელი მიწები ეჭირათ (დღევანდელ ტოკატ-ყარაჰისარ-გიუმუშხანეს სანახებში)[32].

უფრო ახლოს დგას თავის პირველწყაროსთან ჰელანიკეს გადმოცემა, რომელიც პალეფატეს ნაწარმოებზე ადრინდელ ხანას განეკუთვნება და, ამდენად, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე კერკეტების, ჰენიოხებისა და კორაქსების მეზობლად მოსხთა ხსენება მასში ნაკლებად შეცვლილი სახით უნდა იყოს შემონახული (თუმცა ეს გადმოცემაც საკმაოდ ფრაგმენტულად არის ჩვენამდე მოღწეული)[33].

ჰელანიკეს ცნობაში აღსანიშნავია აგრეთვე მოსხების კერკეტების „ზემოთ" (იგულისხმება ჩრდილო-აღმოსავლეთით) დასახელება, რაც უნდა გულისხმობდეს მათ განსახლებას არა დღევანდელი აფხაზეთის სანაპირო ზოლზე, არამედ მის შიდა, მთაგორიან რეგიონში. გავიხსენოთ ძველი ბერძენი ლოგოგრაფოსის ჰეკატეს ზემოთ განხილული გადმოცემა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მთაგორიან ადგილებში, კავკასიონის კალთებთან მოსახლე

---

31 როგორც სტეფანე ბიზანტიელის „ეთნიკაში" დაცული გადმოცემიდან ირკვევა, პალეფატეს დაუწერია ნაშრომი „Τρωικα", რომელშიც, ჩანს, მცირე აზიის ძველი ტომების, მათ შორის მესხების ადგილსაცხოვრისი იყო აღწერილი (იხ. BDH, № 1, 1947, გვ. 310).

32 ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

33 ამ ცნობის ფრაგმენტულობისა და კომპილაციური ხასიათის გამო ნ. ლომოური აღნიშნავს, რომ მის ავტორს (ჰელანიკე მიტილენელს) არაზუსტი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა შავი ზღვის სანაპიროზე ამ ტომთა განსახლების შესახებ, რომლებსაც იგი იხსენიებს (ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 33, თბ., 1963, გვ. 26). ამავე აზრის ვიყავით ადრე ჩვენც, მაგრამ ზემოთ განხილული ცნობების შედარებამ კვლევა-ძიებამ ჩვენ განსხვავებულ დასკვნამდე მიგვიყვანა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ისიც, რომ სტრაბონი ჰელანიკეს იხსენიებს ისეთ ლოგ ისტორიკოსთა შორის, როგორიც იყო ჰეროდოტე, კტესიასი და სხვ. (იხ. Strabo, XI, 6, 3). სხვა ისტორიკოსებთან ერთად, ჰელანიკეს ლოგოგრაფის ნაშრომში ჩრდილო შავიზღვისპირეთის ტომებზე — სკვითებზე. აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსხთა ბინადრობის საკითხსა და მათ შესახებ არსებულ ზემოთ განხილულ ცნობებს შეეხო ზ. ანჩაბაძეც თავის რეცენზიაში პ. ინგოროყვას წიგნზე (იხ. З. В. Анчабадзе. Вопросы истории Абхазии в книге П. Ингороква, „Георгий Мерчуле — грузинский писатель X века", აფხაზეთის ენის, ლიტ. და ისტ. ინსტ. „შრომები", სოხუმი, 1956, გვ. 147, 262).

პ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1962 N 1

ტომის — კოლების შესახებ, რომლებიც ეთნიკურად აგრეთვე ქართულ [კოლხურ] სამყაროს ეკუთვნოდნენ. ნათელია, რომ როგორც ჰეკატაიოსი, ისე ჰელანიკე ამ შემთხვევაში სარგებლობენ მათ თანამედროვეთა მიერ შეკრებილი მონაცემებით, რომლებიც უთუოდ ანგარიშგასაწევია ადრეანტიკურ ხანაში (ძვ. წ. VI—V სს.) აფხაზეთის ტერიტორიის ჩრდილოეთ სექტორში მცხოვრები მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის კვლევა-ძიებისას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსხებს ასახელებენ მითრიდატეს ომების ისტორიკოსებიც, რომელთა შესახებ სტრაბონი აღნიშნავს, რომ მათ მეტად დავუჯერებათ, ვიდრე სხვა ავტორებს. მითრიდატეს ომების აღმწერთა მიხედვით შავიზღვისპირეთის ამ ნაწილში სახლობდნენ აქეელები, მათ შემდეგ (ე. ი. სამხრეთით) ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები... (Strabo, XI, 2, 14).

მოსხების კერკეტებთან ერთად მოხსენიება, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ეს ავტორებიც უთუოდ იმავე ძველ წყაროს იყენებენ, რომლითაც სარგებლობენ პალეფატე და ჰელანიკე, მაგრამ მას ამავე დროს რაღაც განსხვავებულ, უფრო გვიანდელ მონაცემებს ურთავენ[34]. ამაზე მიუთითებს მოტანილ ცნობაში ზიგების დასახელება. ზიგები ანუ ჯიქები მხოლოდ ძვ. წ. II—I ს-ის მიჯნაზე ჩნდებიან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე.

მითრიდატეს ისტორიკოსთა ცნობაში განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ მის მიხედვითაც მოსხები კოლხების ზემოთ (ჩრდილოეთით) იხსენიებიან და არა მათ სამხრეთით. ამდენად, ამ ცნობითაც დასტურდება ჩრდილოეთ კოლხეთში მოსხთა ბინადრობის შესახებ გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობა (პალეფატესა და ჰელანიკეს დროიდან — ძვ. წ. V—IV სს.-დან მითრიდატეს ისტორიკოსთა ხანამდე — ძვ. წ. I ს-მდე)[35].

ამ საისტორიო ტრადიციას თუ დავუჯერებთ, ძვ. წ. V—I სს-ში მოსხთა ადგილსაცხოვრისი უფრო აფხაზეთის მთაგორიან ადგილებშია საძიებელი, ვიდრე უშუალოდ სანაპირო ზოლზე, რითაც შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ბერძენი ავტორები — ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე ძველი პიტიუნტიდან (ბიჭვინტიდან) ტრაპეზუნტამდე სანაპიროზე მცხოვრებ ტომთა შორის მოსხებს არ ასახელებენ. თვით ისეთი დაკვირვებული და კარგად ინფორმირებული ავტორიც კი, როგორიც სტრაბონია, საკუთრივ მის მიერ შედგენილ და, ამდენად, მის თანადროული ვითარების ამსახველ აღწერილობაში მოსხებს უშუალოდ ზღვასთან, სანაპირო ზოლზე არ იხსენიებს. სინდიკესა და გორგიპიის შემდეგ „ზღვასთან“ ის აღნიშნავს მხოლოდ „აქეელთა, ზიგთა და ჰენიოხთა სანაპიროს“ (XI, 2, 12)[36].

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ ზემოთ განხილულ საისტორიო ტრადიციის საფუძველზე პ. ინგოროყვამ გამოთქვა მოსაზრება ძვ. წ. V—I სს-ში მოსხების აფხაზეთის შიდა, ანუ მთიან სექტორში განსახლების შესახებ[37].

მომდევნო პერიოდში მოსხთა ბინადრობა ჩრდილოეთ კოლხეთის მთის სხვა რეგიონებში დასტურდება უფრო გვიანდელი, კერძოდ ახ. წ. VI ს-ის ბიზანტიელი ავტორის პროკოპი კესარიელის მონათხრობის მიხედვით. პრო-

---

[34] ნ. ხაზარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13—16.

[35] თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან (ძვ. წ. II—I ათასწლეულები). თბ., 1974, გვ. 21.

[36] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 118.

[37] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 137, 138.

კოპი გვამცნობს, რომ ლაზების ქვეყნის ჩრდილოეთით, სკვიმის (ლეჩხუმის) და სვანიის გვერდით, კავკასიონთან მდებარე მთებში, იბერიის გასწვრივ, მის დასავლეთით ცხოვრობდნენ ძველთაგანვე იბერთა ქვეშევრდომი მესხები. პროკოპის გადმოცემით, „მესხთა საცხოვრისი... სავსეა ყოველგვარი სიკეთით, რადგან მესხებიც მიწის მუშები არიან და იქ ვენახებიც არის. ამ ქვეყანაში მთები მეტად მაღალია... და ისინი გავრცელებულია ვიდრე კავკასიის მთებამდე... ამ მთებით..., ჩამოდის მდინარე ფაზისი, და პონტოს ერთვის ნახევარმთვარა ნაპირის შუაში“ (Proc., B G VIII, 2)[38]. ამ ცნობაში მესხთა ადგილსაცხოვრისი და მათი სამეურნეო საქმიანობა იმდენად ზუსტად არის აღწერილი, მასში ისეთი დეტალებია დაცული, რომ ძნელია დავეჭვება აღწერილი სურათის რეალურობაში. ნათელია, რომ ცნობაში საუბარია დღევანდელ სვანეთის მეზობლად, კავკასიონთან მდებარე მთაგორიან ადგილებზე, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე ფასისი ანუ რიონი (დღ. რაჭა) და აქ მცხოვრებ მოსახლეობაზე, რომელსაც პროკოპი კესარიელი მესხებს უწოდებს.

ამრიგად, წერილობითი წყაროების განხილვამ გვიჩვენა, რომ ანტიკურ ხანაში და მის მომდევნო პერიოდშიც (ახ. წ. VI ს.) ჩრდილოეთ კოლხეთის მთიან რეგიონებში შეიძლება ვივარაუდოთ მესხური ტომების ბინადრობა. როგორც ზემოთ გაირკვა, მოსხებად წოდებული ერთ-ერთი ტომთაგანის განსახლება სავარაუდოა დღ. აფხაზეთის ტერიტორიაზე, დასავლურ-ქართული (ჭანურ-ზანური) და სვანური მოსახლეობის გვერდით. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ადგილებში მოსხთა განსახლების (მიგრაციის) პროცესი ამაზე ადრე, ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაშია (ძვ. წ. VII ს.) საფიქრებელი. ეს პროცესი უნდა მოჰყოლოდა მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძვრებს ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში, ჯერ კოლხას გაერთიანების დაცემას (ძვ. წ. VIII ს-ის 20-იანი წლებიდან), ხოლო მომდევნო ხანაში — ძვ. VII ს. ურარტელთა მიერ მუშქების სამეფოს განადგურებას. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამ დროს შეინიშნება აღმოსავლეთიდან სხვადასხვა ქართველი ტომების — ბიძერების, კატარზების გადანაცვლება კოლხას ყოფილი სამეფოს ცენტრისაკენ, იგანიეხ-ქენიოხის ეთნიკური მასების გაჭრა ჩრდილოის ტბის მიდამოებიდან შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსკენ და მათი ამ სანაპიროს სხვადასხვა რეგიონში განსახლება. ზემოაღნიშნულ ეთნო-პოლიტიკურ პროცესებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სამხრეთით მდებარე ოლქებიდან კოლებად წოდებული ტომის და მესხთა ერთი ნაკადის მიგრირება ჩრდილოეთ კოლხეთის მთაგორიან ადგილებისკენ. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, მესხური ტომების მეორე დიდი ნაკადი მდ. მტკვრის ხეობით გზას იკვლევს ჩრდილო-აღმოსავლეთით, შიდა ქართლისაკენ, სადაც შემდეგში მათი სახელწოდების მქონე ქალაქი მცხეთა წარმოიქმნება[39]. ნიშანდობლივია ანალოგიური ტოპონიმის „მცხეთაშ“ გაჩენა ჩრდილოეთ კოლხეთშიც, სახელდობრ, სვანეთში[40], რომლის მეზობლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანტიკური ხანისა და მის მომდევნო პერიოდის წყაროებში მესხური ტომების განსახლებაა ფიქსირებული.

ზემოაღნიშნული ეთნოპროცესები თავის ასახვას პოვებენ ამ ტომთა მატერიალურ კულტურაშიც. მკვლევართა მიერ უკვე შენიშნულია ძვ. წ. I ათას-

---

[38] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. 2, თბ., 1965, გვ. 127.

[39] Г. А. Меликишвили, К истории..., с. 224.

[40] თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

წლეულის პირველი ნახევრის როგორც კოლხეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე — სოხუმის მთაზე, ზემო რაჭაში, ისე შიდა ქართლში — სამთავროს სამაროვანზე ერთნაირი ნაკეთობის, ფორმებისა და შემკულობის მქონე კერამიკული ნაწარმის აღმოჩენა. სახელდობრ, სოხუმის მთის ნამოსახლარის კულტურულ ფენებში და მცხეთა-სამთავროს X—VI სს-ის სამარხებში აღმოჩენილი კერამიკული მასალის მიხედვით დასტურდება როგორც ჭურჭლის შემკობის სტილისტური ხერხის, ისე ამ ხერხით გამოსახული სიუჟეტის ერთიანობა. ერთნაირია ჭურჭლის შემკობა ნაჭდევი სამკუთხედებით, აგრეთვე ჭურჭლის ზედაპირის შავად შებოლვა-გაპრიალება[41].

ამრიგად, მთელი ზემომოტანილი წერილობითი ცნობების, აგრეთვე სხვა მონაცემების კვლევა-ძიება მოწმობს, რომ ძვ. წ. VI—I სს-ში დღევანდელი აფხაზეთის როგორც სანაპირო, ისე მთაგორიანი ადგილების მოსახლეობაში ეთნოპოლიტიკური თვალსაზრისით წამყვანია ქართველური, უმთავრესად დასავლურ-ქართული (მეგრულ-ჭანური, სვანური) წარმომავლობის ტომები. სავარაუდოა, მესხური ეთნიკური ჯგუფების არსებობაც. ამ მოსახლეობის მეზობლად, მათ დასავლეთით, წყაროებით დასტურდება ადიღეური (ჩერქეზული) ტომების განსახლებაც. აღებულ ხანაში დასავლეთ-ქართველი ტომები გვევლინებიან კოლხური კულტურის ტრადიციების გამგრძელებლებად, ამავე დროს შეინიშნება კულტურული კონტაქტი აღმოსავლურ ქართულ სამყაროსთან*.

41 იხ. ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954, გვ. 23, 32, 34, 53. აქ შეიძლებოდა სხვა მასალის მოტანაც, მაგრამ მისი ხასიათი ზემოხსენებულს წააგავს.

* გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში.

მერაბ ვაჩნაშვილი

კლასობრივი ბრძოლის საკითხი „ადრეკლასობრივი" და ფეოდალური ხანის საქართველოში*

ცნობილია, რომ კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება აღმოჩენილ იქნა რესტავრაციის პერიოდის ფრანგი ისტორიკოსების (ფ. გიზო, ო. ტიერი, ფ. მინიე, ა. ტიერი) მიერ. საფრანგეთისა და ინგლისის ისტორიის ფეოდალურ და ახალი ხანის პერიოდებზე დაკვირვებამ ისინი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ქვეყნებისა და დასავლეთ ევროპის სხვა მოწინავე ქვეყნების ისტორია ფეოდალიზმის განვითარების მეორე პერიოდიდან მოყოლებული იყო მესამე წოდების ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ბრძოლა, რომელიც ასევე კანონზომიერად დასრულდა ბურჟუაზიული რევოლუციებით. ყველა ამ ქვეყანაში სახეზე იყო საერთო მომენტები: ეკონომიკური და სოციალური განვითარების (სოციალური სტრუქტურების აზრით) გათანაბრებული დონე — ხელოსნობის გამოყოფა სოფლის მეურნეობისაგან ქალაქების მასშტაბებით, მეურნეობის ამ დარგებისაგან ვაჭრობის გამოყოფა, მესამე წოდების ჩამოყალიბება, იმდროინდელი საზომებით დიდი და ძლიერი ეროვნული ორგანიზმების არსებობა, გარედან (სხვა საზოგადოებათაგან) საფრთხის არარსებობა ან უმნიშვნელობა, მით უმეტეს დაუპყრობლობა. სწორედ ასეთი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წანამძღვრების ერთობლიობა იქცა საფუძვლად შუა საუკუნეების ევროპის დასავლეთევროპულ საზოგადოებათა ისტორიაში კლასობრივი ბრძოლის ფართო გაშლისა, რომლის კულმინაციასაც წარმოადგენდნენ ბურჟუაზიული რევოლუციები.

ისევე ცნობილია, რომ მოწინავე ბურჟუაზიული აზრის აღნიშნული მიღწევა, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების აღმოჩენა თავის მხრივ იქცა საზოგადოების შესახებ ზოგადი მეცნიერების — ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთ მთავარ ელემენტად. ბურჟუაზიული მეცნიერების ამ დამსახურებას სავსებით ნათლად აღნიშნავდა კ. მარქსი, რომელიც 1852 წელს წერდა: „...რაც შეეხება მე, მე არ მეკუთვნის არც თანამედროვე საზოგადოებაში კლასების არსებობისა და არც მათ შორის ბრძოლის აღმოჩენის დამსახურება. ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა დიდი ხნით ჩემზე ადრე გადმოსცეს კლასთა ამ ბრძოლის ისტორიული განვითარება, ხოლო ბურჟუაზიულმა ეკონომისტებმა — კლასების ეკონომიკური ანატომია"[1]. მარქსი აქვე დასძენდა, რომ ერთ-ერთი სიახლე, რაც მან შეიტანა აღნიშნული საკითხის გაგებაში, გახლდათ ის, რომ კლასების არსებობა დაკავშირებულია წარმოების განვითარების მხოლოდ გარკვეულ ისტორიულ ფაზებთან[2]. ამდენად, კ. მარქსმა კი-

* მოხსენდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებას 1984 წლის 27 ნოემბერს და ამავე ინსტიტუტის შუა საუკუნეების განყოფილებას 1985 წლის 10 მარტს.

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 655.

[2] იქვე.

ჯევ უფრო გააფართოვა ისტორიაში კლასობრივი სტრუქტურების არსებობის ჩარჩოები, შესაბამისად — კლასობრივი ბრძოლის არსებობის მიჯნები. ცხადია, სოციალურად სტრატიფიცირებულ საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური რანგისა და წოდების არსებობა კარგა ხნის გაცნობიერებული იყო (კერძოდ, ასე იყო ფეოდალურ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ასევე ძალზე კარგად გააცნობიერა ეს გარემოება ჩვენი ისტორიის უცხო, ბერძენმა დამკვირვებელმა — სტრაბონმა), მაგრამ ის, რაც ამ მხრივ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გააკეთეს მთლიანად სიახლეს წარმოადგენდა სოციალური შემეცნების განვითარებაში. სოციალური რანგებისა და წოდებების ნაცვლად მათ შემოიტანეს „სოციალური კლასის“ ცნება.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, როგორც ვიცით, აღნიშნავდნენ, რომ დღემდე არსებული ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორია იყო. მოგვიანებით, ლ. მორგანის მიერ გვაროვნული ორგანიზაციის აღმოჩენის შემდეგ, ფ. ენგელსმა დააზუსტა „მანიფესტის“ ეს დებულება და კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების მოქმედების სფეროდან გამორიცხა არქაული კომუნისტური საზოგადოების ისტორია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმის კლასიკოსებს არა ერთი აზრი გამოუთქვამთ აღნიშნულ საკითხზე, მაინც აღვნიშნავთ, რომ კლასთა ბრძოლის ზოგადი სურათი კაცობრიობის ისტორიაში ჩვენში არაა სათანადოდ წარმოდგენილი. კლასთა ბრძოლის ის ხასიათი, რაც ამ მოვლენას ჰქონდა დასავლეთ ევროპაში განვითარებული ფეოდალიზმის ხანიდან მოყოლებული, ე. ი. ის, რომ მას (ბრძოლას) აშკარად გამოკვეთილი ხასიათი ჰქონდა და წარმოადგენდა სოციალური პროგრესის საფუძველს, გადააქვთ ხოლმე ასეთივე სახით ისტორიის წინამავალ საფეხურებზე. ასე მაგალითად, საკუთრივ ანტიკური საზოგადოების ისტორიის მიმართ აღნიშნავენ ხოლმე მონებისა და მონათმფლობელების ბრძოლას, როგორც ძირითად მოვლენას ამ ისტორიაში, ამ ბრძოლის დიდ რევოლუციურ როლს ფეოდალიზმზე გადასვლაში.

ამ თვალსაზრისის საპირისპიროდ კ. მარქსი ფ. ენგელსისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „რამდენიმე ხნის წინათ მე ისევ გავიარე რომის (ძველი) ისტორია ავგუსტოსის ეპოქამდის. შინაგანი ისტორია შეიძლება plainly (მთლიანად) დაიყვანო წვრილი მიწათმფლობელობის ბრძოლაზე მსხვილთან, რა თქმა უნდა, იმ მოდიფიკაციების შეტანით, რომლებიც დაპირობებულია მონობის არსებობით“[3]. შესავალში წიგნისა „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“ იგი წერდა: „ძველ რომში კლასობრივი ბრძოლა წარმოებდა მხოლოდ პრივილეგიური უმცირესობის შიგნით, თავისუფალ მდიდრებსა და თავისუფალ ღარიბებს შორის, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი მწარმოებელი მასა, მონები, მებრძოლთათვის მხოლოდ პასიურ კვარცხლბეკს შეადგენდა“[4]. „კაპიტალში“ ვკითხულობთ: „კლასობრივი ბრძოლა ანტიკურ ქვეყანაში, მაგალითად, წარმოებს უმთავრესად მევალესა და მოვალეს შორის ბრძოლის ფორმით და რომში ეს ბრძოლა თავდება მოვალე-პლებეის დაღუპვით, რომლის ადგილსაც მონა იკავებს“[5]. მარქსის ეს აზრები ეხება ანტიკურ იტალიას, სადაც ადგილი ჰქონდა მონათა სამ მნიშვნელოვან გამოსვლას. მით უფრო მიიჩნევდა იგი მეორეხარისხოვნად მონათა ბრძოლას მონათმფლობელების წი-

---

[3] მარქსი და ენგელსი ანტიკურობის შესახებ, 1937, გვ. 236.

[4] კ. მარქსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, 1954, გვ. 5.

[5] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1955, გვ. 174.

ნაამდეგ საბერძნეთში, სადაც არ ყოფილა არც ერთი მონათა რამდენადმე მნიშვნელოვანი აჯანყება. ფ. ენგელსი ასევე მეორეხარისხოვნად მიიჩნევდა მონათა ბრძოლის მნიშვნელობას ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდში. მაგრამ მიუხედავად მარქსიზმის კლასიკოსების ასეთი ნათელი გამონათქვამებისა, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, როგორც ვთქვით, გაბატონებულია საპირისპირო თვალსაზრისი. ავტორიტეტებს რომ თავი დავანებოთ და საქმის ვითარებას უშუალოდ ისტორიული სინამდვილის თვალით შევხედოთ, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი თვალსაზრისი კრიტიკას ვერ უძლებს.

ახლა ავიღოთ აღმოსავლეთის ისტორია. ჩვენში ფართოდ გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ ფ. ენგელსი მაჰმადიანურ სამყაროში წარმოებული სოციალური ბრძოლის შესახებ აღნიშნავდა, რომ ამ ბრძოლას საზოგადოება სულაც ვერ მიჰყავდა წინ, რომ გამარჯვების შემთხვევაშიც კი ეკონომიკური პირობები უცვლელი რჩებოდა[6].

ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მიმართ მარქსისტულმა ისტორიოგრაფიამ კიდევ უფრო გაალრმავა კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერების იდეა. სათანადოდ იქნა ნაჩვენები ფეოდალიზმის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლის მეორე ნაკადიც — ყმა-გლეხობის ბრძოლა ფეოდალების წინააღმდეგ, ხოლო ადრეფეოდალურ პერიოდში — თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გაბატონებული კლასის წინააღმდეგ საადგილმამულო და პირადი თავისუფლების დასაცავად. კიდევ მეტი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში სოციალური ბრძოლის ეს მეორე ნაკადი უმთავრესად ითვლება. მაგრამ კ. მარქსთან, ფ. ენგელსთან, ასევე გ. პლეხანოვთან, კ. კაუცკისთან და სხვებთან უმთავრესად ითვლებოდა მესამე წოდების ბრძოლა თავადაზნაურობის წინააღმდეგ[7], სწორედ ის ითვლებოდა მამოძრავებელ ფაქტორად ისტორიის აღმავალ განვითარებაში. სწორედ ამ ფაქტორის გარეშე მოხდა, რომ გლეხთა გრანდიოზულმა გამოსვლებმა ჩინეთში თვალსაჩინო დაღი ვერ დააჩნიეს ქვეყნის ისტორიულ პროცესს.

ყველაფერ ამაზე ჩვენ იმიტომ შევჩერდით, რომ გვინდოდა გვეჩვენებინა კლასობრივი ბრძოლის პრობლემის მთელი რიგი ასპექტების დაუმუშავებლობა მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში. გვინდა სპეციალურად შევეხოთ ერთ-ერთ ასპექტს, რასაც თავისთავადი მნიშვნელობის გარდა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიისათვის.

საკუთრივ ევროპის კონტინენტზე ვხვდებით რიგ შემთხვევებს (ირლანდია, პოლონეთი, მონღოლთა უღლის პერიოდის რუსეთი, თურქეთის ბატონობაში მყოფი სლავი ხალხები, რუმინელები, ბერძნები და სხვ.), როდესაც შესაბამისი ქვეყნის ისტორიის მსვლელობა გართულებული იყო ხოლმე საგარეო მომენტით — სერიოზული საფრთხით სხვა, უფრო ჩამორჩენილი, მტრული საზოგადოებების მხრივ, მით უფრო — დაპყრობის შემთხვევებში. პირველთა ისტორიული პროცესი კიდევ უფრო რთულდებოდა ეროვნული ორგანიზმის მცირე ზომების შემთხვევებში, სუსტი ეკონომიკური და სოციალური ინტეგრირებისას, მოსახლეობის ეთნიკური და კონფესიური შემადგენლობის სიჭრელისას ასეთ პირობებში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად მოდიფიცირდებოდა, სახესხვაობდა.

---

6 К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 22, с. 468.

7 ბ. პორშნევის მიხედვით, გ. პლეხანოვის, კ. კაუცკის და სხვათა ასეთი შეხედულება წვრილბურჟუაზიულია, იხ. მ ი ს ი, «Феодализм и народные массы», М., 1964.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ფ. ენგელსმა, რომელიც 1875 წელს წერდა: „მანამ, სანამ სიცოცხლისუნარიანი ხალხი შებორკილია უცხოელი დამპყრობლის მიერ, იგი აუცილებლობით მიმართავს მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მისწრაფებებს, მთელ თავის ენერგიას საგარეო მტრის წინააღმდეგ; და მანამ სანამ მისი საშინაო ცხოვრება რჩება ამგვარად პარალიზებული, მას არ შეუძლია იბრძოლოს სოციალური განთავისუფლებისათვის. ირლანდია, რუსეთი მონღოლთა უღლის ქვეშ და ა. შ. იძლევიან ამ დებულების ნათელ დადასტურებას“[8]. ფ. ენგელსი ამას წერდა პოლონეთის სიტუაციასთან დაკავშირებით 1772 წლის პირველი დაყოფიდან მოყოლებული[9]. მონღოლთა ბატონობის პერიოდის რუსეთის ისტორიის მიმართ ფ. ენგელსის ეს აზრი სისტემატური სახით იქნა გატარებული გ. პლეხანოვის მიერ თავის ნაშრომში „История русской общественной мысли“ (იხ. განსაკუთრებით შესავალი). XIX ს-ის 50—60-იანი წლების ვითარების მიმართ ვ. ლენინი აღნიშნავდა: „რევოლუციური იყო სწორედ პოლონეთი მთლიანად, არა მარტო გლეხობა, არამედ თავადაზნაურობის მასაც“[10]. ამრიგად, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი და გ. პლეხანოვი სავსებით ნათლად მიუთითებდნენ გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში მთელი ერის შეკავშირების შესაძლებლობასა და ფაქტს.

უახლეს საბჭოურ აზროვნებაში აღნიშნული მოსაზრება თანდათანობით გზას იკვლევს. 1967 წელს გამოსულ მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ: „კოლონიური ბატონობის პერიოდში თითქმის ყველა კლასი და სოციალური ფენა განიცდის კოლონიზატორთა მხრივ ჩაგვრას და ამიტომ ამა თუ იმ ზომით მონაწილეობს განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნის მხარდასაჭერად ერთიანობის მხარდამხარ გამოდიან ქალაქისა და სოფლის პროლეტარები, გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ხოლო ზოგჯერ პატრიოტულად განწყობილი თავადაზნაურობაც“[11]. ეს, როგორც ვხედავთ, აღნიშნულია თანამედროვე მესამე სამყაროს მიმართ. კლასობრივი ფორმაციების მიმართ საერთოდ ეს გარემოება აღნიშნული აქვს საბჭოთა ფილოსოფოსს ა. მაკაროვსკის[12]. ამასვე აღიარებს საბჭოთა (ყაზახი) ფილოსოფოსი ნ. ჯანდილდინი. იგივე ავტორი სწორად შენიშნავს, რომ როდესაც ეროვნული გრძნობა გამოხატავს ამა თუ იმ ერის შემდგენელი წევრების დამოკიდებულებას (მიმართებას) თავიანთი მონური დამცირებული მდგომარეობისადმი და მათს პატრიოტულ მისწრაფებას ჩამოიშორონ უცხოური უღელი, მოიპოვონ თავისუფლება (ეროვნულ) და თანასწორობას, მაშინ იგი (ეს გრძნობა) ვლინდება ხოლმე როგორც ერთიანი, ზოგადეროვნული[13]. ისტორიაში, კერძოდ საფრანგეთის ეროვნულ ომებში 1792—99 წლებში, ისევე თანამედროვე მესამე სამყაროში, ერის უდიდესი ნაწილის გაერთიანებას საერთო მიზნით აღიარებს ი. ბრომლეი[14]. იგივეა აღნიშნული კომუნისტების საერთაშორისო ჟურნალში „Проблемы мира и социализма“[15].

---

[8] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 18, с. 555.

[9] იხ. აგრეთვე. მისი, წერილი კ. კაუცკისადმი, 1882 წლის 7 თებერვლისა. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 35, с. 220—221.

[10] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 569—70.

[11] Основы научного коммунизма, М., 1967, с. 186.

[12] А. А. Макаровский, Общественный прогресс, М., 1970, с. 177.

[13] Джандильдин, Природа национальной психологии, Алма-Ата, 1971, с. 222.

[14] Ю. В. Бромлей, Этнос и этнография, М., 1973, с. 109.

[15] იხ. 1981, № 9, გვ. 76. ეს აღნიშნა სუდანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მაჰ-

საქართველოს ისტორიაც ზემოაღნიშნულის ბრწყინვალე ილუსტრაციაა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ასეთი სიტუაციები ჩვენი ისტორიის მანძილზე ძალზე ხშირი იყო, შესაბამისად, ჩვენში კლასთა ბრძოლა უფრო დიდი ხნის განმავლობაში ინაცვლებდა უკანა პლანზე. და ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ აზროვნებას; მასზე მიუთითებდნენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ნათაძე, ს. დანელია, ნაწილობრივ, არათანმიმდევრულად ნ. ბერძენიშვილი[16]. კერძოდ, სოლომონ II-ის მეთაურობით იმერეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შესახებ ეს უკანასკნელი წერდა, რომ ეს ბრძოლა პროგრესული იყო[17]. აღნიშნულ მოძრაობას ნ. ბერძენიშვილი აფასებდა როგორც ქართველი ხალხის დიად ბრძოლას. იგი სავსებით სწორად შენიშნავდა: „თითოეულ კლასს ამ აჯანყებაში თავისი ინტერესი ჰქონდა და სწორედ ამ ინტერესთა რეალიზაციისათვის ყველა ეს კლასები შეთანხმებულიყვნენ („сходятся") „на известных, определённых общих задачах" (ვ. ი. ლენინის სიტყვებია). ეს „общие задачи" იმერეთის აჯანყებაში „ქართველობის" აღდგენა ანუ „სამშობლოს განთავისუფლება იყო"[18]; „ამ აჯანყების მთავარი ლოზუნგიც თავიდანვე იყო და ბოლომდის დარჩა სამშობლოს განთავისუფლება"[19]. ნ. ბერძენიშვილის რეცენზიაში ა. კიკვიძის წიგნზე ვკითხულობთ: „საქართველოში, მისი გრძელი ისტორიის მანძილზე, არა ერთი აჯანყება მომხდარა, როცა თავადაზნაური და გლეხი, მთა და ბარი, ერი და ბერი დამპყრობელის წინააღმდეგ ერთად ამდგარა. კლასობრივი წინააღმდეგობანი აჯანყებულთა დასებს შორის, რა თქმა უნდა, ამ დროსაც რჩებოდა, მაგრამ წინა პლანზე განმსაზღვრელ მომენტად დამპყრობელის წინააღმდეგ ბრძოლა დგებოდა, რომელიც მოწინააღმდეგე კლასებს დროებით აერთიანებდა იმდენად, რამდენადაც დამპყრობელი შეტანიკლებად ქართველი საზოგადოების ყოველ კლასს ემტერებოდა"[20]. ამავე 1949 წელს დაწერილ ნაშრომში „საქართველო XIX საუკუნის პირველ მეოთხედში" ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „მოხდებოდა ხოლმე, რომ ეს ურთიერთის მოწინააღმდეგე კლასები ამა თუ იმ მომენტში საერთო პროტესტით გამოდიოდნენ და ასეთ შემთხვევებში საზოგადოებრივი მოძრაობაც საერთო, სახალხო მოძრაობის იერს იღებდა"[21].

კიდევ მეტი. ისტორიამ იცის საკმაოდ ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორ აკავშირებდა ძლიერი საგარეო საფრთხე ხალხებსაც კი. მაგალითად, პოლონეთის ისტორიიდან ცნობილია პოლონელებისა და ლიტველების გაერთიანება გერმანელებისა და თურქების აგრესიის წინააღმდეგ, პოლონეთის, ავსტრიის იმპერიის, ვენეციისა და რუსეთისა — თურქეთის იმპერიის აგრესიის.

თული პარტია) საანგარიშო მოხსენებაში VI ყრილობისადმი, 1962 წელს. იხ. Р. Б а р н с. Общественные классы в Черной Африке, М., 1966, с. 26.

16 როგორც ზოგად, თეორიულ პლანში, ისე კონკრეტულად საქართველოს ისტორიის მიმართ იხ. თეზისები ჩვენი მოხსენებისა «К проблеме модификации закономерности классовой борьбы» კრებულში «Актуальные проблемы детерминизма», Тбилиси, 1980.

17 იხ. ავტორის რეცენზია ნ. მახარაძის წიგნზე „Восстание в Имерети". ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 290.

18 იხ. ავტორის რეცენზია ნ. მახარაძის წიგნზე „Восстание в Имерети". ენიმკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 294.

19 იქვე, გვ. 292.

20 ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 472.

21 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965, გვ. 430.

ალსაკვეთად. XII ს-ის დასაწყისში კიევის რუსეთი და მისი გუშინდელი მტრები — ყივჩაღები გაერთიანდნენ მონღოლთა წინააღმდეგ. საქართველოს წარსული ისტორიიდან ცნობილია ქართველთა, სომეხთა და ალბანელთა გაერთიანება პონტოს სამეფოს მეთაურობით რომის ექსპანსიის წინააღმდეგ. ცნობილი ფაქტი გახლავთ, აგრეთვე, ჩვენი წინაპრების სწრაფვა ვენეციასთან, რომის პაპთან, უნგრეთთან, პოლონეთთან და ა. შ. თურქეთის აგრესიის მოსაგერიებლად. უახლესი ისტორიის ფაქტებიდან მივუთითებთ საბჭოთა კავშირის, აშშ-ისა და ინგლისის ერთობლივ გამოსვლას ფაშისტური გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ, გომინდანისა და ჩინეთის კომპარტიის გაერთიანებას იაპონიის მიერ ჩინეთის ოკუპაციის პირობებში. მაგრამ ასეთი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

აქ კითხვა ისმის: როგორია თანაფარდობა ეროვნული და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას აღნიშნულ სიტუაციებში? დგება ისინი თანაბრად, თუ სოციალური საკითხი მაინც წინა პლანზე იწევს. ამ კითხვაზედაც დამაჯერებელ პასუხს ვპოულობთ ფ. ენგელსთან. მისი შეხედულებით, „ეროვნული ჩაგვრის მოშორება ძირითადი პირობაა ყოველი ჯანსაღი და თავისუფალი განვითარებისათვის"[32]; „მანამ სანამ არ არის მიღწეული ეროვნული დამოუკიდებლობა, დიდ ხალხს ისტორიულად არ შეუძლია განიხილოს რამდენადმე სერიოზულად რაიმე საშინაო საკითხები"[33]. სხვაგან ენგელსი ამ აზრს ასე გამოსთქვამდა: „...მხოლოდ მას შემდეგ რაც პოლონეთი ხელახლა მიაღწევს თავის დამოუკიდებლობას, მხოლოდ მაშინ, როცა იგი ხელახლა იქნება განმკარგულებელი თავისი ბედ-იღბალისა როგორც დამოუკიდებელი ერი, — მხოლოდ მაშინ ხელახლა დაიწყება შინაგანი განვითარების პროცესი"[34].

1921 წელს ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ მსოფლიო რევოლუციის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის (გულისხმობდა კოლონიებსა და ნახევარკოლონიებს) მოძრაობა წარიმართება ჯერ ეროვნული განთავისუფლებისათვის, ხოლო შემდეგ — კაპიტალიზმის წინააღმდეგ[35].

ფ. ენგელსისა და ვ. ლენინის ავტორიტეტების გარეშეც ნათელი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ეთნოსის, ერის დაპყრობილობის შემთხვევაში ამ უკანასკნელის მთელი ენერგია უნდა წარიმართოს უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, რომ სოციალური საკითხი ამჟამად უკანა პლანზე უნდა გადადიოდეს და გადადის კიდეც. ეს უკანასკნელი დგება მხოლოდ ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ენგელსს მოჰყონდა იტალიის, გერმანიისა და უნგრეთის მაგალითები და უჩვენებდა, რომ გასული საუკუნის 60-იან, 70-იან წლებამდე, სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლა ამ ქვეყნებში ძალზე ნელა მიდიოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის არარსებობის, ამით ეროვნული თავისუფლების უქონლობის მიზეზით, რომ მხოლოდ ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ სოციალური განთავისუფლების საქმე აქ წინ წავიდა[36]. შემდგომში, 1893 წელს, აღნიშნული

---

[32] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 35, с. 221.
[33] იქვე, გვ. 230; აგრეთვე, ტ. 22, გვ. 220.
[34] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 18, с. 555.
[35] ვ. ლენინი, თხზულებანი, ტ. 6, გვ. 569—70.
[36] К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, т. 35, с. 220.

აზრი ფ. ენგელსის მიერ ასე იქნა განვითარებული: „თუ არ იქნა აღდგენილი ყოველი ცალკეული ერის დამოუკიდებლობა და ერთიანობა, ისე არც პროლეტარიატის საერთაშორისო გაერთიანებაა შესაძლებელი და არც ამ ერების მშვიდობიანი და შეგნებული თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად. აბა წარმოიდგინეთ იტალიელი, უნგრელი, გერმანელი, პოლონელი, რუსი მუშების რაიმე ერთობლივი საერთაშორისო მოქმედება ისეთ პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც 1848 წლამდე იყო გაბატონებული“[27].

ამით შევწყვეტთ საკითხის მეთოდოლოგიური ასპექტის წარმოჩენაზე საუბარს. როცა საქართველოს ისტორიულ პროცესში შესაბამის თემას ავითარებდნენ და ავითარებენ, საკითხს ჩვეულებრივად სხვაგვარი მეთოდოლოგიური პოზიციიდან უყურებენ ხოლმე, არ ითვალისწინებენ ჩვენი ისტორიის სპეციფიკას, რითაც იგი საფრანგეთის, ინგლისის და სხვა დასავლეთევროპული ქვეყნების ანალოგიური ისტორიული ეპოქებისაგან განსხვავდებოდა. გარკვეულ ვითარებაში, როგორც უკვე აღვნიშნავდით, კლასობრივად სტრატიფიცირებულ (დაშრევებულ) საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლა სულაც არ იყო პროპორციული ამ კლასობრივი დაშრევებისა, იგი უკანა პლანზე გადადიოდა ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და მოპოვებისათვის ბრძოლასთან შედარებით. საგარეო მომენტი იწვევდა პოტენციურად მებრძოლი მხარეების გაერთიანებას, მათი ინტერესების თანხვედრას. ამდენად, იქმნებოდა საფუძველი დაპირისპირებულთა გაერთიანებისათვის. აღნიშნული გარემოება აბსოლუტურად არ გამორიცხავდა იმ აზრის ჭეშმარიტებას, რომ სოციალური პროგრესის უმთავრესი წყარო კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლა. ასეთ სიტუაციებში სოციალური პროგრესი ფერხდება; ეთნოსის, ერის მთელი ენერგია ხმარდება თვით ეთნიკური, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, შემდგომი სოციალური განვითარების საქმე მისთვის ხელმეტფუფუნება ხდება. და რაც უფრო დიდ ხანს აქვს ადგილი აღნიშნულ გარემოებას, მით უფრო დიდ ხანს ხდება დაპყრობილი ეთნოსის განვითარების შეფერხება. ზემოაღნიშნულის გასაგებად საქართველოს ისტორია კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

ახლა უფრო კარგად შევჩერდებით საკითხის ისტორიოგრაფიაზე თვით ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აზრი ქართული საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის შესახებ ჩვენს ისტორიოგრაფიას დიდი ხანია რაც გაუჩნდა. მაგალითად, ლეონტი მროველის მიხედვით ქართული საზოგადოება სოციალურად დაშრევებული იყო არა მხოლოდ მაგალითად X—XI საუკუნეებში, არამედ — თვით ფარნავაზის დროსაც და მანამდეც. მანამდე, ისტორიკოსის აზრით, ქართული მოსახლეობა იყოფოდა ორ ფენად: მაღალ (მამასახლისთა) და დაბალ (ხალხის მასები) ფენებად. ფარნავაზის გამეფების შემდეგ, ლეონტის მიხედვით, ეს პროცესი კიდევ უფრო გაღრმავებულა თითქოსდა აზნაურთა ფართო ფენის წარმოქმნით. ზემოაღნიშნული გარემოება შესანიშნავად იცოდა ვახუშტი ბატონიშვილმა, ასევე შესანიშნავად არის ასახული ვახტანგ VI-ის კანონმდებლობაში. და ეს არცაა გასაკვირი; რამდენადაც ქართული საზოგადოება დაშრევებული იყო დიდი ხნის მანძილზე თვით სინამდვილეში, ეს ფაქ-

---

[27] კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, 1974, გვ. XXXIII.

ტი კარგად აისახა რიგით, ყოველდღიურ ცნობიერებაში და მით უმეტეს იდეოლოგიაში — ამ შემთხვევაში მეცნიერებაში და სამართლებრივ ცნობიერებაში. მაგრამ იმ აზრიდან, რომ ჩვენი საზოგადოება დაყოფილი იყო ცალკეულ ფენებად, ინდივიდები განეკუთვნებოდნენ სხვადასხვა სოციალურ რანგს, ჰქონდათ შესაბამისად განსაზღვრული პრივილეგიები და ვალდებულებანი, იმ აზრამდე, რაც კლასების შესახებ შეიმუშავეს ინგლისელმა პოლიტეკონომისტებმა და ფრანგმა ისტორიკოსებმა, რასაკვირველია, ძალზე შორს იყო. მით უფრო ითქმის ეს კლასობრივი ბრძოლის იდეის შესახებ ისტორიულ მატერიალიზმამდე.

ევროპული სოციალური მეცნიერების ეს იდეა კლასებისა და კლასთა ბრძოლის არსებობის შესახებ ქართულმა აზროვნებამ შეითვისა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული. მოწინავე ქართულ აზროვნებას ამ პერიოდში დიდ სტიმულს აძლევდა ბრძოლა ბატონყმობის ინსტიტუტის წინააღმდეგ, ინსტიტუტისა, რომელსაც იცავდნენ თავადაზნაურობის იდეოლოგები. კერძოდ, ქართველ თავადაზნაურებსა და ყმა გლეხებს შორის იდილიური, პატრიარქალური ურთიერთობის შესახებ მიუთითებდა ალ. ორბელიანი თავის ცნობილ სტატიაში „უწინდელი დროის ბატონყმობა საქართველოში" (იხ. „ცისკარი", 1859, № 11). ქართული პოეტური სიტყვით ეს აზრი გამოხატა ვ. ორბელიანმა:

„უკვირს მოხუცსა თვალს გლეხნი-ყმანი,
წისთვის ის ყმანი არიან ძმანი,
მათთან ნადიმი და მათთან ლხენა,
მათ სიებარი უმზაკვრო ენა.
ყმას სწავს პატრონი, არა ბატონი:
ერთად არიან ყმა და პატრონი!"[28].

ამათგან განსხვავებით, ახალი, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები კარგად ხედავდნენ ქართველი თავადაზნაურობისა და ყმა-გლეხობის ურთიერთობების ანტაგონისტურ ხასიათს[29]. 1864 წელს დიმ. ფურცელაძემ გაზეთ „Кавказ"-ის რამდენიმე ნომერში დაბეჭდა სტატია „О крепостном состоянии в Грузии". მანვე 80-იანი წლების დასაწყისში გამოსცა ქართული სახელ-ოდეკრები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს შეეხებოდნენ. რ. ერისთავმა 1874 წელს დაბეჭდა ორი სტატია: „О крестьянском сословии в Мингрелии" და „О привилегированных сословиях в Мингрелии". 1872 წელს გ. კანდელაკმა გამოაქვეყნა ნაშრომი „Крепостное право в Грузии в начале настоящего столетия"[30]. ნაშრომის ცალკე თავში „Состав крепостного сословия" ავტორი განიხილავდა კლასობრივი ბრძოლის ფორმებს; აყრა-გაქცევას (გლეხებისას), მებატონეთა მკვლელობებს. სამაგიეროდ იგი ვერ ხედავდა გლეხობის ჯგუფურ გამოსვლებს XVI—XVIII სს. საქართველოში; მიზეზად იგი ასახელებდა გლეხობის დაყოფას სხვადასხვა კატეგორიებად.

«Эта раздельность крестьян на сословия парализовала их силы и делала их неспособными на дружное отстаивание своих прав и приви-

---

[28] იხ. გ. ქიქოძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, XIX ს-ნე, 1947.

[29] ამ საკითხის შესახებ გ. ჯამბურიას აქვს საინტერესო სტატია „ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში", იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963.

[30] იხ. კრებული „Сборник сведений о Кавказе", т. II, Тифлис, 1872.

легий, облегчая вместе с тем помещикам возможность угнетать и эксплуатировать их посредством возбуждения антагонизма между ними и употребления одних орудием против других»[31] — წერდა გ. კალანტაროვი.

იმავე საკითხს შეეხნენ ნ. ხიზანაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ალ. სარაჯიშვილი, ს. ავალიანი და სხვ.

საქართველოში წოდებათა შორის ბრძოლის საკითხი არ გამორჩენია ივ. ჯავახიშვილს. მან ეს პრობლემა დააყენა ჯერ კიდევ 1902 წელს თავის ლექციაში საქართველოსა და სომხეთის ისტორიის შესახებ, უფრო ვრცლად შემდეგ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" (იხ. წ. I, 1907 წ.). 1906 წელს ჯავახიშვილმა პეტერბურგში გამოსცა თავისი ბროშურა „Политическое и социальное движение в Грузии в XIX в." მთავარი იმპულსი ამ ნაშრომის დაწერისათვის ავტორს მისცა გურიის გლეხობის მძლავრმა გამოსვლებმა XX ს-ის დასაწყისში. ჯავახიშვილმა აჩვენა, რომ გლეხთა პოლიტიკური აქტივობა და ორგანიზებულობა საქართველოში შემთხვევითი მოვლენა კი არაა, არამედ — სავსებით კანონზომიერი და თავისი ძირებით მიდის უფრო ღრმად, წინა საუკუნეებში[32]. მაგრამ ბროშურაში ავტორი მხოლოდ XVIII ს-ის (ისიც მხოლოდ ქართლისა და კახეთის) ფაქტებით იფარგლებოდა. ნაშრომში სავსებით სწორად არის მითითებული, რომ გლეხობის მღელვარებანი ვერ ღებულობდნენ ნორმალურ მსვლელობას და ამის მთავარი მიზეზი იყო საგარეო პოლიტიკური პირობები, მდგრადი საფრთხე გარეშე მტერთაგან[33]. იგი დაასკვნიდა:

«Но, конечно, в XVIII веке, когда для защиты от вражеских нашествий приходилось искать протекторат России, было грузинам не до социальных реформ»[34].

„ქართველი ერის ისტორიის" პირველ წიგნშიც აღნიშნულია გლეხთა მოძრაობის გააქტიურება XVIII ს-ში. განზოგადებული სახით ივანე ჯავახიშვილი დაასკვნიდა, რომ სწორედ წოდებათა შორის ბრძოლა იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს წარსულის უამრავი მოვლენისა[35].

აი, ასეთი იყო მოკლედ ის მეცნიერული მემკვიდრეობა, რაც ქართველმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ წინამავალი ისტორიოგრაფიიდან მიიღო კლასებისა და კლასთა ბრძოლის საკითხის დამუშავების საქმეში.

თავისი არსებობის მანძილზე ქართველმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ აღნიშნული საკითხის შესწავლა კიდევ უფრო გააღრმავა. მან მოიძია ყველა ფაქტი, რაც აისახა ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში. ამის შედეგად ქართველი ისტორიკოსების მიერ შექმნილია მთელი რიგი შრომები. ამ შრო-

---

[31] იხ. კრებული «Сборник сведений о Кавказе», т. II, с. 220.

[32] აღნიშნულ შრომებში ქართველი გლეხობის გამოსვლები XIX საუკუნის მთელს სიგრძეზე ავტორის განხილული ჰქონდა მხოლოდ ბრძოლად სოციალური განთავისუფლებისათვის. მაგრამ სინამდვილეში, უმეტეს შემთხვევაში ეს გამოსვლები უპირველესად ეროვნულ განთავისუფლებას ისახავდნენ მიზნად. ამის აღიარებაში ჯავახიშვილს ხელი შეუშალა ალბათ საცენზურო მოსაზრებებმა.

[33] И. Джавахов, Политическое и социальное движение в Грузии в XIX в., с. 6.

[34] იქვე.

[35] ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1960, გვ. 396.

მების შინაარსის გადმოცემა, ასევე კლასთა ბრძოლის ფაქტების აღნუსხვა და კომენტირება ჩვენ შორს წაგვიყვანდა. ასე რომ, თუ ნ. ბერძენიშვილი 1952 წელს აღნიშნავდა, რომ დღემდე ან სულ შეუსწავლელია ან საკმაოდ შესწავლილი არაა კლასთა ბრძოლის საკითხები რევოლუციამდელ საქართველოში (ანტიკურ, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ პერიოდებში)[36], ახლა ამის თქმა აღარ შეიძლება. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში იყო ცალკეული ცდები კლასთა ბრძოლის დანახვისა წინაფეოდალურ საქართველოში. ს. ჯანაშიას მიხედვით, ამ პერიოდის საქართველოში ადგილი ჰქონდა ბრძოლას როგორც მონებსა და მონათმფლობელებს შორის (ანიკეტეს აჯანყება, ნაწილობრივ V—VI საუკუნეებში), ისე თავისუფალ მეთემე გლეხობასა და წარჩინებულთა შორის[37]. მისი აზრით, VI ს-ის დასაწყისში ბრძოლა ამ უკანასკნელ სოციალურ ძალებს შორის (ვახტანგ გორგასალი თითქოს ეყრდნობოდა მეთემე გლეხობას) დამთავრდა „ფეოდალური რევოლუციით“ და ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამყარებით.

ამ ხანის საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ფაქტებს შეეხო ნ. ბერძენიშვილი თავის უკვე მოხსენიებულ წერილში — „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში“. მაგრამ ავტორი გარკვევით არ მიუთითებს თუ რომელ კლასებს შორის ხდებოდა ბრძოლა ამ დროს (ამ საკითხზე დაწვრილებით შემდეგ შევჩერდებით).

ჩვენ აქ გვაინტერესებს ის, თუ როგორ ხსნიან ქართველი ისტორიკოსები ჩვენში გლეხთა დიდი აჯანყებების არარსებობას, ხედავენ თუ არა იმ დიდ სპეციფიკურობას, რაც საქართველოს ისტორიას ევროპის ქვეყნების ისტორიასთან შედარებით ჰქონდა. თუ ქართულ აზროვნებაში ეს მომენტი უწინ შემჩნეული იყო (ი. ჯავახიშვილის, გ. ნათაძის, ს. დანელიას მიერ), შემდეგში მასზე ყურადღება შენელდა. მსგავსი გამონათქვამები უახლეს ხანებში მხოლოდ კანტიკუნტად თუ გვხვდება. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ნ. ბერძენიშვილის ორი გამონათქვამი აღნიშნულ საკითხზე. მაგრამ ავტორის შეხედულება პრობლემაზე ძალიან წინააღმდეგობრივია. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ჰქრებოდა ჩვენი ისტორიის ეს სპეციფიკური მომენტი ნ. ბერძენიშვილის ნაშრომებში. შევჩერდებით მხოლოდ ერთ გამონათქვამზე, რომელიც მოხსენიებულ ნაშრომშია: „კლასობრივ საზოგადოებაში პროგრესის მშენებელია ის, ვისი მოღვაწეობაც კლასთა ბრძოლის გაფართოება-გაღრმავების საქმეს ემსახურება“[38].

გ. ჯამბურია წერილში „ფეოდალური საქართველოს კლასებისა და კლასთა ბრძოლის ისტორიის საკითხები ქართულ ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში“ აღნიშნავს, რომ ჩვენში კლასობრივი ბრძოლის ფართოდ გაშლას ხელს უშლიდა ორი მიზეზი: 1) „ნატურალური მეურნეობის ჩამორჩენილობა და კარჩაკეტილობა“ და 2) უცხოელ დამპყრობთა განუწყვეტელი შემოსევები[39]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნულის მიზეზი უპირველესად პერმანენტული საგა-

---

36 იხ. ი. კაჭარავა, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, 1977, გვ. 283. ავტორს აქ მოაქვს ნ. ბერძენიშვილის მოხსენებითი ბარათის ტექსტი.

37 იხ. ს. ჯანაშიას შრომები „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“, „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“.

38 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 23.

39 მაცნე, ნაკვეთი 35, 1963, გვ. 185.

რეო საფრთხე, მტრის შემოსევები გახლდათ. თუ არა ეს გარემოება, ნატურალური მეურნეობის ბატონობა ვერ შეაფერხებდა გლეხთა აჯანყებების გაშლას. სწორედ ისევე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჩინეთისა და რუსეთის ისტორიაში — აქ ხომ გლეხთა გრანდიოზული აჯანყებები ხდებოდა სწორედ ნატურალური მეურნეობის აყვავების პირობებში. მაგრამ რაც მთავარია, ავტორის ეს აზრი ერთად აღარ განვითარებია; კერძოდ, არაფერს ამბობს იგი ამ საკითხის თაობაზე „ნარკვევების" IV ტომის სპეციალურ პარაგრაფში, რომელიც ეხება გლეხობის კლასობრივ ბრძოლას XVI—XVII საუკუნეებში.

მკვლევარი ნ. ქორთუა წერს: „მართალია, უცხოელ დამპყრობთა მოძალებული შემოტევა ხშირად წინა პლანზე წამოსწევდა ხოლმე ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის ამოცანას, მაგრამ მაშინაც კი მშრომელთა მახვილი მიმართული იყო როგორც გარეშე მტრის, ისე ეროვნული ინტერესების მოღალატე ფეოდალთა წინააღმდეგ"[40]. ეს არის და ეს, სხვა მსგავს აზრს ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ვერ ვხვდებით. ეს ითქმის, რა თქმა უნდა, ქართველი ისტორიკოსების შემაჯამებელ ნაშრომზე — „საქართველოს ისტორიის ნარკვევებზე". ეს შემთხვევითი ამბავი არ გახლავთ. იგი აიხსნება იმით, რომ საბჭოთა მეცნიერებაში გავრცელებული დებულების შესაბამისად კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება ერთი ზომით არის დამახასიათებელი მსგავსი ტიპის (კლასობრივი) საზოგადოებებისათვის. კერძოდ, ყმა-გლეხობისა და ფეოდალების ბრძოლა მის უკანასკნელ ფორმებში საქართველოსათვისაც ისევე დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო, როგორც სხვა ფეოდალური ქვეყნისათვის. ასევე ითქმის თითქოს ბურჟუაზიულად განვითარებულ საზოგადოებებზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაშიც არ მიიღებოდა მხედველობაში ეროვნულად თავისუფალ თუ დაჩაგრულ ერზე იყო საუბარი. ერთი სიტყვით, მხედველობაში არ მიიღებოდა კლასთა ბრძოლის ის სპეციფიკურობა, რომელიც საგარეო ფაქტორით იყო განპირობებული. ეს ეხება საბჭოთა მეცნიერებას მთლიანად. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, მოხდა ძვრები აღნიშნული საკითხის გაგებაში. თუ მიუხედავად ამისა, ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მაინც იყო ცალკეული ცდები ამ სპეციფიკის ჩვენებისა, ამას გაშლილი, სისტემატური ფორმით ვერ ვხვდებით და იგი გამოწვეული იყო იმით, რომ თვითონ ისტორიული მასალა, ისტორიის ლოგიკა უკარნახებდა მკვლევარებს წარმოეჩინათ ეს სპეციფიკური მომენტი დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი დოგმა ბატონობდა საკითხის ვაგებაში.

სანამ წინაბურჟუაზიულ საზოგადოებებში ჩვენში კლასობრივი ბრძოლის შედარებით განუვითარებლობაზე შევჩერდებოდით, მანამ მოკლედ შევეხებით მის (კლასობრივი ბრძოლის) ისტორიას.

30-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში, როგორც ცნობილია, გავრცელებული იყო აზრი

---

40 ნ. ქორთუა, იმერეთის გლეხთა ერთი აჯანყების შესახებ, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 200.

ჩვენში არსებული პირველი კლასობრივი, ანტაგონისტური საზოგადოების მონათმფლობელურ ხასიათზე. შესაბამისად ლაპარაკობდნენ მონებისა და მონათმფლობელების ბრძოლაზე ამ საზოგადოებაში. კონკრეტულად ს. ჯანაშია, როგორც ვამბობდით, ანიკეტეს აჯანყებას განიხილავდა მხოლოდ როგორც მონათა მოძრაობას და ამ მოძრაობის გამოძახილს იგი ხედავდა თვით VI ს-ის დასაწყისის ქართლში. ამჟამად აზრი ძველი ქართლისა და კოლხეთის საზოგადოებების მონათმფლობელურ ხასიათზე, როგორც ვიცით, მიტოვებულია. ისტორიოგრაფიაში ანიკეტეს აჯანყება გაგებულია როგორც ძირითადად პონტოსა და კოლხეთის მოსახლეობის აჯანყება რომის ბატონობის წინააღმდეგ, გამოწვეული 63 წ. (ახ. წ.) პონტოს რომის პროვინციად გამოცხადების საპროტესტოდ[41]. ამჟამად არც ვახტანგ გორგასალის მეფობის ბოლო პერიოდის მაზდეანთა მოძრაობას ამტკიცებენ. ასე რომ, ამჟამად ჩვენს ისტორიოგრაფიაში მონათა და მონათმფლობელთა შორის მნიშვნელოვანი ბრძოლების არსებობას აღარ ამტკიცებენ, თუმცა, რა თქმა უნდა, მონობა როგორც სოციალ-ეკონომიკური წყობა ჩვენში, უეჭველია, გვიანი პირველყოფილობიდან მოყოლებული არსებობდა. შესაბამისად იარსებებდა მონათმფლობელთა ფენაც ან უფრო სწორად ჯგუფი. მაგრამ არც ერთი ეს ჯგუფი ჩვენში კლასებად არ განვითარებულან, ისევე როგორც ძველ ქართულ სახელმწიფოებში არ განვითარებულა მონათმფლობელური წარმოების წესი, ე. ი. მონობა როგორც წარმოების საფუძველი.

აღნიშნული თვალსაზრისისაგან განსხვავებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში მტკიცდება შეხედულება, რომ პირველი ანტაგონისტური საზოგადოებრივი ფორმაცია ჩვენში იყო ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოება. ამ საზოგადოების შემადგენელ ძირითად ფენებს წარმოადგენდნენ მმართველი ზედაფენები და მოსახლეობის ფართო, უშუალო მწარმოებელი ფენები. ამ სოციალურ სტრატიფიკაციას საფუძვლად ედო შრომის სოციალური დანაწილება. მაგრამ ჯერჯერობით არ შეხებიან საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი ხასიათის სოციალური კონფლიქტები ახასიათებდა საზოგადოების აღნიშნულ ფორმას. კონფლიქტები კი უეჭველად იარსებებდა; საზოგადოების ფართო ფენები, რომლებიც გამოდიოდნენ ირქმელი კომუნისტური საზოგადოებიდან ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი დემოკრატიით, ცხადია, ვერ შეურიგდებოდნენ უთანასწორობას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ადგილი ექნებოდა ცალკეულ ჯგუფურ შეწინააღმდეგებებს ამ ახალი საზოგადოებისადმი. წერილობითმა წყაროებმა, სამწუხაროდ, ვერ შემოგვინახეს ინფორმაცია ამ ფაქტების შესახებ. „ქართლის ცხოვრებამ", საბედნიეროდ, შემოგვინახა ცნობები სხვა სახის სოციალურ ანტაგონიზმზე ძველ ქართლში. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად მასზე ყურადღება გამახვილებულ იქნა ნ. ბერძენიშვილის მიერ 1949 წელს დაწერილ ნაშრომში „კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში". მანვე მოგვცა ამ ფაქტების თავისებური ინტერპრეტაციაც. მოვიტანთ ამ ფაქტებს.

ქართლის მეოთხე მეფის ფარნაჯომის მეფობის ხანაზე ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „...შეიყუარა სჯული სპარსთა, ცეცხლის მსახურება, მოიყვანნა

---

41 ამის შესახებ იხ. გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ, „თსუ შრომები", 1949, ტ. 37.

სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა აწ ჰქვიან მოგუთა, და იწყო ცხადად გმობად კერპთა. ამისთჳს მოიძულეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ. მაშინ შეითქუნეს ერისთავნი ქართლისანი უმრავლესნი, და წარავლინეს მოციქული წინაშე სომეხთა მეფისა და რქუეს: „მეფე ჩუენი გარდაკდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული. აწ არღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა. მოგუეც ძე შენი არშაკ, რომელსა უზის ცოლად ნათესავი ფარნავაზიანთა, მეფეთა ჩუენთა. გუაშუელე ძალი შენი, და ვაოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა"[42]. საქმე სისხლისმღვრელ ბრძოლამდე მისულა, სადაც ქართველებსა და სომხებს გაუმარჯვიათ ფარნაჯომის მოკავშირე სპარსელებზე (მის მხარეზე იბრძოდა აგრეთვე ქართველთა უმცირესობა). ფარნაჯომი ომში დაღუპულა, ქართლში გამეფებულა სომეხთა უფლისწული არშაკი.

ქართლის მეთვრამეტე მეფის ამაზასპის მეფობის ერთ ეპიზოდს ლეონტი მროველი ასე მოგვითხრობს: მრავალი წარმატების შემდეგ „და შემდგომად ამისსა შეექმნა სილაღე, და იწყო მესისხლეობად, და მოსწყჳდნა მრავალნი წარჩინებულნი. და ამისთვის მოიძულეს იგი ერმან ქართლისამან. და მტერ ექმნა იგი სომეხთა, და შეიყუარნა სპარსნი. მაშინ განდგეს ერისთავნი დასავლეთისანი ხუთნი: ორნი ერისთავნი ეგრისისანი, ერთი ოძრჴისა, ერთი კლარჯეთისა და ერთი წუნდისა. ეზრახნეს ესე სომეხთა მეფესა, და ითხოვეს ძე მისი მეფედ, რამეთუ დისწული იყო ამაზასპისი"[43]. მოკავშირეებს აშკარადაც გაუმარჯვიათ ტირან მეფეზე, ამაზასპი მოუკლავთ და ქართლში გაუმეფებიათ სომეხთა უფლისწული, დედით ქართველი, რევ.

როგორც ჩანს, ნ. ბერძენიშვილის მიხედვით ძველი ქართლის საზოგადოება მონათმფლობელური იყო. მაშინ ძნელდება აქ აღნიშნული ორი პოლიტიკური კრიზისის და შესაბამისად სოციალ-პოლიტიკური ბრძოლის ხასიათის გარკვევა. მეცნიერის მიხედვით ეს კონფლიქტი ხან „შინაპოლიტიკური ბრძოლაა", ხან „კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლა"[44]. ჩვენ შევეცდებით ეს მოვლენები ავხსნათ ე. წ. ადრეკლასობრივი საზოგადოების კონცეფციის შუქზე.

ე. წ. ადრეკლასობრივ საზოგადოებაში საქმე ყველგან და ერთბაშად როდი მიდის დესპოტური სახელმწიფოებრივი ფორმის ჩამოყალიბებამდე. და ამას გააჩნია თავისი მიზეზები. კერძოდ, ჩვენში სახელმწიფო აპარატი არ ასრულებდა მნიშვნელოვან საირიგაციო ფუნქციებს, არ წარმოშობილა ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც დიდად იქნებოდა დამოკიდებული სამეფო ხელისუფლებაზე. ასევე მოსახლეობის ფართო მასებში არ განვითარებულა სოციალ-პოლიტიკური ინერტულობა და აპათია; ისინი ხშირად იღებდნენ მონაწილეობას ლაშქრობებში. ამ მიზეზების გამო ქართლის მეფის ნება არ ქცეულა უზენაეს ინსტანციად, რომელსაც ყველა ყოველთვის დაემორჩილებოდა, როგორც ამას ვხედავთ, აღმოსავლეთის დესპოტურ ქვეყნებში. ამდენად, დესპოტური ტენდენციების მქონე მეფეების წინააღმდეგ აღმდგარან სა-

[42] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერების მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, 1955, გვ. 29.

[43] იქვე, გვ. 57.

ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 11.

ზოგადოების შედარებით ფართო ფენები. ეს ეხება მოსახლეობის როგორც მაღალ, ისე დაბალ წრეებს. გამარჯვებულებს სამუდამო მეფეების ნაცვლად გაუმეფებიათ სასურველი პირები.

თუ მეოთხე მეფის დროს ჩვენში დესპოტიის განვითარების ხელშემწყობი პირობების არარსებობა შედარებით ადვილად აიხსნება (საზოგადოება (დროის აზრით) უკლასო საზოგადოებასთან). უფრო ძნელდება ამის გაგება მეთვრამეტე მეფისა და თვით ვახტანგ გორგასალის ჩათვლით. ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მტკიცებით, ქართლში IV—V საუკუნეების განმავლობაში მეფის ხელისუფლება უკვე დესპოტური იყო. მაგრამ მათ არ მოუტანიათ სერიოზული არგუმენტები ამ თვალსაზრისის დასადასტურებლად. მაგრამ ამ საკითხზე აქ შეჩერება უადგილოდ გვეჩვენება. შევნიშნავთ, რომ კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება ძველი ქართლის ისტორიის ბოლო პერიოდში, როგორც ეს ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდათ, არ უნდა შევეფერებოდეს ისტორიულ სინამდვილეს. IV—VI საუკუნეებში ქვეყნის საგარეო-ისტორიული პირობები ისეთი გახლდათ, რომ მათ უნდა გამოერიცხათ მნიშვნელოვანი კლასობრივი დაპირისპირებანი საზოგადოების შიგნით[45].

რასაკვირველია, ძველად ჩვენში, ვიმეორებთ, სოციალური ანტაგონიზმები დაბალი და მაღალი ფენების წარმომადგენლებს შორის უშუალოდ ეკონომიკურ ნიადაგზე აუცილებლად იქნებოდა. მაგრამ ამის ცნობები წერილობით წყაროებს არ შემოუნახავთ. ეს ბრძოლები გამოხატულებას პოულობენ იდეოლოგიაში, კერძოდ რელიგიაში. მოტანილ ორ მაგალითში ტირანი მეფეების მოწინააღმდეგენი გამოდიან მამა-პაპეული რელიგიის დაცვით, ებრძვიან მაზდეანობას. ერთხელ მომხდარა ისიც, რომ ქვედა ფენების ნაწილი ცეცხლთაყვანისმცემლობას ამოფარებია (იხ. „ქართლის ცხოვრებაში" მოთხრობილი ბინქარანთან დაკავშირებული ეპიზოდი).

საერთოდ, აღნიშნული საზოგადოებრივი ფორმაციის დროს ძველ ქართულ სახელმწიფოებში ექსპლუატაციას არ ექნებოდა მძიმე ხასიათი, რაც, თავის მხრივ, შეასუსტებდა სოციალურ კონფლიქტებს საზოგადოებაში.

ქართული ფეოდალიზმის ისტორიის მთელს მანძილზე ადგილი ჰქონდა სოციალურ კონფლიქტებს. თავდაპირველად ეს ხდებოდა მსხვილ მიწათმფლობელებსა და დაყმევების საფრთხის წინაშე მდგომ მეთემე-გლეხობას შორის. ზოგიერთი ეს ეპიზოდი, როგორც ვიცით, ასახა წერილობით წყაროებში — „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა" და „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში". მაგრამ ეს კონფლიქტები ლოკალური ხასიათისა, ერთი ან რამდენიმე სოფლის ფარგლებში. იყო. ქვეყანაში უცხოელთა ბატონობა ხელს უშლიდა სოციალური პროტესტის კონცენტრაციას ფართო მასშტაბებით.

საზოგადოებრივი მოძრაობის აღმავლობის თვალსაზრისით აღსანიშნავია XII საუკუნე. სწორედ ჩვენი ისტორიის ამ „ოქროს ხანაზე" მოდის ამ პროცესის კულმინაციური მომენტები. საქართველოს გაერთიანების, მის მიერ ეროვნული თავისუფლების მოპოვების პერიოდში დიდი გაქანება პოვა სწრაფვამ პოლიტიკური რეფორმებისათვის. ნ. ბერძენიშვილის აზრით, დავით აღმაშენებლის მეფობაში მიმდინარეობდა კლასთა ბრძოლა მსხვილ მიწათმფლობელთა და ჯერ კიდევ შემორჩენილ თავისუფალ გლეხობას შორის, რომელ-

[45] ამ საკითხს ჩვენ სპეციალურად შევეხეთ სტატიაში „ქართული ფეოდალიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ", „მაცნე", ისტორიის სერია, 1981, № 4.

საც მეფე ეყრდნობოდა. შემდგომი ხანის გამოსვლები, მისი აზრით, შინაპოლიტიკური ბრძოლა იყო თვით მაღალ ფენებს შორის. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს გამოსვლები იყო გამოხატულება წინააღმდეგობისა ბაზისურ მოვლენასა — მიწების დიდი ნაწილი კონცენტრირებული იყო ფეოდალების ხელში და ზედნაშენურ მოვლენას შორის — სამეფო ხელისუფლება ესწრაფვოდა დამოუკიდებლობისაკენ საზოგადოებისაგან, ე. ი. ცდილობდა დესპოტიად გადაქცეულიყო. ამდენად, ეს მოძრაობა ჩვენ დადებით მოვლენად მიგვაჩნია[46]. ხშირად ამ გამოსვლებს თვლიან შინაკლასობრივ ბრძოლად[47]. მაგრამ არ მიუთითებენ კონკრეტულად, თუ გაბატონებული კლასის რომელ ფენებს შორის ხდებოდა ეს. თუ გიორგი რუსის გამოსვლაში კიდევ შეიძლება იგი (ეს გამოსვლა) დავუკავშიროთ გარკვეულ ფენებს, მაგრამ გეოგრაფიული (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ზედაფენები) და არა უშუალოდ სოციალური თვალსაზრისით, მით უფრო გაძნელებულია დიდებულთა წინამძღვრ გამოსვლებში ცალკეულ ფენათა დაპირისპირება დავინახოთ. ჩვენ მიგვაჩნია, ვიმეორებთ, რომ ეს კონფლიქტები ხდებოდა ქართული საზოგადოების ზედაფენებსა და მეფის ხელისუფლებას შორის და ისახავდა მიზნად პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციას (ცხადია, ფეოდალური თვალსაზრისით).

რაც შეეხება დაბალი ფენების გამოსვლებს ამ პერიოდის საქართველოში, ესეც, რასაკვირველია, უთუოდ არსებობდა. და ამას არაერთგზის აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი. მაგრამ კონცენტრირებული სახით ამას ვხედავთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა გამოსვლაში. მაგრამ ეს გამოსვლა სხვა ნიადაგზე იყო წარმოშობილი: იგი წარმოადგენდა რეაქციას ფეოდალური ბარის წინააღმდეგ. მიზნად ისახავდა ბარის მიერ თავს მოხვეული ფეოდალიზაციის უღლის მოშორებას. მთიელთა ასეთ გამოსვლებს შემდეგშიც ვხვდებით. ისინი იმის დამადასტურებელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში ფეოდალიზმი ვერ განვითარდა. მაგრამ აქ არ შევუდგებით იმ მიზეზების ჩამოთვლას, რომელთაც განაპირობებს მათში ფეოდალიზმის განუვითარებლობა.

საქართველოს განვითარებულ მხარეებში შემდგომ საუკუნეებში ვხვდებით კლასობრივი ბრძოლის რიგ ფორმებს, ლოკალური ხასიათის გამოსვლებს. მაგრამ ეს უკანასკნელნი სულაც არ იყო პირდაპირ პროპორციული ჩვენში კლასობრივი, ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა. ეს გარემოება, ვიმეორებთ, სულაც არაა პარადოქსული და აიხსნება საგარეო ფაქტორით — გარეშე მტრების შემოსევების საფრთხითა და თვით შემოსევებით, უცხოელთა ბატონობით. თუ სხვა პირობებში კლასობრივ საზოგადოებაში მაღალი და დაბალი ფენების ინტერესების თანხვედრა გამორიცხებოდა, ჩვენი ისტორიის სპეციფიკურ ვითარებაში ეს შესაძლებელი გახდა. ეს გაერთიანება მიზანშეწონილი იყო ეკონომიკური, მორალური (სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ) და კულტურული (კულტურული თავისთავადობის შენარჩუნება) თვალსაზრისით.

როდესაც XIX ს-ში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ჩვენი ქვეყანა, როგორც ვიცით, მოიცვა ხშირმა აჯანყებებმა. ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარების გარკვეულ ხანაში იყო

[46] დაწვრილებით ამ საკითხზე ჩვენი პოზიციის შესახებ იხ. ჩვენი ზემოხსენებული სტატია.

[47] ამ საკითხის შესახებ იხ. რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში (XII საუკუნე), 1973.

ცდები ეს აჯანყებები ძირითადად სოციალური ხასიათისად წარმოედგინათ, ე. ი. გლეხობის ბრძოლად თავადაზნაურობის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენი ისტორიოგრაფიის ამჟამინდელ ეტაპზე ეს თვალსაზრისი, საბედნიეროდ, გადალახულია. ისინი (ეს აჯანყებები) ახლა გაიაზრება როგორც ქართული საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენების გამოსვლები ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში (გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენდა მხოლოდ სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის გამოსვლა). ამ პერიოდშიც, ვიმეორებთ, ეროვნული ინტერესი, ე. ი. ერის თვითმყოფობის შენარჩუნება, ქართველობას აიძულებდა ერთად გამოსულიყვნენ ეროვნული თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში, მეფის რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვიხსნის ჩვენში იდეოლოგიის განვითარების თავისებურებასაც. ჩვენში გამოჩნდებოდნენ ხოლმე იდეოლოგები, რომელთა ნააზრევის პათოსი, არსი გახლდათ მთელი ეროვნული ენერგიის წარმართვა საგარეო მტრის წინააღმდეგ. ამან თავი იჩინა ჯერ კიდევ ქართულ ჰაგიოგრაფიაში, რომელიც რელიგიურის გარდა გამსჭვალული იყო პატრიოტული სულისკვეთებით (განსაკუთრებით ითქმის ეს იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამებისა" მიმართ). ასე იყო დიდი ხნის მანძილზე. ამ თავისებურებების (იდეოლოგიური) უკანასკნელი დიდი გამომხატველნი იყვნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

აღნიშნულ პლანში მეორე ხაზგასასმელი გარემოება გახლავთ ის, რომ ჩვენში ვერ განვითარდა ერესები, მწვალებლობანი. შუა საუკუნეების დიდ მანძილზე, როგორც ვიცით, საზოგადოების დაბალი ფენების გამოსვლები ხდებოდა რელიგიურ სამოსელში. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ იდეოლოგიის გაბატონებულ ფორმას ამ ეპოქაში წარმოადგენდა რელიგია და აგრეთვე იმიტომაც, რომ მოსახლეობის დაბალ მასას სხვა ფორმებისათვის (იდეოლოგიური) ნაკლებ მიუწვდებოდა ხელი. ასე იყო ბევრ ფეოდალურ ქვეყანაში. მაგრამ ასე არ მოხდა საქართველოში. ამ იდეოლოგიური განვითარების სპეციფიკა მდგომარეობდა იმ მიზეზში, რაც ჩვენ ზემოთ ბევრჯერ აღვნიშნეთ.

მიუხედავად ამისა, ქართველმა გლეხობამ შეიმუშავა ანტიბატონყმური იდეოლოგიის ელემენტები ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე. მაგალითისათვის შევჩერდებით ქართულ ანდაზებსა და სიტყვა-თქმებზე. ასეთებია: „აზნაურის სტუმრობა ნუ გგონია ხუმრობა"[48], „ბატონიშვილის მეცლი ადლი და ნახევარია, საწყალი გლეხიკაცისა — არც მისი ნახევარია", „ბატონის სურვილი ყმისათვის ბრძანებაა", „ბატონი ყმას წუწნიდა, ყმა — კი მასთან ყმობასო", „ბატონის კაცს ჯერ ნუ გალახავ, თუ გალახე, ისე გალახე, რომ გალახვა ერქვასო", „ბატონს ყმა უნდოდა უსმელ-უჭმელი ტან ჩაუცმელი, შინ მიუსვლელიო", „ზაქარია ციციშვილი — რაიც მამა, ისიც შვილიო"[49]. ამაყი ხევსურები ზურაბ ერისთავს ასე მიმართავდნენ:

„ხევსურეთშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა, გაგიწყვეტილდების კისერი, ვერ შესძლებ ქვეითობასა"[50].

ასე რომ, აქაც ნათლად აისახა ის გარემოება, რომ ქართველ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის ურთიერთობა სულაც არ ყოფილა ისეთი იდი-

---

[48] ამის შეცვლილი ვარიანტია: „დიამბეგის სტუმრობით ნუ გგონია ხუმრობით".

[49] იხ. რჩეული ქართული ანდაზები და სიტყვის მასალები, ალ. ღლონტის შედგენილი, 1957.

[50] ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, 1961, გვ. 144; იხ. აგრეთვე გვ. 29.

ლიური, როგორც ეს მაგალითად ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს წარმოედგინათ.

ახლა შევაჯამებთ ჩვენი ნაშრომის შინაარსს.

ისევე როგორც ყოველ ანტაგონისტურ საზოგადოებაში, საქართველოში ადრეკლასობრივი და ფეოდალური საზოგადოებების არსებობის მანძილზე ადგილი ჰქონდა სოციალურ კონფლიქტებს, კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებს. მაგრამ კლასობრივი ბრძოლის უმაღლესი ფორმა — აჯანყება ჩვენში დიდი-დიდი სოფლის ან რამდენიმე სოფლის ფარგლებში თუ ხდებოდა. გლეხთა აჯანყებას ჩვენში არ მოუცავს ცალკეული ისტორიული თემი ან თემები. ამის უპირველესი მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ პერმანენტულმა საგარეო საფრთხემ, მტერთაგან დაპყრობებმა გამოიწვიეს საზოგადოების მაღალი და დაბალი ფენების ინტერესების თანხვდენა გარკვეულ ფარგლებში. ეთნოსი, ერი არაა მხოლოდ ფიქცია, აბსტრაქცია, რომელსაც ისტორიული სინამდვილე არ შეესაბამება. ი. ბ. სტალინის განსაზღვრებით: „ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომელიც გამოხატულებაა კულტურის ერთობაში"[81]. ისევე როგორც რეალობაა ესა თუ ის კლასი, გაბატონებული ან დაჩაგრული, რეალობაა კლასობრივი ინტერესი (შესაბამისი), ასევე რეალობაა ეთნოსი, ერი, ეროვნული ინტერესი. შესაბამისად, ამ ინტერესის რეალიზაციისათვის იბრძვიან ადამიანთა კონკრეტი გაერთიანებანი. რამდენადაც ისტორია მარტოოდენ კლასთა ბრძოლა როდია, არამედ — ბრძოლაც ეთნოსებს, ერებს შორის, ამდენად კლასობრივი ბრძოლა ამა თუ იმ ხალხებში მოდიფიცირდება ამ უკანასკნელი ფაქტორით. საქართველოს ისტორია, ვიმეორებთ, ამ მხრივ კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია სხვა მიზეზებიც. მაგალითად, გლეხობის კატეგორიების სიჭრელე გარკვეულად აფერხებდა მის გაერთიანებას თავადაზნაურობასთან ბრძოლაში. ასევე XV საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად აადვილებდა უკანასკნელთა მცირე ზომების გამო, გლეხობის გადასვლას ერთი ისტორიული თემიდან მეორეში (ხიზანთა და ბოგანოთა კატეგორიების სიმრავლე). ჩვენ ამას დავუმატებდით აგრეთვე პერმანენტული საგარეო შემოსევების მიზეზით თავადაზნაურობის ნაწილის ამოწყვეტას, რაც იწვევდა გლეხობის ენერგიული ნაწილის სოციალურ აღზევებას, ამდენად, გლეხობის წრიდან გამოსვლას[82].

თუ ჩვენი ისტორიის სპეციფიკის წყალობით ჩვენში კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერება გარკვეული ზომით მოდიფიცირდებოდა, სამაგიეროდ უცვლელად მოქმედებდა ამ შემთხვევაში ის კანონზომიერება, რომ კლასობრივი ბრძოლა საზოგადოების განვითარების წყაროა. ჩვენში კლასობრივი ბრძოლის შედარებითი განუვითარებლობა (ეს გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის), კიდევ უფრო განუვითარებლობა მესამე წოდების ბრძოლისა თავადაზნაურობის წინააღმდეგ, იწვევდა განვითარების მკვეთრ შეფერხებას,

---

81 ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 319.

82 აკაკი წერეთელი თვლიდა, რომ „ძიძობა" და თავადაზნაური ყრმის სოფელში, გლეხებთან გაზრდება იყო მიზეზი იმისა, რომ თვით XIX საუკუნეშიც საქართველოში უფრო კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შორის, ვიდრე სხვა ქვეყნებში. იხ. ჩემი თავგადასავალი, 1953, გვ. 6.

„სოციალურ დაჩიხულობას“ (ნ. ბერძენიშვილი). ამის გამო ქართული საზოგადოების შემდგომი განვითარება მხოლოდ მოწინავე ისტორიული გარემოს ზეგავლენით იყო შესაძლებელი, და ეს ისტორიულად ასეც მოხდა.

Г. В. КОРАНАШВИЛИ

ПРОБЛЕМА КЛАССОВОЙ БОРЬБЫ В «РАННЕКЛАССОВОЙ» И ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В статье критикуется взгляд, согласно которому классовая борьба была движущей силой грузинского исторического процесса. Автор указывает на специфичность нашей истории: перманентную угрозу нашествий, частые завоевания нашей страны чужеземцами. В результате этого общий интерес сплачивал различные слои населения, а классовая борьба в различных формах таким образом отодвигались на задний план.

G. CORANASHVILI

THE PROBLEM OF CLASS STRUGGLE IN «EARLY CLASS» AND FEUDAL GEORGIA

Summary

The article criticizes the view according to which the class struggle was the driving force of the Georgian historical process. The author points to the specificity of our history: permanent threat of invasions, frequent cenquests of our country by foreigners. In the result of this the common interest united various layers of the population and in such a way the class struggle in the developed forms was drawn to another plan.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ

ზაზა ანთაძე

მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა

მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა საგრძნობლად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოების კოლონიური პოლიტიკისაგან. ამ განსხვავებას მნიშვნელოვანწილად გეოგრაფიული ფაქტორი განაპირობებდა. ინგლისი, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია, ბელგია, ჰოლანდია, უფრო მოგვიანებით გერმანია და იტალია ზღვებისა და ოკეანეების გაღმა ახორციელებდნენ ექსპანსიას, ხმალთან ერთად ეკონომიკური მეთოდებსაც იყენებდნენ, ჯერ ეკონომიკურად იპყრობდნენ აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ავსტრალიის კონტინენტების ჩამორჩენილ ქვეყნებს და უფრო მოგვიანებით ამყარებდნენ იქ თავიანთ მართვა-გამგეობის სისტემას. მეფის რუსეთს კი კოლონიური სამფლობელოების დასაპყრობად ზღვის გაღმა წასვლა არ სჭირდებოდა. რუსეთი თავდაპირველად ურალის აღმოსავლეთით მდებარე, ძალიან თხლად დასახლებულ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს დაეუფლა. შემდეგ კი თვალი მიაპყრო სამხრეთს, კავკასია და შუა აზია შეიერთა.

რუსეთის ცარიზმი თავიდანვე ცდილობდა შეერთებული ტერიტორიები იმპერიის ორგანულ ნაწილად გადაექცია. ყველგან ამყარებდა რუსული მართვა-გამგეობის სისტემას, უფრო ხშირად სამხედრო-პოლიტიკური მეთოდებით მოქმედებდა, მაგრამ არც ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებაზე ამბობდა უარს.

ცარიზმის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია ატარებდა. მაგრამ მთავარმმართებელსა და მეფისნაცვალს უფლება ჰქონდათ ადგილობრივი პირობების შესაბამისად, მცირე კორექტივი შეეტანათ ცენტრალური მთავრობის ზომების პრაქტიკული რეალიზაციის მეთოდებსა და საშუალებებში. ისინი ზოგჯერ იძულებული ხდებოდნენ ადგილობრივი მთავრებისა და ხანებისათვის დროებით მაინც შეზღუდული ავტონომიური უფლებები დაეტოვებინათ, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა დამცველის ნიღაბი აეფარებინათ და ფრთხილად განეხორციელებინათ მეტროპოლიის გაბატონებული კლასების დაკვეთა.

ამიერკავკასიის რუსეთთან შეერთების შემდეგ მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის პირველი რიგის ამოცანა იყო ამ რეგიონში სახელმწიფო საკუთრების შექმნა-გაფართოება. რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა ქართველ მეფეთა მამულები, რუსეთს გადასახლებულ უფლისწულთა სამფლობელოები და ანტიცარისტულ აჯანყებებში მონაწილეობისათვის დასჯილ თავადაზნაურთა მიწები. ამ ტერიტორიებზე მცხოვრები უშუალო

მწარმოებელნი სახელმწიფო გლეხებად მიიჩნიეს და სახაზინო გადასახადებით დაბეგრეს.

კავკასიური ადმინისტრაცია უფრო ფრთხილად მოქმედებდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი სამფლობელოების მიმართ. 1837 წელს რუსეთის სინოდმა დასვა აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის საკითხი. ამ ღონისძიების გატარება თითქოს იმიტომ მიაჩნდათ საჭიროდ, რომ სამღვდელოება გაეთავისუფლებინათ ყმა-მამულის მოვლა-პატრონობის საზრუნავისაგან და გაეადვილებინათ მისთვის უშუალო მოვალეობის შესრულება. სინოდის ნამდვილი მიზანი კი იყო ქართველი სამღვდელოების თავის ეკონომიკურ დამოკიდებულებაში მოქცევა, მისი რუსეთის სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლების მორჩილ იარაღად გადაქცევა. მაგრამ საქართველოს მთავარმართებელმა გამოთქვა შიში, რომ ეს გამოიწვევდა საქართველოს სამღვდელოების დიდ უკმაყოფილებას და ამიტომ დასახული ღონისძიების გატარება სხვა დროისათვის გადადო.

1852 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო მამულების ხაზინის გამგებლობაში გადაცემის შესახებ. ამის შემდეგ ამ მიწების შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში შედიოდა, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას წლიურად ეძლეოდა 72 ათასი მანეთი.

საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხაზინის მმართველობაში გადაცემა სასარგებლო აღმოჩნდა. მაგრამ მთავრობა ამაზე არ გაჩერდა. მან საჭიროდ მიიჩნია სამმართველოდ აღებული მამულების ხაზინის საკუთრებად გადაქცევა. 1869 წ. 13 ნოემბრის უმაღლესი ბრძანებით აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დასახლებული და დაუსახლებელი მიწები ხაზინის საკუთრება გახდა. სახელმწიფოს ხელში გადავიდა 136 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი, ტყე, წისქვილები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. ყოფილი საეკლესიო გლეხები დაბეგრნენ სახელმწიფო საკომლო გამოსაღებით[1]. საეკლესიო ყმებს კი საზეიმოდ გამოუცხადეს, რომ ისინი განთავისუფლდნენ ეკლესიის დამოკიდებულებისაგან და მიენიჭათ სახელმწიფო გლეხთა უფლებები.

ზემოაღნიშნული ღონისძიება რამოდენიმე ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაც შეეხო. 1871 წ. 5 მარტს ალექსანდრე II-მ ბრძანა: „იმერეთისა და გურიის საეკლესიო მამულები გადაეცეს ხაზინას. საეკლესიო გლეხებს მიენიჭოს სახელმწიფო გლეხთა უფლებები, გამოეყოს მათ საჭირო მიწის ნაკვეთები. ამ მამულების საზღაურად იმერეთის სამღვდელოებას ყოველწლიურად გადაერიცხოს 30 ათასი მანეთი"[2].

1880 წელს მოხდა სამეგრელოს საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემა. სამეგრელოს ეპარქიას საზღაურის სახით ყოველწლიურად ეძლეოდა 20 ათასი მანეთი[3].

XIX ს-ის 80-იანი წლებისათვის რუსეთის სახელმწიფო ხაზინა საქართველოში საკუთრების უფლებით მთელი მიწის ფონდის ნახევარს ფლობდა, მის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა 70 ათასამდე კომლი გლეხი. მათს მუდმივ სარგებლობაში გადაცემული იყო 930 ათასი დასახლებული მიწა, რისთვისაც

---

[1] С. Эсадзе, Историческая записка об управлении Кавказом, т. II, 1907, с. 178—185.

[2] ЦГИА СССР, ф. 1268, оп 16, д. 28, лл. 53—56.

[3] С. Эсадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

ყოველწლიურად იხდიდნენ 881 ათას მანეთს. აღმოსავლეთ საქართველოში კომლზე მოდიოდა 14 მანეთი, დასავლეთ საქართველოში 11 მანეთი[4]. ძალიან მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას საგზაო და სატრანსპორტო ბეგარა. სახელმწიფო ტვირთების გადაზიდვაზე, გზის სამუშაოებზე გაწეული ყოველწლიური შრომის ფულადი გამოხატულება იყო 300—400 ათასი მანეთი[5]. მეფის მთავრობის კავკასიურ ადმინისტრაციას სახელმწიფო გლეხები თავის საექსპლუატაციო ობიექტად მიაჩნდა და ამიტომ დიდ ყურადღებას აქცევდა საგადასახადო სისტემის სრულყოფას.

1868 წელს კავკასიის სამეფისნაცვლოში შეიქმნა სახელმწიფო ქონებათა სამმართველო, რომლის აგენტებსაც დაეკისრათ ადგილებზე სახელმწიფო მამულებისა და გლეხების მართვის ფუნქცია. 1883 წ. ამიერკავკასიის სახაზინო მიწები გადავიდა მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გამგებლობაში. მხარეში დაინიშნა მინისტრის რწმუნებული, ხოლო ცალკეულ გუბერნიებში ჩამოყალიბდა სახაზინო ქონებათა სამმართველოები.

მეფის მთავრობის, ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის კონფლიქტი, რაც 3—4 ათეული წელი მეტ-ნაკლები ინტენსიობით გრძელდებოდა, XIX ს-ის 40-იან წლებში კომპრომისით დამთავრდა. ზოგიერთი დათმობითა და დაყვავებით მ. ვორონცოვმა საქართველოს მაღალი წოდება ცარიზმის საყრდენ სოციალურ ძალად გადააქცია.

საქართველო მარტო ხელსაყრელი სტრატეგიული პუნქტი და პლაცდარმი როდი იყო მეფის რუსეთისათვის. ამ ქვეყანამ თვითმპყრობელობას უკვე XIX ს-ის დამდეგს მისცა მნიშვნელოვანი დამხმარე ძალა — სამხედრო საქმეში ფრიად განსწავლული ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც კარგად ერკვეოდა ირან-თურქეთის პოლიტიკურ მდგომარეობაში, იცოდა ამ სახელმწიფოების სუსტი და ძლიერი მხარეები. ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი, რომელთაგან ბევრს გენერლის ჩინი ჰქონდა მიღებული, უფრო მეტს კი ოფიცრისა, რუსეთის არმიაში იყო ჩარიცხული და თავდადებით იბრძოდა ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ, თავისი წვლილი შეჰქონდა რუსეთის იარაღის გამარჯვებაში. ქართველი თავადაზნაურობა მეფის მთავრობას ემსახურებოდა შინაურ ფრონტზეც. ბევრი მონაწილეობდა ადგილობრივ გლეხთა აჯანყებებისა და გამოსვლების ჩახშობაში. ყოვლად მოწყალე რუსეთის იმპერატორი აფასებდა ქართველი თავადაზნაურობის ერთგულება-სამსახურს და თავის მოხელეებისაგან მოითხოვდა ამ წოდების ინტერესების დაცვას. იმპერატორის ნება, რა თქმა უნდა, განუხრელად სრულდებოდა.

როცა ფეოდალიზმის კრიზისი მომწიფდა, რევოლუციური სიტუაცია საქართველოშიც შეიქმნა და აუცილებელი გახდა ბატონყმობის გაუქმება, კავკასიის ადმინისტრაციამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი თავადაზნაურობის ინტერესები მაქსიმალურად დაცულიყო, ამ წოდებას ეკონომიკური ზარალი არ განეცადა, დიდი სოციალური მარცხი არ ეწვნია. საგლეხო რეფორმა ვ. ი. ლენინის შეფასებით მთელი რუსეთის მასშტაბით იყო „გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა", წარმოადგენდა უშუალო მწარმოებელი

---

[4] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, 1962, с. 140.

[5] ЦГИА СССР, ф. 396, оп. 3, д. 1089, лл. 18—21, 50—60.

მასის „დაცინვას“, რადგან ბევრ გუბერნიებში „ჩამოუჭრეს. წაართვეს გლეხებს მათი მიწის ერთ მესამედამდე და ორ მეხუთედამდეც კი“[6].

მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარება არსებითად ადგილობრივ თავადაზნაურობას მიანდო, ჩამოაყალიბა თავადაზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტები. მაგრამ, როცა თავადაზნაურობამ უნდობლობა გამოუცხადა ამ კომიტეტებს და მოითხოვა აგრარული რეფორმის პროექტის შედგენა წოდებრივ თვითმმართველობას დაკისრებოდა, მეფის მოხელეები ამ დათმობაზეც წავიდნენ. ცნობილია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა კრილობამ საგლეხო რეფორმის დებულების პროექტის შედგენა დიმიტრი ყიფიანს დაავალა. ამ უკანასკნელმა მაქსიმალურად გაითვალისწინა მაღალი წოდების წარმომადგენელთა თვალსაზრისი, სამაზრო კრილობებზე შემუშავებული წინადადებები და მთავრობას წარუდგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა გლეხთა პირად განთავისუფლებას, მოითხოვდა ყმა გლეხთა გადაყვანას ხიზანთა კატეგორიაში, რომლებიც მიწის მოიჯარეებად ითვლებოდნენ და არა მუდმივ მფლობელ-მოსარგებლეებად. მთავრობამ ვერ გაბედა მიწაზე გლეხთა უფლების, ესოდენ შეკვეცა და დროებითვალდებულ გლეხებს სანადელო მიწები მუდმივ სარგებლობაში მიეცა. მაგრამ ანგარიში გაუწია თავადაზნაურთა პრეტენზიებს და განთავისუფლებულ გლეხებს მიწის საგრძნობი ნაწილი ჩამოაჭრა, გამოყოფილ ნადელთა სარგებლობისათვის კი მძიმე ვალდებულებანი დააკისრა მემამულეთა სასარგებლოდ.

აგრარულმა რეფორმამ, მართალია, საქართველოშიც ჩაუყარა საფუძველი გლეხობისა და თავადაზნაურობის სადღეისმამულო გამიჯვნას, გლეხური მეურნეობის დამოუკიდებელ არსებობას, მაგრამ ეს საქმე ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. დროებითვალდებულ გლეხთა სანადელო მიწის იურიდიულ მესაკუთრედ მემამულე რჩებოდა, რაც საშუალებას აძლევდა მას შეეზღუდა გლეხის უფლებები, ეკონომიკურად დაექვემდებარებინა გლეხის მეურნეობა. ეყრდნობოდა რა კანონსა და მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის დახმარებას, ქართველმა თავადაზნაურებმა გლეხებს დააკისრეს მძიმე სადღეისმამულო ვალდებულებები. XIX ს-ის 70-იან წლებში, მეფისნაცვლის კანცელარიის გაანგარიშებით, საქართველოს დროებითვალდებული გლეხები დესეტინაზე იხდიდნენ საშუალოდ 9 მანეთს, სულ კი 272 ათასი დესეტინა სანადელო მიწით სარგებლობისათვის 2,385 ათას მანეთს[7].

მიწის რენტის მაღალი განაკვეთი გლეხს აიძულებდა ნადელის გამოსყიდვისა და, ამდენად, სრული განთავისუფლებისათვის ეზრუნა. მაგრამ გამოსასყიდი ფასიც ძალიან მაღალი იყო, რის გამო გლეხთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებდა „თავის დახსნას“, მათი დროებითი ვალდებულება ფაქტობრივად ძალზე დიდხანს გრძელდებოდა. ეს კი თავისთავად იწვევდა გლეხთა არა მარტო უკმაყოფილებას, არამედ აჯანყებებსაც. 1874—1876 წლებში ორგზის აჯანყდნენ სამეგრელოს გლეხები, მოითხოვეს დროებით-ვალდებულების ინსტიტუტის მოსპობა, სანადელო მიწების გამოსყიდვის გარეშე მათ საკუთრებად დამტკიცება. გახშირდა ყველაზე უფრო მკაცრი ექსპლუატატორი მემამულეების მკვლელობის ფაქტები. კავკასიის ადმინისტრაცია სისხლში ახშობდა გლეხთა აჯანყებებს.

---

[6] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 126.

[7] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, под редакцией П. Гугушвили, с. 128.

მაგრამ მარტო იარაღის ძალას ვერ დაეყრდნობოდა, კლასობრივი ანტაგონიზმისა და ბრძოლის შესასუსტებლად პროფილაქტიკურ საშუალებებსაც მიმართავდა.

ჯერ კიდევ 1884 წელს დამტკიცდა დებულება, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მთავრობის სესხის გამოყენებით ნადელთა გამოსყიდვის წესები. დებულების თანახმად, გამოსყიდვით ოპერაციებს განაგებდა მომრიგებელი სამართლო და საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო. ფულადი რენტის შემთხვევაში სანადელო მიწის გამოსასყიდი ფასი გამოიანგარიშებოდა წლიური ღალის 6%-ის საფუძველზე კაპიტალიზაციის გზით. ნატურალური ვალდებულების დროს კი მემამულეებისა და გლეხების შეთანხმებით მთავრობა დიდი სარგებლობის აღების პირობითაც კი ვერ იმეტებდა საკმაო თანხას გლეხებისათვის. გამოყოფილი სესხი სახნავ-სათესი მიწების ღირებულების 40—50%-ს ფარავდა მხოლოდ. ბაღ-ვენახთა გამოსყიდვისათვის კი სესხი საერთოდ არ გაიცემოდა.

გამოსყიდვის ნაკაზმა და მთავრობის კრედიტებმა არსებითად ვერ დააჩქარა ნადელთა გამოსყიდვა. ამ პროცესს თვით მემამულეებიც აფერხებდნენ, რადგან ხელსაყრელად მიაჩნდათ დროებითვალდებულების გაგრძელება. 1876 წ. მეფისნაცვლის საბჭოსთან არსებულ გლეხთა მომწყობ მთავარ კომიტეტში განხილულ იქნა ნადელთა გამოსყიდვის ოპერაციათა დაჩქარების საკითხი. მთავარი კომიტეტის ჟურნალში ჩაიწერა, რომ ამჟამად თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 60 ათასი დროებითვალდებული გლეხია. აქედან 20 ათას კომლს შეუძლია სანადელო მიწა გამოისყიდოს საკუთარი სახსრებით. 40 ათას კომლს კი დასჭირდება სესხი 12 მილ. მანეთის ოდენობით. თუ ეს განხორციელდა, 20 წლის შემდეგ ყველა დროებითვალდებული გლეხი უკვე მესაკუთრე იქნება, რაც საშუალებას მოგვცემს გავაუქმოთ საგლეხო დაწესებულებანი ძალიან ძვირი რომ უჯდებათ სახელმწიფოს[8].

სანადელო მიწების გამოსყიდვის პროცესის დასაჩქარებლად ნავარაუდევი ღონისძიებანი პრაქტიკულად არ გატარებულა ძირითადად იმიტომ, რომ მთავრობის წრეებში, საერთოდ და კავკასიურ მოხელეთა შორის, კერძოდ, სჭარბობდა ეგრეთ წოდებული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი გლეხობის მესაკუთრედ გადაქცევის მიზანშეუწონლობის თაობაზე. 1883 წელს ამიერკავკასიის მთავარმართებელი დონდუკოვ-კორსაკოვი საჭიროდ მიიჩნევდა მიწის გამოსყიდვის საკითხთან დაკავშირებით ანგარიში გაწეოდა მხარის სოციალურ-ეკონომიკური წყობის თავისებურებებს, რომელთაგან, ერთ-ერთი იმაში მდგომარეობდა, რომ ამიერკავკასიელი მემამულეები, უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, არ ეწეოდნენ საკუთარ მეურნეობას და შემოსავალს ღებულობდნენ გლეხთა სანადელო მიწებიდან ღალის სახით. ამ შემოსავლის გამოსასყიდ თანხაზე გადაყვანის შემთხვევაში მიწათმფლობელნი დაკარგავდნენ თავიანთ ცხოვრების მყარი უზრუნველყოფის ძირითად წყაროს, რადგან მიღებულ თანხას მალე გაფლანგავდნენ, ვერ მოახერხებდნენ მის გამოყენებას მწარმოებლურად და, ამდენად, მაღალი წოდება გადაიქცეოდა სახელმწიფოს ტვირთად. დონდუკოვ-კორსაკოვი იმასაც აღნიშნავდა, რომ საკუთრების უფლებასთან მჭიდრო კავშირში იყო გასხვისების უფლება. ამიტომ გამოსყიდვის პრინციპის მკაცრად დაცვა გამოიწვევდა გლეხთა მთელი მასის მიწის დაკარგვას. მის კონ-

[8] ЦГИА СССР в Ленинграде, ф. 1268, оп. 21, д. 216, лл. 2—6.

ცენტრაციას ცალკეულ პირთა ხელში, რაც სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არასასურველ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

მთავარმართებელი ამ თვალსაზრისს ავრცელებდა სახელმწიფო გლეხებზეც. მათ არ უნდა მიეცეს ნადელულის ყიდვა-გაყიდვის ნება. მიწაზე საკუთრების უფლება უნდა დარჩეს სახელმწიფოს ხელში. ქვეყნის საწარმოო ძალების ზრდის პარალელურად გლეხთა გადახდისუნარიანობა ამაღლდება. ასეთ პირობებში ხაზინისათვის არახელსაყრელია დაკარგოს საადგილმამულო გამოღების თანდათან გაზრდის უფლება, რაც განუხორციელებელი იქნებათ გლეხობის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლის შემდეგ.

მთავარმართებელი ბოლოს ასკვნიდა, რომ ამიერკავკასიაში გლეხთა საქმის მოწესრიგებისას არისო, აშკარად არსებულ მიწათმფლობელობის ფორმისა და მის საზღაურად მემამულეებისათვის მისაცემი რენტის განსაზღვრაო.

1869-1890 წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობის სესხის გამოყენებით მხოლოდ 2775 კომლმა გლეხმა გამოისყიდა სანადელო მიწა, საკუთარი სახსრებით კი მესაკუთრეთა კატეგორიაში გადასვლა შეძლო 471 კომლმა[10].

1893 წლის თბილისის გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ ნადელების გამოსყიდვა ნელა მიმდინარეობს და გარდამავალი პერიოდი მისი თანამედროვე [illegible] ძალიან გაჭიანურდა. გუბერნატორის აზრით, მიზანშეწონილია 1891 წლის კანონის გავრცელება და ნადელთა სავალდებულო გამოსყიდვის დაწესება. გუბერნატორის წინადადებას აქტიურად [illegible] ცენტრალური ხელისუფლება. [illegible] თბილისის გუბერნიის დროებით-ვალდებული გლეხები 1892 წ. 1 იანვრიდან გადაყვანილიყვნენ გამოსასყიდ გადასახადებზე და ჩარიცხულიყვნენ მესაკუთრეთა კატეგორიაში. თავადაზნაურობას საზღაური ხაზინისაგან უნდა მიეღო, რასაც მომდევნო 49 წლის განმავლობაში სარგებლითურთ (5%) დაფარავდნენ გლეხები[11].

ამ დროის ამიერკავკასიის მთავარმართებელი იყო [illegible]. მან, როგორც ჩანს, სანქცია არ მისცა თბილისის გუბერნატორის წინადადებას და ამიტომ ცენტრალურმა მთავრობამაც იგი უარყო. ნადელთა გამოსყიდვის პროცესი კვლავ თვითდინებით და ნელა წარიმართა. 1904 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოში დროებითვალდებულ გლეხთა მხოლოდ 20% გადავიდა მესაკუთრეთა კატეგორიაში. დასავლეთ საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო ნადელთა გამოსყიდვა უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. 1914 წლამდე აქ დროებითვალდებულ გლეხთა 69% გადაირიცხა მესაკუთრეთა კატეგორიაში. მაგრამ ამ მესაკუთრეთა დიდ ნაწილს ისე მცირე მიწა ჰქონდა, რომ იძულებული იყო დამატებითი ნაკვეთები ეძებნა და კაბალურ მოიჯარეთა ფენა შეევსო.

მეფის მთავრობა და მისი კავკასიური ადმინისტრაცია ხაზინის შემოსავლის გადიდების წყაროდ მარტო მიწასა და სოფლის უშუალო მწარმოებლის დაბეგვრას როდი თვლიდნენ. დიდ სარგებლობას მოელოდნენ სპეციალური და ტექნიკური კულტურებისაგან, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისაგან.

---

[9] ЦГИА СССР, ф. 573, оп. 8, д. 9476, лл. 4—5.

[10] Сборник статистических данных о землевладении и способах хозяйства в пяти губерниях Закавказского края, 1899, дополнение II, с. 149—150.

[11] ЦГИА ГССР, ф. 17, оп. 1, д. 2748, лл. 42—46.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების. ამ მხარის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლუატაციისა და ხაზინის შემოსავლის გადიდების ერთ-ერთი საშუალება საბაჟო და სატარიფო პოლიტიკა იყო.

კაპიტალიზმის განვითარების პირველ ეტაპზე თითქმის ყველა სახელმწიფო სარგებლობდა პროტექციონიზმის სისტემით, ამკრძალავი ბაჟებით იცავდა თავის მრეწველობას. 1822 წელს რუსეთის მთავრობამ, გაითვალისწინა რა ქვეყნის მოთხოვნები, თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესები, მკაცრი პროტექციონისტული ტარიფი შემოიღო, უცხოურ იმპორტულ საქონელზე 25—50% ბაჟი დაადო, რამაც ხელი შეუწყო რუსეთის მრეწველობის მთელი რიგი დარგების განვითარებას[12].

1822 წლის პროტექციონისტული ტარიფი ამიერკავკასიაზე არ გავრცელებულა. რუსეთის მთავრობამ, როგორც ჩანს ანგარიშში გაუწია კავკასიის მთავარმართებლის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ასეთი ამკრძალავი ბაჟი ამიერკავკასიიდან სახელმწიფო ხაზინას ბევრ არაფერს შემატებდა, მხარეს კი დიდ ზარალს მიაყენებდა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის ამიერკავკასიის გზით სატრანზიტო ვაჭრობის გაფართოების ინტერესი. პირველ ხანებში მაინც აქ შეღავათიან ტარიფს მოითხოვდა და არა ამკრძალავს.

XIX ს-ის დამდეგამდე დასავლეთ ევროპელი ვაჭრები ირანსა და ინდოეთში მისასვლელად ძირითადად თურქეთის ტერიტორიას, ერზრუმ-ყარსის გზას იყენებდნენ. 1804—1806 წლებში, მას შემდეგ რაც რუსეთმა შემოიერთა თითქმის მთელი ამიერკავკასია, აღდგენილ იქნა ამიერკავკასიის ტრანზიტული გზა და რუსეთის მთავრობამ მიზნად დაისახა დასავლეთ ევროპელი ვაჭრების ამ გზაზე გადმობირება. ამიერკავკასიის მთავარმართებლის წინადადების თანახმად, 1821 წ. 8 ოქტომბერს, იმპერატორმა დაამტკიცა ბრძანება ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტარიფის შემოღების თაობაზე. შემოზიდულ საქონელზე დაწესდა 5%-იანი საბაჟო გამოსაღები.

ახალმა შეღავათიანმა ტარიფმა, მართლაც, მოიზიდა ევროპელი ნეგოციანტები. ამიერკავკასიის სატრანზიტო გზა გამოცოცხლდა. სავაჭრო ოპერაციები სწრაფად გაფართოვდა. 1822—1826 წლებში თბილისის გავლით ირანში შეიტანეს 5,5 მილ. მანეთის დასავლეთ ევროპული საქონელი, ხოლო 1827—1831 წლებში 11 მილ. მანეთის საქონელი[13]. 1821 წ 8 ოქტომბრის ბრძანების თანახმად, უცხოელ ვაჭრებს საქართველოს ტერიტორიაზე უნდა ეწარმოებინათ მხოლოდ ბითუმად ვაჭრობა. საცალო ვაჭრობა კი ადგილობრივ და რუს ვაჭართა პრივილეგიად ცხადდებოდა. ამ წესით კარგადისარგებლეს ადგილობრივმა ვაჭრებმა, უცხოური საქონლის გასაღებით საკმაო მოგება დააგროვეს. ქართველი და სომეხი ვაჭრები ტრანზიტულ ვაჭრობაშიც ჩაებნენ. ისინი მიდიოდნენ ლაიფციგის იარმარკაზე და დიდძალი საქონელი ჩამოჰქონდათ, რომლის ერთ ნაწილს საქართველოში ასაღებდნენ, მეტი კი ირანში გაჰქონდათ.

5%-იანი ტარიფის არსებობის მიუხედავად სახელმწიფო ხაზინას დიდი შემოსავალი არ უნახავს, რადგან სავაჭრო ბრუნვა რამდენჯერმე გადიდდა. რუსი ვაჭრების ერთი ნაწილი კი საგრძნობლად დაზარალდა. ამიტომ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა 1826 წელს იმპერატორის წინაშე აღძრა შუამდგომ-

[12] Н. С. Киняпина, Политика русского самодержавия в области промышленности, 1968, с. 111.

[13] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX ს., ტ. I, თბ., 1949, გვ. 194.

ლობა ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტარიფის გაუქმების თაობაზე. საქართველოს მთავარმართებელმა ერმოლოვმა სცადა ფინანსთა მინისტრის არგუმენტების გაბათილება. იგი ნიკოლოზ I-ს აუწყებდა: „შეღავათიანი ტარიფი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაყენებდა რუსეთს ზარალს, ევროპელ ვაჭრებს რომ ინასაკენ სხვა გზა რომ არ ჰქონდეთ. თუ შეღავათიანი ბაჟი გაუქმდა და ამიერკავკასიაზე პროტექციონისტული ტარიფი გავრცელდა, ევროპელი ვაჭრები კონსტანტინოპოლი-ანატოლია-ერზრუმის სატრანზიტო გზაზე გადაინაცვლებენ, რითაც იხეირებს მოიგებს. რუსეთი კი დაზარალდებაო". იმპერატორმა ანგარიში გაუწია თავის კავკასიური მოხელის აზრს და შეღავათიანი ტარიფი კიდევ რამდენიმე წელს დარჩა ძალაში[14].

XIX ს-ის 30-იანი წლების დამდეგს რუსმა ვაჭრებმა დაჟინებით მოითხოვეს ამიერკავკასიაში 5%-იანი ტარიფის გაუქმება და ამკრძალავი ტარიფის დაწესება, ამის გარეშე რუსეთის მრეწველობა ვერ განვითარდება, იმპერიის განაპირა მხარეების ბაზრებს ვერ დაიპყრობსო. ამიერკავკასიის ადმინისტრაცია კვლავ იცავდა შეღავათიან ტარიფს და ამას იმით ასაბუთებდა, რომ იგი პასუხობდა თვით რუსეთის ინტერესებს. მთავარმართებელი როზენი წერდა: „მხოლოდ კაპიტალის დაგროვებას, ვაჭრობის გამოცოცხლებას შეუძლია სამხარის ადგილობრივი მოსახლეობა უცხოელთაგან გამოიყვანოს სასარგებლო მესარეწეობანი, აბრეშუმის ლოფლის მეურნეობა და დანერგოს რუსეთისათვის საჭირო ეკოლოგიური მცენარეულობანი"[15]. ბარონ როზენის წაქეზებით თბილისელმა ვაჭრებმა კოლექტიური არზა მიართვეს იმპერატორს შეღავათიანი ტარიფის კიდევ 10 წლით გაგრძელების თაობაზე. მაგრამ ამან უკვე ველარ გაჭრა. 1831 წელს 3 ივნისს გამოვიდა ბრძანება ამიერკავკასიის ტერიტორიაზე საერთო საიმპერიო პროტექციონისტული ტარიფის გავრცელების შესახებ.

XIX ს-ის 20—40-იან წლებში რუსული კაპიტალი რამდენადმე გააქტიურდა. თბილისში დაარსდა რამდენიმე სავაჭრო კომპანია. მაგრამ რუსმა ვაჭრებმა ამ დროს არსებითი წარმატებას ვერ მიაღწიეს. რუსეთის მთავრობა და თვით მრავალნაცადი კანკრინიც კარგად ხედავდნენ, რომ შეღავათიანი ტარიფის გაუქმებამ რუსული კაპიტალის ამიერკავკასიაში ექსპანსია ვერ გააძლიერა, მაგრამ შეღავათების აღდგენის მოთხოვნას არავინ აკმაყოფილებდა. კანკრინი უარყოფდა ამიერკავკასიის მრეწველობის განვითარების საჭიროებას და ამ ქვეყანას ნედლეულის მწარმოებელ ბაზად და რუსული სამრეწველო საქონლის გამსაღებელ ბაზრად ამზადებდა.

შეღავათიანი ტრანზიტის მოქმედების წლებში, როცა სავაჭრო ბრუნვა სწრაფად გაიზარდა, მეფის მთავრობის კავკასიურმა ადმინისტრაციამ მეტი ყურადღება მიაქცია გზებს, კავშირგაბმულობას. მეტი სიჩქარით ილავმა ფეოდალური შეუვალობანი, მოისპო შინაგანი ბაჟები, შედარებით ხელსაყრელი პირობები შექმნა ვაჭრობისა და მეურნეობის განვითარებისათვის. მეფის რუსეთის კავკასიელ მოხელეებსაც მეტროპოლიის ინტერესები ამოქმედებდა. მაგრამ გატარებულმა ღონისძიებებმა ობიექტურად დადებითი როლი შეასრულა. ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებას, ხელსაყრელი პირობები შექმნა ადგილობრივ საწარმოო ძალთა განვითარებისათვის.

---

[14] პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 227—229.
[15] იქვე, გვ. 236.

XIX ს-ის 50-იან წლებში დაისვა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. ინჟინერ-კაპიტანი სტატკოვსკი ბაქო-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანას სამხედრო-სტრატეგიული საჭიროებით ასაბუთებდა. იმავე წელს წამოყენებულ იქნა ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობის წინადადება და მის საჭიროებას უკვე სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესებით ხსნიდნენ. მოსკოველმა კაპიტალისტმა კოკორევმა ეს ორივე ვარიანტი გააერთიანა, წინადადება წამოაყენა ფოთის, ბაქოს რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობისათვის აქციონერული კომპანიის ჩამოყალიბების თაობაზე.

1858 წელს ამ დიდ საქმეს კავკასიის ადმინისტრაცია ჩაუდგა სათავეში. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ შუამდგომლობა აღძრა იმპერატორის წინაშე ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის გაყვანის შესახებ. „რკინიგზა, წერდა იგი, — ამიერკავკასიისათვის იქნება იგივე, რაც არის სარწყავი არხი ნაყოფიერი, მაგრამ მზით გადამწვარი ველებისათვის: რკინიგზა აღორძინებს ამ მხარის საწარმოო ძალებს, გამოაჩენს წიაღის სიმდიდრეს, რაც ამჟამად დამარხული და გამოუყენებელია“[16]. ამ შუამდგომლობის შემდეგ, მართალია, ცენტრალური მთავრობა ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის საკითხით დაინტერესდა, მაგრამ თეორიულ სტადიას არ გასცილებია.

1864 წელს მეფისნაცვალმა მიხეილ რომანოვმა კვლავ დასვა იმპერატორის წინაშე ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობის საკითხი. იგი, მართალია, აქცენტს აკეთებდა რკინიგზის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, მაგრამ იმასაც აღნიშნავდა, რომ რკინიგზა მოიზიდავს დასავლეთ ევროპის ვაჭრებს და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ სატრანზიტო გზა თურქეთიდან ამიერკავკასიაში გადმოინაცვლებს, რაც სახელმწიფო ხაზინის დიდ შემოსავალს მისცემსო.

კავკასიის ადმინისტრაციის მეთაურის ეს შუამდგომლობა ცენტრალურმა მთავრობამ დააკმაყოფილა. 1865 წელს სახელმწიფო ხაზინამ 3.2 მლნ. მანეთი გამოყო იმ მიწების შესასყიდად, რომელზეც რკინიგზას უნდა გაევლო. შემუშავებული გეგმის თანახმად, პირველი რიგის სამუშაოები (ნიადაგის გასწორება, ხიდების აგება და სხვ.) ხაზინის ხარჯით იწარმოებდა და 1870 წ. აპრილისათვის დამთავრდებოდა, რის შემდეგაც მოიწვევდნენ უცხოელ კონცესიონერებს. მალე ინგლისელმა კაპიტალისტებმა პარკინსმა და პაუკერმა რუსეთის მთავრობას წარმოუდგინეს კონცესიის კონკრეტული პროექტი, რომელიც 1867 წ. 2 ივნისს დამტკიცდა.

წინასწარ სამუშაოებზე ფართოდ იყენებდნენ ადგილობრივი გლეხების და ჯარისკაცების თითქმის უფასო შრომას. მაგრამ 1869 წლამდე რკინიგზის მშენებლობაზე მაინც დაიხარჯა 2 მლნ მანეთი. მეფისნაცვალმა დამატებით 3 მლნ მანეთი მოითხოვა. უმაღლეს მთავრობას ეჭვი შეეპარა კავკასიის ადმინისტრაციის სამშენებლო უნარში, დამატებით თანხის მიწოდებაზე მას უარი უთხრა და ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის მშენებლობის კონცესია ნაადრევად გადასცა ინგლისელ კონცესიონერებს. ამ უკანასკნელებმა სწრაფი ტემპი აიღეს. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზი, რომლის გაყვანა 23 მლნ მანეთი დაჯდა, 1872 წლის მეორე ნახევარში ამუშავდა.

---

16 А. Аргутинский-Долгоруков, История сооружения и эксплуатации Закавказской железной дороги, Тб., 1896, с. 11.

1879 წელს ინგლისელმა კაპიტალისტებმა მიიღეს კონცესია და 1883 წელს დაამთავრეს თბილის-ბაქოს რკინიგზის ხაზის მშენებლობა. იმავე წელს ექსპლუატაციაში შევიდა სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზიც. 1887-1895 წლებში გაიყვანეს ქუთაის-ტყიბულის, ხაშური-ბორჯომის და შორაპან-ჭიათურის რკინიგზის ხაზები. 1890 წელს დამთავრდა წიფის გვირაბის მშენებლობა, რამაც ძალიან გაზარდა ამიერკავკასიის რკინიგზის გამტარუნარიანობა.

18 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი ინგლისელ კაპიტალისტთა კომპანიის ხელში იყო, მის გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა. რუსეთის მთავრობამ გაითვალისწინა რა ამ ხაზის დიდი სტრატეგიული და კომერციული მნიშვნელობა, 1889 წელს გამოისყიდა ამიერკავკასიის რკინიგზა და იგი გზათა სამინისტროს დაუქვემდებარა[17].

ამიერკავკასიაში, მართალია, არ დაარსებულა ორთქმავლებისა და ვაგონების მწარმოებელი ქარხანა. მაგრამ მეფის მთავრობა იძულებული იყო თანდათან გაეფართოვებინა ინგლისელ კაპიტალისტთა მიერ აგებული რკინიგზის სახელოსნოები. 1883 წელს ამ სახელოსნოებში შეკეთდა 14 ორთქმავალი და 413 ვაგონი. 1893 წ. 60 ორთქმავალი და 2097 ვაგონი. ორთქმავალ-ვაგონთშემკეთებელმა ქარხანამ, რომლის მუშათა კონტინგენტი 3—4 ათასამდე გაიზარდა, 1904 წ. შეასრულა 4,2 მლნ მან., ხოლო 1913 წელს 5,4 მლნ მანეთის ღირებულების სარემონტო სამუშაოები[18].

ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ინიციატორთა ვარაუდი გადაჭარბებით გამართლდა. მისი ტვირთბრუნვა და ამდენად სახელმწიფო ხაზინის შემოსავალიც ძალიან სწრაფად იზრდებოდა. საილუსტრაციოდ მოვმართოთ სტატისტიკას[19]:

რკინიგზის მთელი შემოსავალი	სუფთა მოგება
1890 წ. — 21.149912 მან.	10.373070 მან.
1901 წ. — 26,651635 მან.	12.801557 მან.
1903 წ. — 32,288213 მან.	18,918441 მან.
1913 წ. — 35.515317 მან.	20.724045 მან.

ამიერკავკასიის რკინიგზამ, ერთმანეთთან დააკავშირა რა სასოფლო-სამეურნეო რაიონები და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრები, ხელი შეუწყო საქონელმიმოქცევის გაფართოებას, კაპიტალიზმის განვითარებას.

მეფის მთავრობა დაინტერესებული იყო ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობის ისეთი დარგების განვითარებით, რომელთა ევროპულ რუსეთში დანერგვას ბუნებრივი პირობები არ უწყობდა ხელს. მეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაცია გარკვეულ სახსრებს ხარჯავდა მევენახეობა-მეღვინეობის, მებამბეობის, მეაბრეშუმეობის, მეხილეობა-მებოსტნეობის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ XIX ს-ის 80-იან წლებში ვაზის ყველაზე საშიში მტერი — ფილოქსერა საქართველოშიც გამოჩნდა და მალე საფრთხეში ჩააგდო მევენახეობა. რუსეთის მთავრობა, რომელსაც სურდა მეტად ძვირად ღირებული

---

17 А. Аргутинский-Долгоруков, დასახ. ნაშრომი, გვ. 30—35.

18 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, გვ. 97—98.

19 Краткий обзор комерческой деятельности Закавказской железной дороги за 1903 г. и 1913 г.

ფრანგული ღვინოების იმპერიისაგან განთავისუფლება, ვერ დაუშვებდა ამ დარგის დაცემა-განადგურებას. როგორც ჩანს, სათანადო მითითება მიიღო ამიერკავკასიის მთავარმმართველობამ ვაზის ამ ახალი მავნებლის წინააღმდეგ საბრძოლველად. 1890 წელს ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა ე. წ. „საფილოქსერო კომიტეტი", რომლის განკარგულებაში ყოველწლიურად გადაირიცხებოდა 115 ათასი მანეთი. დასავლეთ საქართველოში გაიგზავნენ მევენახე აგრონომები. ფილოქსერის აღმოსავლეთისაკენ გავრცელების შესაჩერებლად შეიქმნა დამცველი ზონები რაჭა-ლეჩხუმსა და ქართლ-იმერეთის საზღვარზე. მაგრამ ამ ღონისძიებას კარგა ხანს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. სწრაფად მცირდებოდა ვენახების მოსავლიანობა, იკვეცებოდა მათი ფართობი.

საფილოქსერო კომიტეტმა არა ერთი სხდომა ჩაატარა ფილოქსერასთან ბრძოლის მეთოდების შესამუშავებლად. საფრანგეთიდან გამოიწვიეს პროფესორი მარიონი. მან მიზანშეწონილად მიიჩნია ვაზის შეცვლა ჯვარედების კულტურით, რადგან ფიქრობდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ვერ შეძლებდა მევენახეობის გადაყვანას ინტენსიურ რელსებზე. ადგილობრივ სპეციალისტთა შორისაც ბევრი იყო სკეპტიკოსი. მხოლოდ მცირე ჯგუფი, სტაროსელსკისა და ანდრონიკაშვილის მეთაურობით აცხადებდა, რომ მევენახეობის გადარჩენისათვის საჭირო იყო ვაზის გადაყვანა ამერიკულ საძირეზე. ამ ჯგუფის ინიციატივას მხარი დაუჭირა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და 1891 წელს სოფ. საქარაში დაარსდა ამერიკული ვაზის პირველი სანერგე[20].

1896 წლიდან საქარის სანერგემ დაიწყო ამერიკულ საძირეზე დანამყნობული და დაფესვიანებული ვაზების მოსახლეობაზე გაყიდვა. მალე ასეთივე საქმიანობა გააჩაღეს ქორეისუბნის, ალაიანის და კონდოლის სახელმწიფო სანერგეებმა. თანდათან გამრავლდა კერძო სანერგეებიც. მემამულეთა ნაწილი და მშრომელი გლეხობაც ამ კრიტიკულ მომენტში მთწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ქართველმა მევენახეებმა ადვილად აითვისეს ადგილობრივი ვაზის ჯიშების ამერიკულ ფილოქსერაგამძლე საძირეზე დანამყნების წესი და ვენახის მოვლის რაციონალური მეთოდები. ისინი წარმატებით ცვლიდნენ ფილოქსერით დაავადებულ-განადგურებულ ვენახებს ახალი ნამყენი ვენახებით. 1913 წელს დასავლეთ საქართველოში ახალი ვენახების ფართობი 13 ათას დესეტინას აჭარბებდა. აღმოსავლეთ საქართველოში ძველი ვენახების ახლით შეცვლა შედარებით გვიან მოხდა. არსებული მასალა ცხადყოფს, რომ XX ს-ის პირველ ოცწლეულში მევენახეობის კულტურა ამაღლდა, მწარმოებლურობა საგრძნობლად გაიზარდა. 1913 წელს საქართველოში დააყენეს 10 მილ. ვედრო ღვინო, მთელ ამიერკავკასიაში კი — 17 მილიონი ვედრო. აქედან რუსეთში გავიდა 4,6 მილ. ვედრო (26,1 %)[21]. მაღალხარისხოვანი ქართული ღვინოები რუსეთის ბაზრებზე თანდათან იკავებდნენ ფრანგული ღვინოების ადგილს, რითაც თავის გარკვეულ წვლილს შეჰქონდათ რუსეთის საგარეო ვაჭრობის აქტიური ბალანსის ზრდაში.

მეტროპოლიის აბრეშუმის ფაბრიკები დიდი რაოდენობით საჭიროებდნენ ნედლეულს. რუსეთის მთავრობა, ბუნებრივია, გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა აბრეშუმის პარკის წარმოების გაფართოება-გაუმჯობესებისათვის. კავ-

---

[20] პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, ნაწ. 1, გვ. 582—589.

[21] პ. გუგუშვილი, შინამრეწველური მეღვინეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, 3, 1949, გვ. 137.

კასიის ადმინისტრაციამ გამოიჩინა ინიციატივა და 1887 წელს დაარსა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელიც თანდათან აფართოებდა საქმიანობას. XIX—XX სს. მიჯნაზე ამ სადგურს ჰქონდა თუთის ხის სანერგე, ქიმიური, ზოოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიები. 1910 წელს სადგურთან გაიხსნა მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის ერთთვიანი კურსები, რომელმაც მოამზადა 68 სპეციალისტი[22].

სხვა ფაქტორებთან ერთად მეაბრეშუმეობის სადგურის საქმიანობამაც შეუწყო ხელი ამ დარგის აღმავლობას. XIX ს-ის 80-იან წლებთან შედარებით XX ს-ის 10-იანი წლებისათვის აბრეშუმის პარკის წარმოება 3-4-ჯერ გაიზარდა. ეს დარგი საქართველოს მოსახლეობას ყოველწლიურად 3 მლ. მანეთს აძლევდა.

XIX ს-ის 60-იან წლებამდე საქართველოში მეთამბაქოობა ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო. ამ დარგის განვითარებას სტიმული მისცა 1877 წელს რუსეთის მთავრობის მიერ დაწესებულმა პროტექციონისტულმა ტარიფმა: ერთი ფუთი იმპორტული თამბაქო 14 მანეთით დაიბეგრა. ამან მთლიანად აღკვეთა თურქული თამბაქოს შემოტანა, ამიერკავკასიის მეთამბაქოეობა კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ამ დარგის სწრაფი განვითარება. 1879 წლიდან 1914 წლამდე თბილისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი გაიზარდა 390 დესეტინიდან 1315 დესეტინამდე, მოსავლიანობა კი 14 ათასი ფუთიდან 107 ფუთამდე. ბათუმის ოლქში 1902 წელს თამბაქოს პლანტაციების ფართობი 638 დესეტინას, მოსავალი 30 ათას ფუთს შეადგენდა. 1914 წლისათვის თამბაქოს პლანტაციები გაფართოვდა 1014 დესეტინამდე, მოსავალი კი გაიზარდა 68 ათას ფუთამდე. 1879 წელს აქ თამბაქოს ეკავა სულ 9 დესეტინა, 1914 წელს კი 13 ათასი დესეტინა. მოსავალი რამდენიმე ათეული ფუთიდან გაიზარდა 602 ათას ფუთამდე.

1914 წელს საქართველოში სულ დაამზადეს 803 ათასი ფუთი თამბაქო, რომლის ღირებულება 10 მლ. მანეთს უდრიდა. 1912 წელს დამზადებული პროდუქციის 15—20% ადგილობრივ ქარხნებში გადაამუშავდა, დანარჩენი კი რუსეთში გავიდა[23].

რუსეთის ბამბეულის სართავ-საქსოვი ფაბრიკები დიდი რაოდენობით საჭიროებდნენ ნედლეულს, რადგან XIX—XX სს. მიჯნაზე 20%-ით თუ აკმაყოფილებდნენ სამამულო მებამბეობას. მთავრობა, რა თქმა უნდა, ცდილობდა იმპერიის სამხრეთი რაიონების მოსახლეობის წახალისებას, ბამბის პლანტაციების გაფართოებას. აქაც გამოყენებულ იქნა პროტექციონისტული ტარიფი. 1887 წ. ერთ ფუთ იმპორტულ ბამბაზე დაწესდა 1,20 მან. ბაჟი, 1895 წელს ტარიფი გაიზარდა 3,15 მანეთამდე, 1900 წელს კი 4,15 მანეთამდე. ამან განამტკიცა იმპერიის მებამბეთა პოზიციები შინაურ ბაზარზე და გამოიწვია მებამბეობის სწრაფი აღმავლობა სამხრეთში.

XIX ს-ის 80-იან წლებში ამიერკავკასია წლიურად იძლეოდა 150 ათას ფუთ ბამბას, 1911 წელს კი ამ მხარემ დაამზადა 1,5 მლ. ფუთი გაწმენდილი ბამბა, რომლის ღირებულება 15—16 მლ. მანეთს შეადგენდა[24].

---

[22] Отчет о деятельности Кавказской шелководственной станции за 1910 г., с. 31—32.

[23] Обзор отраслей промышленности в Закавказском крае, служащих источником косвенных налогов и поступления акцизного по краю дохода, за 1912 г., с. 150—151.

[24] Н. П. Таратинов, Современное положение хлопководства в Закавказском крае, т. 1912, с. 3—4.

რუსეთი იყო ჩაის ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებელი და მის იმპორტზე დიდძალი ვალუტა იხარჯებოდა. მეფის მთავრობამ თავიდანვე მიაქცია ყურადღება საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს, მიზნად დაისახა აქ ჩაის კულტურის დანერგვა. მ. ვორონცოვის ინიციატივით ჩინეთიდან გამოწერილი ჩაის ბუჩქები თავდაპირველად ნიკიტის ბაღში (ყირიმი) დარგეს. აქედან კი გაიგზავნა გურია-სამეგრელოში. მ. ერისთავმა 1864 წელს ქართული ჩაის მზა პროდუქციის პირველი ნიმუში წარადგინა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებაში[25].

1872 წელს მეფისნაცვალმა კავკასიაში მიხეილ რომანოვმა ჩაის გაშენებისათვის აქციონერული საზოგადოების ჩამოყალიბების ნებართვა მისცა გაზ. „კავკაზის" ყოფილ რედაქტორს სტალინსკის! ამ უკანასკნელმა ინდოეთიდან მოიწვია მეჩაიეობის ცნობილი სპეციალისტი დაიელი, რომელმაც თან ჩამოიტანა სხვადასხვა ჯიშის ჩაის თესლი და ნერგები. მაგრამ იმის გამო, რომ საზოგადოებამ ხაზინისაგან დაპირებული მიწის ნაკვეთი დროულად ვერ მიიღო, წამოწყებამ მარცხი განიცადა[26].

XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში ჩაის გაშენების იდეის კომპეტენტურ დამცველად გამოვიდა ცნობილი გეოგრაფი და მეტეოროლოგი ა. ვოეიკოვი. 1884 წელს ბოტანიკოსთა და მებაღეთა პეტერბურგის საერთაშორისო ყრილობაზე საქართველოში ჩაის კულტურის გაშენების წინადადებით გამოვიდა ზეიდელიცი. ცოტა მოგვიანებით მან ჩინეთიდან გამოიწერა ჩაის ბუჩქები და დარგა ამ საქმით დაინტერესებულ სოლოვცოვის მამულში (ჩაქვი). მალე აქ გაშენდა პატარა პლანტაცია, რომელიც 400 ათას ბუჩქს ითვლიდა.

ამ წარმატებულმა ცდამ მიიპყრო საუფლისწულო უწყებისა და დიდვაჭარ პ. პოპოვის ყურადღება. მათ ცალ-ცალკე გაგზავნეს ექსპედიციები ჩინეთს, იაპონიასა და ინდოეთში. დაადგინეს, რომ აჭარა-გურიის ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები მეჩაიეობის ძველი რაიონების მსგავსი იყო. ჩინეთიდან ჩამოყვანილი სპეციალისტების დახმარებით საუფლისწულო უწყებამ და პოპოვმა აჭარაში გააშენეს პლანტაციები და მალე ძალიან კარგი ხარისხის პროდუქცია მიიღეს.

რამდენიმე წლის გამოცდილებამ კ. პოპოვი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება ძვირი ჯდებოდა. იქ კაპიტალის მოგება მცირე იყო და მოგებით დაინტერესებული ბურჟუები მას ხელს არ მოკიდებდნენ. პოპოვს მიაჩნდა, რომ ამ საქმეში მასობრივად უნდა ჩაბმულიყვნენ ადგილობრივი გლეხები და მოსული წვრილი მოიჯარეები. კ. პოპოვი მოუწოდებდა კავკასიის ადმინისტრაციას ჩაის კულტურისათვის ვარგისი სახაზინო მიწები მცირე ნაკვეთებად (1—2 დეს.) გაეცათ იჯარით მომავალ წვრილ პლანტატორებზე. ამასთან, ყოველ მიკრორაიონში მოეწყო ფაბრიკები წვრილ მეურნეთაგან ჩაბა-

[25] ЦГИА СССР, ф. 515, оп. 91, д. 142, лл. 1—2.
[26] იქვე, ფფ. 2—3.

რებული ჩაის ფოთლის გადამუშავებისათვის. მისი აზრით, უნდა მოწყობილიყო აგრეთვე სანერგეების, ჩაის საცდელი პლანტაციების და სამეცნიერო სადგურების საკმაოდ ფართო ქსელი, მომზადებულიყო აგრონომ-ინსტრუქტორთა კადრები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოსახლეობაში ჩაის წარმოების მოწინავე აგროწესების დანერგვას. კ. პოპოვი თავის ამ ბარათში იმასაც წერდა, აქამდე ნავარაუდევ 145 ათას დესეტინაზე გაცილებით მეტია თუ სახელმწიფო ქონებისა და მიწათმოქმედების სამინისტრო ამ დარგს სათანადო ყურადღებას მიაქცევს, ძალიან მალე რუსეთი ჩაის პროდუქციის გარდა, მეტს საზღვარგარეთაც კი გაიტანსო[27].

კ. პოპოვის პროექტი განუხორციელებელი დარჩა, ჩაის წვრილსაქონლური წარმოება ვერ განვითარდა. ეს დარგი თავიდანვე კაპიტალისტურ ყაიდაზე მოეწყო და ძირითადად ასეთი დარჩა რევოლუციამდე. 1900 წელს საუფლისწულო უწყებისა და პოპოვის ჩაის პლანტაციების ფართობი 186 დეს., ხოლო 1914 წელს 742 დეს. უდრიდა. 1915 წელს დამზადებული 1 მილ. კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლიდან ორი მესამედი საუფლისწულო უწყებაზე მოდიოდა.

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ მეფის მთავრობისა და მისი კავკასიური ადმინისტრაციის ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობდა სავაჭრო და კაპიტალისტური მიწათმოქმედების განვითარებას. ამით სარგებლობას პოულობდნენ როგორც მეტროპოლიის ბურჟუაზია, ისე ადგილობრივი გაბატონებული ფენები. ამ დარგებში დასაქმებული უშუალო მწარმოებელი მასის მძიმე მდგომარეობა კი არსებითად არ იცვლებოდა.

XIX—XX სს. მიჯნაზე საქართველოს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, მართალია, საშუალო დონეს აღწევდა, შეიმჩნეოდა წარმოების გამსხვილების, ბურჟუაზიულ მეურნეობათა მასშტაბის ზრდის ტენდენცია, მაგრამ ჯერ კიდევ წვრილსაქონლური მეურნეობები სჭარბობდნენ. საქართველო უფრო გლეხური ქვეყანა იყო ვიდრე რუსეთი (ვ. ი. ლენინი).

ისიც ფაქტია, რომ საქართველოში უფრო მეტი რაოდენობით დარჩა ბატონყმობის ნაშთები. გლეხობის დიდი ნაწილი სხვის მიწას ამუშავებდა და მიწის რენტას იხდიდა. დროებითვალდებულება და კაბალური იჯარა გლეხობაში კლავდა სტიმულს, ხელს უშლიდა საწარმოო ძალთა განვითარებას. ბატონყმობის ნაშთები იყო სოციალური ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ძირითადი მიზეზი. გლეხთა აგრარული მოძრაობა XX ს-ის დამდეგს რევოლუციაში გადაიზარდა, საქართველო რუსეთის პირველი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი კერად გადაიქცა.

ქართველი გლეხობა, რომელიც მასობრივად გადიოდა საშოვარზე ქალაქებსა და სავაჭრო-სამრეწველო ცენტრებში და ამიტომ მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა მუშათა კლასთან, საკმაოდ სწრაფად ამაღლდა სოციალ-დემოკრატიულ

27 ЦГИА СССР, ф. 560, оп. 26, д. 1393, лл. 5—12

მოთხოვნათა დონეზე და წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებანი, რაც რევოლუციის გაღრმავების კვალობაზე თანდათან უფრო რადიკალური ხდებოდა. ქართველი გლეხობა კერძოდ, მოითხოვდა:

1. ყოველგვარი სახის დამოკიდებულებითი ურთიერთობის გაუქმებას: მთელი გლეხობის, გამოსყიდვის გარეშე, მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანას. ხაზინისა და თავადაზნაურთა მიწის ფონდიდან გლეხობისათვის საკმარისი რაოდენობით საძოვრებისა და ტყეების გამოყოფას; 2. არაპირდაპირი გადასახადების და სხვადასხვა ბაჟის მოსპობას, საშემოსავლო გადასახადის შემოღებას და მისგან 500 მანეთზე ნაკლებ შემოსავლიან მეურნეობათა განთავისუფლებას; 3. გზებისა და სამელიორაციო არხების გაყვანა-შეკეთების ყველა წოდებისათვის თანაბრად დავალებას, ან ამ საქმის მთლიანად სახელმწიფოსათვის დაკისრებას; 4. მოჯამაგირეებისადმი არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას, დაქირავებული მუშების თვითნებური დათხოვნის შეზღუდვას და მათთვის ხელფასის მომატებას; 5. წოდებრიობისა და წოდებრივ პრივილეგიათა გაუქმებას, სასოფლო და სამაზრო თვითმმართველობების (ერობა) შემოღებას; 6. სწავლა-განათლების სისტემის დემოკრატიზაციას, უფასოდ დედაენაზე სწავლების შემოღებას; 7. შეკრების, სიტყვის, წესის, ამხანაგობათა შექმნის, გაფიცვის თავისუფლებას და სხვ.

გლეხობას უკვე კარგად ესმოდა, რომ მეფის მთავრობა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, დემოკრატიულ თავისუფლებათა განხორციელებას არ მოისურვებდა. ამიტომ არა მარტო გლეხობა, არამედ საერთოდ მშრომელი მასა და პირველ რიგში მუშათა კლასი საჭიროდ მიიჩნევდა: 1. მართვა-გამგეობის სადავეების ხალხის წარმომადგენელთათვის გადაცემას; 2. საყოველთაო, თანასწორი, დახურული და პირდაპირი საარჩევნო სისტემის შექმნას.

Ш. Н. ВАНИШВИЛИ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ И СОЦИАЛЬНАЯ ПОЛИТИКА КАВКАЗСКОЙ АДМИНИСТРАЦИИ ЦАРСКОГО ПРАВИТЕЛЬСТВА

Резюме

Статья содержит анализ колониальной политики царского правительства в Грузии. Показана реакционная природа буржуазного правления в общем и — особенно — ограничение социальной и экономической политики администрации Закавказья.

Администрация Закавказья выполняла, с одной стороны, требования царского правительства, а с другой стороны, защищала интересы местных господствующих классов, подавляя сопротивление трудовой массы.

SH. VANISHVILI

COLONIAL ROLICY OF TSA?IST GOVERNMENT IN GEORGIA

Summary

There is underlined colonial policy of the tsarist government in Georgia in the paper. Reactional nature of bourgeois goeenment i general and especially limitation of sncial and economic policy of the Caucasus regicn εministration is shown in the psper.

The administration of the Caucasus region fulfiled, on one hand, the requirements of the tsarist government, on the other hand, defended the interests of the local ruling classes and overwhelmed all opposition from the labour mass.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დ. მუსხელიშვილმა

Дж. Л. ВАТЕЙШВИЛИ

ПО СЛЕДАМ НИКИФОРА ИРБАХА

4. Краткий комментарий к политическим итогам посольства Никифора Ирбаха в Испанию

Грузинское посольство 1625—1629 годов в Западную Европу, в том числе в Испанию (1627—1628 гг.), состоялось, как уже отмечалось, в условиях чрезвычайно напряженной политической обстановки в восточногрузинских царствах Картли и Кахети, которые после одержанной в Марткопском сражении победы над персами остро нуждались в закреплении достигнутого, стабилизации положения в царствах и ограждении их населения от эксцессов недавнего прошлого. Такое могло быть гарантировано лишь вследствие привлечения на свою сторону «третьей силы», иными словами, мощного союзника восточногрузинских царств, который оказался бы способен, прежде всего, приостановить или вовсе положить предел перманентному кровопролитному конфликту этих царств с Персией, взяв их под свое могучее покровительство.

В тех конкретных политических условиях грузинская политическая мысль и дипломатия, будучи достаточно зрелыми и обладавшими необходимыми, соответствующими требованиями века, средствами и уровнем самовыражения, о чем свидетельствуют сохранившиеся исторические документы, в качестве такого возможного своего союзника определили Испанию. В этом выборе был свой резон: он заключался не только в том, что Испания в то время еще не успела полностью утратить свое реноме мощной колониальной державы и «владычицы морей», но и в том, что Грузия и Испания являлись теми «двумя Ибериями», а грузины и испанцы — теми иберами восточными и западными, на коренное и кровное родство которых указывала традиция, восходящая к незапамятным временам, и на которую более чем откровенно намекало содержание одной из любопытнейших исторических справок, присутствующих в рассматриваемой связке документов из архива Симанкас[**].

Тем не менее, главной подоплекой этого выбора, как уже известно, послужило совпадение политических интересов Восточной Грузии и Испании в двух ближневосточных регионах, во-первых, в Персидском (более точно — Ормузском), где должен был сработать грузинский заговор против шаха Аббаса I и облегчить тем самым испано-

---

[*] Продолжение. Начало см. «Мацне», серия истории, 1991, № 2.

[**] Имеется в виду первая (историческая) часть «Сообщения об Иберии и иберах и грузинах, об их границах и их обращении (в веру), обрядах, силах, намерениях и т. д.».

португальским войскам возвращение этого региона под свою власть с тем, чтобы использовать затем их мощь в поддержку интересов восточногрузинских царств Картли и Кахети; и, во-вторых, в турецком, где должен был сработать другой грузинский заговор (на этот раз против султана), который предусматривал, с одной стороны, объединение усилий Теймураза I и его союзника, мятежного Абазы-паши в походе через Каппадокию и Вифинию на Константинополь, а с другой — поддержку этого похода с моря испанским флотом и морским десантом. Именно «выяснение отношений» с Испанией на предмет осуществления этих планировавшихся взаимовыгодных испано-грузинских военных мероприятий в двух ближневосточных регионах, по-видимому, в зависимости от того, какому из них испанская сторона склонна была отдать политическое предпочтение, составляло главную цель посольства Никифора Ирбаха.

Но, как уже известно, в связи с сугубой конспирацией задач прибывшего в Мадрид грузинского посольства проблематика Ормузского региона, которая для грузинской стороны являлась политически наиболее злободневной, не нашла отражения в соответствующих официальных документах, в которых все внимание было сосредоточено на рассмотрении плана Теймураза I о «крестовом походе» против Турции. В самом деле, если проследить за содержанием этих документов, выясняется, что законспирированной оказалась лишь та часть протокольно и другим способом зафиксированного фактического материала, которая касалась Персии, но не Турции, хотя Ормузская проблема грузинским послом была поставлена перед испанским правительством с самого начала своего общения с Государственным советом Испании[90].

Факт замалчивания в испанских документах проблемы Ормузского региона, скорее всего явился следствием соответствующей просьбы грузинской стороны, что имело веское объяснение: европейские державы располагали при дворе шаха Аббаса I множеством различных миссий и представительств, начиная с дипломатов разного ранга и профилей и до католических миссионеров различных Орденов (иезуитов, капуцинов, босоногих кармелитов, францисканцев и других), которые основные свои обязанности подчас совмещали с функциями осведомителей персидского двора, наверное, не без вознаграждения за это. Между тем, в Турции в то же время наблюдалась другая картина: дипломатические и другие представительства западноевропейских стран были здесь столь редки, что французскому послу в Константинополе, особенно в ту пору, приходилось представлять, а иногда и отстаивать при султанском дворе интересы тех или других западных стран, которые не имели своих полномочных дипломатических представительств в Турции. Соответственно и опасность того, что информация о существе переговоров грузинского посла в Мадриде могла стать достоянием персидского двора, просочившись по разным каналам, была более реальной, чем проникновение такой информации в Турцию. Впрочем, ее возможная утечка в Турцию, да еще в том контексте, в каком она была представлена в соответствующих испан-

---

[90] См. вышеприведенные письма Теймураза I и Иерусалимского патриарха Феофана, доставленные в Мадрид Никифором Ирбахом, а также — запись первой конфиденциальной беседы с ним, в которых заострялось внимание испанских властей на проблематике Ормузского региона.

ских официальных документах, не столь устрашала грузинского царя и его посла, ибо, как уже отмечалось, шаху Аббасу I, от которого исходила главная опасность для грузинских заговорщиков (особенно тех, которые находились в Персии), скорее всего, могли импонировать тайные донесения о связях грузин с испанцами против Турции.

მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა დამარცხებისა და „ელვისებური ომის“ გეგმის ჩაშლის შემდეგ ვერმახტის მიერ 1942 წლის 23 ივლისს დამტკიცებულ № 45-ე დირექტივაში — „ედელვაისის“ კოდური სახელწოდებით განისაზღვრა კავკასიის დაპყრობის გეგმა. აღნიშნული გეგმიდან გამომდინარე ფაშისტური სარდლობა მიზნად ისახავდა ალყაში მოექცია და გაენადგურებინა საბჭოთა ჯარები როსტოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაეუფლებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიას, შემდეგ ნავარაუდევი იყო კავკასიის მთავარი ქედის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, აგრეთვე, ჩრდილოეთიდან ერთდროული შემოვლით გადაელახათ მისი უღელტეხილები. ამიერკავკასიაში შეჭრით მტერი ცდილობდა შავი ზღვის ფლოტის ბაზების პარალიზებას, უშუალო კავშირის დამყარებას თურქეთის არმიასთან, რომლის 26 დივიზია საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვართან იყო გაშლილი. ფაშისტური ჯარების თურქეთის არმიასთან შეერთებით უნდა შექმნილიყო წანამძღვრები ახლო და შუა აღმოსავლეთში შესაჭრელად. ჰიტლერული გერმანიის სარდლობას კავკასიის დაპყრობის გეგმა შემთხვევით არ აურჩევია, რადგანაც საბჭოთა კავშირის (ქვეყნის) ცხოვრებაში კავკასიის მნიშვნელობა ძალზე დიდია. სასარგებლო წიაღისეულის მდიდარმა მარაგმა, ნაყოფიერმა მიწებმა, კავკასია გადააქციეს სამხედრო-სტრატეგიული და მრეწველობისათვის საჭირო ნედლეულის მდიდარ წყაროდ, აგრეთვე, ქვეყნის მნიშვნელოვან სასურსათო ბაზად.

ომის წინა ხუთწლედებში ამიერკავკასიის რესპუბლიკების მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. აქ აგებული იქნა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ასობით საწარმო.

საქართველოში 1940 წელს 1913 წელთან შედარებით მძიმე მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოება 26-ჯერ გაიზარდა. საქართველოში ხდებოდა ქვანახშირის, ნავთობის, ტორფის, ფერადი და იშვიათი ლითონების მოპოვება.

უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოში უმდიდრესი ჭიათურის მარგანეცის მოპოვებასა და დამუშავებას, რომელმაც 1940 წლისათვის მარგანეცის მოპოვებაში საკავშირო მასშტაბით 56,6% შეადგინა. ჭიათურის მარგანეცისა და რიონჰესის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიის ბაზაზე 1933 წელს მწყობრში ჩადგა ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა[1].

სოციალურ გარდაქმნათა შედეგად საბჭოთა სომხეთში შეიქმნა, აგრეთვე, მსხვილი მრეწველობა, რომელიც 1941 წლისათვის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის 4/5-ს უშვებდა. სომხეთში ამუშავებდნენ ფერად ლითონებს, აწარმოებდნენ სამშენებლო და მინერალურ მასალებს, განსაკუთრებით მძლავრად იყო განვითარებული ქიმიური მრეწველობა.

ომის წინა წლებში აზერბაიჯანში კიდევ უფრო გაფართოვდა ნავთობის მოპოვება. აღსანიშნავია, რომ 1934—1940 წლებში რესპუბლიკის, ჭაბურღილები 235-ით გაიზარდა. 1940 წლისათვის კავკასიის ტერიტორიაზე მოქმედი 1726 ნავთობჭაბურღილი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის ჭაბურღილების 73,5%-ს შეადგენდა. ომის წინ აზერბაიჯანის ნავთობწარმოება საკავშირო ნავთობწარმოების 70%-ს შეადგენდა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ აზერბაიჯანი და კავკასიის სხვა რაიონები 1940 წლისათვის ქვეყანას აწვდიდნენ 2,5 მლრდ კუბომეტრ ბუნებრივ გაზს[2].

უაღრესად დიდი იყო კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა ქვეყნის სასურსათო პროდუქციის მარაგისათვის. ჩრდილოეთ კავკასია და ყუბანი ქვეყნის ერთ-ერთი უმდიდრესი რაიონები იყვნენ პურის, სიმინდის, მზესუმზირისა და შაქრის ჭარხლის წარმოებაში.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზაზე კარგად განვითარდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. კავკასიის ეკონომიკური მნიშვნელობა არ ამოიწურება მისი მაღალინდუსტრიული სამრეწველო ბაზითა და სასურსათო რესურსებით.

კავკასიის საზღვაო ნავსადგურებით საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი ხორციელდებოდა. სსრ კავშირის მთელი ექსპორტის 55% და იმპორტის 50% მიედინებოდა სამხრეთის, მათ შორის, კავკასიის ნავსადგურების საშუალებით.

კავკასიისა და შავი ზღვის კომუნიკაციები ჩვენს ქვეყანას მეზობელ ქვეყნებთან ირანთან და თურქეთთან აკავშირებენ, ხოლო სპარსეთის ყურის, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით მსოფლიო საოკეანო გზებზე გადიოდა. დიდი სამამულო ომის წლებში სპარსეთის ყურის, ირანისა და კასპიის ზღვის გავლით არსებულ სავაჭრო გზებს მეორე ადგილი ეჭირა აშშ-დან და ბრიტანეთის იმპერიიდან შეიარაღების, საბრძოლო მასალის, სურსათისა და, აგრეთვე, სტრატეგიული ნედლეულის შემოზიდვაში.

დიდია კავკასიის პოლიტიკური მნიშვნელობა. ჩრდილოეთით კავკასიის მთავარი ქედიდან დონის როსტოვამდე განლაგებულია კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, როსტოვის ოლქის ნაწილი, რიგი ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქები.

კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა უაღრესად მრავალ-

---

[1] ა. გრეჩკო, ბრძოლა კავკასიისათვის, მოსკოვი, 1973, გვ. 9.
[2] იქვე, გვ. 10.

ფეროვანია[1]. სწორედ მათ შორის წინააღმდეგობებზე ამყარებდა იმედს ვერმახტის სარდლობა.

საბჭოთა კავკასიას მნიშვნელოვანი ტერიტორია უკავია. ყველაზე ვიწრო ადგილზე — მახაჩკალა-ფოთის მონაკვეთზე კავკასიის უღელტეხილის ყელის სიგანე 500 კმ-ია. კავკასიის ჩრდილოეთი საზღვრებიდან სამხრეთამდე მანძილი 1000 კმ-ია. კავკასიის სახმელეთო საზღვარი უცხოეთის სახელმწიფოებთან 1382 კმ-ია რომელთაგან საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარი 780 კმ-ს, ხოლო საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვარი 602 კმ-ს შეადგენს.

კავკასიის რელიეფი მრავალფეროვანია და უმეტესწილად კი მთაგორიანი. მთიანი სისტემის საფუძველს შეადგენს კავკასიის მთავარი ქედი ანუ დიდი კავკასიონი, რომელიც აფშერონის ნახევარკუნძულიდან მდ. ყუბანის ნაპირამდე 1200—1300 კმ-მდე გრძელდება. მისი სიგანე 160—180 კმ-ია. კავკასიონის მთავარი ქედი სამ ნაწილად იყოფა: აღმოსავლეთ კავკასიონი აფშერონიდან ყაზბეგის მთამდე, დაახლოებით 400—500 კმ, ცენტრალური კავკასიონი ყაზბეგსა და იალბუზს შორის 150—200 კმ და შემდეგ დასავლეთ კავკასიონი.

კავკასიონის მთავარი ქედის ყველაზე მაღალმთიანი ნაწილია ცენტრალური კავკასიონი.

სწორედ კავკასიის ასეთი დიდი მნიშვნელობის გამო მისმა დაპყრობამ უპირველესი ადგილი დაიკავა ფაშისტური სარდლობის გეგმაში.

როგორც ცნობილია, ჰიტლერმა ბრძანება გასცა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების შესახებ საფრანგეთის დამარცხების დღეს — 1940 წლის 22 ივნისს.

ვერმახტის გენერალურმა შტაბმა დაიწყო ომის გეგმის შემუშავება მაშინვე, დაგეგმვის ადრეულ სტადიაში გამოითქვა სხვადასხვა აზრი მთავარი დარტყმის მიმართულებაზე. ჰიტლერი და მისი გენერლები სავსებით ეთანხმებოდნენ ერთმანეთს, რომ საბჭოთა კავშირი ომში უნდა გაენადგურებინათ. უთანხმოებანი ძირითადად ეხებოდა მეთოდებს, თუ როგორ უნდა გაენადგურებინათ მოწინააღმდეგე.

სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის აზრით, მთავარი იერიში უნდა მიეტანათ ცენტრზე, გასულიყვნენ მოსკოვთან, დაეკავებინათ იგი. შემდეგ მძლავრი სატანკო დაჯგუფებების შეტევებით სამხრეთსა და ჩრდილოეთში დაემთავრებინათ ომი, სსრ კავშირი უკუეგდოთ არხანგელსკ-ასტრახანის ხაზზე. ჰიტლერსა და მისი გარემოცვის „ახალგაზრდა გენერლებს" მიაჩნდათ, რომ ძირითადი დარტყმა მოწინააღმდეგისათვის უნდა მიეყენებინათ უზარმაზარი ფრთების ფლანგებზე, პირველი დარტყმით საბჭოთა კავშირის სამხრეთი და ჩრდილოეთი დაეკავებინათ, შემდეგ კი გიგანტურ მარწუხებში გაენადგურებინათ სსრ კავშირის ცენტრი.

ჰიტლერი ომს უდგებოდა წმინდა ეკონომიკური პოზიციებიდან. მას სურდა, დაეპყრო პურეულით მდიდარი უკრაინა, ინდუსტრიული დონეცის აუზი, კავკასიის ნავთობი.

ბრაუხიჩი და ჰალდერი სულ სხვა თვალსაზრისით უდგებოდნენ ომს. მათ სურდათ უპირველეს ყოვლისა, მოესპოთ წითელი არმია და მხოლოდ შემდეგ ებრძოლათ ეკონომიკური მიზნების მიღწევისათვის, ბოლოს გაიმარჯვა სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის თვალსაზრისმა. გადაწყდა, მთავარი იერი-

[1] ა. გრეჩკო, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ში მიეტანათ ცენტრზე სმოლენსკ-მოსკოვის მიმართულებით, მაგრამ ძირითად საკითხზე ორი აზრის არსებობამ გარკვეული კვალი დაამჩნია „ბარბაროსის" გეგმის საბოლოო ვარიანტს[4].

ჰიტლერი, რომელიც 1942 წლის დამდეგს ფიქრობდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ომის შემდგომ გეგმებზე, კვლავ დაუბრუნდა სამხრეთის ვარიანტს 1942 წლის 3 იანვარს, იაპონიის ელჩ, გენერალ ოსიმასთან საუბარში მან განაცხადა: „ჯერჯერობით ფრონტის ცენტრზე აღარ ვაპირებ შეტევით ოპერაციებს. ჩემი მიზანი იქნება შეტევა სამხრეთ ფრონტზე. გადავწყვიტე, როგორც კი ამინდი ამის საშუალებას მოგვცემს, კვლავ გადავიდე იერიშზე კავკასიის მიმართულებით, ეს უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. უნდა გავიდეთ ნავთობთან, ირანთან და ერაყთან. თუ იქ გავედით, ვიმედოვნებ, რომ არაბული სამყაროს განმათავისუფლებელი მოძრაობაც დაეხმარება ჩვენს შეღწევას".

მაშ ასე, მთელ ფრონტზე აქტიური საომარი მოქმედების ნაცვლად მხოლოდ სამხრეთის ფრონტზე შეტევა. ფაშისტურ გერმანიას აღარ გააჩნდა ფრონტის ყველა უბანზე საბრძოლველად საჭირო ძალები, აგრეთვე შეიარაღება, განსაკუთრებით ტანკები, თვითმფრინავები, ქვემეხები. ამიტომ შეტევის უმთავრესი მიმართულების არჩევისას ჰიტლერი და სახმელეთო ძალების მთავარსარდლობა ირჩევენ სსრკ-ს სამხრეთ–ამიერკავკასიას, შემდეგ კი ირანსა და ერაყში შეჭრას და გენერალ ე. რომელის აფრიკულ კორპუსთან შეერთებას, ინდოეთში ერთობლივი ლაშქრობისათვის[5].

ფაშისტური ვერმახტის 1942 წლის ზაფხულის ლაშქრობას, რომელიც 28 ივნისს დაიწყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ მონაკვეთზე სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით, მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: 1942 წელს ჰიტლერული გერმანიის სტრატეგიის მთავარი არსი იყო, ახალი შეტევით მიეღწია საბჭოთა კავშირთან „ელვისებური ომის" იმ მიზნებისათვის, რომელიც 1941 წელს ჩაიშალა.

1942 წლის ზაფხულის ლაშქრობის სამხედრო-სტრატეგიული მიზნები მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლიტიკურ სტრატეგიასთან.

დოკუმენტში — „სრულიად საიდუმლოდ. მხოლოდ სარდლობისათვის" ჩათქვამია: „პოლიტიკური ხასიათის მოსაზრებებით უაღრესად საჭიროა, რაც შეიძლება მალე გავიდეთ იმ რაიონებში, საიდანაც რუსეთი ნავთობს იღებს და არა მხოლოდ იმისათვის, რომ მას წავართვათ ეს ნავთობი, არამედ უპირველეს ყოვლისა იმისათვის, არაბს ჩაუნერგოთ იმედი, შესაძლებელია უახლეს დროში მიიღონ პრაქტიკული დახმარება გერმანელებისაგან".

კავკასიის დაპყრობის მიზანს ფაშისტური გენერალური შტაბი უკვე 1941 წლის ზაფხულში ისახავდა უმთავრესად ასეთი მიმართულებით. არაძირითადი ოპერაციის შედეგად დაეპყროთ სამხედრო მრეწველობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სსრ კავშირის რაიონები, შეექმნათ საწყისი ბაზა ახლო და შუა აღმოსავლეთის დალაშქვრისათვის.

ვერმახტის მთავარსარდლობა ფიქრობდა, კავკასიის დაპყრობა უზრუნველყოფდა ნავთობზე მოთხოვნილებას. ომის შემდგომი წარმოებისათვის ვერმახტის მთავარსარდლობისა და სამხედრო ეკონომიკის შტაბის მასალები ცხად-

---

[4] ა. ცქიტიშვილი, ბრძოლა კავკასიისათვის, 1985, გვ. 11.

[5] იქვე, გვ. 12.

ყოფენ, რომ კავკასის ნავთობი მიაწოდონ აუცილებელ მასალად ავიაციის, სატანკო და მოტორიზებული ჯარებისა და ფლოტის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფისათვის[6].

თუ რამდენად იზიდავდა კავკასია და კავკასიის ნავთობი სახმელეთო ძალების მთავარსარდლობის ყურადღებას, პატარა გაანგარიშებიდანაც კი ჩანს. გენერალური შტაბის გ. ჰალდერის სამხედრო დღიურებში კავკასია და შავი ზღვის რაიონი სხვადასხვა ვარიანტში ნახსენებია 150-ჯერ და მეტად, ორჯერ მეტად ვიდრე ინგლისი და მთელი ბრიტანეთის იმპერია[7].

მონოგრაფიაში „ბრძოლა კავკასიისათვის" პროფ. ა. ცქიტიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ „დღემდე გაურკვეველი იყო, თუ რა ძალებს შეიცავდა არმიათა დაჯგუფება „ა" კავკასიისათვის ბრძოლის დროს.

1967 წელს გამოიცა „საბჭოთა კავშირის 1941—1945 წლების დიდი სამამულო ომის მოკლე ისტორია". ამ წიგნის 166-ე გვერდზე ნათქვამია, რომ „არმიათა „ა" ჯგუფის შემადგენლობაში სულ იყო 167 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 1130 ტანკი, 4540 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი 1 ათასი თვითმფრინავი". შემდგომ ეს მონაცემები კრიტიკის გარეშე განმეორდა მთელ რიგ საბჭოთა გამოცემებში (მაგალითად, იხ. ა. გრეჩკო „ბრძოლა კავკასიისათვის". მეორე გამოცემა, 1969, გვ. 52; „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მოკლე ისტორია", მეორე გამოცემა, 1970, გვ. 178; „მეორე მსოფლიო ომის ისტორია (1939—1945)", ტ. V, გვ. 201; ჰ. იბრაგიმ-ბეილი, „იდელვაისის კრახი და ახლო აღმოსავლეთი", 1977, გვ. 78; „საბჭოთა კავშირი დიდი სამამულო ომის წლებში (1941—1945)", 1977, გვ. 212).

ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ჰ. იბრაგიმ-ბეილი მეტად საყურადღებო გამოკვლევაში, „იდელვაისის კრახი და ახლო აღმოსავლეთი" 75-ე გვერდზე ჩამოთვლის რა „ა" ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ არმიებს, დივიზიებს და ნაწილებს, რომლებიც დარტყმას ამზადებდნენ ქერჩის ნახევარკუნძულიდან აღნიშნავს: „ამ დროისათვის არმიათა „ა" ჯგუფი ითვლიდა 167 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს, 1130 ტანკს, 4540 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს, ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავს — გერმანელ ფაშისტთა ჯარები საბჭოთა ფრონტის ჯარებს ცოცხალი ძალით აღემატებოდა 1,5-ჯერ, ქვემეხებითა და ნაღმსატყორცნებით 2,1-ჯერ, ტანკებით 9,3-ჯერ და თვითმფრინავებით 7,7-ჯერ.

79-ე გვერდზე ჰ. იბრაგიმ-ბეილი აღნიშნავს: „1942 წლის 1 აგვისტოსათვის არმიათა „ა" ჯგუფის რიცხვობრივი რაოდენობა, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა „იდელვაისის" შესრულება შეადგენდა 12 719 ოფიცერს, 3938 მოხელე ჩინოვნიკს, 72 817 უმცროს ოფიცერს და 378502 ჯარისკაცს (ე. ი. მთლიანად 467976 კაცს).

როგორც ვხედავთ, ავტორი წინააღმდეგობაშია თავისივე გამონათქვამთან. ის არ უთითებს რის საფუძველზე შეიძლებოდა გაზრდილიყო არმიათა „ა" ჯგუფის რაოდენობა სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში. პირადად მე ეს ვარიანტი შეუძლებლად არ მიმაჩნია, მაგრამ მას სათანადო დასაბუთება სჭირდება.

დავუბრუნდეთ ისევ მის გამონათქვამს როდესაც აღნიშნავს, რომ გერმანელ ფაშისტთა არმიის „ა" ჯგუფი რომელიც 167 ათას ჯარისკაცსა და ოფი-

---

[6] ა. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
[7] იქვე, გვ. 69.

ცერს შეადგენდა სამხრეთის ფრონტის ჯარებს ცოცხალი ძალით აღემატებოდა 1,5-ჯერ, ქვემეხებითა და ნაღმსატყორცნებით 2,1-ჯერ, ტანკებით 9,3-ჯერ და თვითმფრინავებით 7,7-ჯერ" თუ ამ მონაცემებს სარწმუნოდ მივიღებთ გამოდის, რომ სამხრეთის ფრონტს, თავის ოპერატიულ დაქვემდებარებაში ამ დროისათვის ფაქტობრივად ძალები არ ჰყოლია.

ჩვენ მიერ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ არქივში ახლად მიკვლეული საარქივო მასალების საფუძველზე 1943 წლის დასაწყისისათვის გერმანელთა კავკასიის არმიის შემადგენლობაში ითვლებოდა 24 დივიზია, ხუთი ცალკე პოლკი და 35-მდე ცალკე ბატალიონი— 226500 კაცის საერთო რაოდენობით. ისინი აღჭურვილი იყვნენ 1607 ქვემეხით, 4738 ხელის და 1420 დაზგის ტყვიამფრქვევებით, 1358 ნაღმსატყორცნით, 835 ტანკსაწინააღმდეგო თოფით, 200 ტანკით 258 ჯავშნოსანი მანქანით, 46900 შაშხანით, 5437 ავტომატითა და საზენიტო არტილერიის 5444 ქვემეხით[8].

უნდა ვივარაუდოთ, რომ კავკასიისათვის ბრძოლების დასაწყისისათვის გერმანელთა არმიის რაოდენობა რიცხობრივად გაცილებით მეტი იქნებოდა.

1943 წლის 1 იანვრისათვის სამხრეთის ფრონტი კვლავ შეიქმნა (იგი დაშლილი იქნა 1942 წლის 28 ივლისს და მის ადგილზე შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი) 1943 წლის 1 იანვრისათვის არმიათა „ა" ჯგუფის წინააღმდეგ „სამხრეთის"· ფრონტის შემადგენლობაში შევიდა მე-2 გვარდიული, მე-5 დამკვრელური, 28-ე და 51-ე საერთო საჯარისო არმიები, მე-8 საჰაერო არმია, ხოლო ბოლოს მე3 გვარდიული და 44-ე არმიები. სამხრეთის ფრონტის დაშლის შემდეგ მის ადგილზე შექმნილ ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი 1942 წლის 20 მაისს შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებისა და ყირიმის ფრონტის დაშლის შემდეგ. ამ დროისათვის მის შემადგენლობაში შედიოდა 44-ე, 47-ე და 51-ე არმიები, 21 ოპერატიული დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ სევასტოპოლის თავდაცვითი რაიონი, შავი ზღვის ფლოტი, აზოვის სამხედრო ფლოტილია და ქერჩის სამხედრო-საზღვაო ბაზა. 28 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტს გადაეცა ამ დროისათვის დაშლილი სამხრეთის ფრონტის ჯარები. ისე, რომ ყოვლად შეუძლებელია, რომ 1942 წლის შუა ხანებისათვის არმიათა „ა" ჯგუფის შემადგენლობა 167 ათას კაცამდე ყოფილიყო და თითქოს რიცხობრივად 1,5-ჯერ აღემატებოდა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ძალებს. დასავლეთ გერმანელი ისტორიკოსები საერთოდ თავს იკავებენ კავკასიის ბრძოლის ისტორიის აღწერის დროს ციფრობრივი მონაცემების პუბლიკაციისაგან. ჩანს, ამ მონაცემების პუბლიკაცია მათთვის მაინცდამაინც სასარგებლო არ არის.

არმიათა „ა" ჯგუფის არქივების შესწავლის საფუძველზე ა. ცქიტიშვილი ასკვნის, რომ 1943 წლის 21 იანვრის არმიათა „ა" ჯგუფის შემადგენლობაში ირიცხებოდა 760 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. მათ შორის მე-17 საველე არმია 360 ათასი, 1-ლი სატანკო არმია 320 ათასი, არმიათა დაჯგუფება „ა" ზურგი — 40 ათასი, უზრუნველყოფის სამსახურები 40 ათასი, სულ 760 ათასი[9].

არასრული მონაცემებით 1942—1943 წლების კავკასიის ბრძოლებში მონაწილეობდა 1 მლნ 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. 1943 წლის

---

[8] სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივი, ფონდი 47, აღწ. 1063.
[9] ა. ცქიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69—70.

21 იანვრისათვის კავკასიისათვის ბრძოლებში მტერმა დაკარგა 300 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერზე მეტი.

კავკასიისათვის ბრძოლის მნიშვნელობას საბჭოთა მკვლევრები აფასებენ, როგორც სტალინგრადის ბრძოლების პარალელურად დიდი სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტორს. ეს აზრი გატარებულია, როგორც ფუნდამენტურ გამოცემებში, ისე ცალკეულ მკვლევართა ნაშრომებში.

ქართველი ისტორიკოსებიდან კ. ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ კავკასიის ბრძოლებში გერმანიამ განიცადა არა მხოლოდ დამარცხება, არამედ სრული კატასტროფა. დოცენტი ვ. ბექიშვილი მიგვანიშნებს, რომ კავკასიისათვის ბრძოლები მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტალინგრადისათვის ბრძოლებთან და მასთან ერთად მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ძირეული გარდატეხის დასაწყებად დიდი სამამულო ომის მსვლელობაში.

გერმანიამ კავკასიისათვის ბრძოლებში დაკარგა 49 რჩეული ქვეითი, სატანკო და მოტორიზებული დივიზია. მისმა აუნაზღაურებელმა ზარალმა ერთ მილიონ ჯარისკაცსა და ოფიცერს გადააჭარბა. კავკასიისათვის ბრძოლაში ყუბანის ცაზე საბოლოოდ დაითრგუნა გერმანიის სამხედრო-საჰაერო ფლოტის, ლუფტვაფეს ძლიერება. კავკასიის ბრძოლის წაგებით ფაშისტურმა გერმანიამ ფაქტობრივად წააგო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და აგრეთვე მეორე მსოფლიო ომი.

კავკასიაში დამარცხების შედეგად ფაშისტურმა გერმანიამ ვერ შეძლო ახლო და შუა აღმოსავლეთში, ინდოეთში ლაშქრობის განხორციელება. ვერ შეიძინა ახალი მოკავშირეები თურქეთის, ირანისა და არაბული სამყაროს სახით. გერმანიის ავიაციამ და ტანკებმა ვერ მიიღეს კავკასიისა და ბაქოს ნავთობი, ხოლო ვერმახტის მეტალურგიამ საქართველოს მანგანუმი, ვოლფრამი და მოლიბდენი, სომხეთის სპილენძი, კავკასიისა და ამიერკავკასიის სურსათის უდიდესი მარაგი.

კავკასიაში წარმოებული ბრძოლების დამარცხებით საბოლოოდ დასამარდა ვერმახტის მიერ შედგენილი კავკასიის დაპყრობის ავანტიურისტული გეგმა, რომლის განხორციელებას ფაშისტები უკავშირებდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მოგებას, ამით კი ძირეული გარდატეხის მიღწევას მეორე მსოფლიო ომში; ამიტომ კავკასიისათვის ბრძოლების ისტორიული მნიშვნელობა არ შეიძლება განვიხილოთ მეორე მსოფლიო ომის რიგითი სამხედრო ოპერაციის შეფასების დონეზე. მიგვაჩნია, რომ ძირეული გარდატეხა დიდი სამამულო ომისა და მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში, რომელიც სტალინგრადის ბრძოლებით დაიწყო უნდა დამთავრდეს არა მარტო ორიოლ-კურსკის ბრძოლებით, არამედ კავკასიისათვის ბრძოლებით.

Э. С. КУПАТАДЗЕ

ИСТОРИЧЕСКОЕ ЗНАЧЕНИЕ БИТВЫ ЗА КАВКАЗ (1942—1943 гг.)

Резюме

На основе противопоставления и анализа опубликованных материалов в научной, документальной и военно-мемуарной литературе рассматривается битва за Кавказ, место Закавказья в военно-стратегическом потенциале Советского Союза. Подробно анализируется решающая роль завоевания Кавказа в планах Вермахта, который фактически определял судьбу Второй мировой войны. Конкретно описываются итоги битвы за Кавказ и, что главное, дается совершенно новый и оригинальный вывод, что коренной перелом в ходе ВОВ Советского Союза и Второй мировой войны, который начался под Сталинградом, должен был кончиться не только боями за Орел—Курск, но и боями за Кавказ.

E. KUPATADZE

THE PROBLEM-HISTORICAL MEANING OF THE STRUGGLES FOR CAUCASUS

Summary

On the basis of comparison in published materials, concerning scientific, documentary and military memoirs, there is discussed in the artical the role and place of Caucasus in the battle-strategical potential and economica of the Soviet Union.

The author in details discusses in the plans of Vermakht the decisive meaning to conquer. Caucasus which practically decide the fate the second world war.

The author in the concrete describes results, which brought to struggling parties the battles for Caucasus, and mainly, makes quite new and most original conclusion, that the cardinal change during the Great Patriotic War and the Second World War, which began with Stalingrad battles, must be ended not only with Oriol-Kursk battles, but with the battles for Caucasus.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებამ

მანანა სანაძე, თინათინ კაშია

ფეოდალური არისტოკრატია და პირველადი კაპიტალის დაგროვების პროცესი XVIII ს-ის საქართველოში

(თუმანიშვილის საგვარეულო)

XVIII ს-ის საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის წიაღში შეიმჩნევა გარკვეული ძვრები, ახალი ტენდენციები. განსაკუთრებით. მომძლავრდნენ ისინი XVIII ს-ის II ნახევარში, როდესაც, როგორც აღმოსავლეთ, ისე დას. საქართველოში ეკონომიკის განვითარებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა.

ამ პროცესს შეიძლება ეწოდოს საქართველოში „პირველადი კაპიტალის დაგროვების“ პროცესი. რა თქმა უნდა, ის XVIII ს-ის II ნახევარში არ დაწყებულა, მისი ფესვები XVII ს-შია საძიებელი, ვინაიდან ქართული ბურჟუაზიის წარმომადგენელი პირველი ოჯახები, თუ გვარები, რომლებიც XVIII ს-ის II ნახევარში მსხვილ ფინანსურ არისტოკრატიას ქმნიან, სწორედ XVII ს-ში იწყებენ თავიანთ მოღვაწეობას და საგვარეულოს შიგნით კაპიტალის დაგროვებას.

განსაკუთრებით მდიდარი მასალა მოგვეპოვება ჩვენ ამ მხრივ თუმანიშვილთა საგვარეულოდან. ქვემოთ შევეცდებით წარმოვადგინოთ ამ სათავადო სახლის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური მხარე. კერძოდ, მისი ხვედრითი წილი XVIII ს-ის II ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში, ერთგვარი თანამიმდევრობით გავაშუქოთ გვარის შიგნით კაპიტალის დაგროვების პროცესი.

ჩვენ მიერ მოპოვებული პირველი ცნობა, რომელიც გვიდასტურებს ჯერ კიდევ XVII ს-ის 40-იან წლებში თუმანიშვილთა დაინტერესებას სავაჭრო საქმით, არის როსტომ მეფის წყალობის წიგნი თუმანიანთ მამუკას შვილისადმი (1649 წ.), რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ თუმანიშვილებს მოუპოვებიათ სითარხნე თავიანთი ყმა-ვაჭრებისათვის: „ასრე გათარხნეთ, რომე სამოცი თუმნისა რა გინდა რა სავაჭრომ მოქალაქემ თქუენმა ყმებმა ამგზავროს ჩუენს საბატონოში, არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხოვებოდეს“[1]. ამ შემთხვევაში წყალობა მხოლოდ თუმანიშვილთა ყმებზე ვრცელდება, იგივე საბუთი გვამცნობს: „რომე სხუის კაცის საქონელი არ იშოვნოს“[2].

ბაჟის გადაუხდელობა თუმანიშვილების ყმა-ვაჭრებს, რა თქმა უნდა, სხვა ვაჭრებთან შედარებით ბევრად უკეთეს მდგომარეობას უქმნიდა, გამდიდრების რეალურ შესაძლებლობას უქადდა. ეს კი, თავისთავად, თუმანიშვილების, როგორც მათი ბატონების შემოსავალსაც გაზრდიდა.

საქართველოს თავადაზნაურობისათვის, ეკლესიისათვის, თვით სამეფო

---

[1] საქართველოს სიძველენი, ტ. III, 1910 წ., № 568, გვ. 546—7.

[2] იქვე.

ოჯახისათვის ბაზართან კავშირი, ვაჭრობაში მონაწილეობა და ამ გზით მიღებული შემოსავალი უცხო არ იყო.

ყმა-ვაჭრების დაპატრონების სურვილი ხშირად გამხდარა უთანხმოების საგანი მეფე-მთავრებს, ცალკეულ ფეოდალებსა თუ სასულიერო და საერო ფეოდალებს შორის. მაგრამ XVIII ს-ის II ნახევრის ფეოდალური არისტოკრატიის ნაწილი უფრო აქტიურად იწყებს მონაწილეობას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. შ. მესხია განიხილავს რა ეკონომიკურ ცხოვრებას ქ. თბილისში, შენიშნავს, რომ „ფეოდალური არისტოკრატიის მონაწილეობა თბილისის ეკონომიკურ საქმიანობაში XVIII ს-ის დასასრულს და XIX ს-ის დამდეგს სხვა ხასიათსაც იღებდა. ზოგი ვაჭრობაში მონაწილეობდა... ზოგს კიდევ ქალაქში სარეწავი ქარვასლა თუ დუქანი გააჩნდა და მას ქირით და იჯარით გასცემდა, ან კიდევ თვით ამუშავებდა"[3].

XVIII ს-ის II ნახევარში ფეოდალური არისტოკრატიის დაინტერესება სავაჭრო ოპერაციებით მართლაც მკვეთრად იზრდება, მაგრამ თუმანიშვილები ქართული ფეოდალური არისტოკრატიის იმ მცირერიცხოვან ნაწილს ეკუთვნოდნენ, რომლებმაც, როგორც ჩანს, ადრევე შენიშნეს სავაჭრო ობიექტების: დუქნების, ქარვასლების და სხვ. ხელში ჩაგდების დიდი მომგებიანობა და ადრევე განჭვრიტეს ამ საქმის პერსპექტულობა. ყოველ შემთხვევაში, ისინი უკვე XVIII ს-ის II ნახევარში, როგორც ჩანს, ფლობენ საკმაო ოდენობის დუქნებს და კვლავაც ხარჯს და ღონეს არ ზოგავენ მათი რიცხვის მომრავლებისათვის.

ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს 1669 წ. გიორგის დახსნის წიგნი თუმანიშვილების მიერ ხითარიშვილებისადმი გაცემული. წიგნში თუმანიშვილები ხითარიშვილებს მიმართავენ: „თქვენი ოთხი რასტაბაზრის დუქანი მოქალაქეს გარსევან ყაზაზ არაქელასთან, სამი ქულბაქი ოცდაორ თუმნად, ერთი კიდევ იყო გირაოდ დუქანი ზორასთი. ნახევარი დუქანი ზარაბ ბერიანაშვილთან თითო შაურ თუმნად. ამ მოქალაქეებისაგან ჩვენ დაგვიხსნა და გვეპირევა. მერმე მოხვედით ერეკლეს მეფესთან და იჩივლეთ. საკა ბებუთაშვილი ისაულად დაგვაყენეს. რაც თეთრი გაგველო ამ ქუთხულებით მოსაცემს შეიქენით. ის თეთრი მოგვეპარა და დუქანზედ ჯელი აგვაღებინეს და შენ დაგნებდა"[4].

ამრიგად, როგორც საბუთიდან ირკვევა, ხითარიშვილებს გასაჭირი დასდგომიათ და 5 დუქანი და 3 ქულბაქი დაუგირავებიათ (აქედან ერთი დუქანი ორი სხვადასხვა პირისათვის მიუციათ სანახევროდ). თუმანიშვილებს დრო არ დაუკარგავთ ამ დაგირავებული დუქნების ფული თვითონ გადაუხდიათ და ამგვარად ერთი ხელის მოსმით ხითარიშვილების 5 დუქნის და 3 ქულბაქის დაპატრონება მოუწადინებიათ.

საინტერესოა, რომ თუმანიშვილებს ამ შემთხვევაში სწორედ დუქნები აინტერესებთ და არა ფული (ფული მათაც საკმაო აქვთ და როგორც ვხედავთ ახლა დუქნებში უნდათ დაგროვილი კაპიტალის დაბანდება). ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ხითარიშვილებს არ დასჭირდებოდათ მეფისთვის მიემართათ, ისინი იასაულების გარეშე გადაუხდიდნენ თუმანიშვილებს მათ მიერ დუქნების გამოსყიდვაში გაღებულ თანხას და თავის დუქნებს უკან დაიბრუნებდნენ. მაგრამ, როგორც ვხედავთ, თუმანიშვილები არ თმობენ უკანონოდ შეძენილ

[3] შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 255—6.
[4] ქართული სამართლის ძეგლები, VIII, თბ., 1985, № 876.

დუქნებს და მხოლოდ მეფის ჩარევით ხდება შესაძლებელი ხითარიშვილების მიერ მათთვის ფულის გადახდა და დუქნების დაბრუნება. რა თქმა უნდა, ეს დუქნები პირველი სავაჭროები არ იქნებოდნენ, რომელთა ხელში ჩაგდებას თუმანიშვილები ცდილობდნენ. ამ პერიოდისათვის, როგორც ჩანს, ისინი უკვე საკმაოდ მრავლად ფლობენ დუქნებს და ქულბაქებს.

საბუთიდან აშკარაა, რომ ხითარიშვილები რამდენიმე დუქნის მფლობელები არიან. 5 დუქანი და 3 ქულბაქი მათ დაგირავებული ჰქონდათ, მაგრამ, ჩანს, ამათ გარდა სხვა დუქნებსაც ფლობდნენ.

მართალია, ზემოთ განხილული საბუთის მიხედვით. თუმანიშვილებმა დუქნები ვერ შეიძინეს, მაგრამ სხვა საბუთების შესაბამისად ისინი ინტენსიურად იძენენ დუქნებს მთელი XVIII ს-ის I მეოთხედის განმავლობაში. 1711 წ. ზურაბ პეტროზაშვილის მიერ ქარმიშა ყალანდარას შვილ თუმანიშვილისათვის გაცემულ წიგნში ვკითხულობთ: „მე მექვაბე პეტროზას შვილი ესტატეს შვილმა... მამაჩემს ესტატეს შენი თეთრი ემართა. სხვაფერითა ღონე ვერისდა ვქენი მამაჩემსაც თქვენთვინ მოეცა დუქანი და ახლაც მეც მოგყიდე როსტევანანთეული დუქანი, როსტევანანთ დუქნების თავში, გამოგართვი ფასი“[5].

როგორც საბუთიდან ჩანს, ზურაბ პეტროზაშვილი ხელოსანია, მექვაბეა. ეს დუქანიც მას და მამამისს, ჩანს, თავიანთი ნაწარმის გასასაღებლად ჰქონდათ. თავისი საქონლით ის, ალბათ, მომავალშიც მოამარაგებს დუქანს, მაგრამ დუქანი უკვე თუმანიშვილების ხდება და, ამდენად, მისგან, როგორც სავაჭრო პუნქტიდან შემოსავალი თუმანიშვილების იქნება. XVIII ს-ის 20-იან წლებში თუმანიშვილები მრავლად ფლობენ დუქნებს გორშიც[6].

ძმებ თუმანიშვილების: ლაშქარნივის მანუჩარისა და მდივან სულხანის გარდა, დუქანთმფლობელად გვევლინება აგრეთვე დავით თუმანიშვილი. მისი მამულების ნუსხაში ჩამოთვლილია ქალაქის სხვადასხვა უბანში მდებარე მისი კუთვნილი დუქნების რიცხვი: „ჯონ-ხანაში რომ ერთი დუქანი მაქვს, ისიც საკუთარი ჩემია, აქავს ჩვენს სასახლეს წინ ორი დუქანი რომ არის, თოფხანის პირდაპირ ციხელის თათრისგან ვიყიდე...“[7].

დუქნების ექსპლუატაციას თუმანიშვილები ეწეოდნენ არა მარტო ტრადიციულად ყმური შრომის გამოყენებით, არამედ უფრო პროგრესული მეთოდებით: მათ თავიანთი დუქნები ძირითადად ქირით ჰქონდათ გაცემული. ამდენად, მედუქნე იხდიდა რა ქირას, დაინტერესებული იყო საქმის უფრო სარფიანად წარმოებით, ქირის ზევით მოგება მასვე რჩებოდა. მაგ., 1798 წ. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მე ხითარიშვილი გოგია ვიჯექ საყდრის დუქანში თვრამეტი თვე, ამისი ქირა ჩემთან არის, წელიწადში რვა მინალთუნი უნდა მოგცე“[8].

მანუჩარ თუმანიშვილის „ასალები ვალების ნუსხაში“ ჩამოთვლილია მის მიერ სხვადასხვა პირზე ქირით გაცემული დუქნები[9].

მიუხედავად ამისა, თუმანიშვილებისათვის დუქნების მფლობელობა კაპიტალის დაგროვების ძირითადი წყარო არაა, ეს უფრო შედეგია მათ ხელში კა-

---

[5] ხელნაწ. ინსტიტუტი, Sd—89.

[6] ხელნაწ. ინსტ., Sd—3937, Hd—13031. გორში მათ მიერ დუქნების მფლობელობასთან დაკავშირებით საინტერესო აგრეთვე 1782—1806 წწ. ერთი საბუთი. იხ.: Qd—7846.

[7] საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივი, 1450. 48—45.

[8] ხელნაწ. ინსტ., Sd—4313.

[9] მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953, № 82, გვ. 52—3.

პიტალის თავმოყრისა, მისი რეალიზაციის ერთ-ერთი საშუალება. მთავარი და ძირითადი წყარო მათი შემოსავლისა კი არის მევახშეობა (თუმცა XVIII ს-ის II ნახევრისათვის იმდენად მძლავრად ეხლართება მათ ეკონომიკურ საქმიანობაში ერთმანეთს მევახშეობა და ვაჭრობა, რომ ძნელია რომელიმეს მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა). მევახშეობის ქსელი XVIII საუკუნიდან მოყოლებული სულ უფრო ფართოვდება და XVIII ს-ის II ნახევრისათვის ამ ქსელში ებმება არა მხოლოდ ქართლ-კახეთის ცალკეული რაიონების, არამედ სამეფოს მეზობლად მდებარე ტერიტორიების მოსახლეობაც. თუმანიშვილების მოვალეები არიან ქსნის საერისთავოს მცხოვრებლები[10]; მათ მოვალეები ჰყავთ ცხინვალს[11], ერედვს, ახალდაბას, გორს, დუშეთს[12].

საბუთების მიხედვით თუმანიშვილებს მევალეები ჰყავთ მოზდოკსა და ახალციხეშიც კი[13].

შ. მესხიას დაანგარიშებით, „XVIII ს-ის II ნახევარში მანუჩარ თუმანიშვილს სხვადასხვა პირზე გაცემული ჰქონდა სარგებლით 3.154 თუმ.ნ. საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა ასევე მისი ძმა სულხანი, რომელსაც ვალში გაცემული ჰქონდა 680 თუმანი“[14].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სავახშო ოპერაციებში ამ პერიოდისათვის ჩაბმულნი იყვნენ თუმანიშვილთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლებიც, მაგ.: სულხანისა და მანუჩარის და მარა, აგრეთვე მათი ბიძა ქრისტეფორე თბილელი (თუმანიშვილი) და სხვ.[15].

ფრიად ჭრელი იყო თუმანიშვილების მევალეთა სოციალური შემადგენლობაც. მათი მევალეები იყვნენ გლეხები, მოქალაქეები, ძირითადად ხელოსნები და ვაჭრები, ვაჭართა ამხანაგობები, თავადაზნაურული არისტოკრატია და საბოლოოდ ბატონიშვილები და თვით მეფეც კი. გაცემული ვალების ოდენობა საბუთების მიხედვით ერთი თუმნიდან მოზრდილ თანხამდე (240 თუმანი, 700 ოქრო და ა. შ.) აღწევს. იშვიათად, მაგრამ არის უფრო დიდი თანხებიც[16].

განვიხილოთ თითოეული ეს ჯგუფი ცალ-ცალკე. საბუთებში თუმანიშვილების მევალეებად ყველაზე ხშირად გვევლინებიან ვაჭრები და სავაჭრო ამხანაგობები. როგორც ცნობილია, სავახშო კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდებოდა სავაჭრო კაპიტალს. ვაჭარი ხშირად იყო დამოკიდებული მდიდარ მევახშეზე. სავაჭრო საქმის დასაწყებად ის იძულებული იყო აეღო კრედიტი. სავაჭრო ოპერაციების წარმატებით დასრულება კი მას აძლევდა ვალის გადახდის შესაძლებლობას.

ამ ფაქტის დასტურად მოგვყავს ერთი ტიპიური საბუთი. 1784 წ. თამასუქი გაცემული თბილისელი მოქალაქის ტერ-ასატურაშვილ არაქელას მიერ მანუჩარ თუმანიშვილისადმი, საბუთი გვამცნობს: „ავიღე... ოთხმოცი თუმანი ქალაქის რიჯი სირმა ოთხი დანგიანი აბაზი... წავიღე მე ეს თეთრი და როგორც ხეირათი ვნახო და ჰკვამ გამიჭრას ჩემთვის ვამუშავო, რომ ამისი ხეირში და

---

10 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, № 187.

11 იქვე.

12 იქვე, № 241.

13 იქვე, №№ 116, 120, 137.

14 Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, с. 140.

15 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, № 71, 111, 157, 187.

16 იქვე, № 187, 188.

ზიანში შენ საქმე არგ ქონდეს. ზიანი და სარგებელი ორივე ჩემი არის". როგორც ცნობილია, სავახშო კაპიტალისათვის დამახასიათებელია სარგებლის მაღალი ნორმის დაწესება. იგივე საბუთში ვკითხულობთ: „და ამ ქვემო თარიღიდამ რა ერთი ხანსაცა ჩემთან დაჰყოს, წელიწადში ათი თერთმეტ-ნახევრად გაურჯელად მოგცე". ვაჭრის ზარალის შემთხვევაში, ვალის გადაუხდელობის გამო მისი ქონების გარკვეული ნაწილი მევახშის (ამ შემთხვევაში თუმანიშვილის) ხელში გადადიოდა: „სახლის გირაოს წიგნიც შენთვის მომიცია და შენა გაქვს"[17] — გვამცნობს საბუთი.

იმის დასტურად, რომ მანუჩარ თუმანიშვილი ხშირად გვევლინება საქმიანი-სავაჭრო წამოწყებების კრედიტორად, მოგვყავს 1788 წელს შედგენილი თამასუქი. ვაჭრების: როვაზასა და ბეჟანას მიერ მღივან მანუჩარისადმი. თანხის ნაწილი, რომელიც ვაჭრებმა აიღეს მანუჩარისაგან, გადაუხდიათ ერევანში ვაჭრობის შემდეგ[18].

საერთოდ, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, თანხის სესხება გარკვეული გარანტიის (გირაოს) გარეშე არც ხდებოდა. ამდენად, მევახშეს თანხის დაკარგვა არ ემუქრებოდა. ამ მხრივ საინტერესოა 1781 წ. ერთი საბუთი, რომელშიც ვკითხულობთ: „ავიღე მე, აჰვალულმა ვარდანანთ... თქვენ გორჯისპი მღივნის შვილ მღივნის მანუჩარისაგან რვა თუმანი ქალაქის თეთრი... ამ ზემო თეთრის გირათ დავიდევით ჩემი შვილი ნონია. რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო და როდესაც ზემო რვა თუმანი გიხოვო. თავის სარგებლით გაურჯელად მოგცე"[19]. ამრიგად, როგორც ვხედავთ, აჰვალულ ვარდანანთ ივანეს ფრიად გაჭირვებია და დასაგირავებლად სხვა არაფერი რომ არ ჰქონია საკუთარი შვილი დაუგირავებია.

გვხვდება შემთხვევები, როდესაც ვაჭარი ვერ იხდის აღებულ თანხას, თანაც იძულებულია სესხად კიდევ ახალი თანხა აიღოს. ასეთი ვაჭარი ფაქტობრივად თუმანიშვილების ფინანსურ კაბალაში ექცეოდა. XVIII ს-ის 70-იან წლებში შედგენილი ვალების ნუსხის მიხედვით, მანუჩარის მოვალე ჩანს ახალციხელი ვაჭარი. მისი ვალი ნუსხის მიხედვით, იმ დროის ოცი თუმანია[20].

1787 წ. კი მას უკვე მოზრდილი თანხა აქვს აღებული მანუჩარ მღივნისაგან — ასოცი თუმანი[21].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუმანიშვილებიდან თანხებს სესხულობდნენ არა მარტო ცალკეული ვაჭრები, არამედ „სავაჭრო ამხანაგობები"[22]. მაგ. 1796 წ. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მაშინ ოთხნი ამხანაგნი ვიყავით, ვინც ჩამოგართვით ბარათი და რაც პირობა დაგიდვა შენ იცი და იმანა, მე რას მემართლები? თუ ჩემი დუქნიდამ დავიხარჯამთ რამე, მოკელე ხარ და... ახალები ვარ სიმართლით და იმისთვის გემსახურებით..."[23].

---

17 ხელნაწ. ინსტ., Sd—156.
18 იქვე, Sd—155.
19 იქვე, Sd—162.
20 მსეე, II, № 82.
21 მსეა, II, № 116.
22 სავაჭრო ამხანაგობების შესახებ იხ. რ. კ ი ზ ი ა, სავაჭრო ამხანაგობები XVIII ს. საქართველოში, „მაცნე", ისტორიის სერია, 1990, № 2.
23 ხელნაწ. ინსტ., Hd—6547.

ამ შემთხვევაში, როგორც საბუთიდან ირკვევა, ამხანაგობის ერთ-ერთ წევრს აუღია ვალი, შემდეგ ამხანაგობა დაშლილა და მედუქნე ისაია არ თვლის თავს ვალდებულად „ძველი ამხანაგის“ ვალი იხადოს.

1798 წ. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „...ჩარჩიშვილს შაქარას და ალაპაშვილს პაპას გორის იჯარა საამხანაგოთ სჭეროდათ. ამ იჯარისათვინ თუთხი დასჭირვებოდათ. მანუჩარ მდივანს ესესხებინა სიით“[24].

1787 წ. ზედგინიძე დათოს მიერ თუმანიშვილ მანუჩარისადმი გაცემულ თამასუქში ვკითხულობთ: „ავილე... ექვსი თუმანი ახალი ზარაფხანის ოთხი დინგიანი სირმა აბაზი... მოგეცი ამის გირაოთა ლეჩიჩემისეული მარგალიტის საყურეი. ამ ქვემო თარიღიდამ რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თვეში თუმანზე ორი შაური სარგებელი მოვცე“. თამასუქს ახლავს მინაწერი „ამხანაგები“, რომლებიც თავდები არიან და კისრულობენ ვალის გადახდას[25].

საერთოდ ამ დროისათვის თბილისში დუქნებსა და სავაჭრო ობიექტებს ფლობდა ქართლ-კახეთის სამეფოს არა ერთი არისტოკრატიული საგვარეულო. მსხვილ დუქანმფლობელებად გვევლინებიან ხიმშიაშვილები, ბარათაშვილები და სხვ., აგრეთვე, მეფის ოჯახის წევრები, ბატონიშვილები.

მაგრამ, რა თქმა უნდა, თავადაზნაურული არისტოკრატიის უდიდესი ნაწილი ვერ ეგუებოდა ალლოს ცხოვრების ახალ მოთხოვნებს. ისინი კოტრდებოდნენ და მსხვილ მევახშეთა ხელში ცვიოდნენ.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ზაზა ბარათაშვილის არზა გიორგი მეფისადმი: „მოქალაქე ავეტიქასი ორმოცი თუმანი გვმართებს, გირაოდ დუქნები უჭირავს და თვე და თვე სარგებელს მუდამ ვაძლევთ“, ახლა ითხოვს გადახდა დააცადონ. მეფეც, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ფეოდალის მხარეს იჭერს და ავეტიქას უბრძანებს ცოტა დააცადოს“[26].

აღნიშნული ხანისათვის ქართლის სამეფოში ყველაზე მსხვილ სავახშო ოპერაციებს ისევ და ისევ თუმანიშვილები აწარმოებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუმანიშვილთა მოვალე იყო ქართლ-კახეთის სამეფოს არა ერთი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი, მათ შორის ქსნის ერისთავისშვილი ელისბარი (მართებს 36 თუმანი), აგრეთვე უზბაში გურამისშვილი გოგია[27]. XVIII ს-ის დასასრულისათვის სულხან მდივნის მოვალე ყოფილან ციციშვილებიც, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ მოუხერხებიათ თავისი ძვირფასი ნივთის გამოხსნა[28].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუმანიშვილების მოვალენი ყოფილან ბატონიშვილებიც.

ლევან ბატონიშვილის ვალის ანგარიშის წიგნში ვკითხულობთ: „საქართველოს მეფის ირაკლის ძე, განსვენებული ლეონ, რასაც თავის ბარათით მე, მანუჩარ თუმანოვისას მისაცემს არის, ამას ქვეით დაიწერება... დანახარჯი ჰქონდა (77 თუმანი, 7 მინალთუნი, 4 აბაზი და 2 ფული) ამაში მომცემოდა (37 თუმანი, 2 მინალთუნი) ამას რომ გავიდე, დარჩება ჩემი მისაცემი (40 თუმანი, 5 მინალთუნი და 2 ფული)...“[29] და ა. შ.

---

[24] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1967, № 123, გვ. 116—117.

[25] ხელნაწ. ინსტ., Sd—167.

[26] ქართული სამართლის ძეგლები, VIII, № 643.

[27] მსეი, II, № 78, 107.

[28] იქვე, № 171.

[29] მსეი, II, № 86.

1808 წლის საბუთით ირკვევა, რომ ძმებ თუმანიშვილებს ბატონიშვილ იოვანესათვის უსესხებიათ 700 ბაჯაღლო ოქრო; ხოლო 1812 წ. საბუთით ისინი ბატონიშვილ ვახტანგისაგან მოითხოვენ წერილით ვალების დაბრუნებას[30].

ნიშანდობლივია გიორგი მეფისა და თუმანიშვილების დამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. მანუჩარ და სულხან თუმანიშვილები, ისევე როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ახლადფეხადგმული ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლები, როგორც ჩანს, მეფის ეკონომიკურ საყრდენს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ურთიერთობა ყოველთვის უკონფლიქტო როდია. პერიოდულად მეფე ითხოვს მათგან „ვალად" მსხვილ თანხებს. მეფეზე გაცემული ვალი ფაქტობრივად დაკარგული თანხაა, ამიტომ ისინი ცდილობენ თავიდან აიცილონ ასეთი არასასარგებლო მოვალე.

1799 წ. დაწერილი დოკუმენტი მოგვითხრობს შემდეგს: „ამ წლის შვიდ აპრილს მათმა უმაღლესობამ მეფემ გიორგიმ ჩვენი თუმანიშვილი მანუჩარი და ჩემი ძმისწული (გივი) გორის ყოფნაში დაგვაჭერინა მუხრანის ბატონს იოვანეს და ფალავანდიშვილს ელიზბარს. ამით ჩვენ ორივეს ძმის სახლი აიკლეს... სულხანიც დაიჭირეს და მას უკან ორი ათას თუმანს თეთრს დაუწყო (თხოვნა). ვედრებით 600 თუმანზედ გადაგვიჭრა. ვალით აგვავსებინა, გამოგვართო და ლეკის ჯარს მისცა"[31].

ამრიგად, როგორც ჩანს, გიორგიმ სხვა მხრივ რომ ვერ აიძულა მანუჩარი მისთვის „სესხად" ფული მიეცა, ძალას მიმართა. თანხა ფაქტობრივად ძალით წაართვა და ლეკის დაქირავებული ჯარი ასე გაისტუმრა.

მსხვილ მევახშედ გვევლინება აგრეთვე აზნაური კვეზერელი. როგორც ზემოთ ვნახეთ, მეფე გიორგის სასწრაფოდ თუმანიშვილებისაგან მსხვილი თანხა მოუთხოვია. ასეთი ოდენობის თავისუფალი კაპიტალი მათ ამ დროს ხელთ არ ჰქონიათ და იძულებულნი იყვნენ ვალი აეღოთ დავით კვეზერელისაგან. კვეზერელს ამ შემთხვევაში მხოლოდ სარგებლის ფულის დაბრუნება როდი აინტერესებს, თანხის ნაწილს იგი ფარჩის სახით მოითხოვს: „მეფე გიორგი რვაას თუმანსა გვთხოვდა... ორასი თუმანი გვაპატივა, ორასი თუმანი მოვართვით... ოთხასი თუმნის მობრუნებისათვის ეს წიგნი შენ მოგეცით, რომ ასიც თუმანი ამ სამს დღეს უკან მოგაბაროთ და დანარჩომიც ამ თვეს გასვლამდინ თეთრი და ფარჩა მოგაბაროთ, რომ შეიქმნას ოთხასი თუმანი"[32].

გარდა უშუალოდ თანხისა, რომელიც გიორგი მეფეს თუმანიშვილებიდან გამოუძალია, მას მათი „აკლების" შედეგად სხვა საქონელიც წაუღია. ამაზე მოწმობენ ამავე 1799 წ. დათარიღებული საბუთები, რომლებშიც თუმანიშვილები იძლევიან მეფის მიერ „აკლების" დროს წაღებული საქონლის ნუსხას[33]. ძმებ თუმანიშვილებს მალევე აღუდგენიათ თავიანთი ზარალი. სულ რამდენიმე წლის შემდეგ ისინი კვლავ მსხვილ სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებენ. ეკონომიკურ სარბიელზე კვლავ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ფართო გაქანების საქმოსანი და ფინანსისტი მანუჩარ თუმანიშვილი[34].

---

30 ძეგ., II, № 264, 279.

31 იქვე, II, № 197.

32 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, III, თბ., 1955, № 81.

33 იქვე, № 200, 202, 203.

34 მ. ს ა მ ს ო ნ ი ძ ე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს-ის I მესამედის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 92.

ძმეზე თუმანიშვილების საფინანსო და სავაჭრო მოღვაწეობისათვის დამახასიათებელია აკურატულობა, ზუსტი ანგარიში. მეურნეობას გამოლის მათ ამ თვისებებს აღნიშნავს გ. აკოფაშვილი, რომელსაც განიხილავს მათ საქმიანობას თავიანთ მამულში[35].

საბუთებში მრავლად გვხვდება მათ მიერ შედგენილ მოვალეთა ნუსხები, ვალად გაცემული თანხების, გირაოდ მიღებული საქონლის და სხვა სახის ნუსხები.

ვალის ამოღების შემთხვევაშიც ისინი გარკვეულ თანმიმდევრულობას იცავდნენ. როგორც კი თამასუქის ვადა გავიდოდა, ისინი მოვალეს ამის შესახებ წერილობით ატყობინებდნენ, თუ სათანადო პასუხს არ მიიღებდნენ, ამ შეტყობინებას რამდენჯერმე იმეორებდნენ, და მხოლოდ მაშინ თუ საქმეს მშვიდობიანად ვერ გაარიგებდნენ, მიმართავდნენ ხელისუფლებას: მეფეს, ბატონიშვილებს. ამის საილუსტრაციოდ გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე საბუთი: მაგ.: 1794 წლის ერთ საბუთში მანუჩარ თუმანიშვილი თავისი გარდაცვლილი მოვალის ძმას წერს: „თქვენის ძმის კაკალასათვის ბატონი ჩემი სიმამრი ალა-სტეფანეს ორასი თუმნის ბარათი რომ გამოვართვი და გავგზავნე იმისი ვადა ხომ მარტის დამდეგს შესრულდა.... ორი წიგნი მოგართვი: ერთი პირველად ქარავნით და მეორე ბატონი... სტეფანეს ხელით"[36].

სხვა შემთხვევაში მანუჩარ თუმანიშვილი სთხოვს ვახტანგ ბატონიშვილს ამოიღებინოს პროლაშვილ გიორგისაგან გავალებული თანხა[37].

როგორც უკვე ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ პერიოდში ქართული თავადაზნაურობის ერთი ნაწილი აქტიურადაა ჩაბმული ვაჭრობაში XVIII ს-ის II ნახევრის საამხანაგო წიგნების სიმრავლე ამ პერიოდისათვის სავაჭრო ამხანაგობების მომრავლებაზე უნდა მეტყველებდეს. თუმანიშვილების მაგალითზეც კარგად ჩანს რამდენად დიდია ვაჭრობის ხვედრითი წილი მათ ეკონომიკურ საქმიანობაში. ისინი უშუალოდ მონაწილენი არიან „ამხანაგობებისა", რომლებშიც მთავნის მფლობელებად გვევლინებიან. ამდენად მათ ჰყავთ ძლიერი „შტატი" („სავაჭრო აგენტებისა"—ასე უწოდებს მათ შ. მესხია)[38] მათზე დაქვემდებარებული და მათი სავაჭრო ინტერესების განმახორციელებელი „მუშა-ვაჭრებისა". რომლებიც მათი მითითებებით საქმიანობენ ამიერკავკასიის, რუსეთის, თუ მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა კუთხეში.

ამ მხრივ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ ტიპიურ საბუთს: „ამხანაგობის წიგნი" გაცემული ალელი ვაჭრის მიერ გორჯასპი თუმანიშვილისადმი — „ავილე მე ალელმა ასატურის შვილმა პოლოსამა ერთი თუმანი ახალი თეთრი,... ეს თეთრი მე თავნათ დავაჭირო და ალებ-მიცემობაში ვამუშავო და რაც ღმერთმან მომცეს ხეირი თუ ზარი, თავნი ხომ თქვენ უნდა მოგაბარო და მოგების ხეირი თუ ზარი ორისვე უნდა იყოს"[39].

ამდენად, სავაჭრო საქმეში მთავნის მფლობელი გორჯასპია. ალელი ასატური კი როგორც მუშა ვაჭარი, გორჯასპის აგენტი ისე მოქმედებს და შესაბამისად მოგებასაც შუაზე გაიყოფენ.

---

[35] გ. აკოფაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილის მეურნეობა (XVIII ს-ის II ნახ.— XIX ს-ის დამდეგი) საქართველოს ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966.

[36] ხელნაწ. ინსტ., Hd—8696.

[37] იქვე. Hd—5796.

[38] Ш. Месхиа, Города и городской строй..., с. 130.

[39] ხელნაწ. ინსტ., Hd—3842.

თუ როგორი ურთიერთობაა სულხან და მანუჩარ მდივნებსა და მათ „სავაჭრო აგენტებს“ შორის, კარგად ჩანს შემდეგი საბუთებიდან. მაგ.: 1788 წლის ერთ საბუთში ვაჭარი გასპარ ბაღდადოვი ასტრახანიდან მათდამი წერილში აღნიშნავს: „გვნებავს, რომ ამ წინა გემში მოვიდეთ ანზალეს ჩვენი ალებ-მიცემის გამო. საჩვენო სამსახური იყოს გვებრძანოთ, ჩვენის ნებით ჭეშმარიტობით გემსახურებით“[40].

1792 წ. „მუშა-ვაჭარი“ — სტეფან ასლანოვი, ასტრახანიდან უგზავნის წერილს მანუჩარ თუმანიშვილს, წერილი საქმიან სავაჭრო ანგარიშებს წარმოადგენს. დოკუმენტის მიხედვით, მანუჩარ მდივნის მიერ წარგზავნილი პირის სავაჭრო არეალი ამიერკავკასიისა და რუსეთის ქალაქებს: ასტრახანსა და მოზდოკს მოიცავს[41].

ჩვენ ხელთაა სტეფან ტერ-შამავანოვის (მანუჩარის სიმამრისა და მისივე სავაჭრო აგენტის) მიმოწერა მანუჩარ თუმანიშვილთან. როგორც ჩანს, წერილების დაწერის მომენტში, მანუჩარ მდივანი თბილისში არ იმყოფება: სტეფან ტერ-შამავანოვი დაწვრილებით ატყობინებს მას სავაჭრო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ[42].

XVIII ს-ის დასასრულისათვის ძმები თუმანიშვილები ძირითადად ყიდიან ხორბლეულს, ღვინოს, ნიგოზს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს[43]. XIX ს-ის დასაწყისში კი აშკარაა, რომ მათი სავაჭრო სფერო ფართოვდება მაგ.: 1809 წ. ერთი საბუთით ისინი შემახიაში ჰყიდიან სპილენძს[44]

ამდენად, როგორც ვხედავთ, ძმებმა თუმანიშვილებმა, რომლებმაც კომერციული საქმიანობა მევახშეობით დაიწყო, თანდათან გადმოინაცვლა ვაჭრობაში. ხდებიან დუქნების, სახლების, მამულების მესაკუთრენი. სავახშო კაპიტალი სულ უფრო ინტენსიურად რეალიზდება ვაჭრობაში, მეურნეობაში, გარდაიქმნება სავაჭრო კაპიტალად. მომავალში ამ პროცესს აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა მისი მრეწველობაში დაბანდება.

М. В. САНАДЗЕ, Р. С. КАШИА

ФЕОДАЛЬНАЯ АРИСТОКРАТИЯ И ПРОЦЕСС НАКОПЛЕНИЯ НАЧАЛЬНОГО КАПИТАЛА В ГРУЗИИ В XVIII в.

Резюме

В социально-экономических сдвигах, происходивших во II половине XVIII в., активно участвовала часть грузинской аристократии.

В Восточной Грузии таковыми были братья Манучар и Сулхан Туманишвили, торгово-ростовщические дела которых отличались от обычной деятельности феодальной знати.

---

40 ხელნ.ფ. ინსტ. Hd—7650.

41 მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, № 388.

42 იქვე, №№ 393, 395, 396; ხელნ. ინსტ., Sd—3696, 3684.

43 ხელნაწ. ინსტ., Sd—3470, Sd—3474, Sd—3709, Sd—3742.

44 იქვე. Hd—8636.

M. SANADZE, R. KASHIA

FEUDAL NOBILITY AND THE INITIAL PROCESS OF THE ACCUMULATION OF CAPITAL IN THE 18th CENTURY GEORGIA

Summary

One part of the Georgian nobility took an active part in the socio economic process of Georgia in the second half of the 18th century.

Manuchar and Sulkhan Tumanishvili wero such figures in the Eastern Georgia. Their trade-loan activity exraeds the differs from the characteristic activity of feudal nobility.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ლორთქიფანიძემ

თამარ აბაზაშვილი, ნაირუზა აფციაური

მუსლიმან ქალთა ემანსიპაცია ტუნისში

XX ს-ის 70-იანი წლები მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნება აზიის, აფრიკისა და ამერიკის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ტუნისელი ხალხის ხანგრძლივი ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის დასრულდა 1956 წელს რევოლუციის გამარჯვებით, რამაც დასაბამი მისცა მის დამოუკიდებელ განვითარებას. სრულიად ბუნებრივია, რომ ქვეყნის წინაშე წამოიჭრა მთელი რიგი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც განაპირობებდა მის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობას. ტუნისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანათა გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა უწიგნურობის ლიკვიდაციას, განათლების განვითარების დონე დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების დონეზე. დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ტუნისის მოსახლეობის 84% წერა-კითხვის უცოდინარი იყო. დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ ტუნისის მთავრობამ გაატარა გადამწყვეტი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო სრულიად ახალი ტიპის სკოლის შესაქმნელად. ეს იყო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უპასუხებდა ტუნისის სასიცოცხლო ინტერესებს

ტუნისის რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა კულტურული გარდაქმნა, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განუყოფელი ნაწილი გახდა. დამოუკიდებელი ქვეყნების მსგავსად, ტუნისშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ახალი ადამიანის აღზრდის პრობლემას. ადამიანის, რომელიც იქნებოდა არა მხოლოდ განათლებული სპეციალისტი და შეეძლებოდა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირება, არამედ იგი უნდა ყოფილიყო ყოველმხრივ განვითარებული, შემოქმედებითი, სოციალურად აქტიური პიროვნება, მოქალაქე, პატრიოტი. ეს ამოცანა არის დამოუკიდებელი ტუნისის რესპუბლიკაში გატარებული რეფორმისა და ღონისძიებების საბოლოო მიზანი. მიუხედავად იმისა, რომ გარდაქმნა ეხება საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროს, მაინც შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი მიმართულება.

1. ბრძოლა შუა საუკუნეებრივი ტრადიციების, რელიგიური რწმენისა და ძველი ყოფის წინააღმდეგ; 2. ტუნისის ეროვნული სკოლის შექმნა; 3. მუსლიმანი ქალის ემანსიპაცია.

ამ უკანასკნელ საკითხს მმართველი პარტია და მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, სამართლიანად აღნიშნავენ რა, რომ ქალთა მდგომარეობა საზოგადოებრივი პროგრესის საზომია. როგორც სხვა, მრავალ მუსლიმანურ ქვეყანაში, ისე ტუნისის რესპუბლიკაშიც, ემანსიპაცია დასავლური ნიშნის მიხედვით მიმდინარეობს. იგი მიმართულია მუსლიმანი ქალის ფსიქოლოგიის შეცვლისაკენ, ახალი ცნობიერების ჩამოყალიბებასა და ცხოვრებისადმი მის დამოკიდებულებაზე.

საკითხი მუსულმანი ქალის ემანსიპაციის, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის აუცილებელი პირობის შესახებ, პირველად დააყენა ეგვიპტელმა მწერალმა და პუბლიცისტმა კასიმ ამინმა (1865—1908). როგორც ფრანგი მეცნიერი ჟაკ ბერკი აღნიშნავს, იგი სამართლიანად ითვლება „ემანსიპაციის კლასიკოსად“. მუსულმანი ქალის მდგომარეობისადმი მიძღვნილ თავის შრომებში „ქალის განთავისუფლება“ (1899 წ.) და „ახალი ტიპის ქალი“ (1901 წ.) — მწერალმა დამაჯერებლად დაასაბუთა მუსულმანი ქალის დაჩქარებული ემანსიპაციის აუცილებლობა. მან მჭიდროდ დააკავშირა სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური განვითარება ოჯახის მდგომარეობასთან. ქვეყნებმა, სადაც ქალი სარგებლობს თავისუფლებითა და თანასწორობით, სახელდობრ, ევროპის ქვეყნებმა და ამერიკამ, აცხადებდა ავტორი, მიაღწიეს პროგრესის უმაღლეს ხარისხს. ეგვიპტე კი, სხვა მუსულმანური ქვეყნების მსგავსად, სადაც ქალი ადამიანად არ ითვლება, იმყოფება დაცემისა და ჩამორჩენილობის მდგომარეობაში.

თავისი ოპონენტების საპასუხოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ არც ერთი ერი და არც ერთი სახელმწიფო არ განვითარებულა სუსტი სქესის წყალობით, კასიმ ამინი წერდა: „როდესაც ვლაპარაკობთ კავშირის შესახებ, რომელიც ვლინდება ერის პროგრესსა და ქალის მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ჩვენ არ გვინდა იმის თქმა, რომ ქალს სარგებლობა მოაქვს თავისი მეცნიერული გამოკვლევებითა და ფილოსოფიური მოძღვრებით, მაგრამ ჩვენ ვითვალისწინებთ მის განსაკუთრებულ როლს ოჯახური ზნე-ჩვეულებების, ხოლო შემდეგ ერის განმტკიცებაში“[1]. „ქალის როლი სოციალურ წყობაში დაიყვანება ერის ხასიათის ჩამოყალიბებამდე (შექმნამდე), სწორედ იმ ხასიათისა, რომლის კვალიც ერის ისტორიაში უფრო ძლიერად ვლინდება როგორც თავისი პროგრესით ისე რეგრესით, ვიდრე წეს-ჩვეულებების, კანონებისა და რელიგიების გავლენა“[2].

ქალის როლი — კასიმ ამინის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რამდენადაც დედა არის პირველი და შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთადერთი აღმზრდელი ბავშვებისა. იმისგან, თუ რამდენად შეძლებს იგი ამ მისიის შესრულებას, მის პირად სულიერ და გონებრივ თვისებებზე და, აგრეთვე თვით ოჯახის მორალურ პრინციპებზე, ბევრად არის დამოკიდებული მომავალი ადამიანის ხასიათი, ზნეობრივი ნორმები და მსოფლმხედველობა: „ყველა კარგი თვისებით და კეთილი ზნით, — აღნიშნავდა კასიმ ამინი“, — ადამიანები დავალებულნი არიან დედებისაგან, რომლებმაც სულის ნაწილი, საუკეთესო რაც მათ ჰქონდათ გადასცეს მათ“[3].

ანიჭებს რა ქალს — დედას პირველხარისხოვან მნიშვნელობას მომავალი თაობის აღზრდაში, მწერალი კანონზომიერად სვამს საკითხს: „რა შეუძლია მისცეს თავის შვილებს მუსულმანმა ქალმა? ადარებს რა მას ევროპელ ქალს, რომელიც მიუხედავად მისი ფართო საზოგადოებრივი საქმიანობისა, წარმატებით ართმევს თავს საოჯახო საქმეებსა და მოვალეობებს, კასიმ ამინი წერდა, რომ მუსულმანმა ქალმა არ იცის როგორ მოუქცეს ქმარს, ვერ უძღვება სახლს და არ შეუძლია თავისი შვილების აღზრდა. მას არ შეუძლია თავის შვილს ჩაუნერგოს არა მარტო მაღალი ზნეობრივი იდეალები, არამედ იგი მის

[1] Касим Амин, Новая женщина, Спб., 1912, с. 67.
[2] იქვე, გვ. 66.
[3] იქვე, გვ. 65.

სწორ ფიზიკურ განვითარებასაც, ვერ უწყობს ხელს, რადგანაც არ იცის ჰიგიენისა და სანიტარიის წესები, საჭმლის მომზადება, ბავშვის მოვლა და ა. შ. ამის შედეგად ბევრ მუსულმან ქვეყანაში „უცოდინარი დედები ყოველწლიურად კლავენ ბავშვების ისეთ რაოდენობას, რომელიც აღემატება ყველაზე დიდ ომებში დაღუპულთა რიცხვს“[4].

ქვეყნის განვითარება და პროგრესი, კასიმ ამინის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ მუსულმანი ქალის დაუყოვნებელი ემანსიპაციის პირობებში. ამის ნიმუშად გამოდგება ევროპელი ქალი, რომელიც საზოგადოებაში სრული თავისუფლებით, ხოლო ოჯახში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ემანსიპაციის არსი მდგომარეობს მუსულმანი ქალის ევროპელ ქალთან მიახლოებაში.

თავის შრომებში მწერალმა დასახა სამი ძირითადი გზა ამ მიზნის მისაღწევად. უპირველეს ყოვლისა, ჩადრის მოხსნა და კარჩაკეტილობის აღმოფხვრა, შემდეგ მუსულმანი ქალის მრავალმხრივი აღზრდა — ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი. „ასეთი აღზრდა, წერდა კასიმ ამინი, — „დაეხმარება ქალს გაერთიანოს თავისი მრავალრიცხოვანი ვალდებულებანი. იგი ამზადებს მას ადამიანად, რომელიც შეძლებს დამოუკიდებლად გამოიმუშაოს საარსებო სახსრები. იყოს მეუღლე, რომელიც შეძლებს ოჯახს სიმშვიდე მოუტანოს და დედა, რომელიც აღზრდის თავის შვილებს“[5].

მუსულმანი ქალის განთავისუფლების კასიმ ამინისეული იდეები სრულიად ახალი იყო იმ დროისათვის, ამასთანავე, ემანსიპაციის მისმა დასავლურმა კონცეფციამ უარყოფითი შეხედულება წარმოშვა ეგვიპტელ ნაციონალისტებში, კერძოდ მუსტაფა კამილში.

კასიმ ამინის შეხედულებებმა შემდგომ განვითარებას მიაღწია გამოჩენილი ტუნისელი რევოლუციონერისა და პუბლიცისტის ტაჰარ ჰადადის (1901—1935) შემოქმედებაში. თავის წიგნში „ჩვენი მანდილოსანი (ქალი) შარიატსა და საზოგადოებაში“ (1930), მან მოუწოდა ქალს დაუყოვნებელი განთავისუფლებისაკენ. კასიმ ამინის მსგავსად მან დასახა ემანსიპაციის პროგრამა. იგი მოითხოვდა ქორწინების ისეთი მახინჯი ფორმების გაუქმებას, როგორიცაა პოლიგამია, იძულებითი ქორწინება. ცოლის უარყოფა (ტალაკი) მას მიაჩნდა რომ ეს ფორმები არასოდეს არ გამომდინარეობდა შარიატიდან.

იგი ამტკიცებდა, რომ აღზრდილი, განათლებული ქალი შეძლებდა პროფესიის დაუფლებას და, გარდა იმისა, გაზრდიდა საოჯახო მეურნეობის ბიუჯეტს, იქნებოდა საუკეთესო აღმზრდელი თავისი შვილებისა. ჩადრს და კარჩაკეტილობას არავითარი რელიგიური გამართლება არ აქვს და უნდა გაუქმდეს. ემანსიპაციის ძირითადი მიზანია ოჯახში ქალის როლის კარდინალური შეცვლა, ახალი ტიპის ქალის აღზრდა, რომელიც „მტვრით დაფარული საოჯახო განძი“ კი არ იქნება, არამედ საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი, რომელმაც იცის და გაცნობიერებული აქვს თავისი უფლება-მოვალეობანი საზოგადოების წინაშე. თითქმის ალ-ჰადადის თანადროულად, რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტი ხაბიბ ბურგიბა გამოვიდა მუსულმანი ქალის ემანსიპაციის წინააღმდეგ. მიიჩნევდა რა ამ მოვლენას ნაადრევად პროტექტორატის პირობებში. ჩრ. აფრიკის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრა-

[4] Касим Амин, Новая женщина, Спб., с. 61, 62.

[5] იქვე, გვ. 86.

ვალი სხვა წარმომადგენლის მსგავსად, ისიც ამტკიცებდა, რომ ჩადრის მოხსნა და ემანსიპაციის სხვა გარეგანი ნიშნები, ისევე როგორც ფრანგულ ენაზე განათლება, ხელს შეუწყობდა ტუნისელი ქალის თვითმყოფადი აღმოსავლური თვისებების დაკარგვას, ნაციონალური ღირსების უარყოფას და სამოქალაქო [illegible] ჩამორჩენილობამდე მიიყვანდა. გაზეთი „ალ-ამალი" წერდა: „ასეთი ტაქტიკა იყო ბრძნული ხედვა და ღრმა გაგება იმისა, რომ ქალის ემანსიპაცია იმ დროს, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფვოდა საფრთხის გარდა არაფერს მოუტანდა საზოგადოებას... ამ მდგომარეობით ისარგებლებდა კოლონიზატორი და ძირს გამოუთხრიდა ჩვენი რიგების ერთიანობას"[6].

ახალი დესტურის პარტიის (შეიქმნა 1934 წ. ამჟამად სოციალისტური დესტურის პარტია) ლიდერის ამ პოზიციას ეთანხმებოდა არც თუ ბევრი არადესტურელი.

ნაწილი, თახარ ალ. ხადადის მსგავსად ემანსიპაციის მომხრე იყო, პირველი რიგის ამოცანად მიაჩნდა ჩადრის მოხსნა, ევროპული ტანსაცმლის შემოღება, თანასწორუფლებიანობა ოჯახურ-საქორწინო ურთიერთობაში. თავიანთი შეხედულებების პროპაგანდის მიზნით 1936 წ. მათ დაარსეს ჟურნალი „ლეილა".

პოლიტიკური დამოუკიდებლობის შემდეგ ემანსიპაცია ტუნისში არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი გახდა. ემანსიპაციის პრობლემა და მისი ამოცანების გადაჭრა გამოიხატა კასიმ ამინისა და თახარ ალ-ხადადის იდეებში. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიეცა ქალის პასუხისმგებლობას მომავალი თაობის აღზრდისათვის. გაზეთი „აქსიონი" წერდა: „ქალი, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია საკუთარი შვილების აღზრდაზე. მოცემულ პერიოდში (ამჟამად) ეს როლი მისთვის პირველხარისხოვანია. თავის შვილებში [illegible] პატრიოტიზმისა და სიყვარულის გრძნობის ჩანერგვით. დედა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს მოქალაქის ფორმირებას, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოების წინაშე და განუყრელად დაკავშირებულია მასთან"[7].

ემანსიპაციის საკითხებს მიეძღვნა რესპუბლიკის პრეზიდენტის ხაბიბ ბურგიბას მრავალი გამოსვლა. მათში გამოთქმულია არა მხოლოდ მისი პირადი შეხედულება, არამედ დესტურული სოციალიზმის ოფიციალური დოქტრინის დამოკიდებულება საერთოდ საზოგადოებისა და სახელმწიფოს საკითხების მიმართ. კოდექსი მოწოდებულია, რომ უზრუნველყოს ქალის ღირსება და თავისუფლება, განსაზღვრავს მისი როგორც საზოგადოების აქტიური წევრის უფლებებს. კოდექსი გამოვიდა მახინჯი ოჯახობრივი ქორწინების ტრადიციების წინააღმდეგ. მისი ძირითადი დებულებები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად: ქორწინების წესების შეცვლა, პოლიგამიის აკრძალვა, ქონების გადაცემა ნათესაობრივი კავშირების შესაბამისად.

ძველი მუსულმანური ტრადიციებიდან ქორწინების დროს ახალმა კანონმდებლობამ შემოინახა ნიშნობა, ეგრეთწოდებული ფატიხა, საქორწინო კონტრაქტი და გამოსასყიდი. ამასთანავე, ქორწინებისა და მისი დარღვევის წესში მან ძალიან ბევრი რადიკალური ცვლილება შეიტანა. ერთ-ერთი უმნიშვნე-

---

[6] «Аль-Амаль», Тунис, 28.XII.1968 г.

[7] „L'Action". Tunis. 13.VIII. 1968.

ლოვანესია მინიმალური საქორწინო ასაკის დადგენა. გოგონებისათვის იგი განისაზღვრა 15 წლით, ვაჟებისათვის — 18 წლით (მუხლი 5).

ამ მოთხოვნის მიუხედავად ქორწინება გოგონებთან, რომელთაც 15 წელი არ შესრულებიათ, გაგრძელდა კოდექსის მიღების შემდეგაც (აღსანიშნავია, რომ ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ მოსამართლის სპეციალური ნებართვის შემდეგ). ახალდაქორწინებულთა ასაკი 60-იან წლებში შემდეგნაირად იყოფა: 2,7%—15 წლამდე, 48,5%—15—19; 30,6%—20—24; 10,1%—25—29; 4%—30—34 წელი. ამრიგად, 50%-ზე მეტ პატარძალს არ შესრულებოდა 20 წელი.

ადრეული (ნაადრევი) ქორწინება უარყოფითად მოქმედებდა ჯანმრთელობაზე და, როგორც წესი, არ აძლევდა ქალიშვილს განათლების მიღების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ეს აძლიერებდა მოსახლეობის ისედაც სწრაფ ზრდას.

ამ მიზეზების გამო მუხლი 5 განხილულ და შეცვლილ იქნა. 1964 წლის 20 თებერვლის დეკრეტით ქორწინების მინიმალური ასაკი ქალიშვილისათვის გაიზარდა 17 წლამდე, ხოლო ვაჟებისათვის 20 წლამდე. მიღებულმა ზომებმა რამდენადმე შეუწყო ხელი ადრეული ქორწინების შემცირებას. ხ. ბურგიბა თავის გამოსვლებში აღნიშნავდა, რომ შემთხვევები, როდესაც გოგონები მშობლების ნებისურვილით ტოვებდნენ სკოლას გათხოვების მიზნით უფრო და უფრო იშვიათი გახდა.

ქორწინებისათვის სავალდებულო პირობა გახდა საქმროსა და საპატარძლოს ნებაყოფლობითი თანხმობის პრინციპი. მუხლმა 3-მა, ადგენდა რა, რომ „ქორწინება შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორივე მხარის თანხმობით“[8], ბოლო მოუღო იძულებითი ქორწინების ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკას.

ქორწინება განეკუთვნება სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რიგს. ქორწინების რეგისტრაციამ მიიღო უფლებრივი ხასიათი. რეგისტრაციის გარეშე არ არსებობს ქორწინება და ამის შესაბამისად არც მეუღლეების უფლება-ვალდებულებანი. ქორწინების ქმედითობა დასტურდება ქორწინების მოწმობით.

ეს ღონისძიებები იმდენადაა მნიშვნელოვანი რამდენადაც ჯერ კიდევ 1957 წელს ქმედითად ითვლებოდა ეგრეთწოდებული ზეპირი ქორწინება. ასეთი ქორწინების დარღვევა დიდ გართულებებს იწვევდა. „არაფერია იმაზე მეტად დამამცირებელი, — აღნიშნავდა გაზეთი „აქსიონი“, როდესაც სასამართლოში ერთ-ერთი მხარეთაგანი პრეტენზიას აცხადებს მეუღლის იურიდიულ მდგომარეობაზე, ხოლო მეორე მხარე სადავოდ ხდის ამას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ბავშვებს და საოჯახო ხარჯებს“[9].

განსაკუთრებით ისეთი ღონისძიება, რომლის მნიშვნელობის შეფასება ძალიან ძნელია, გახდა პოლიგამიის აკრძალვა. საკმარისია ითქვას, რომ ტუნისი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქვეყანაა არაბული სამყაროდან, რომელმაც გაბედა ამ ნაბიჯის გადადგმა. ამ ნაბიჯის მნიშვნელობის შესახებ ხ. ბურგიბამ განაცხადა თავის სიტყვაში, რომ „ეს რეფორმა, რომლისთვისაც მრავალი წლის მანძილზე იღწვოდნენ მუსულმანი ქალები, XX ს-ის საღად მოაზროვნე ადამიანისათვის პოლიგამია უაზროა და მიუღებელი“. კოდექსის მუხლი 18. „პოლიგამია იკრძალება“. ყველას, ვინც იმყოფება ქორწინებაში და მეორედ იქორწინებს წინა ქორწინების დარღვევის გარეშე, აღეკვეთება თავი-

---

[8] M. T. es-Snoussi, Code... გვ. 13.

[9] „L'Action“, Tunis, 7.III. 1070.

სუფლება 1 წლით და დაჯარიმება ჯარიმა 240 ათასი დინარის ოდენობით. ან რომელიმე ერთ-ერთი ამ სასჯელიდან თუ მეორე ქორწინება გაფორმებულ იქნება კანონის შესაბამისად“[10].

თუმცა პოლიგამიის აკრძალვა — ყურანის დებულებების პირდაპირი დარღვევაა, ტუნისელი ხელმძღვანელები ცდილობენ დაამტკიცონ ეს ყურანის მეოთხე სურის საფუძველზე. „თუ თქვენ არ გეშინიათ, რომ არ იქნებით სამართლიანი ობლების მიმართ, მაშინ იქორწინეთ თქვენთვის სასიამოვნო ქალებზე — ორზე, სამზე და ოთხზეც. ხოლო თუ გეშინიათ, რომ არ იქნებით სამართლიანი, მაშინ — ერთზე“ (ყურანი IV, 3). ამის თაობაზე ხ. ბურგიბამ განაცხადა შემდეგი: „თუ ღრმად ჩავუკვირდებით მოცემული ლექსის აზრს და დავფიქრდებით ამ მსჯელობაზე, შევნიშნავთ, რომ ისლამი არასოდეს არ მიესალმებოდა პოლიგამიას“[11].

პოლიგამიის აკრძალვამ დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელს არაბულ სამყაროში. მთელი რიგი ქვეყნების პროგრესულმა საზოგადოებრიობამ კერძოდ, ეგვიპტემ იგი რევოლუციურ ღონისძიებად შეაფასა. ტუნისი ერთადერთი ქვეყანაა არაბულ სამყაროში, რომელმაც გაყრის მხოლოდ სასამართლო პროცედურა სცნო. ნებისმიერ შემთხვევაში ქორწინების შეწყვეტისას, ქმარი ვალდებულია უზრუნველყოს ცოლი — გაყრის შემდეგ სამი თვის განმავლობაში. ცოლსაც, თავის მხრივ, ამ ვადის გასვლამდე არ აქვს მეორედ გათხოვების უფლება“. ალიმენტში შედის კვების ხარჯები, რაც არსებობისათვის აუცილებელია, წეს-ჩვეულებების თანახმად“ (მუხლი 50)[12]. ბავშვებისათვის ალიმენტის გადახდა ევალება მამას შემდგომ პერიოდშიც. მოსამართლე განსაზღვრავს ალიმენტის რაოდენობას და წყვეტს საკითხებს, რომლებიც ეხება საცხოვრებელ ფართს და ბავშვების უფლების დაცვას. ძველი ტრადიციებისაგან განსხვავებით ბავშვები რჩებიან დედასთან, შეიძლება მათი ნდობა მამაზე და მის ნათესავზე.

ტრადიციისადმი ერთგულება გამოიხატა იმაშიც, რომ კოდექსი გვერდს უვლის შერეული ქორწინების საკითხს (კავშირები მუსულმანებსა და არამუსულმანებს შორის). კოდექსი პირდაპირ არსად არ გამოთქვამს აზრს ასეთი ქორწინებების შესაძლებლობების შესახებ, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ქორწინება სხვა აღმსარებლობის წარმომადგენლებთან არც ხელისუფლების და არც საზოგადოებრივი აზრის მიერ არ არის მიღებული (წახალისებული). თუ „ტუნისელის კავშირი არამუსულმან ქალთან ხშირი და სრულიად დასაშვებია — წერს ფრანგი ჟურნალისტი ქალი ნიკოლ ბერნხეიმი, ქორწინება ტუნისელი ქალისა არამუსულმან მამაკაცთან, ეს მთელი დრამაა იმ წრეებშიც კი, რომლებიც თავიანთ თავს „გაევროპელებულად“ თვლიან“[13]. სახელმწიფო აპარატის მუშაკებს საერთოდ; რეკომენდაცია ეძლევათ უარი თქვან რელიგიურად არაერთგვაროვან ქორწინებებზე.

ამ ახალი კანონებით ტუნისმა ბევრად გაუსწრო არაბულ ქვეყნებს. თანასწორუფლებიანობის ფორმალური დადგენის გარდა, ამან დიდი გავლენა მოახდინა მუსულმანი ქალის ფსიქოლოგიაზე, რომელიც დაბადებისთანავე ისლამის

---

[10] M. T. es- Snoussi, Code.... გვ. 19.
[11] „L'Action“, Tunis, 1.III.1971.
[12] A de Montety. Femmes de Tunisie. Paris, 1958. გვ. 134.
[13] „Le Monde diplomatique“. Paris, 1910, mai. გვ. 30.

ეთიკური ნორმებისა და მითითებების ზეგავლენას განიცდიდა. მთავარია, ქალმა თვითონ დაძლიოს ინერტულობა, კარჩაკეტილობა და ცრურწმენა.

ქალის სოციალური აქტივობის მისაღწევად დიდი ძალისხმევა იყო საჭირო. ისინი უნდა ჩაებათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა მასში გაჩენილიყო ეროვნული და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა, ბოლო მოღებოდა საუკუნოებრივ აპოლიტიკურობას, რომ ყოფილიყვნენ თავიანთი ქვეყნის ნამდვილი მოქალაქეები. და, ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ემანსიპაციის გზაზე ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების და უპირველეს ყოვლისა, ხმის უფლების მინიჭება. ორჯერ გაიზარდა მათი რიცხვი საკანონმდებლო ორგანოებში და 80-ს მიაღწია. 3 ქალი კი ეროვნული კრების დეპუტატი გახდა. ამჟამად ტუნისელ ქალებს ფორმალურად ყველა პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლება აქვთ, ფაქტობრივად ემანსიპაცია ტუნისში ეს არის ემანსიპაცია ზემოდან. მისი გაფართოება, ე. ი. მისი დაყვანა თითოეული ქალის ცნობიერებამდე, არის ქალთა ორგანიზაციების მთავარი ამოცანა ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც თავის უპირველეს ამოცანად ისახავს ქალის ამაღლებას. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მუსულმანმა ქალმა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეწევა აღმზრდელობით მუშაობას, მატერიალურ დახმარებას უწევს მოხუცებსა და მარტოხელა ქალებს, მრავალშვილიან დედებს, მოსწავლეებს. ეს ორგანიზაცია ქმნის კურსებს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა სანიტარულ-პროფილაქტიკურ კამპანიაში, რომელსაც სახელმწიფოებრივი ორგანოები ატარებენ (მაგ. ანტიტუბერკულოზური აცრების, შობადობის შეზღუდვის კამპანია და სხვ.).

ეკონომიკის სფეროში ამ ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია ქალების შრომით მოწყობისკენ, რისთვისაც იქმნება საწარმოო კოოპერატივები, პროფესიულ-ტექნიკური მომზადების კურსები.

ქალის ამაღლება მისი მოქალაქეობრივი მოვალეობის, უფლებებისა და ვალდებულებების გაგებამდე, რათა შეძლონ მათ ამ უფლებებით სარგებლობა, არის ქალთა ორგანიზაციის მუშაობის ძირითადი მიზანი.

ტუნისის მთავრობას მიაჩნია, რომ მიღებული ზომები არ არის საკმარისი, რომ მომავალში ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი მუსულმანი ქალის ემანსიპაციისათვის: „ეს არის ხანგრძლივი პროცესი, იგი ჯერ არ დასრულებულა“[14] — განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

ამგვარად, ქალის ემანსიპაციამ ტუნისში დიდ წარმატებებს მიაღწია. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ყველა დადებითი შედეგი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ობიექტური ფაქტორების წყალობით: ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარებით, მთელი მოსახლეობის კულტურისა და წიგნიერების დონის ამაღლებით, ტუნისში ნაციონალური სკოლის შექმნით.

უკანასკნელ დროს ტუნისში დიდი ყურადღება ექცევა ქალთა მონაწილეობას საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში. მთავრობა გარკვეულ ზომებს იღებს წარმოებაში ქალის დისკრიმინაციის აღსაკვეთად. ქალებიც მამაკაცების თანაბარ ხელფასს იღებენ. აქამდე ისინი ღებულობდნენ მამაკაცებთან

[14] „L'Action", Tunis, 13.VIII.1968.

შედარებით 20%-ით ნაკლებს. მიღებულ იქნა კანონი ქალის ჰიგიენისა და შრომის უსაფრთხოების შესახებ.

სრული ეკონომიკური თანასწორობა, როგორც ტუნისის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, — არის მომავლის ამოცანა, ხოლო ჯერჯერობით კი როგორც გაზეთი „აქსიონი" წერს, „მეუღლისა და დედის, ფუნქციების შეთავსება, დედობისა და საწარმოო საქმიანობის ჰარმონიული შეთანხმება არის იდეალი, რომლისკენაც საჭიროა სწრაფვა"[15].

Т. В. АМАЗАШВИЛИ, Д. Н. АПЦИАУРИ

ЭМАНСИПАЦИЯ МУСУЛЬМАНСКИХ ЖЕНЩИН В ТУНИСЕ

Резюме

После длительной освободительной борьбы тунисского народа за независимость, которая завершилась победой революции в 1956 году, правительство Туниса начало решать экономические и социальные проблемы страны. Одной из этих проблем была эмансипация мусульманской женщины.

В статье обсуждены взгляды таких публицистов и государственного деятеля как Касим Амин, Тахир Аль-Хадад и Хабиб Бургиба об эмансипации мусульманской женщины и ее роли в построении нового общества в Тунисе.

T. AMAZASHVILI, D. APTSIAURI

EMANCIPATION OF MOSLEM-WOMEN IN TUNISIA

Summary

After a long liberatory struggle of the Tunisian people fo their independence when the revolution gained the victory in 1956, the government of Tunisia began to solve the economical and social problems of the country. One of the problems was Emancipation of Moslem—women.

In this article the views of such publicists and statesman as Kasim Amin, Takhar Al(Khadad and Khabib Burgiba on emancipation of Moslem-woman and her role in building of new society have been discussed.

წარმოდგენილია თბილისის თ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ

[15] „L'Action", Tunis. 26.II.1970.

თამაზ ირაშვილი

„მკვიდრი“ — „არამკვიდრი“, როგორც ბუნებრივ-ისტორიული მოვლენა

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ყოველკვირეულ გაზეთ — „Поиск“-ის 1990 წლის აგვისტოს ნომერში დაბეჭდილია ინტერვიუ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორთან, საზოგადოებათმცოდნე ბატონ ვ. ტიშკოვთან სათაურით: „Семейная драма“. ჩვენ აქ არ შევუდგებით მთლიანად მთელი წერილის განხილვას, ეს ცალკე საკითხია. გვინდა მოვიტანოთ მხოლოდ ერთი ამონაწერი ამ ინტერვიუდან ჩვენი კომენტარითურთ. კერძოდ, კორესპონდენტის ერთ-ერთ მორიგ შეკითხვაზე ბატონი ვ. ტიშკოვი პასუხობს:

«— С точки зрения обществоведа, наши межэтнические конфликты закономерны. Дело в том, что официальная идеология нашего государства, провозгласив себя интернациональной доктриной, на самом деле, вмонтировала в общественное сознание и государственно-правовую практику самый настоящий национализм. Он проявился в делении народов на «коренные» и «некоренные», со «своей» и «несвоей» государственностью, в объявлении одних народов нациями, других — народностями и национальными группами, то есть в создании иерархии национально-государственных образований с Центром»...

ეს ამონაწერი მრავალმხრივაა საყურადღებო, მაგრამ ამჟამად გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ერთ-ერთ საკითხზე: კერძოდ, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერის ხალხების დაყოფა „მკვიდრად“ და „არამკვიდრად“ მიაჩნია არა საზოგადოების განვითარების კანონზომიერებიდან, ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებული საზოგადოების ობიექტური კანონებიდან გამომდინარედ, არამედ სსრ კავშირის, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური იდეოლოგიიდან — ინტერნაციონალური დოქტრინიდან მომდინარედ. ასეთი თვალსაზრისის წამოყენება შედეგია ან იმისა, რომ „მკვიდრისა“ და „არამკვიდრის“ ინსტიტუტები კავშირის მასშტაბით შეუსწავლელი და მტკვერწაყრილი საკითხებია (არა მარტო ისტორიული, არამედ სამართალმცოდნეობის ასპექტითაც), ან გაანგარიშებულია საქმეში ჩაუხედავი ადამიანების. ფართო მკითხველის თვალის ასახვევად და დასაბნევად; თორემ შეუძლებელია ბატონმა ვ. ტიშკოვმა, როგორც საზოგადოებათმცოდნემ არ იცოდეს, რომ ხალხების დაყოფა „მკვიდრად“ და „არამკვიდრად“ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად ხდებოდა და გამოწვეული იყო იმ აუცილებლობით, რასაც საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები და ბუნებრივი ისტორიული პროცესი ქმნიდა. დღევანდელი დასავლეთის ცივილიზებული სამყაროს ქვეყნებში მკვიდრობისა და არამკვიდრობის ინსტიტუტის განვითარების ისტორიულ-სტადიალური საფეხურია ის სახელმწიფოებრივი კანონები, რომლებიც აკონტროლებენ და არეგუ-

ლირებენ იმიგრაციულ პროცესებს, აწესებენ მოქალაქის სტატუსს და სხვა. ცნობილია, აგრეთვე, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ისტორიულ-ტრადიციული გამოცდილება ამ საკითხში (დადასტურებული როგორც წერილობით წყაროებში, ასევე საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში), რამაც უთუოდ დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის ფიზიკური გადარჩენისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. წინამდებარე წერილში შევეცდებით, ქართული სამყაროდან აღებული საილუსტრაციო მასალების გამოყენებით ვაჩვენოთ თუ საზოგადოების განვითარების რომელ საფეხურზე, კერძოდ რომელი ბუნებრივი ისტორიული პროცესიდან გამომდინარე ყალიბდებოდა მკვიდრობისა და არამკვიდრობის ინსტიტუტი.

ადამიანთა საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ასპექტია მისი კარჩაკეტილობიდან „ღია კარისაკენ" ევოლუცია. მეცნიერებაში საყოველთაოდ გაზიარებულია, რომ გვარი და ტომი ჩაკეტილი, ვიწრო ერთობები იყო და მათი „ასე თუ ისე მნიშვნელოვანად ზრდა-გაფართოება უცხო მასის შესახლე-ხორცების გზით თითქმის გამორიცხებოდა"[1]. თვით ქორწინებაც კი, როგორც ამა თუ იმ ეთნოსში უცხო-ეთნიკური ელემენტის შეღწევის ერთ-ერთი წყარო, ტომისათვის სრულიად დახშული იყო, რადგან იგი (ტომი) მკაცრად (აკრძალვის დონეზე) ენდოგამიური იყო (ენდოგამია — ტომის წევრების მხოლოდ ერთმანეთზე დაქორწინების წეს-ჩვეულება; ქორწინების აკრძალვა სხვა ტომის წარმომადგენლებზე; ენდოგამია და კარჩაკეტილობა იყო იმ სამ ძირითად ფაქტორთაგან ერთ-ერთი, რომელიც ეთნოსის თავდაპირველი ჩამოყალიბებისათვის იყო აუცილებელი. ფიქრობენ, რომ იგი ეთნოსის, როგორც განსაზღვრული ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბების პირობებსაც ქმნიდა. მეცნიერებაში მიღებულია, რომ ტომი ეთნოსოციალური ორგანიზმია, ე. ი. სოციალურის გარდა, მას ეთნოსის სტატუსიც აქვს. უფრო მეტიც, მიჩნეულია, რომ სწორედ ტომის საფეხურზე იყო ეთნოსი ყველაზე მტკიცე, მდგრადი და შეურყეველი). სამაგიეროდ, ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ გვარის შიგნით ქორწინებით მოსულთა შესახებ („ქორწინებით მოსული" სპეციალურ ლიტერატურაში ხმარებული — „пришедшие по браку"-ს თარგმანია: იხმარება აგრეთვე ტერმინი „чужеродцы"), რადგან გვარი, ჯერ ერთი, ეგზოგამიური იყო (ეგზოგამია — გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვის წესი, ქორწინება მხოლოდ სხვა გვარის წევრებზე) და მეორეც, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, მათ შორის გვარის საფეხურზეც, უცხოდ ითვლებოდა არა მარტო სხვა ეთნოსის (სხვა ტომის) წარმომადგენელი, არამედ ნებისმიერი პირი, რომელიც არ იყო ამ გვარის წევრი. ამრიგად, ქორწინების საშუალებით გვარი თავის შიგნით იღებდა იმავე ტომის, მაგრამ სხვა გვარის წარმომადგენლებს, ანუ მისთვის უცხო მოსახლეობას. იმის გამო, რომ ტომი ჩაკეტილი — შეუღწევადია სხვა ეთნოსის (სხვა ტომის) წარმომადგენლებისათვის თვით ქორწინების საშუალებითაც კი (ენდოგამიურობის გამო), თავდაპირველად უცხოს მიღების წესი გვარის წიაღში შემუშავდა სწორედ ქორწინების და იმ პრინციპის

---

1 გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 118.

საფუძველზე, რომლის ძალითაც უცხოდ ითვლებოდა ყველა არა ამ გვარის წარმომადგენელი, მათ შორის ქორწინებით მოსულნიც.

უკეთ რომ გავერკვეთ საკითხში, საჭიროა დაახლოებით მაინც გავიხსენოთ გვარის, გვაროვნული თემის სტრუქტურა. გვარის შემადგენლობა პირველად ნათლად დაახასიათა ამერიკელმა ჯ. მორდოკმა. გვარი, რომელსაც მორდოკი კლანს უწოდებს, შედგება სამი ნაწილისაგან: 1) მამაკაცები, რომლებიც ერთი გვარის ეკუთვნიან და თემის ცენტრალურ ბირთვს შეადგენენ; 2) მათი დები და ქალიშვილები, რომლებიც დაქორწინების შემდეგ სხვა გვაროვნულ თემში გადადიან საცხოვრებლად; 3) მათი ცოლები, რომლებიც ქორწინების შედეგად სხვა გვაროვნული თემიდან მოდიან საცხოვრებლად.

საკითხავია, რატომ ითვლება გვარი, რომელიც ეგზოგამიურია, მაინც ჩაკეტილად და შეუვალად? ამ კითხვაზე პასუხს გავცემთ, თუ გავარკვევთ — ხდება თუ არა ქორწინებით მოსული უცხოგვარის წარმომადგენელთა სრული ინტეგრაცია იმ გვაროვნულ თემში, რომელშიც ისინი შედიან, როგორც წევრები. თავიდანვე უნდა ვუპასუხოთ, რომ არ ხდება. მეცნიერებაში გარკვეულია, რომ გვაროვნულ თემში (მაგ., პატრიარქალურ გვაროვნულ თემში), რომელშიც თემის მიწა კოლექტიური საკუთრების საგანია, ესში მთელი თემის კოლექტიური საკუთრება კი არ იგულისხმება, არამედ მხოლოდ თემის ნაწილის, კერძოდ, სისხლით მონათესავე მამაკაცთა კოლექტიური საკუთრება, რადგან თემის მდედრობითი ნაწილი — დები, ქალიშვილები და ცოლები მიწის კოლექტიურ მესაკუთრეთა ჯგუფში არ შედიან. *გვაროვნული თემის მდედრობით ნაწილს წილი არა აქვს სათემო მიწის საკუთრებაში.* ამიტომ ტომთან ერთად, მისი შემადგენელი გვაროვნული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ფაქტობრივად შეუვალი და ჩაკეტილია. უცხოეთნიკური მოსახლეობის შეღწევის თვალსაზრისით კი ტომი და გვარი თითქმის სრულიად შეუღწევადია (თითქმისო, ვამბობთ, რადგან ცნობილია, რომ მოვლენები არ არსებობენ მკაცრად სუფთა სახით). ინტეგრაციული პროცესი მხოლოდ ტომის შიგნით, გვარიდან გვარში, უმთავრესად, მოსალოდნელი, თანაც ისეთი შეზღუდვებით, როგორიც ეს ქორწინებით მოსულთა მაგალითზე დავინახეთ.

საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურებზე (ტერიტორიული თემის, თემის დაშლის და დიფერენცირებული საზოგადოების ჩამოყალიბების პერიოდზე) ზემოაღწერილი მოვლენების შესანიშნავ საილუსტრაციო მასალად გამოდგება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ყოფაში დღემდე შემორჩენილი, ღრმად ტრადიციული *საქორწინო წეს-ჩვეულებები და უცხოს მიღების წესები.*

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში, გათხოვილი ქალი, იმისათვის რომ თავისი ქმრის ოჯახისა და თემის წევრი გახდეს, ასრულებს წეს-ჩვეულებათა მთელ წყებას, ძირითადად სამ ეტაპად: 1) „პატარძლის კერის გარშემო შემოტარება", 2) „პატარძლის წყალზე გაყვანა" და 3) „ხატში გაყვანა". აღნიშნული წესები სპეციალისტების მიერ შეფასებულია, როგორც სოციალურ-რელიგიური ხასიათისა. პატარძლის კერასთან მიყვანა გამოხატავს ახალი წევრის ზიარებას ქმრის სახლთან. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი წესი გააზრებულია, როგორც ახალი წევრის მიღება თემში და მისი დაქვემდებარება სახლის წინაპრების სულთან. იგი ქორწინების ერთ-ერ-

თი უძველესი რიტუალია და დაკავშირებულია კერის კულტთან, რომელიც თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა — მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა ქართველ და კავკასიელ ტომებში. საერთოდ კერა და ცეცხლის კულტი დიდ როლს ასრულებდა, როდესაც გვარში ახალი პირის ინკორპორაცია ხდებოდა. პატარძლის ქმრის საგვარეულოსთან ზიარების ერთ-ერთი წესია მისი „წყალზე გაყვანაც". თავისი ფუნქციით იგი ნაყოფიერების კულტს უკავშირდება. ამასთან ერთად, ამ წესის მიზანი იყო ქალის ზიარება ქმრის ოჯახის მეურნეობასთან, საოჯახო საქმიანობასთან. მესამე და საბოლოო ეტაპი ესაა „პატარძლის ხატში გაყვანა", რომელიც მისი მოყვანიდან ერთი წლის შემდეგ სრულდებოდა და საბოლოოდ ამყარებდა კავშირს ქალსა და ქმრის საგვარეულო თემს შორის[2].

მიუხედავად აღნიშნული წესების სოციალურ-რელიგიური ფუნქციისა, ქორწინებით მოსული მდედრობითი სქესის მოსახლეობის სრული სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია ქმრის საგვარეულოსა და თემში არ ხდება. ეს, უპირველესად ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ ქორწინებით მოსული მდედრობითი სქესის მოსახლეობა ქმრის ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონების მემკვიდრედ არ ითვლება: მას წილი არ უდევს აგრეთვე ქმრის საგვარეულოს, თემის ადგილ-მამულში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საგვარეულოს და თემის წევრია. მთაში ქალი მემკვიდრეა მხოლოდ მამის სახლიდან წამოღებული სათავნოს და მზითევისა, რომელიც მის პირად ქონებას შეადგენს.

მთიანეთში ქალს წილი არ ედო ასევე მამის საოჯახო და საგვარეულო ქონებაში. სპეციალისტთა აზრით, ამის საფუძვლად ედო ის გარემოება, რომ ქალი მამის ოჯახისა და საგვარეულოს დ რ ო ე ბ ი თ მ ც ხ ო ვ რ ე ბ ა დ ითვლებოდა: ადრე, თუ გვიან, გათხოვების შემდეგ ის სხვა ოჯახისა და საგვარეულოს წევრი უნდა გამხდარიყო. იმ ოჯახის ქონება, რომელსაც მხოლოდ ქალიშვილები ჰყავდა, დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ, მოგვარეებს რჩებოდათ[3].

ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ საქართველოს მთიანეთი არ იცნობს ზედსიძეობის ინსტიტუტს. სპეციალისტების აზრით, ზედსიძეობის არარსებობა დაკავშირებული იყო ქალის, როგორც მამის მემკვიდრის უფლებებთან. მთაში, სადაც ქალი მამის ოჯახის ქონებაზე მოწილედ არ ითვლებოდა, ზედსიძეობის აკრძალვას ეს ჩვეულება განაპირობებდა, რათა ქონების მოწილედ უცხო კაცი — არა ამ გვარის, თუ სოფლის წევრი არ გაუხდათ[4].

აღნიშნული მიზეზების გარდა, ჩვენი აზრით, იყო სხვაც, რომელთა გამო ზედსიძეობის ინსტიტუტის არსებობა გაუმართლებელი და შეუფერებელი მოვლენა იქნებოდა მთიანეთისათვის. ზედსიძე უცხო გვარის და თემის წარმომადგენელი იყო. მთიანეთში უცხოს მიღება გვარისა და თემის წევრად განსაზღვრული წესების შესრულების შემდეგ ხდებოდა. მაგრამ ისევე, როგორც ქორწინებით მოსულის, მისი — გვარისა და თემის წევრად გამხდარი უცხოს — სრული ინტეგრაციაც არ ხდებოდა. ზედსიძე ამ ჩვეულებიდან გა-

[2] ლ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ტრადიციული საქორწილო წეს-ჩვეულებების სტრუქტურის ანალიზი და ინოვაცია, თბ., 1986, გვ. 48—54 (აქვე იხილეთ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა).

[3] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 102—106; გვ. 158.

[4] იქვე.

მომდინარეც ვერ გახდებოდა თავისი სიმამრის მემკვიდრე. თემის წევრად გამხდარ უცხოს კი უკვე აღარ შეეძლო დაქორწინება სოფლის და გვარის შიგნით, რადგან გვარიც და სოფელიც მთიანეთში მკაცრად ეგზოგამიური იყო. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ზედსიძეს მთიანეთში ზოგჯერ ამანათად მოიხსენიებდნენ (მ. კანდელაკი). როგორც სოფლისა და თემის ღირსებით მაცხოვრებელს — ამანათს, ასევე ზედსიძესაც წილი არ ედო სოფლის ადგილ-მამულში. ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია და, თავის მხრივ, მიწათმფლობელობის სფეროში ამანათის სტატუსის მაილუსტრირებელი.

განსხვავებული მდგომარეობა იყო ბარში, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების დონით დიდად უსწრებდა წინ მთას. სპეციალისტებს შესწავლილი აქვთ, რომ მაგ., სამცხე-ჯავახეთში ქალს შეეძლებოდა მამის უძრავ-მოძრავი ქონება დარჩენოდა მისი სიკვდილის შემდეგ, თუ ვაჟიშვილი არ ჰყავდა. აკრძალული არ იყო და არც იშვიათი შემთხვევა იყო ზედსიძედ მოსვლის წესიც. ხოლო საზოგადოების ზედა ფენებში წესად იყო ქალისათვის მზითვად მიწის გატანებაც[8], რაც სრულიად გამორიცხებოდა მთიანეთის რეგიონებში. ასევე, ფეოდალური ხანის სამართლის ნორმების და მზითვის წიგნების მიხედვით, საქართველოს ბარის რეგიონებში (ქართლში, კახეთში) მზითვის შემადგენლობაში მოძრავი ქონების გარდა შედიოდა უძრავი ქონებაც[9].

საქართველოს მთიანეთს ჰქონდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, და დღემდე შემორჩენილი, ხალხური ტრადიციული მმართველობის სისტემა, რომელშიც ქალი ასევე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე გვარიდან გვარში, თემიდან თემში, უცხო ელემენტის შესვლა ხდებოდა არა მარტო ქორწინებით, არამედ სხვა საშუალებითა და მიზეზებითაც. მიწის სიმცირე — გამოფიტვა, სიღარიბე, გვარის (თემის) შინაგანაწესის დარღვევა (გვარის შიგნით, თემის შიგნით ქორწინება, ქურდობა, მკვლელობა, ცოლისწამება და სხვ.), არსებობისათვის უკეთესი გარემოს ძებნა და სხვ., იწვევდა მოსახლეობის დროებით, ან მუდმივ საცხოვრებლად გადაადგილებას ერთი ტერიტორიიდან (გაერთიანებიდან) მეორეში. ქორწინებით მოსულთა მსგავსად, მათი თემის წევრად მიღებაც განსაზღვრული, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესების შესრულებით ხდებოდა. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, უცხო მასის სრული ინტეგრაცია არ ხდებოდა. მცდარია მათი შეხედულება, ვინც ფიქრობს, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე უცხოს შემოსვლა თემში უმტკივნეულოდ ხდებოდა და იგი გვარისა თუ თემის სრულუფლებიან წევრებთან იყო გათანაბრებული. ეს რომ ასე არ იყო, ნათლად ჩანს თუნდაც ქორწინებით მოსულთა მაგალითზე.

ამრიგად, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, თემში თანდათან ჩნდება არასრულად ინტეგრირებული და, ამდენად, არასრულუფლებიანი მოსახლეობის ფენა. მისი არასრულუფლებიანობის საწინდარია, ერთი მხრივ, თემის კარჩაკეტილობა-შეუვალობა, და, მეორე მხრივ, ის მიზეზები, რომლებიც მის ტერიტორიულ გადაადგილებას იწვევს: სიღატაკე, უმიწობა, საზოგადოების შინაგანაწესის დარღვევა, ე. ი. ცხოვრების ჩვეულებრივი

[8] თ. ივე ლიაშვილი, საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1987.
[9] ნ. მახაბელი, დასახ. ნაშრომი.

რიტმიდან და ნორმებიდან ამოვარდნა. ამ მიზეზებით წამოსულ და ერთი თემიდან მეორეში დროებით თავშეფარებულს, როგორც ვიცით, საქართველოს მთიანეთში ამანათი ეწოდებოდა, ხოლო სამუდამოდ ბარიდ-წამოსულს და თემის მუდმივ მაცხოვრებელს — მოსული (თემის მოსახლეობის ამ კატეგორიის აღსანიშნავად მოსულს, როგორც ადგილობრივ ყოფაში დამოწმებულ ტერმინს, ხმარობს ალექსი ოჩიაური — ფშავ-ხევსურეთის მკვიდრი, რომლის მიერ ნაწერილი უნიკალური ეთნოგრაფიული მასალა ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საარქივო ფონდში). ამანათი და მოსული თემის მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლები არიან. სხვადასხვაა მათი სტატუსიც თემის მიწათმფლობელობაში. ამანათს მიწას დროებით სარგებლობაში აძლევდნენ, მოსულს მიწა მემკვიდრეობით მფლობელობაში (და არა საკუთრებაში) ჰქონდა, მაგრამ განსაზღვრული პირობით. ამანათს არ შეეძლო თემში მიწის ყიდვა, სახლის აშენება ან ყიდვა. იგი დროებით საცხოვრებლად უნდა შესულიყო ვინმეს მიერ მიტოვებულ ბინაში. მოსულს, როგორც თემის წევრს, მიწის ყიდვაც შეეძლო, სახლის აშენებაც და ყიდვაც. მოსული არ მონაწილეობდა თემის მმართველობაში და მისი უფლებები მხოლოდ თავისი საგვარეულოს საშინაო საქმეების მოწესრიგებით განისაზღვრებოდა. მოსულისგან განსხვავებით, დამხვედურს, ანუ თემის პირველმოსახლეს, ძირძველ მოსახლეობას ეწოდებოდა მკვიდრი (ხევსურეთში უნჯი). ასე ჩნდება თემის მკვიდრი და არამკვიდრი (მოსული) მოსახლეობა და მათი აღმნიშვნელი ცნებები. (ძველ ქართულ წერილობით წყაროებში მკვიდრი ის სიტყვაა, რომელიც ყოველ ნაბიჯზე გვხვდება).

როგორც ვხედავთ, თავდაპირველად არამკვიდრი არ ნიშნავს მაინცდამაინც უცხოეთნიკურ მოსახლეობას, არამედ ნიშნავს ქორწინებით მოსულს და ეთნოსის (ტომის) შიგნით ერთი გაერთიანებიდან მეორეში გადაადგილებულ იმ მოსახლეობას, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმიდან და ნორმებიდან ამოვარდა.

შემდეგში, როდესაც ტომის არტახებისგან განთავისუფლებულ საზოგადოებაში ხდება სხვა ტომის წარმომადგენელთა, ანუ უცხოეთნიკური მოსახლეობის მშვიდობიანი მასიური შემოღწევა (გამოვრიცხავთ, დაპყრობებს და შემოსევებს), მისი სტატუსი ტომის შიგნით არამკვიდრი მოსახლეობის სტატუსის შესაბამისად განისაზღვრა, ანუ უცხოეთნიკური მოსახლეობა არამკვიდრის (მოსულის) — არასრულუფლებიანი მოსახლეობის სტატუსში „ჩაჯდა“. ეს განსაკუთრებით კარგად ასახა ფეოდალური ხანის საქართველოს, როგორც მთიანეთის, ასევე ბარის ყოფაში: არამკვიდრი ქართველიც შეიძლებოდა ყოფილიყო და არაქართველიც. ამით მკვიდრობისა და არამკვიდრობის ინსტიტუტს სოციალურთან ერთად ეთნიკური ასპექტიც გაუჩნდა.

კარჩაკეტილობა, დახშულობა ტომისა და გვარისა, უცხოს შეუღწევადობის პრინციპი, რომელიც საზოგადოებრივი ყოფის ყველა მხარეს მსჭვალავდა, იმ მოვლენათა ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც სხვა მოვლენებთან ობიექტურ კავშირში მყოფნი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ ამ საზოგადოების

განვითარების შემდგომ მიმართულება-მსვლელობას და სახეს. ამიტომ იყო, რომ კოლექტიურობის და სოლიდარობის პრინციპზე აგებული პირველყოფილ-თემური წყობის შემცვლელად (კოლექტიურობა და სოლიდარობა აქ მხოლოდ თემის სისხლით მონათესავე გვარის მამაკაცთა კოლექტივის შიგნით მოქმედებს) მოგვევლინენ ისეთი საზოგადოებები, რომლებიც ექსპლუატაციის მძიმე და მკაცრი სახით გამოირჩეოდნენ. ზოგ შემთხვევაში — მონათმფლობელური, ზოგში — ფეოდალური, ანდა ერთიმეორის შენაცვლებით. ამასთან, მონობის ყმური დამოკიდებულებით შეცვლით ექსპლუატაციის მკაცრი სახე უფრო რბილით შეიცვალა. ეს კი, უთუოდ იმასაც ნიშნავდა, რომ მონათმფლობელურთან შედარებით ფეოდალური საზოგადოება უფრო ღია, უფრო შეღწევადი გახდა. თავის მხრივ, მონათმფლობელური საზოგადოებაც უფრო შეღწევადია და ღია, ვიდრე პირველყოფილ-თემური. თუ ტომი საერთოდ კრძალავს უცხოეთნიკური (სხვა ტომის) წარმომადგენლებს მიღებას, მონათმფლობელური აღარ კრძალავს, არამედ იღებს, მაგრამ სოციალურად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში გადაჰყავს, უთანაბრებს ქვეყნის შიგნით არამკვიდრის (სოციალური ასპექტით არსებულის) სტატუსს. ამ დროის სოციალური დაქვემდებარების ხასიათი და ხარისხი, ალბათ, ბევრად იყო დამოკიდებული თვით ეთნოსის თვითშეგნების ხასიათსა და ხარისხზე. მაგალითად, ანტიკურ ბერძნულ-რომაულ საზოგადოებებში მონის ექსპლუატაციის განსაკუთრებულ მკაცრ სახეს უთუოდ განსაზღვრავდა ამ საზოგადოებათა ეთნიკური თვითშეგნების მაღალი დონეც. საყოველთაოდ ცნობილია ამ ხალხთა განსაკუთრებული დაპირისპირებულობა ყველა დანარჩენი ხალხებისადმი, როგორც ბარბაროსებისადმი (ამიტომ ეთნიკური თვითშეგნების დაბალი დონე შეიძლება ტოლერანტობის ერთ-ერთი წყაროც გახდეს; თუმცა იგი (ტოლერანტობა), შესაძლებელია დიპლომატიისა და ისტორიული ძნელბედობით მიღებულ გამოცდილების გამოძახილიც იყოს).

ქართულ სამყაროში მკვიდრისა და არამკვიდრის ინსტიტუტების განვითარების ერთ-ერთი საფეხურის მაჩვენებელია ჩვენს ისტორიოგრაფიაში დადგენილი ფაქტი, რომ ძველ წერილობით წყაროებში მ კ ვ ი დ რ ი ს ოპოზიციებია ტ ყ ვ ე, უ ც ხ ო, მ ო ნ ა, მ წ ი რ ი, გ ლ ა ხ ა კ ი. მათგან განსაკუთრებით გამოვყოფდით მწირს, რომელიც ხშირად იხმარება ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში, კერძოდ ძველი და ახალი აღთქმის ძველქართულ თარგმანებში. „მწირი" აგრეთვე აღნიშნავდა „უცხოელს", „უცხო ქვეყნიდან მოსულს". „აბო ტფილელის მარტვილობაში ეს ტერმინი ასეა განმარტებული: „...მწირნი, სხვით მოსრულნი". მწირი „უცხოს" და „ტყვეს" სინონიმია „წმ. ნინოს ცხოვრებაში": „ხოლო ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი მოციქული და მახარებელი ძისა ღმრთისა წმიდაჲ ნინო პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხო და ვითარცა მწირი"[7]... დასახელებული ტერმინებით უკვე გამოხატულია არა მარტო სოციალური დაპირისპირება მკვიდრისა და არამკვიდრისა, არამედ ეთნიკურიც.

ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში მკვიდრია მიწათმფლობელი საზოგადოების ყველა წარმომადგენელი: მ ე ფ ე, უ ფ ლ ი ს წ უ ლ ი, ფ ე ო დ ა ლ ი, ქ ვ ე ყ ნ ი ს მ მ ა რ თ ვ ე ლ ი წ რ ე, ე რ ი ს ვ ა ნ თ ა ფ ე ნ ა, „მ კ ვ ი დ რ ი გ ლ ე ხ ი" (ანუ „მსახლობარი") და ა. შ. არამკვიდრია ყველა უმიწაწყლო:

---

[7] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. I.

გლეხი — „ბ ო გ ა ნ ო“, „ა ხ ლ ა დ მ ო ს უ ლ ნ ი“, „ხ იზ ა ნ ი“ და ა. შ. (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი, გ. მამულია, გ. ჯამბურია, დ. მეგრელაძე). ამ ტერმინებითაც გამოხატულია მკვიდრისა და არამკვიდრის არა მარტო სოციალური დაპირისპირება, არამედ ეთნიკურიც, რადგან არამკვიდრში შედის როგორც ქართველი, ასევე არაქართველიც.

განვითარების თავისი გზა აქვს მკვიდრისა და არამკვიდრის ინსტიტუტის ეთნიკურ ასპექტსაც. მკვიდრის ეთნიკური ასპექტის განვითარების დაგვირგვინება იყო ის მოვლენა, რომელიც ასე კარგად ასახეს ძველმა ქართულმა წერილობითმა წყაროებმა, კერძოდ, როდესაც ცნება მკვიდრი ხდება მთელი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი ტერმინი. მთელი ხალხის მნიშვნელობით ამ წყაროებში იხმარება „ყოველნი ქართველნი“, რომლის სინონიმური ცნებაა „ყოველნი მკვიდრნი ქართლისანი“[8].

შეუდარებლად ღია და შეღწევადი არიან თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს ქვეყნების საზოგადოებები. თავისუფალია ქვეყნის შიგნით გადაადგილება: ბევრ ქვეყანაში სპეციალური კანონებითაა მოხსნილი მის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებასთან დაკავშირებული ყოველგვარი შეზღუდვა. ამ ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას — მის მოქალაქეებს, უფლება აქვთ ერთიანი ტერიტორიის საზღვრებში თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი (მაგ., ფინეთში, ესპანეთში და სხვ.).

რაც შეეხება უცხოეთნიკურ მოსახლეობას, იგი თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი ჯერ კიდევ რჩება არამკვიდრის სტატუსში: ამ ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მოქმედებს იმიგრაციის კანონები, დაწესებულია მოქალაქეობის სტატუსი, ზოგიერთში კი ძალიან შეზღუდულია უცხოელებისთვის მოქალაქეობის მიცემა (მაგ., შვეიცარიაში, სადაც უცხოელების უმრავლესობას მხოლოდ დროებით პოლიტიკურ თავშესაფარს აძლევენ; ხოლო თუ ვინმე შეეცდება კანონების ავლით ქვეყანაში დარჩენას, მათ მაშინვე უკან აბრუნებენ თავის სამშობლოში). ბინადრობის ცენზის (5 წელი, ან 10 წელი, ან 12 წელი) გადალახვისა და ამ ქვეყნის ენისა და ისტორიის ცოდნის გამოცდების საშუალებით შემოწმების შემდეგ, რომელშიც უცხოელს დარჩენა სურს, მას აძლევენ მოქალაქის სტატუსს, რის შემდეგაც ი გ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს რ უ ლ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ი წ ე ვ რ ი ხ დ ე ბ ა (თუმცა ამის შემდეგაც, ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფო თანამდებობის დაკავება მათ არ შეუძლიათ. ხოლო თუ თავიანთი მოქმედებით საფრთხეს უქმნიან შინაგან და საგარეო მშვიდობას, დაუყოვნებლივ უნდა იქნენ გასახლებულნი). ასე, რომ დღეს ცივილიზებულ საზოგადოებაში უცხოეთნიკური მოსახლეობის შემოსვლა აღარ არის დაკავშირებული მისი სოციალურად დაქვემდებარებულ მდგომარეობაში გადასვლასთან, როგორც ეს იყო ისტორიულად.

ამრიგად, მკვიდრობა და არამკვიდრობა არის გლობალური მოვლენა, დამახასიათებელი ადამიანთა საზოგადოებისათვის ყველა დროსა და სივრცეში. იგი წარმოიშობა არა ადამიანის ნებით და რომელიმე სახელმწიფოებრივი იდეოლოგიიდან ან კანონებიდან, არამედ ბუნებრივი ისტორიული პროცესიდან გამომდინარე, საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე.

---

[8] ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალური ხანის საქართველოს მიწისა და მიწის ურთიერთობის საკითხი, თბ., 1984, გვ. 22 და შემდეგ.

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ

ДЕЛЕНИЕ НАРОДОВ НА «КОРЕННОЙ» И «НЕКОРЕННОЙ» — КАК ЕСТЕСТВЕННО-ИСТОРИЧЕСКОЕ ЯВЛЕНИЕ

Резюме

В статье рассмотрен вопрос о том, что деление народов на «коренных» и «некоренных» глобальное явление и свойственно человеческому обществу на всех этапах его развития. Оно возникает не по воле человека, или по идеологии и законам какого-либо государства, как думают некоторые ученые, а из естественно-исторических процессов на ранних ступенях общественного развития.

J. ERIASHVILI

THE DIVISION OF PEOPLE ON «NATIVE» AND «NON-NATIVE ONES» — AS A PROCESS OF NATURAL-HISTORICAL DEVELOPMENT OF THE SOCIETY

Summary

In the article is discussed the question that the division of people on «native» and alien «non-native ones» is a global phenomenon and that is the nature of human society on all the stages of it's development. It comes into being not by one's will or rules and ideology of some state, as some of the scientist think, but from natural-historical processes on the early stages of social development.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ხალხის კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ᲙᲐᲠᲚᲔᲜ ᲑᲐᲥᲐᲠᲐᲫᲔ

ᲥᲡᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲝᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ

საქართველოში შიდა ქართლი, როგორც ქვეყნის ცენტრალური რეგიონი, უძველესი ხანიდან დღემდე, გამოირჩევა კულტურის ძეგლების მრავალფეროვნებით. თვით შიდა ქართლში კი ქსნის ხეობაა გამორჩეული. შუა საუკუნეების ძეგლებზე, რომ არაფერი ვთქვათ, რად ღირს მარტო ე. წ. ახალგორის განძის გახსენება. აქ მოპოვებული აქემენიდური ხანის ოქროსა თუ ვერცხლის ნივთები დაამშვენებდა ყოველი ცივილიზებული ერის ისტორიას[1]. ქსნის ხეობაზე არასოდეს არ გადიოდა სატრანზიტო გზა და არც ქვეყნის ცენტრს წარმოადგენდა. მაშ როგორ მოხდა აქ ეს განძი? აქვე შეიძლება დავსძინოთ აქ. ცენტრიდან მოწყვეტილ ღრმა ხეობაში. ამ ნივთების შემქმნი და მქონე ისეთი ხალხი, რომ ცხოვრობდა, რა იქნებოდა ქვეყნის ცენტრში!

ქსნის ხეობის არა ერთ ძეგლზეა მიძღვნილი სტატია თუ მონოგრაფია[2]; მაგრამ გასაანალიზებელი და დასაწერია ამ ხეობის ათასწლოვანი მრავალფეროვანი და მეტად მდიდარი ისტორია[3].

ჩვენ ამ ხეობის საკმაოდ ბევრი ძეგლი აგვიზომია, შეგვისწავლია და გამოგვიქვეყნებია, მაგრამ დასაწერი და გამოსაცემიც ბევრი დაგვრჩა. მათ შორის: სოფელ მონასტრის მეტად საინტერესო ანსამბლი. იგი ჩვენ 1948 წელს ადგილზე დავაფიქსირეთ და შევისწავლეთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო გამოსაცემად ვერ მოვამზადეთ[4].

მდინარე ქსნის ხეობა გრძელია. მის მთელ სიგრძეზე ბუნებით კონტრასტულად განსხვავებული მონაკვეთებია. მდინარის ცენტრალური შტო იწყება მთების ალპიურ ზონაში. მდინარის სამი შტო თავს იყრის ლარგვისში, სადაც XVII საუკუნემდე იყო ქსნის ერისთავთა ანუ ლარგველთა რეზიდენცია. XVII

---

[1] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1961, ტაბ. 22—31.

[2] Г. Н. Чубинашвили. Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье. „Вопросы истории искусства". ტ. 1. 1970, გვ. 141. ამ ნაშრომში ავტორი სოფლის ტაძრის მაღალ შეფასებას აძლევს (გვ. 172).

ჩემმა მასწავლებელმა აკად. გ. ჩუბინაშვილმა დამავალა ქართული საერო და საფორტიფიკაციო ხუროთმოძღვრების შესწავლა (რადგან მაშინ ამ დარგებს სპეციალურად არავინ სწავლობდა). რადგანაც ინსტიტუტს ამდენი შესაძლებლობა არ ჰქონდა, გადაწყდა ჩემი გადაყვანა (1948 წ.) აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. მუზეუმში და აქ უფროსის შტატზე. მართლაც საექსპედიციო სამუშაოები დავიწყე ქსნის ხეობიდან, რადგან აქ ძეგლთა სიმჭიდროვე და მრავალფეროვნება იყო. მართლაც, ეს ხეობა ამ მხრივ გამონაკლისი გამოდგა.

[3] გ. ბოჭორიძე, ქსნის ხეობის ციხე-სიმაგრეები, აკად. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVI—B, 1950, გვ. 165; იგივე, ლარგვისის არქიტექტურული ანსამბლი, მუზ. მოამბე, ტ. XIX—B, 1956, გვ. 47.

[4] ჩემს შემდეგ ამ ძეგლით სხვა კოლეგებიც დაინტერესდნენ, მაგრამ შევეცადე, მათთვის ხელი არ შემეშალა.

ს-ის დასაწყისიდან მაინც, თუ ცოტათი უფრო ადრე არა, ქსნის ერისთავებს რეზიდენცია ქვემოთ, ახალგორში გადმოაქვთ. ლარგვისი თუ მთებში იყო მომწყვდეული, ახალგორი შედარებით გაშლილ ადგილას მდებარეობდა. ცოტათი ქვემოთ კი, სოფლების — ქსოვრისისა და დამპალოს მიდამოებში, მდინარე გამოდის მთების მარწუხებიდან და მუხრანთან თითქმის დაივაკებს.

ჩვენი შესწავლის ობიექტი, ხოფის იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, ამ ხეობაშია. ახალგორის ქვემოთ, რამდენიმე კილომეტრზე მდინარეს მარცხნიდან შეერთვის ხოფის წყალი. ამ შესართავიდან სადაც მდებარეობს სოფ. მოსაბრუნი, ორიოდე კილომეტრზეა სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები[5].

ხოფის მონასტრის ნაგებობების ნანგრევებით თუ ვიმსჯელებთ, იგი საკმაოდ დიდი და ხალხმრავალი ყოფილა. მიუხედავად ამისა, მასზე ცნობას ისტორიულ წყაროებში მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონთან ვხვდებით[6]. იგი თავის „გეოგრაფიაში" ქსნის ხეობის აღწერისას ასე წერს: „...ორის ზეით არს მონასტერი ხოფა, უგუმბათო, დიდშენი, კეთილად და აწ ცარიელი". აქედან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ XVIII ს-ის პირველ ნახევარში ხოფის მონასტერი ცარიელი ყოფილა.

მონასტერზე მცირე ცნობა მოეპოვება მარი ბროსეს[7], ხოლო შედარებით ვრცელ აღწერას გეგმითა და ფოტოებით იძლევა ე. თაყაიშვილი[8] (ძეგლი ჩვენ 1948 წელს ვნახეთ. ე. თაყაიშვილის შემდეგ მას მცირე ცვლილებები განუცდია).



სურ. 1. ხოფა. მონასტრის გეგმა.

[5] ძეგლისადმი ერთი თავია მიძღვნილი: Р. Меписашвили, В. Цинцадзе, Архитектура нагорной части Грузии, Тб., 1975, с. 117.
ამ ბოლო დროის მასზე მცირე სტატია დაწერა ძეგლის რესტავრატორ-არქიტექტორმა ნ. თათარიშვილმა („ძეგლის მეგობარი", 1969, № 2, გვ. 62).

[6] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 68.

[7] M. Brosset, Voyage archéol. VI rapp. გვ. 82—83.

[8] Е. Такайшвили, Археологические путешествия, разыскания и заметки, вып. V, Тифлис, 1915, с. 132—139.

სამონასტრო ნაგებობიდან უკეთ მოაღწია ეკლესიამ და სატრაპეზომ. ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ ორ ნაგებობას ეძღვნება (სურ. 1).

მონასტერი გაუშენებიათ ხოფას წყლის მარჯვენა ნაპირზე, მაღალი მთის დავაკებულ ფერდობზე, ირგვლივ წალკოტია. ალბათ, თავის დროზე, მონასტრის მოქმედების დროს, უკეთესი იქნებოდა.

მონასტრის მთავარი ნაგებობა, როგორც ეს მიღებული იყო ასეთ ობიექტებზე (იოანე ნათლისმცემლის სახელობის), ეკლესიაა. აქ ამ ეკლესიის ადგილმდებარეობა და მასშტაბი განსაზღვრავს მის ცენტრალურობას.

ეკლესია სამი პერიოდის ნაშთითაა მოღწეული. თავდაპირველად აქ ყოფილა დიდი დარბაზული ეკლესია ჩრდილოეთის ეკვდერით (სურ. 2). შემდეგში ეკლესიისათვის მიუშენებიათ სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები. სულ ბოლოს კი სამხრეთის კარიბჭეზე სამრეკლოს ფანჩატური დაუდგამთ. ბოლო საუკუნეებში უპატრონოდ მიტოვებულმა ნაგებობამ დაკარგა გადახურვა და აქა-იქ შემოსვის ქვები და კარნიზი*.

დიდი ზომის (7,6×14,7 მ.) ეკლესიის შიდა სივრცე მაღალი და ხალვათია (სურ. 2, 3). დღეს ფრესკას მხოლოდ კვალი ჩანს. ამ ფრაგმენტით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ტაძრის თანადროულია.



სურ. 2. ხოფა. ეკლესიის გეგმა.

* სარესტავრაციო სამუშაოები ტაძარზე ჩატარდა 1988—90 წლებში (რესტავრაციის ავტორი არქიტ. ნ. თათარაშვილი). ამ რესტავრაციის დროს მოიხსნა ფლეთილი ქვები და აგურის ულამაზო ნაგები სამრეკლოს ფანჩატურის ნაშთი. ეკლესიის კედლების შემოსვა აღდგა და ძველი გადახურვა.

ეკლესიაში შესასვლელი დასავლეთისა და სამხრეთის ცენტრებშია. კარების გადახურვა გარედან არქიტრავულია, ხოლო შიგნიდან ტიმპანებია. კარების გადახურვის ეს სისტემა ფეოდალური ხანის შუა პერიოდისათვის ჩვეულებრივია.

შიდა სივრცის შემქმნელი გრძივი კედლები სამ-სამი თაღითაა დამუშავებული (სურ. 2, 3). ამ თაღებიდან ჩრდილოეთისა ტოლებია, ხოლო სამხრეთისებიდან შუა, ოდნავ სჭარბობს გვერდითებს. თავისთავად თაღები ორსადღესურიანია, რაც ჩვეულებრივია X საუკუნიდან[10]. შიდა სივრცის გადამხური კამარა ოდნავ შეისრულია, მაშინ როდესაც გვერდითი კედლების თაღები ნახევარწრიულია. ეკლესიის კამარა ეყრდნობა ორ საბრჯენ თაღს. თაღები თავისთავად დაკიდული კონსტრუქციისაა და კრონშტეინებზე გადადის. ასეთი გადაწყვეტა გავრცელებული არ არის, მაგრამ გვხვდება. ჩვეულებრივ თაღები უშუალოდ პილასტრებთანაა დაკავშირებული. აფსიდის კონქსაც შემოსაზღვრავს თაღი, მაგრამ იგი კედლისგან ოდნავ შვერილ კაპიტელს ეყრდნობა.



სურ. 3. ხობი. ეკლესიის განაკვეთი აღმოსავლეთით

რაც შეეხება შეისრულ თაღებს და კამარებს, ეს ფორმა ადრეც გვხვდება, მაგრამ ჩვეულებრივია XII—XIV საუკუნეებში[11].

10 Р. Шмерлинг, Древний Цхимоэтский храм близ сел. Хоби, ქართული ხელოვნება, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 158.

11 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. II, თბ., 1978, სურ. 3, 4, 54, 55 და სხვ.

თვით აფსიდი ნახევარწრიულია, მცირედ შეწეული ცენტრით. მას ირგვლივ მღვდელმსახურთა ჩამოსაჯდომი უვლის. გვერდით კედლებში გარედან სწორკუთხა ნიშები აქვს, შიგნით კი — საკმაოდ ღრმა სათავსები[12].

ეკლესია ნათდებოდა ოთხი სარკმლით. ამათგან შედარებით დიდებია აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთის წყვილი კი მომცროა. სარკმელთა სიმცირემ განაპირობა შიდა სივრცის სანახევროდ განათება. იმ ეპოქაში, როცა ეკლესია აიგო, კედლებზე ფრესკების არსებობა თხოულობდა სინათლის მეტ წყაროს, მაგრამ ეკლესიის ხუროთმოძღვარს ეს საკმარისად მიუჩნევია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესიის კედლები ფრესკული მხატვრობით იყო დაფარული. ამგებმა ოსტატმა კარგად იცოდა, რომ კედლები შეილესებოდა, ამიტომ საშენ მასალად გამოყენებულია რიყის ქვა. თლილი ქვით მხოლოდ პილასტრები, თაღები და კარ-სარკმლების საპირეებია შემოსილი.

ეკლესიის ჩრდილო ეკვდერი გრძელი და ვიწრო სათავსია. იგი აღმოსავლეთით ღრმა აფსიდით მთავრდება. დარბაზი ერთიანი კამარითაა გადახურული, რომელიც შუაზე ვიწრო თაღს ეყრდნობა. თაღი ჩრდილოეთით პილასტრზე გადადის, სამხრეთით კი კრონშტეინზეა დაყრდნობილი. კაპიტელისა და კრონშტეინის პროფილი მარტივია. იგივე პროფილი მეორდება აფსიდის კონქის კაპიტელებზეც. განათება აქ უფრო სუსტია ვიდრე მთავარ ეკლესიაში, რადგან განათების წყაროს წარმოადგენს ბოლოებში ვაწროვებული პატარა სარკმლები. აქ ტრაპეზის ქვა სარკმლის ქვეშ კედელზეა მიდგმული, მაშინ როდესაც მთავარ ეკლესიაში ტრაპეზი საკურთხევლის შუაშია.

ეკლესიას თავდაპირველი კანკელი არ შემორჩენია. გვიან აგებული კანკელი კარგადაა შენახული. ძირითადად ეს კანკელი ადრეული კანკელების საერთო გადაწყვეტას იმეორებს, მაგრამ ცუდადაა შესრულებული, ადგილობრივი ხელოსნის მიერაა აგებული (აქვე მჟღავნდება ეპოქის სიღარიბე, ხელოვნების დაცემა და სხვა). გ. თაყაიშვილის მიხედვით, კანკელის ზემოთ დადგმული ხუთი სწორკუთხედი მოხატული ყოფილა (შუაზე ჯვარცმა და გვერდებზე წმინდანები).

ყორე-ქვით ნაგები კანკელის შუაზე კარია, გვერდების ზედა ხაზზე ორორი თაღია. მათ ქვემოთ კი — ოთხკუთხა ნიშები. თაღები შეისრული ფორმისაა, ისე როგორც ეს გვიან საუკუნეებში იყო მიღებული. მაგრამ ცუდადაა შესრულებული. ასევე ქვედა ნიშები სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა.

ეკლესიის ფასადები მოყვითალო ფერის თლილი ქვიშა-ქვით ბრწყინვალედაა შესრულებული (სურ. 4, 8, 9). სამი ფასადი მორთულია, მეოთხე ჩრდილოეთისა კი მოურთავია. ფასადების ასეთი გადაწყვეტა ეკლესიის ადგილმდებარეობითაა გამოწვეული. ჩრდილოეთის მხარე მთასთან ახლოსაა და ათვისებლად ძნელი იქნებოდა. ახლა ფასადების დაზიანებისა და შემდეგ მიდგმული კარიბჭეების გამო თავდაპირველი მორთულობის მთლიანად ნახვა არ ხერხდება, მაგრამ ძირითადზე მსჯელობა შეიძლება. ძეგლის აღწერა-ანალიზს ჩვეულებისამებრ დავიწყებთ აღმოსავლეთიდან.

აღმოსავლეთით ეკლესიისა და მისი ეკვდერის ფასადები ერთ სიბრტყედაა გაერთიანებული (სურ. 5). ფასადზე ორი სარკმელი გამოდის. ამათგან მარჯვენის, ეკვდერის, სარკმელს საპირე შემოცლილი აქვს. სარკმლის ღრუს

---

12 მათი დანიშნულება იყო ეკლესიის საგანძურის შენახვა.



სურ. 4 ხოფა. ტაძრის [illegible]

ქვედა დონეზე შემოსვლის თლილი ქვები ადგილზეა. მაშინ მორთულობა არ ყოფილა ამოკვეთილი. ამიტომ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ის სარკმელი მორთული არ ყოფილა. აქ თუ მხედველობაში მივიღებთ სამხრეთ ფასადის მარჯვენა შემორჩენილ სარკმელსაც, რომელიც მოურთავი იყო, მაშინ ალბათ უნდა დავუშვათ, რომ ესეც მოურთავი დატოვა ოსტატმა.

ხუროთმოძღვარის ფასადის მორთულობა ცენტრალურ ღერძზე გადალაგებია. ფასადის ერთიანი სიბრტყე, ორსაფეხურიან სწორკუთხა ცოკოლზეა ამართული და პროფილირებული კარნიზით მთავრდება. ასეთი ჩაშვებული კე-



სურ. 5. ხოვლე. ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადი.



სურ. 6. ხოვლე. ეკლესიის სამხრეთის ფასადი.

დელი, ე. ი. უთაღედო ფასადი, გვხვდება მხოლოდ XII ს-ის 80-იანი წლებიდან[13]. ხოლო რაც შეეხება „მატყუელა“ კარნიზს, ეს X ს-დან ჩვეულებრივია. მისი ზედაპირი ჩვეულებრივ ჩუქურთმითაა დაფარული, მაგრამ ამ დროს გვხვდება ჩუქურთმის გარეშეც. რაც შეეხება ცოკოლს, იგი გვხვდება როგორც სწორკუთხა მოხაზულობისა, ისე ზედა პირველი საფეხური ლილვისებური. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ძეგლებზე ერთი სახეც გვხვდება და მეორეც, მაგრამ სჭარბობს ლილვოვანი.

ახლა რაც შეეხება ფასადის ღერძის მორთულობას. იგი ერთიანია და კარგადაც ასხმული. ცოკოლზე დაყრდნობილ ლილვოვან კვარცხლბეკზე სარკმლის მორთულობაა, მის თავზე კი — ჯვარი (სურ. 5, 7).



სურ. 7. ხოფა. აღმოსავლეთის ფასადის სარკმელი

13 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, გვ. 24-25, 60—61.

ასეთი მორთულობის სათავე, როგორც სხვა ბევრი რამეც, სამთავისის ტაძრის ავტორთან უნდა ვეძებოთ[14]. თავისთავად სამთავისი დიდი და მრავალ-ფეროვანი ტაძარია, ამიტომ ხობას ტაძარი მასთან ვერ მოვა, მაგრამ აღნიშ-ნული მორთულობის პრინციპები სწორედ იქიდან იღებს სათავეს. სამთავისში კომპოზიცია ოთხი ძირითადი ელემენტისგან შედგება, აქ კი სამია. ხობაში არაა გამოყენებული ლილვოვან კვარცხლბეკთან დაკავშირებული რომბები, მარტივადაა გადაწყვეტილი. აქვე ისიცაა აღსანიშნავი, რომ სამთავისიდან ხო-ბამდე სამთავისის კომპოზიციამ დიდი გზა განვლო (იკორთა, ქვათახევი, კოჯ-რის კაბენი, ახტალა). ამ გზაზე კი იგი თანდათანობით მარტივდებოდა. გამარ-ტივების სწორედ ამ ბოლო საფეხურზეა ხობა. მართალია, მას XVII ს-შიც იყენებენ (ანანური), მაგრამ ამ გვიან ეპოქაში ძველი მიმზიდველობა მან და-კარგა, ყველაფერი ხისტია.

ხობაში კომპოზიციას იწყებს, ისე როგორც სხვაგანაც, მოჩუქურთმებული კვადრატით. მის ზემოთაა შეწყვილებული ლილვების სამაჯურებ-ბურთულებ-ანი ბაზისი. კვარცხლბეკზე აღმართული სამრეკლოს მორთულობა ისევ შეწყ-ვილებული ლილვებიანია. ამ ლილვოვანი პილასტრების დამამთავრებელი კვად-რატული კაპიტელები და ბაზისები სხვადასხვა ჩუქურთმითაა დამუშავებული. თვით სარკმლის ღრუს კი შემოფარგლავს გრეხილ ლილვებში მოქცეული ფარ-თო ორნამენტიანი არშია.

სამრეკლოს თაღიდან ამომავალი ლილვები კოპს წრიულად ევლიან. კოპი მომტვრეულია, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისე როგორც დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებზე, აქაც მოჩუქურთმებული იქნებოდა.

კოპს ებჯინება სწორმკლავა მაღალი ჯვარი. სხვების მსგავსად ჯვრის ზო-გიერთი ნაწილი გამოქარულია, მაგრამ ძირითადი ჩანს. ჯვარს ქმნის გრეხ-ლებში მოთავსებული ფართო ჩუქურთმიანი არშია.

ხობას აღმოსავლეთის სარკმელს შემორჩენილი აქვს ერთი მეტად საინ-ტერესო დეტალი. ესაა სარკმელში მინის ჩასასმელი ალებასტრის ჩარჩო. მინა საქართველოში იცოდნენ, უფრო ადრე თუ არა, ანტიკური პერიოდიდან მაინც. მინას იყენებდნენ როგორც ჭურჭლის ჩამოსასხმელად, ისე სარკმლებზედაც, მაგრამ ადგილზე იგი თავდაპირველ მდგომარეობაში არსად არ დაგვხვედრია. ყველაზე დიდი ზომის სარკმლის მინის ნატეხი, მე რამდენადაც ვიცი, აღმოჩ-ნდა ნოქალაქევში ე. წ. სამეფო აბანოს გათხრის დროს[15] (მომწვანო ფერის სქელი მინის ნატეხი 27 ს-სი იყო). შუა საუკუნეებში ეკლესიების სარკმლები ყველა შემინული იყო, მაგრამ ისინი ამზადებდნენ საშუალოდ 20—30 სანტი-მეტრის დიამეტრის მინას. მაღალი სარკმლებისათვის მთლიან მინებს, რადგან ვერ აკეთებდნენ, სხვა გზა გამონახეს. სარკმლის ალათა დაჰყვეს ალებასტრის (ტიმოთესუბანი, საფარის დასავლეთის კარიბჭე, ხობა), ან კერამიკის (ცაიში) ფილებით. ამ ფილებში 20—30 სანტიმეტრის წრიული მოხაზულობის მინებს სვამდნენ. ასეთი უმინო ფილები რამდენიმე ეკლესიაზეა შერჩენილი, მაგრამ თვით მთლიანი მინა კი არა[16]. აქვე შეიძლება ერთი საინტერესო მაგალითი

---

14 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. I, ტაბ. 8.

15 პ. ზაქარაია, ნოქალაქევში 1973—77 წლებში ჩატარებული სამუშაოების ანგა-რიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წ. I, 1981, გვ. 84.

16 60-იან წლებში (ცოცხლად?) მიგვანდა სარკმლის მინის ნატეხები ხობიდან, არქი-ტექტორმა მიხეილ ჩაჩავამ (იგი უფროსი თაობის ამ არქიტექტორთა უკანასკნელი წარმო-მადგენელი იყო, რომლებიც შემოქმედებით სამუშაოებს პარალელურად ძველი ქართული



სურ. 8 ხოფის ეკლესიის [illegible] სარკმელი

მოვიყვანოთ. [illegible] XIII ს-ის დასასრულს აგებული [illegible] [illegible] [illegible]-ტორმა გუმბათის ყელის ფასადზე თექვსმეტი სარკმელი [illegible] [illegible] ნახევარი ცრუა, დეკორატიული. ეს გარემოება [illegible] [illegible] [illegible]-ვი რომ ყოფილიყო, ამიტომ ოსტატმა ცრუ სარკმელზეც [illegible] [illegible]

არქიტექტურის ისტორიისათვის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ძეგლების ისტორიის განყოფილებაში (№ 4067/I, 1967 წ.). [illegible] [illegible]

ჩასმული ალებასტრის წრიული ჩარჩოს იმიტაცია გააკეთა[17]. სარკმლები ქვემოდან ერთნაირად გამოიყურებოდნენ.

ახლა თუ გადავალთ სამხრეთის ფასადის განხილვაზე, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი თავდაპირველი სახის დანახვა შეუძლებელია, მერე მიდგმული კარიბჭის გამო. თანაც აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ფასადი აღმოსავლეთისაზე მეტადაა დაზიანებული (სურ. 6).

სამხრეთის ფასადის ზედა და მარცხენა მონაკვეთის შემოსვა ჩამოცვენილია. თავდაპირველ ფასადზე, როგორც ჩანს, მხოლოდ კარი ყოფილა მორთული. ამაზე მიგვითითებს ფასადის ორი სარკმლიდან მარჯვენა: ამ სარკმლის შემოსვის კვადროვანი ქვები უკლებლივ ადგილზეა, ხოლო მარცხენა სარკმლის ირგვლივ არც ერთი ქვა არ არის შერჩენილი. სწორედ მარჯვენა, კარგად გადარჩენილი სარკმელი, მორთულობის გარეშეა. უნდა ვიფიქროთ, რომ მარცხენაც ასე იქნებოდა. რაც შეეხება კარს, იგი საკმაოდ მდიდრულადაა მორთული (სურ. 9). მაგრამ ისე მრავალფეროვნად არა, როგორც დასავლეთისა. პორტალი ორ რიგადაა მორთული, შიგნით მას ორნამენტიანი არშია გასდევს, გარეთ კი ლილვოვანი მოჩარჩოებაა, თაღის ზემოთ კოპით. ამ პორტალის მშვენიერება გვიან მიშენებულ კარიბჭეს დაუფარავს.

ეკლესიის დასავლეთის ფასადი სხვებზე მრავალფეროვნადაა მორთული (სურ. 8, 11, 12). ასეთი გადაწყვეტა, ალბათ, განაპირობა ნაგებობის ადგილმდებარეობამ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამ ანსამბლს მთავარი მისასვლელი დასავლეთიდან აქვს. ამიტომ სწორედ ამ მხარის განსაკუთრებით გამოყოფა განუზრახავს ავტორს. ფასადი, მართლაც, შესამჩნევად მდიდარია მორთულობით.

ეკლესიის ხუროთმოძღვარს ფასადის მორთულობა ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი. ავტორს შესამკობად შეურჩევია მხოლოდ მთავარი ეკლესიის ფასადი (მორთულობის კომპოზიციიდან გამორიცხულია ჩრდილოეთის ეკვდერის მონაკვეთი). მართალია, ეკვდერი ძირითადი კორპუსიდან დაწეული სახურავითაა გამოყოფილი, მაგრამ ფასადის შემოსვა, აღმოსავლეთის მსგავსად, აქაც ერთიანია.

ავტორის მიერ ჩაფიქრებული მორთულობა განლაგებულია ცენტრალურ ღერძზე და დაკავშირებულია კართან და მის ზემოთ მდებარე სარკმელთან. ასეთი კომპოზიცია ჩვეულებრივია, მაგრამ გასაკვირია პორტალის მიმდებარე ნაწილების გაფორმება. აქ კარის გვერდებზე, ფასადის სიბრტყეში, სამკუთხა ნიშებია ჩაკვეთილი. ეს ნიშები ოსტატს დასჭირდა მხოლოდ ფასადის მხატვრული გაფორმებისათვის, რადგან ისინი პორტალის მორთვის კომპოზიციას დაუქვემდებარა. მორთულობისათვის აქ ნიშების ჩართვამ კარგი შედეგი გამოიღო, მაგრამ ნიშები როცა ფასადების შემოსვაში შემოვიდა, მას ფუნქცია ჰქონდა. ქართულ ხელოვნებამცოდნეობით ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ 627—634 წლებში აგებული წრომის ტაძრის ავტორმა ნიშები პირველად გამოიყენა აღმოსავლეთით[18], მას მისმა ავტორმა ორმაგი ფუნქცია მისცა, პირველი იყო ცენტრალურ და გვერდით მონაკვეთებს შორის წარმოშობილი „მკვდარი“ მასა სამკუთხა ნიშის ჩაკვეთით გაემსუბუქებინა, ხოლო მეორე — ნიშების დეკორატიული დანიშნულება.

17 პ. ზაქარაია, ქართული ხუროთმოძღვრება, XI—XVIII სს., თბ., 1990, გვ. LVII.
18 Г. Н. Чубинашвили, Цроми, 1969, с. 25, 28.

ხობი. ეს კონსტრუქციულ-დეკორატიული ელემენტი კარგად შეითვისა შუა საუკუნეების ქართულმა საერო არქიტექტურამ და დიდხანს იარსება. მას ყველაზე ინტენსიურად იყენებდნენ X ს-ის შუა ხანებიდან (ოშკი) ვიდრე XIII ს-ის შუა ხანებამდე (ახტალა). შემდეგში მას იშვიათად მიმართავდნენ



სურ. 9. ხობი. ეკლესიის სამხრეთის კარიბჭე

და თანაც ისეთ ზომებში, რომ ფაქტობრივად სრულფასოვანი იარუსი იყო (ჭულე[19]).

ნიშები აღმოსავლეთის ფასადზე წარმოშობისას თუ ძირითადად კონსტრუქციული იყო, XIII ს-ის დასაწყისში მისი მეორე მხარე, ე. ი. დეკორატიულობა უფრო მიმზიდველი შეიქნა. ასეთი გადაწყვეტის კარგ მაგალითს იძლევა ბეთანია[20], ფიტარეთი[21] და ღმანისი[22]. აქ მასიურად მის გამოყენებაზეა საუბარი, თორემ ასეთი „გარღვევა" ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჯერ კიდევ XI ს-ის მესამე მეოთხედში მანგლისის ტაძრის განმაახლებელმა მოახდინა. იგი ნახევარწრიული მოხაზულობის ნიშებს დასავლეთის კარიბჭეზე იყენებს[23].

რაც შეეხება XIII ს-ის პირველი ნახევრის ზემოდასახელებულ ძეგლებს, ძეგლებიდან პირველ ორში ნიშები აღმოსავლეთის ფასადებზე ჩვეულებრივაა გადაწყვეტილი, მაგრამ ამავე დროს, როგორც დეკორატიული ელემენტი, მათ იყენებენ კარიბჭეების სამხრეთის ფასადებზე.

ბეთანიისა და ფიტარეთის ავტორებმა ნიშებით შეამკეს სამხრეთის კარიბჭეების ფასადებიც. ბეთანიაში შესასვლელის გვერდებზე ორ-ორი ასეთი ნიშაა, ხოლო ფიტარეთში — თითო. ამ მხრივ ბეთანიის ავტორი უფრო შორს მიდის. იგი კარიბჭის დასავლეთის ფასადზედაც ათავსებს ორ დეკორატიულ ნიშას.

ნიშები მხოლოდ დეკორატიული დანიშნულებითაა იმავე ეპოქის ღმანისის ძეგლზეც. აქ, XIII ს-ის მეორე ათეულში ძველი ბაზილიკისათვის ღია კარიბჭე მიუშენებიათ. მის სამივე ფასადზე ორ-ორი ნიშაა განლაგებული.

ოციოდე წლის შემდეგ უფრო შორს მიდის ნიშა, როგორც დეკორატიული ელემენტის გამოყენება. ხუროთმოძღვარი ქიქათორიძე გუდარეხის, დარბაზული ეკლესიის აღმოსავლეთის ფასადზე ათავსებს ორ ნიშას[24]. ეკლესიის ავტორს სხვა მიზანი ჰქონდა, მას არ აინტერესებდა ნიშას კონსტრუქციულობა. იგი მას დეკორაციისათვის იყენებს.

ამით ძირითადად შეიკრა ის წრე, რომლის შიგნითაც მოქცეულია განხილული ობიექტი. იმავე ძეგლების წრეზე მიუთითებს ხოფის ეკლესიის სხვა დეტალებიც.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ხოფის პორტალის მორთვას. ასეთი მორთულობის პირდაპირი ანალოგია არ გააჩნია, მაგრამ დეტალებით კარგად ეძებნება თავისი საკუთარი ადგილი.

ეკლესიის ავტორის მორთულობის ძირითადი კომპოზიცია ასე აქვს წარმოდგენილი: ქვემოთ ჰორიზონტალურად განლაგებული სამი თაღი და მათ ცენტრში აღმართული ვერტიკალური ღერძი, დაგვირგვინებული მაღალ სარკმელთან. ყველაფერი რაფინირებულადაა შესრულებული. ამის შემდეგ უნდა ვიმსჯელოთ მორთულობის ზოგად სახეზე და კონკრეტულზეც.

---

19 გ. ბერიძე, სამეგრელოს ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, სურ. 37, ტაბ. 70.

20 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, თბ., 1978, სურ. 2, 6.

21 იქვე, სურ. 53, 57, 69, 70.

22 ლ. მუსხელიშვილი, ღმანისი, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938, ნაკ. 8, სურ. 27, 30, 31.

23 მ. დვალი, მანგლისი, თბ., 1974, სურ. 3, 4, 41.

24 გუდარეხი, თბ., 1954, სურ. 40.

სურ. 10 ხოვა. ეკლესიის დასავლეთის პორტალი

პორტალის კომპოზიცია სამი, ერთმანეთზე გადაბმული თაღისაგან შედგება (სურ. 10, 11, 12). ამათგან შუა ორჯერ აღემატება გვერდითებს, და ეს გასაგებიცაა, რადგან პირველი უშუალოდ კარს შემოსაზღვრავს, ხოლო გვერდი-

სურ. 11. ხოფა. ეკლესიის დასავლეთის ფასადის მარცხენა ნიშა.

თები — მცირე ზომის ნიშებს. მთელი ეს კომპოზიცია დატვირთულია არქიტექტურული დეტალებით და ჩუქურთმებით.

კარს უშუალოდ შემოუყვება გრეხილ ლილვებში ჩასმული ფართო ორნამენტიანი არშია (სურ. 10). ამას მოსდევს უფრო ზედა სიბრტყეზე გამავა-

სურ. 12. ხოფა. ეკლესიის დასავლეთის ფასადი. მარცხენა ნიშა.

ლი მეორე ორნამენტოვანი არშია. მომდევნო მესამე საფეხური უკვე ზედაა, რომელზედაც გადის ლილვოვანი პილასტრები და თაღები. თაღები მხოლოდ გლუვზედაპირიანი ლილვებისგან შედგება. ასეთივე ლილვებია პილასტრე-ზეც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ რთული კვეთის ბოლოები აქვთ.

ხოლო რაც შეეხება კვადრატული მოხაზულობის კაპიტელებსა და ბაზისებს, მათი ზედაპირი მთლიანად ჩუქურთმითაა დაფარული.

პორტალის გვერდით მდებარე ნიშებიც ანალოგიური ლილვოვანი თაღებით და პილასტრებითაა შემოფარგლული (სურ. 11, 12). ნიშები კიდევ ერთი დეკორატიული ელემენტითაა მორთული. ესაა ნიშების თაღებზე „დაკიდული" კუწუბები (ფესტონები). აქ კუწუბი სამ-სამია და ნიშების საერთო ზომებს კარგად შეეხამება. ეკლესიებში სამკუთხა ნიშები ადრე გაჩნდა, — და, როგორც ვთქვით, დიდხანს იარსება, მაგრამ ყველა მათგანი კუწუბებით არაა მორთული. ამ დეკორატიული ელემენტის შემომტანია, რამდენადაც ცნობილია სამთავისის ავტორი[28]. მომდევნო საუკუნეებში მას იმეორებენ ისეთი დიდი ძეგლებზე როგორიცაა — ქვათახევი, ფიტარეთი, კოჯრის კაბენი, და ახტალა. ამ ძეგლების უმრავლესობაზე (სამთავისი, იკორთა, ქვათახევი და ფიტარეთი) გამოყენებულია ოთხ-ოთხი კუწუბი. ამათგან განსხვავებით კოჯრის კაბენში ხუთ-ხუთია, ხოლო ახტალაში — შვიდ-შვიდი. ამ ბოლო ძეგლს, მიუხედავად ნიშის სიდიდისა, შვიდ-შვიდი ფესტონი არ მოუხდა, დაწვრილმანდა. ამიტომ მისი მხატვრული ეფექტიც ნაკლებია. ჩვენს მაგალითზე, ხოფაში, სამ-სამია, მაგრამ მას კარგად ითვისებს მნახველი, რადგან პროპორციები ნიშებთან კარგადაა შეხამებული.

ჩვენ ზემოთ ხოფას ნიშების ფესტონებით მორთვა შევადარეთ ტაძრების კომპლექსების აღმოსავლეთის ძირითად ნიშებს, მაგრამ სხვა სურათია არატიპიურ შემთხვევებში. აქ ვგულისხმობთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნიშები გამოყენებულია მხოლოდ მცირე ფორმებად, დეკორად. ასეთებიდან უნდა მოვიყვანოთ ბეთანიისა და ფიტარეთის კარიბჭეების ნიშების მაგალითები. ამ შემთხვევაში ოსტატები ფესტონებს არ იყენებენ. ამდენად, ხოფას ოსტატი გამონაკლისია.

როგორც გაირკვა, ნიშების საერთოდ და კერძოდ ფესტონებით მორთული ნიშების გამოყენების ზედა ზღვარი არ სცილდება XIII ს-ის პირველ მესამედს (ახტალა). აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ხოფას ეკლესიაც ამ პერიოდზე ზემოთ არ შეიძლება აგებულიყო. ამასვე დაადასტურებს ქვემოთ ჩასატარებელი სხვა ანალიზიც (აქვე უნდა გავიხსენოთ ჭულე, რომელიც თითქმის XIV ს-ის დასასრულსაა აგებული. აქ ნიშა და მისი კუწუბებიც მხოლოდ ძველის აჩრდილია).

ხოფას დასავლეთის ფასადის სხვა დეკორატიული ელემენტების განხილვას თუ გავაგრძელებთ, უნდა გადავიდეთ იმ ვერტიკალზე, რომელიც პორტალის თაღზეა აღმართული (სურ. 4, 5). ფაქტობრივად აქ აღმოსავლეთის ფასადის მორთულობის მოკლე ვარიანტია გამეორებული.

თაღის თავზე ლილვშემოვლებული კოპია, აქედან შეწყვილებული ლილვები ზემოთ მიემართებიან და მათზეა დაყრდნობილი სარკმლის მოჩარჩოების ისევ ორმაგი ლილვი. კარის მსგავსად აქაც თაღზე ლილვშემოვლებული კოპია, რომლის თავზეც კვადრატში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარია ამოკვეთილი.

დასავლეთის ფასადის სარკმლის მოჩარჩოება აღმოსავლეთთან შედარებით აშკარად გამარტივებულია. აქ სარკმელს მხოლოდ ლილვები გასდევს. იქ კი ლილვების რთული კაპიტელები და ბაზისები ამშვენებდა სარკმლის ლილვოვან თაღზე ჩუქურთმიანი კოპი დასმული. ამის შემდეგ აღმოსავლეთის ფასადის

---

[28] პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. I, ტაბ. 8, 12

მორთულობის გადაწყვეტის პრინციპი აქ რჩება, მაგრამ დეტალში შესამჩნევად იცვლება. საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთის ფასადზე მთავარი თუ კედელზე განრთხმული დიდი ჯვარია, აქ ჯვარი კი არის, მაგრამ პატარაა. აღმოსავლეთით თუ ჯვარია დეკორის წამყვანი, აქ ჯვარი ქვემოდან ძლივს ჩანს.

ტაძრის საერთო ფორმების განხილვის შემდეგ უნდა გავაანალიზოთ მორთულობის ცალკეული დეტალები. ასეთებიდან აღსანიშნავია — კაპიტელები, ბაზისები და ჩუქურთმა.

ბაზისების და კაპიტელების მრავალფეროვნებაა, როგორც ტაძრის ძირითად კორპუსებზე, ისე კარიბჭეებზე. ჯერ განვიხილავთ ძირითად კორპუსს.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრის მთავარი კორპუსის მორთულობა ისეთი რთული და მრავალფეროვანია, როგორც ამას ვხედავთ XIII ს-ის პირველი ორი ათეულში აგებულ (თამარისა და ლაშას ეპოქა) ძეგლებზე. ყველა დეტალი „გალობს“! არსად არ არის ის სიმშრალე, სქემატურობა, რომელიც აშკარად ჩანს იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ახლა, წინასწარვე უნდა ვთქვათ, რომ ამ ეპოქის ხუთ წამყვან ტაძარს ქრონოლოგიურად თუ დავალაგებთ ასეთ თანმიმდევრობას მივიღებთ: ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ახტალა. ამათი აგების წლები პირველ სამ ათეულში ეტევა. აქედან რომელ ძეგლებთან უფრო ახლოს დგას ხოფის ტაძარი? განსახილველ ძეგლს ზემოჩამოთვლილ ხუთივესთან აქვს საერთო, მაგრამ უფრო ახლოს ბეთანიასა და ქვათახევთან დგას.

ხოფის მორთულობის დეტალების განხილვა პილასტრების კაპიტელებიდან და ბაზისებიდან უნდა დავიწყოთ. ასეთის მაგალითს ვხვდებით აღმოსავლეთის ფასადზე და პორტალებზე. აქ რამდენი კაპიტელი და ბაზისია, იმდენი განსხვავებული გადაწყვეტაა, მაგრამ მათ საერთო მეტი აქვთ, ვიდრე განსხვავება. ყველგან მთავარია კვადრატული სიბრტყე. სადაც ერთნაირ ორნამენტს ვერ ნახავთ, განსხვავებული სურათია, უშრეტი ფანტაზიაა! ასეთივე სურათს ვხედავთ „კვადრატების“ მომდევნო ლილვების დამუშავებაშიც. ლილვების დასაწყისი და დამთავრება სამიდან ხუთსაფეხურიანია. ამ მორთულობაში ერთი ელემენტი, კერძოდ ბურთული ყველგან გვხვდება. დანარჩენია — გრეხილი და ორნამენტები. ასეთი გადაწყვეტის ანალოგია მითითებული ეპოქის ყველა ძეგლზეა. ჩვენ აქ მაგალითისათვის მივუთითებთ: ბეთანიას[26], ქვათახევს[27], ფიტარეთს[28], წუღრუღაშენს[29], ახტალას[30].

აქვე უნდა ითქვას, იმ ლილვების დამუშავებაზე, რომლებიც ფაქტობრივად პილასტრებს ქმნიან და ზემოაღწერილი ბაზისებით და კაპიტელებით მთავრდება. ხოფაში ეს ლილვები გლუვზედაპირიანია, იმ ეპოქის ზემოჩამოთვლილ ძეგლებზე გვხვდება, როგორც გლუვზედაპირიანი, ისე გრეხილიანი ლილვი. მაგალითად, ბეთანიაში და წუღრუღაშენში ქვედა კორპუსებზე მთა-

---

26 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, ტაბ. 8, 9, 10, 13, 14.

27 იქვე, ტაბ. 25, 25, 30, 32.

28 იქვე, ტაბ. 60—70.

29 იქვე, ტაბ. 88—90.

30 იქვე, ტაბ. 114—122

ლოდ გლუვზედაპირიანი პილასტრებია, გუმბათებზე კი — გრეხილი. ხოფაში წვრილდეროიანი გრეხილებიც ბლომადაა გამოყენებული, მაგრამ არა მთავარ ადგილებზე.

ახლა უშუალოდ ჩუქურთმის განხილვაზე თუ გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ოსტატი აქაც საკმაო სიმაღლეზე დგას. იგი ერთნაირი მხატვრულობით ასრულებს ფოთლოვან, თუ გეომეტრიულ მოტივებს. მაგრამ, ცხადია, ისე როგორც სხვაგან, აქაც ძეგლს ლაზათსა და მიმზიდველობას მატებს ფოთლოვანი მოტივები. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსტატის მიერ ნახატი ჩუქურთმები მკვეთრია, ადვილად ასათვისებელი. კვეთა ღრმაა და ზუსტი. მაღალი ოსტატობით შესრულებული მკვეთრი ნახატი მზის სხივების მოქმედებით ეფექტურად გეჩვენებათ, იგი გამჭვირვალეა, ამიტომაც გიტყვევებთ.

ჩვენ სხვაგანაც აღგვინიშნავს და აქაც უნდა ვთქვათ, რომ ცხოველხატული სტილის ამაღლების ხანაში, X-XI საუკუნეებში, ფოთლოვანი მოტივები სჭარბობს. შემდეგ თანდათანობით როლები იცვლება და XIV ს-ში უკვე გეომეტრიული აშკარად სჭარბობს ფოთლოვანს[31]. ჩვენს შემთხვევაში, ხოფის ტაძარზე ორივე თითქმის თანაბრადაა გამოყენებული, მაგრამ მოტივთა არშიებთან ერთად მცირე მონაკვეთებსაც თუ განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ ფოთლოვანი მცირედ სჭარბობს გეომეტრიულს.

ხოფის ტაძარზე გრძელი ლენტებიდან ყველაზე მიმზიდველია ის ფოთლოვანი მოტივი, რომელიც დასავლეთის პორტალს შიდა ზოლად გასდევს (სურ. 10). ესაა სამლარიან ლენტზე ასხმული ფოთლები. ყოველი ლენტი სამკუთხა არეშია მოქცეული და ერთმანეთის საპირისპიროდაა მოქცეული. ლენტების ნასკვების მონაცვლეობით ეს სურათი უწყვეტად გრძელდება, როგორც სწორ ხაზზე, ისე თაღზეც. ამ მოტივის ზუსტი ანალოგის მოძებნა არ გვინდა, მაგრამ ამ „ოჯახის" მოტივი გავრცელებულია ამ ეპოქის თითქმის ყველა ძეგლზე. მაგალითად, ბეთანიაზე მას ვხედავთ აღმოსავლეთის ფასადის ცენტრალური სარკმლის თავსართზე, გუმბათზე[32]. ქვათახევის ოსტატი მას მიმართავს, გუმბათის ერთ-ერთ სარკმელზე[33], ფიტარეთის ოსტატი გუმბათის სარკმელზე უფრო რთულ ნახატს იძლევა[34]. მის ვარიაციაზე არც წუღრუღაშენის ავტორს უთქვამს უარი[35]. ახტალის ავტორმაც კარგი ნახატი მოგვცა წრიულ სარკმელზე[36]. ამ მოტივს აღნიშნული ეპოქის შემდეგ არ იყენებენ.

ხოფის ტაძარზე მეორე ფოთლოვანი ორნამენტი გამოყენებულია აღმოსავლეთის ფასადის მთავარ სარკმელზე (სურ. 7) და სამხრეთის პორტალზე. აქ მოტივი ერთია, მაგრამ პორტალზე უფრო რთული ნახატია, ვიდრე სარკმელზე. მოტივის შემქმნელია ღერო, რომელიც სამკუთხედებს ჰკრავს. სამ-

---

31 ა. ხაჭარაძე, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, გვ. 230—231.

32 იქვე, ტაბ. 8, 10, 14.

33 იქვე, ტაბ. 26 (ნახატი 11).

34 იქვე, ტაბ. 63-ა.

35 იქვე, ტაბ. 97—ბ, დ.

36 იქვე, ტაბ. 116.

კუთხედების შიგნით იმავე მოხაზულობის ფოთლებია განლაგებული. ღეროს ზიგზაგებში ფოთლები მონაცვლეობით საპირისპიროდაა განლაგებული.

ეს მოტივი XI ს-შია წარმოშობილი და მას წარმატებით იყენებენ XII—XIII ს-თა მიჯნაზეც[37].

გეომეტრიული მოტივებიდან პირველია წრეების ჯაჭვი, რომელიც ევლის დასავლეთის პორტალს და გასდევს აღმოსავლეთით ჯვრის მკლავებს (სურ. 10). რგოლების ჯაჭვი არის ცალმაგი და ორმაგი, ჩვენს შემთხვევაში ჯაჭვი ორმაგია და ახლავს მცირე ნიუანსები. მაგალითად, რგოლურ ღერძზე ჩვეულებრივ ნასკვს აკეთებს, მაგრამ განაპირაზე მიმავალი ღეროები ყოველთვის არ არის, ამიტომ ნასკვიც არაა. ჩვენს შემთხვევაში გვერდებზე ნასკვი სახეზეა.

ამ მოტივის წარმოშობის და განვითარებას თვალს თუ გავადევნებთ ვნახავთ, რომ იგი X ს-ის დასასრულს უკვე ჩამოყალიბებულია და მთელი რვა საუკუნის განმავლობაში არ ჩამოსულა სცენიდან[38]. ცხადია, მთელი ამ ხნის განმავლობაში ორნამენტი ერთნაირი შესრულებით არ ყოფილა. შესრულების მანერა, ტექნიკა, ყველა ეპოქას საკუთარი ჰქონდა.

დიდი არშიებიდან განსახილავი დაგვრჩა დასავლეთის ფასადის მთავარი სარკმლის ჩუქურთმა (სურ. 4, 8). ესაა წვეტზე დადგმული კვადრატების ჯაჭვი. მისი შესრულება მაღალხარისხოვანია, ამიტომ სასიამოვნო სანახავია.

ეს მოტივი სხვადასხვა ნახატით გვხვდება, მაგრამ მრავალფეროვნება შეიძინა სწორედ XII—XIII ს-თა მიჯნის ძეგლებზე. მისი ყველა სახეობის მითითება შორს წაგვიყვანს, ამიტომ მივუთითებთ იმ სახეს, რომელიც ხოფასარკმლის ჩუქურთმა (სურ. 4, 8). ესაა წვეტზე დადგმული კვადრატების ჯაჭვზე[39], ახტალის გუმბათის ფრაგმენტზე[40], ფიტარეთის გუმბათზე[41] და სხვ.

ეკლესიის ძირითადი კორპუსის განხილვის დამთავრების შემდეგ უნდა გადავიდეთ კარიბჭეებზე.

როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ეკლესიას პირველად დასავლეთით გაუჩნდა კარიბჭე, შემდეგ კი — სამხრეთით. მათ თარიღებს განხილვა გაარკვევს, მაგრამ ჩვენ წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთის კარიბჭე დროით დიდად არაა დაცილებული მთავარ კორპუსს. ორივე, ალბათ, XIII ს-ის პირველ მესამედშია აგებული, ხოლო სამხრეთისა საკმაოდაა დაცილებული და იმავე საუკუნის ბოლო პერიოდში ჩანს მიშენებული. ორივეს აგება გამოწვეული უნდა იყოს ეკლესიის ფართობის გაზრდის მიზნით.

დასავლეთის კარიბჭის გეგმა მოგრძო სწორკუთხედია. იგი მიდგმულია მთავარი ეკლესიის კორპუსზე და თითქმის იმავე სიგანისაა. შიგნით მისი გვერდითი კედლები გლუვია, ხოლო დასავლეთში კარის გვერდებზე განიერი ნიშებით. იგი სიგრძეზე გადახურული ყოფილა კამარით. ტექნიკურად უფრო ადვილი იქნებოდა სიგანეზე, მოკლეზე კამარის შექმნა, მაგრამ სიგრძეზე კამარა ოსტატს ესაჭიროებოდა ფასადზე ფრონტონის მისაღებად (ამ მაღალმა კამარამ პორტალის თავზე აღმართული ლილვები თითქმის მთლიანად დაფარა).

---

37 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა; Р. Шмерлинг, Самтавро памятник XI в., „ქართული ხელოვნება", 1942, გვ. 69—70, 120.

38 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, გვ. 188, 9, 10, 26, 24-ა, ბ.

39 პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. II, ტაბ. 9.

40 იქვე, ტაბ. 26—ა.

41 იქვე, ტაბ. 63—ვ.

კამარიდან გადარჩენილია მხოლოდ განაპირა თაღები. კარიბჭის განათება ხდებოდა სამხრეთის კედლის შუაზე მდებარე სარკმლით.

კარიბჭის ფასადები, ძირითადი ეკლესიის დარად, კარგი თლილი ქვითაა შემოსილი. სამივე ფასადის გადაწყვეტა განსხვავებულია. ჩრდილოეთის ფასადი, როგორც აქედან ვაკეთ მდებარე, მოურთავია. სამხრეთის ფასადი მხოლოდ სარკმელია მორთული, ხოლო მთელი აქცენტი გადატანილია დასავლეთისაზე. ასეთი გადაწყვეტა ლოგიკურია, რადგან მთავარი, ამ შემთხვევაში, ეკლესიაში შესასვლელი წარმოადგენდა. თანაც, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ეკლესიასთან მისასვლელი სწორედ ამ მხრიდანაა (სამხრეთით, ქვევე მდინარის ღრმა ფერდობი იწყება).

კარიბჭის დასავლეთის ფასადის მორთულობის ნიმუშად ძირითადი ეკლესიის დასავლეთის ფასადის მორთულობა აუღია, მხოლოდ იგი გაუმარტივებია. როგორც შიგნით, ისე გარეთ სამი თაღია. ამათგან მთავარს პორტალი წარმოადგენს. პორტალის მაღალი და განიერი ლილვებიანი თაღის შიგნით ორმაგი ორნამენტირებული არშიაა. ტიმპანის ქვა აქაც გლუვზედაპირიანია, დაუმუშავებელი. პორტალის მომდევნო გარე თაღები მხოლოდ ლილვებიანი თაღებითაა

სურ. 13. ხიდე. სატრაპეზოს ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთით

შემოფარგლული. ეკლესიის ანალოგიურ ადგილზე თუ ფესტონებით დამუშავებული ღრმა ნიშებია, აქ მხოლოდ ფასადის სიბრტყეა.

ახლა რაც შეეხება ამ კარიბჭის სამხრეთის ფასადს (სურ. 5). აქ დატანებული ერთადერთი სარკმელი შიგნით ფართო ჩუქურთმიანი არშიითაა შემოსაზღვრული, ხოლო გარედან ლილვოვანი მოჩარჩოება შემოსაზღვრავს. სამწუხაროდ, აქ უკეთ მხოლოდ თაღია შემორჩენილი. დანარჩენი დეტალები [illegible]ქმის დაკარგულია, ამიტომ ძნელია მათზე მსჯელობა.

დასავლეთის ფასადის თაღედის მორთულობა ძირითადად ზედა, ძირითადი კორპუსის თაღედის ანალოგიურია (სურ. 4, 8). პილასტრების ლილვებგლუვზედაპირიანია, ხოლო მათი ზედა და ქვედა ბოლოები რთულია. აქაა ერთმანეთის მიყოლებით ბურთულები და მათთან დაკავშირებული ორნამენტული სამაჯურების მთელი რიგი. პილასტრების ბაზისები და კაპიტელები ორნამენტით დაფარული კვადრატებია (სამწუხაროდ, ყველა გამოქარულია, გარდა შესასვლელის გვერდებზე მდებარე ბაზისებისა). რაც შეეხება თვით შესასვლელის მორთულობას, ესეც ეკლესიის შესასვლელის მსგავსად, ორ სიბრტყი(ა)ნ ჩუქურთმოვანი არშიების განლაგებითაა გადაწყვეტილი. თვით არშიების შე-



სურ. 14. ხოფა. სატრაპეზოს გეგმა და განაკვეთი აღმოსავლეთით

მოფარგვლა სხვადასხვა გრეხილით აქაც ძალაში რჩება. ჩუქურთმოვანი არშიების მოტივები განსხვავებულია შიდასაგან, ეპოქა იგივე რჩება. რაც შეეხება შესრულების ტექნიკას, სიმკვეთრეს, ნახატის სრულყოფას, აქ ხარისხი მცირედ ჩამოუვარდება ტაძრისას.

რაც შეეხება მოტივებს, აქ ასეთი სურათია. შიდა, უფრო ფართო არშიაზე ფოთლოვანი ორნამენტია ამოკვეთილი, ხოლო გარე, შედარებით ვიწრო არშიაზე — გეომეტრიული.

ფოთლოვანი ორნამენტი მიღებულია ორ რიგად მიმავალი წრეების ჯაჭვისაგან. თვით წრეებში ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული წვეტიანი ფოთლებით განლაგებული. ოსტატი აქ ფორმებს საინტერესოდ ასრულებს — იგი ფოთლების წვეტებს განგებ სხვადასხვა სიბრტყეზე ათავსებს. ასეთი ნახატის ზუსტი ანალოგია ძნელი მოსაძებნია, მაგრამ ამ „ოჯახის“ ორნამენტს იმავე ეპოქის ძეგლებზე ვხედავთ. ასეთებიდან შეიძლება დავასახელოთ: წულრულაშენი[42], ქვათახევი[43], ფიტარეთი[44], ახტალა[45] და სხვ.

მცირე არშიაზე გაყოლებული გეომეტრიული მოტივი, წრეებისა და რომბების ერთმანეთში ჩახლართვითაა მიღებული. იგი XI ს-შია წარმოშობილი და საუკუნეები ცოცხლობს[46]. განსახილავ ეპოქაში მის კარგ მაგალითს იძლევა წულრულაშენი.

სამხრეთის კარიბჭე უფრო კომპაქტურია (სურ. 6, 9). იგი აქაც პორტალზეა მიდგმული, მაგრამ იქ იგი პორტალის სამი თაღის შესაბამისად განიერია; აქ კი პორტალის მხოლოდ ერთი თაღია, შესაბამისად კარიბჭეც ვიწროა.

კარიბჭის გეგმა კვადრატს მიახლოებულია. განიერი, თაღოვანი შესასვლელი მხოლოდ სამხრეთიდანაა. სარკმლები კი თითო აღმოსავლეთით და დასავლეთით პატარა თაღოვანი ნიშიცაა აღმოსავლეთის კედელში. კარიბჭე ათსხივიანი კამარითაა გადახურული. კვადრატიდან კამარის წრეზე გადამყვან იფრებზე ლილვებით შემოფარგლული ელიფსისმაგვარი რელიეფებია დასმული.

კარიბჭე და მათი სფერული კამარების სხივებით გადაწყვეტა ახალი არ არის. იგი X ს-ის დასასრულიდან გვხვდება. ეპოქების მიხედვით მათი შესრულების მანერაც იცვლება. ხოფას გადაწყვეტა განვითარების მაღალ ეპოქაზე არ მიგვითითებს, იგი უკვე XIII ს-ის დასასრულისაკენაა.

კარიბჭის ფასადები ორიგინალურადაა გადაწყვეტილი. სამივე ფასადი ფრონტონით მთავრდება. მაგრამ ისე, რომ ფრონტონის სიგანე ნაკლებია ფასადებისაზე. ფრონტონის კარნიზები, გვერდებზე ჰორიზონტულნი ხდებიან. ასეთი გადაწყვეტა ფასადებს სიკოხტავეს მატებს.

ფასადების მორთულობა, დასავლეთის კარნიზებთან შედარებით, მარტივია. ოსტატს მთავარი აქცენტი სამხრეთის შესასვლელზე გადაუტანია. განიერთაღოვანი შესასვლელი შეწყვილებული ლილვებითაა შემოფარგლული. პილასტრების ზედა და ქვედა ბოლოები ჩუქურთმიანი კაპიტელებითა და ბაზისებით მთავრდება. თაღის ზემოთ ჩუქურთმიანი მაღალი კოპია დასმული

---

42 პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, ტ. II, გვ. 183.
43 იქვე, ტაბ. 61.
44 იქვე.
45 იქვე, გვ. 112.
46 იქვე, გვ. 188—189; Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, 69, 109.

(გვიან, ალბათ შიშიანობის დროს, ეს შესასვლელი ულაზათოდ ამოუშენებიათ). კარიბჭის აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადების სარკმლები ორმაგი ლილვებითაა შემოყოლებული. დასავლეთის ფასადი მარტივადაა გადაწყვეტილი. ლილვოვანი სარკმლის ზემოთ, კუხის ქვეშ, სწორმკლავება ჯვარია გამოკვეთილი. დასავლეთთან შედარებით აღმოსავლეთისა იმითაცაა გამორჩეული, რომ კეხსქვედა სამკუთხა ქვა ჩუქურთმითაა დაფარული, ხოლო მის ქვემოთ ღერძზე ორნამენტიანი მედალიონია მოთავსებული.

ამ კარიბჭეს სტილისტურად გამოკვეთილი სახე არა აქვს, ამიტომ მისი ზუსტად დათარიღება ძნელია, საერთო მონაცემებით კი იგი ტაძრის აგების ხანას დიდადაა დაცილებული.

დასათარიღებლად გამოდგებოდა კარიბჭის პორტალის მორთვა. მაგრამ იგი ისეა გამოქარული, რომ მხოლოდ საერთო სურათის წარმოდგენა ხდება შესაძლებელი. კაპიტელებზე და ბაზისებზე გამოსახული ორნამენტები, პილასტრების ლილვების დაბოლოებები, შესრულების საერთო მანერით XIII ს-ის დასასრულისაკენ მიგვითითებს. ამათზე გამოკვეთილი სახე აქვს აღმოსავლეთის ფასადის კეხის ქვემოთ ამოკვეთილ ორნამენტს და იქვე მოცემულ მედალიონს. აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ კეხის ქვემოთ, სამკუთხა ქვაზე, ამოკვეთილი ორნამენტი ფოთლოვანია. ამ ფოთლებს არა აქვთ ის სიხისტე, რომელსაც ვხედავთ საფარის მომდევნო ძეგლებზე. იმავე ხანაზე მიგვითითებს მის ქვემოთ მდებარე მედალიონი, მასზე ამოკვეთილი გეომეტრიული ორნამენტით. შესაძლოა ეს მედალიონი უფრო საფარის[47] მრავალრიცხოვან მედალიონს უკავშირდებოდეს.

ე კ ლ ე ს ი ა შ ე მ დ ე გ მ ი შ ე ნ ე ბ უ ლ ი კ ა რ ი ბ ჭ ე ე ბ ი თ, რ ო გ ო რ ც გ ა ნ ხ ი ლ ვ ი ს ა ს კ ა რ გ ა დ გ ა მ ო ი კ ვ ე თ ა, X I I I ს-ი ს ე რ თ-ე რ თ ი თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ძ ე გ ლ ი ა, ა რ ა მ ა რ ტ ო ქ ს ნ ი ს ხ ე ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, ა რ ა მ ე დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა თ ვ ი ს. ა მ ა ს თ ა ნ ა ვ ე, ხ ა ზ ი უ ნ დ ა გ ა ე ს ვ ა ს ი მ გ ა რ ე მ ო ე ბ ა ს, რ ო მ ე ს ე პ ო ქ ა გ ა ნ თ ქ მ უ ლ ი ა გ უ მ ბ ა თ ო ვ ა ნ ი ე კ ლ ე ს ი ე ბ ი თ, ხ ო ლ ო დ ი დ ი ზ ო მ ი ს, გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ი დ ა რ ბ ა ზ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ე ბ ი ც ო ტ ა ა. ა მ ი ტ ო მ ა ც



სურ. 15. ხოფი. სატრაპეზოს სამხრეთის ფასადი და განკვეთი სამხრეთით

---

[47] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, წ. III, გვ. 23—29.

ს ა შ უ რ ი ი ყ ო ა მ ძ ე გ ლ ი ს შ ე ყ ვ ა ნ ა მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ი ს ს ფ ე რ ო შ ი.

ახლა, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ სამონასტრო კომპლექსის მეორე ობიექტს, სატრაპეზოს.

ს ა ტ რ ა პ ე ზ ო ს დიდი ზომა თავისთავად მიგვანიშნებს მონასტრის მრავალრიცხოვნებაზე (სურ. 16, ტაბ. 13. 16). ვინ იცის, აქ საუკუნეების განმავლობ-

სურ. 16. ხოფა. სატრაპეზო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

ბაში რამდენი ბერი მოღვაწეობდა და რამდენი ხელნაწერი წიგნი შედგა, ან გადაიწერა, რამდენ მათგანს დაერთო მინიატურები? სამწუხაროდ, ხოფიდან არც ხელნაწერები გვაქვს და არც რაიმე ცნობა მემატიანეებთან.

სატრაპეზო დიდი ზომის (10,2×15,5 მ) შენობაა. მისი გეგმა სწორკუთხედია, აღმოსავლეთის ცენტრში შვერილი ოთხკუთხედით. სატრაპეზოს შიგნით ერთი მთლიანი დიდი სივრცეა. მისი გადამხური კამარა ცილინდრულია. კამარა ეყრდნობა შუაზე ორ საბჯენ თაღს. აღმოსავლეთით მცირე აფსიდით, რომელიც საკურთხევლის როლს ასრულებდა. სატრაპეზოში შესასვლელი სამხრეთის ცენტრშია. მოპირდაპირე კედელში ერთი ნიშაა. გვერდითი კედლები სამ-სამი თაღითაა დამუშავებული. განათება სამხრეთის სამი სარკმლით ხდება. ერთი პატარა სარკმელია, კიდევ აფსიდაში (იგი უშუალოდ მღვდელმსახურთათვის იყო გჭრილი).

სატრაპეზოს დასავლეთის განაპირებში თითო კარია, რომლებიც დამხმარე სათავსებთან მაკავშირებლად იყო დაგეგმილი. დამხმარე სათავსებიდან მხოლოდ მცირე კვალია დარჩენილი.

შენობა ნაგებია რიყისა და ყორე ქვით. შიგნით შელესილია. თაღებზე და კარ-სარკმლებზე თლილი ქვაა გამოყენებული. ფასადებზე კი მხოლოდ კუთხეებზეა შირიმის თლილი ქვა ნახმარი. მიუხედავად იმისა, რომ იგი ყორე და რიყის ქვითაა ნაგები, წყობა საკმაოდ სწორი სანახავია.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალი მონასტერი იყო, სატრაპეზოებმა თითო-ოროლამ მოაღწია, ამიტომ ხოფის სატრაპეზო მნიშვნელოვანი ძეგლია[48].

დასკვნის სახით ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ ხოფის ანსამბლი შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია. ამიტომ მისი სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში შეყვანა აუცილებლად მიგვაჩნია.

П. П. ЗАКАРАЯ

ХОПА
МОНАСТЫРСКИЙ КОМПЛЕКС

Резюме

В центральной части Картли, в Ксанском ущелье (Ахалгорийский р-н) влево от реки находятся развалины монастыря.

В них различаются — церковь, трапезная, ограда и фундаменты каких-то строений.

Церковь больших размеров, по типу однонефная, с северным приделом. К ней с запада и юга были пристроены портики разного решения. Фасады церкви и портиков богато украшены. Церковь с западным портиком была построена в первой трети XIII века, а южный портик был пристроен в конце того же века.

Трапезная больших размеров. Она представляет собой прямоугольное сводчатое помещение. Небольшой алтарь имеется в центре восточной стены.

[48] [illegible]

P. ZAKARAIA

HOPPA
THE MONASTERY COMPLEX

Summary

In the central part of Kartli, in Ksani gorge (Akhalgori district), on the left river bank there are monastery ruins.

A church, a refectory, a defence wall and foundations of some buildings can be discerned in the ruins.

A single nave church with northern attachment is of formidable size. It has porticos of different styles built to it from the west and the south sides. The church and the portico façades are richly decorated. The church and its western portico were built in the first half of the 13th century, its southern portico was added at the end of the same century.

The refectory is of large size. It is a rectangular vaulted room. It shows a small altar in the centre of the eastern wall.

პასუხი ერთი რეპლიკის გამო

ჟურნალ „მაცნეში" (1991 წ., № 3, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია) დაბეჭდილა ნ. ბრეგაძის „რეპლიკა", რომელიც ეხება ჩემს ნაშრომებში ნ. ბრეგაძის მოსაზრების დამოწმების „უზუსტობას". იგი წერს: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არსად, არც ერთ ჩემს პუბლიკაციაში არ მოიპოვება უაზრობა, რომელსაც მომაწერს მ. ქაქთარია, მის ზემონახსენებ, რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომებში, რომელთა წყალობით შეცდომაში შევა მკითხველთა არც თუ ვიწრო წრე" (გვ. 180). ხსენებული „უაზრობა" კი ავტორის მიხედვით მდგომარეობს იმაში, რომ ახალი წლის დადგომა უკავშირდებოდა ძველად სამეურნეო სეზონების დაწყების დროს, რომელსაც ვწერ მე და ვიმოწმებ ნ. ბრეგაძეს, თუმცა სრულიად თამამად შემეძლო არც მიმეთითებინა აღნიშნული ავტორის ნაშრომები, იმდენად ცნობილ ფაქტზე და მოვლენაზე იყო ლაპარაკი. რაც შეეხება ფხიან და უფხო ხორბლის ჯიშებს, მათ შესახებ არ ვამახვილებ ყურადღებას და არც ახლა ვაპირებ მსჯელობის გაღრმავებას ამ თემაზე. ეს საკითხები ნამდვილად ნ. ბრეგაძის კომპეტენციაში შედის.

ისე რომ, არ ვიცი რამ გაანაწყენა „რეპლიკის" ავტორი აგრე რიგად და რატომ გააზვიადა მან ესოდენ უმტკივნეულო ფაქტი. ეს ხომ ბუზის სპილოდ გადაქცევას წააგავს და მეტს არაფერს.

ჯუჯა ქაქთარია

მიხეილ ბახტაძე

ქართველ მლოცველთა წარწერები იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძარში

ზეთისხილის მთიდან იერუსალიმის შესანიშნავი ხედი იშლება. მცხუნვარე მზეში თეთრი ქალაქი თვალისმომჭრელად ელვარებს. წინა მხარეს, გალავნის მიღმა, ცისფერი შორენკეცებით შემკული ოქროს გუმბათიანი კუბათ ალ სახრის მეჩეთია. იგი 687—691 წლებში არაბებს სოლომონის ტაძრის ადგილას აუგიათ. მეჩეთის უკან, ძველი იერუსალიმის მჭიდროდ დასახლებულ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გარკვევით მოჩანს ღია ტყვიისფერი გუმბათი. ეს უფლის საფლავის ეკლესიაა.

უფლის საფლავი კრებითი სახელწოდებაა იმ სამლოცველოებისა, რომლებიც საერთო სახურავის ქვეშ არიან მოქცეულნი და უკავშირდებიან: მაცხოვრის ჯვარცმის, მაცხოვრის საფლავად დადების და ძელი ჭეშმარიტის აღმოჩენის წმინდა ადგილებს[1]. აქ უდიდესი სიწმინდე ქრისტეს საფლავის მცირე სამლოცველო და გოლგოთის ნიშია. ქრისტეს საფლავის სამლოცველო დიდ მრგვალ შენობაში (როტონდა) მოქცეული. როტონდის აღმოსავლეთით აღდგომის ბერძნული ეკლესიაა, მის სამხრეთის კედელს ზედა მხარეს გოლგოთა ემიჯნება, აღმოსავლეთით ღრმად მიწის ქვეშ მრავალსაფეხურიან კიბეს წმ. ელენე დედოფლის სამლოცველოში ჩავყევართ.

უფლის საფლავის დღევანდელი ეკლესია ძლიერ სახეცვლილია იმ ნაგებობასთან შედარებით, რომელიც კონსტანტინე დიდმა აგო 328—336 წლებში[2]. გრანდიოზული ეკლესია, რომელსაც იმთავითვე „ყოვლისა სოფლისა"[3] ეწოდა, ორი ძირითადი ნაგებობისგან შედგებოდა: დასავლეთით კლდეში ნაკვეთი ქრისტეს საფლავის აკლდამა დიდ მრგვალ შენობაში იყო მოქცეული, მის აღმოსავლეთით, მოშორებით, საკურთხევლით წმ. საფლავისკენ მიმართული აღდგომის ხუთნავიანი ბაზილიკა იდგა. ამ ორ ნაგებობას შორის ოდნავ სამხრეთით ადგილი თხემისა — გოლგოთის ოთხკუთხა კლდე წამომართულიყო.

შემდგომი ათასი წლის განმავლობაში ეკლესია რამდენიმეჯერ დაიქცა და აღდგა. 614 წელს სპარსთა მეფე ხოსრო მეორემ იერუსალიმი დალაშქრა,

---

[1] ქართულ ისტორიულ წყაროებში ეს ეკლესია სხვადასხვა სახელით მოიხსენება: უფლის საფლავი, ქრისტეს საფლავი, წმინდა საფლავი, აღდგომა, გოლგოთა და სხვ.

[2] Krautheimer R., Early Christian and Byzantine Architecture, Harmondsworth, 1965, გვ. 39. უფლის საფლავის აგების განსხვავებული თარიღი: 326—335 წწ. იხ. Брокгауз Ф. А., Ефрон И. А. Энциклопедический словарь, Спб., 1894, т. XIIIa, გვ. 657, 658.

[3] Вагнер Г. К. Византийский храм как образ мира, «Византийский временник», 47, М., 1986, გვ. 168.

ქრისტეს საფლავის ეკლესია გადაწვა და თან წარიტანა „ძელი ცხოვრების" წმინდა ნაწილები, რომლებიც 629 წელს ჰერაკლე კეისარმა დააბრუნა[4]. მცირე ხნის შემდგომ ეკლესია აღადგინეს. 1009 წელს ეკლესია ეგვიპტის ხალიფა ჰაქემის ბრძანებით დააქციეს. მისი აღდგენა, რომელშიც მთელი საქრისტიანო იღებდა მონაწილეობას, 1048 წელს დასრულდა. ალ. ცაგარელის ვარაუდით, ამ საქმეს არც ქართველი მეფეები გიორგი I (1014—1027 წწ.) და ბაგრატ IV (1027—1074 წწ.) გამოჰკლებიან, რასაც წმინდა საფლავზე ქართველთა საძმოს გაჩენა მოჰყოლია[5].

XII ს-ის შუა წლებში ჯვაროსნებმა საფუძვლიანად გადააკეთეს ეს ეკლესია, ამ სახით მან დღევანდლამდე მოაღწია. ამავე დროისაა მისი ერთადერთი

სურ. 1. უფლის საფლავის ეკლესია, სამხრეთის ფასადი

---

[4] Кондаков Н. П., Археологическое путешествие по Сирии и Палестине, Спб., 1904, [illegible]

[5] Цагарели А., Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, «Православный палестинский сборник», т. IV, выпуск первый, Спб., 1888, გვ. 44, 45; ტ ი მ ო თ ე გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, მიმოსლვა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ელ. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 173.

მხატვრულად გააზრებული სამხრეთის ფასადი, რომელიც მოკირწყლულ მოზრდილ შიდა ეზოს უკავშირდება[6].

სამხრეთის ფასადი მოყვითალო ფერის საშუალო ზომის ქვით აგებული სწორკუთხა მასივია, რომელიც ფართო ორნამენტირებული კარნიზით ორ რეგისტრად იყოფა. ქვედა მხარეს მარმარილოს სვეტთა კონებით მოზღუდული ორი დიდი კარია, რომელთაგანაც აღმოსავლეთისა ამჟამად ამოქოლილია. ზედა რეგისტრში კართა შესატყვისად ორი სარკმელია გაჭრილი და ანალოგიურადაა გაფორმებული. კარის აღმოსავლეთით, კედლის პირას, რამდენიმე საფეხური გუმბათიან მცირე ფანჩატურამდე ადის. აქ გოლგოთას ნიშში შემავალი აწ გაუქმებული კარია. ლეგენდის თანახმად, სწორედ ამ კარიდან შეუსვენებია ჰერაკლე კეისარს სპარსთაგან დაბრუნებული „ძელი ჭეშმარიტის" ნაწილები[7] (სურ. 1).

ნ. კონდაკოვის აზრით, სამხრეთის ფასადის კარის პერსპექტიული კარიბჭე და სარკმელთა გაფორმება ფრანგული ადრეგოთური ხანის ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს[8].

დღეს ქრისტეს საფლავის უმეტესი სიწმინდენი ბერძნების საკუთრებაა, მათ გარდა აქ სამლოცველოები აქვთ: კათოლიკეების, სომხების, სირიელების, ეთიოპელებისა და კოპტების ქრისტიანულ თემებს.

„ძეგლი ერისთავთა"-ს ცნობით, XIV ს-ის დასაწყისში ქრისტეს საფლავის ეკლესიას დიდ სიფისურად ქართველები დაუფლებიან. ამ ფაქტს უცხოელი მოგზაურებიც ადასტურებენ[9]. XV ს-ის შუა წლებში ქრისტეს საფლავის კლიტე ქართველთათვის ფრანცისკანელებს ჩამოურთმევიათ[10], თუმც ქართველები იქ სალოცავ ადგილს მაინც ინარჩუნებდნენ. 1517 წელს თურქებმა დაიპყრეს იერუსალიმი, რასაც იქ ქართველთა მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა. შემდგომ ხანებში პოლიტიკურად დაქუცმაცებული და ეკონომიკურად დასუსტებული საქართველო თანდათან ჰკარგავს წმინდა მიწის სავანეებს, რომელთაც ბერძნები, კათოლიკეები და სომხები ეპატრონებიან[11].

როგორც აღვნიშნეთ, უფლის საფლავის ეკლესიის მთავარი კარი სამხრეთის კედელშია გაჭრილი და არქიტრავითაა გადახურული. კარის ორსავე მხარეს მარმარილოს მრგვალი სვეტებია განლაგებული, რომლებიც მაღალ ბაზებზე დგანან და მდიდრულად შემკული კაპიტელებითაა დასრულებული. კაპიტელებს ოდნავ შეტეხილი, მეზარადისებრი დეკორაციული თავები ეყრდნობა.

---

[6] ჯვაროსანთა მიერ ამ ეკლესიის განახლების თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს: 1130 წ. M. Th. Bachelet. Dictionnaire des Lettres et des Beaux Arts. Paris, 1862, გვ. 1636; 1140—1163 წწ., Кондаков, დასახ. ნაშრომი, გვ. 191; 1149 წ. Ven la Tierra Santa. La Iglesia del Santo Sepulcro. Jerusalem, 1988.

[7] Брокгауз Ф. А., Ефрон И. А., Энциклопедический словарь, т. XIII а, СПб., 1894, გვ. 653.

[8] Кондаков, დასახ. ნაშრომი, გვ. 210, ი. სტრიგოვსკის აზრით, წმ. საფლავის სამხრეთის ფასადი კონსტანტინეს დროის (IV ს.) ძირითადად გამეორებულია, იქვე, გვ. 209.

[9] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 48.

[10] იქვე.

[11] იერუსალიმის ქართულ სავანეებსა და იქ მოღვაწე ქართველების შესახებ იხ.: ალ. ცაგარელის, ნ. მარის, ელ. მეტრეველის, ლ. მენაბდის, და სხვათა ნაშრომები.

ამგვარადვეა გაფორმებული კარის აღმოსავლეთით მდებარე ამოქოლილი შესასვლელი. კარისპირა სვეტები დაფარულია მლოცველთა წარწერებით. აქ ბერძნულ, ლათინურ, არაბულ, სომხურ ნაკაწრ და საღებავით შესრულებულ წარწერებს შორის რამდენიმე ქართული მინაწერიც მოჩანს[12].

ვფიქრობთ, რომ ამ წარწერებს არ უნდა გულისხმობდეს ჯვრის მონასტრის მღვდელი ლავრენტი ოქრობელი, რომელიც ათანასე ალექსანდრიელის „თარგმანებაი ფსალმუნთას" 1807 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ მინაწერში სხვა ქართულ სიძველეებთან ერთად ახსენებს ქრისტეს საფლავის კარის წარწერებსაც: .....„წმ. დიდი შესავალი კარი, ქვედა კარი, ნათელი მზიარულისავე, თუ რა სწერია, და მით სცანით წმ. ამის ქალაქისა იერუსალიმისა საქმე და ამბავიო"[13]. ასევე ფიქრობს ალ. ცაგარელიც, რომელსაც 1883 წელს მოუხილავს უფლის საფლავის ეკლესია და კარის მახლობლად შეუმჩნევია მინაწერები, რომლებიც პილიგრიმთა, ცუდად გასარჩევი გვიანდელი ხანის ნაკაწრებად ჩაუთვლია. ალ. ცაგარელი იქვე აღნიშნავს, რომ ბერი ლავრენტის ნაგულისხმევი ერთ-ერთი გააზრებული შინაარსის წარწერა ხანძრის დროს დაზიანებულაო[14]. მართლაც, ოქრობელი ბერის მეორე ცნობა, რომელიც ალ. ცაგარელს თავის ნაშრომში, არ განუხილავს Jér. № 36 ხელნაწერის 314-ე ფურცელზეა მიწერილი: ....„იერუსალიმს ხის კარები აბია კვიპაროსის და ზედ ქართველი გიორგი მეფე სწერია სცანით და იცოდნით"-ო[15]. როგორც ჩანს, ლავრენტი ოქრობელის პირველ მინაწერშიც წმინდა საფლავის კვიპაროსის კარზე შესრულებული გიორგი მეფის წარწერაა საგულისხმებელი და არა პილიგრიმთა მინაწერები. ეს კარი 1808 წელს ხანძრის დროს დამწვარა. ამავე დროს განადგურდა გოლგოთას საპატრიარქო ტახტიც ლეონ კახთა მეფისა და იოვაკიმ ჯვარის მამის წარწერით[16].

ქრისტეს საფლავის ეკლესიის კარის მახლობლად თხუთმეტი წარწერა გადმოვიღეთ[17], ყველა წვეტიანი იარაღით არის ამოკაწრული. არც ერთს არ აქვს თარიღი. მათი ამოკვეთის ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი ჯვაროსნების მიერ ამ ეკლესიის აგების ხანაა (XII ს. შუა წლები), როდესაც ხუროთმოძღვარმა ძველი ნაგებობის მარმარილოს სვეტთა ფრაგმენტებით ახლად აგებული ეკლესიის კარი შეამკო. მინაწერთა არსებობა მხოლოდ კარის მახლობელ სვეტებზე მიუთითებს, რომ ისინი შესრულებულია მას შემდეგ, რაც სვეტები კარის შემამკობელ ელემენტებად იქცნენ; ეკლესიის კარი და მისი მიმდებარე კედლები ხომ პილიგრიმთათვის წარწერათა შესასრულებლად პრესტიჟული ადგილი იყო. პალეოგრაფიული ნიშნებით წარწერები მსგავსია.

---

12 ქართული მინაწერები ამოქოლილი კარის მახლობლად ვერ შევნიშნეთ.

13 Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 189. ამ მინაწერზე დაყრდნობით, აღდგომის ეკლესიის კარზე ქართული წარწერების არსებობას ვარაუდობს ელ. მეტრეველი. იხ.: ელ. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", XV—B, 1948, გვ. 90.

14 Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 114, 191. ქართველ პილიგრიმთა მინაწერები ალ. ცაგარელს შეუნიშნავს საბაწმინდის მონასტრის მთავარი ეკლესიის გუმბათის ყელზე, იქვე, გვ. 127; ძნელად გასარჩევი რამდენიმე ქართული მინაწერი ჩვენც შევნიშნეთ ბეთლემის შობის ეკლესიის მარმარილოს სვეტებზე.

15 ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 44.

16 Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

17 სავარაუდებელია, რომ ამ ეკლესიის კედლებზე, როგორც გარედან, ისევე ინტერიერში სხვა ქართული წარწერებიც იყოს.

„ა“-ნის ჰორიზონტალური ხაზი ტანსაა დაშორებული, „თ“, „ლ“, „მ“ ასო-ნიშნების ზედა ჰორიზონტალის მარცხენა ბოლო ზევითაა აშვერილი, „ო“-ნის ფეხი ქვევით მიდრეკილია და სხვ., რაც საშუალებას გვაძლევს წარწერები გარკვეულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს (XIII—XV სს.) მივაკუთვნოთ.

მინაწერებში თორმეტი პირია მოხსენიებული. ზოგიერთ მათგანს ორი სახელი აქვს საერო და საბერო (№ 5 და № 14). ცნობათა სიმწირის გამო გაძნელდება წარწერებში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია, თუმცა ზოგიერთი აქ დამოწმებული სახელი გვხვდება იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს და სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში.

წარწერათა განხილვას პირობითად კარის მარცხენა(დასავლეთი) მხრიდან ვიწყებთ.

№ 1. სამსტრიქონიანი გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა კარის მარცხენა წირთხლზე, მიწიდან — 290 სმ. წარწერის ფართობი: 12 სმ × 22,5 სმ. ასოების სიმაღლე: 3 სმ. — 6 სმ. ქარაგმის ნიშანი: შეზნექილი, ბოლოებაკეცილი ხაზი. „ფ“ და „რ“ ასო-ნიშნები შეწვალებულია (სურ. 2, 3).

ს(ა)ფლ(ავ)ი ქ(რის)ტ(ე)(სა)ი მ(ეწყალ)ე ს(ი)ფრ(ი)ნ



სურ. 2. წარწერა № 1. მონახაზი



სურ 3. წარწერა № 1. ფოტო

იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში დაცულია იოანე ოქროპირის იოანეს სახარების განმარტებანის ექვთიმე ათონელისეული თარგმანი, რომელსაც აქვს გვიანდელი ხანის მინაწერი: „ცოდვილი სოფრონ, შეგირდი ყოველთა"[18]. ამავე ბიბლიოთეკის XIV—XVI სს. პარაკლიტონის დასაწყისში წიგნის შემმოსველი საბა — ყოფილი სოფრონის მინაწერია დამოწმებული[19].

---

[18] ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68

[19] **Цагарели Ал.**, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

№ 2. ერთსტრიქონიანი გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა კარის მარცხნივ, პირველი სვეტის ბაზაზე, მიწიდან — 46 სმ. წარწერის ფართობი: 2,5 სმ × 14,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,5 სმ—2 სმ. ასო-ნიშანი „კ“ შებრუნებულია (სურ. 4, 5).

ნიკ(ო)ლ[ოზ] გ(რ)ძ(ე)ლს შ(ეუნდევე)ნ ღ(მერთმა)ნ



სურ. 4. წარწერა № 2. მონახაზი

სურ 5. წარწერა № 2. ფოტო

ეს მინაწერი სვეტზე გაჩენილი ღრმა ნაპრალის გამო ძლიერ დაზიანებულია. მეორე სიტყვა „გძლს“ შესაძლებელია ნიკოლოზის ზედწოდება იყოს და „გრძელის“ ნიშნავდეს.

№ 3. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარცხნივ. მეორე (შუა) სვეტზე, მიწიდან - 112 სმ. წარწერის ფართობი: 2,5 სმ. × 3,5 სმ: ასოების სიმაღლე: 2 სმ— 3,5 სმ. (სურ. 6).

ქ(რისტე)ო

№ 4. სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა განთავსებული ჩაკვეთილი ჯვრის ირგვლივ, რომლის მკლავები წერტილებით ბოლოვდება; კარის მარცხნივ მეორე (შუა) სვეტზე, მიწიდან — 118 სმ. წარწერის ფართობი: 9.5 სმ. × 11,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,5 სმ.—2,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: სწორი, კიდურწერტილოვანი და კლაკნილი ხაზი (სურ. 7, 9).

ჯ(უა)რო ქ(რისტე)ს(აო) და ს(ა)ფლ(ავ)ო ქ(რისტ)ესაო შ(ეიწყალ)ე ჭვ-(რა)ძე

№ 5 ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა განთავსებულია ორი ჩაკვეთილი ჯვრის ირგვლივ, რომელთა მკლავების ბოლოები გაორკაპებულია; კარის მარცხნივ მეორე (შუა) სვეტზე. მიწიდან — 106 სმ. წარწერის ფართობი: 12 სმ. × 14 სმ. ასოების სიმაღლე: 1 სმ.—5,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: სწორი და კიდურწერტილოვანი ხაზი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი (სურ. 8. 9).

თომ(ა) ყ(ო)ფ(ი)ლი ი(ო)ე(ა)კ(იმ) ვ(ი)ნც ბრძ(ა)ნ(ოს), შ(ეუ)ნ(დო)ს ღ(მერთმა)ნ

№ 4 და № 5 წარწერების კომპოზიციურ ცენტრს ერთმანეთისაგან განსხვავებული მოხაზულობის ჩაკვეთილი ჯვრები წარმოადგენენ. ამ სხვაობისა



სურ. 6, 7, 8. №№ 3, 4 და 5 წარწერების მონახაზი.

და წარწერებს შორის დარჩენილი მცირე არეს გამო ჩვენ გვიძნელდება მათი ერთ წარწერად გააზრება, თუმც ამის დიდი ცდუნებაა, რასაც მათი შინაარსიც უწყობს ხელს. № 4 წარწერა თითქოს დაუსრულებელია, № 5-ს თითქოს დასაწყისი აკლია, თანაც ამ უკანასკნელს პირველივე სტრიქონის ბოლოში განკვეთილობის ნიშანი უზის. ამ წარწერების ასოთა მოხაზულობაც მსგავსია, მცირე განსხვავებანი თვით № 4 წარწერაშიც შეიმჩნევა: ერთგან „ა“-ნის ტანი ჰორიზონტალურ ხაზს დაცილებია, დანარჩენ ორ შემთხვევაში გადაბმულია. „ს“-ანი ერთგან ორკაპათი ბოლოვდება, დანარჩენი ორი სადაა: განსხვავებაა „ჯ“-ანის გამოსახვაშიც, რომელიც ამ წარწერაში სამჯერ გვხვდება. თუ ამ ორ წარწერას ერთიანად გავიაზრებთ მაშინ აქ მოხსენიებული პირი ვინმე თომა — ყოფილი იოვაკიმ ჭვარაძეა. მსგავსი გვარ-სახელის პიროვნება ვერც ერთ საძიებელში ვერ დავძებნეთ.

სურ. 9. №№ 3, 4, 5 წარწერების ფოტო



სურ. 10. წარწერა № 6. მონახაზი

№ 6. ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარცხენა მხრივ (შუა) სვეტზე. მიწიდან — 190 სმ. ფართობი: 6 სმ.×7 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5 სმ.—4 სმ. (სურ. 10).

იოს(ე)ბს შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ

სახელი იოსებ მრავლად გვხვდება იერუსალიმურ თუ სინურ ქართულ ხელნაწერებში (იხ. № 11 წარწერა). ჯვრის მონასტრის წინამძღვართაგან ორი პირი ატარებდა ამ სახელს, პირველი XIV ს-ის მიწურულს ან XV ს-ის დასაწყისში მოღვაწეობდა, მეორე — იოსებ არქიმანდრიტი XVI ს-ის მიწურულის ჯვარის მამაა[20]. XIII ს-ის დასასრულს ან XIV ს-ში მოღვაწეობდა წიგნების ცნობილი მკაზმველი იოანე — ყოფილი იოსებ ხუნტუსძე. Jér. № 60 ხელნაწერის მინაწერიდან ვიგებთ, რომ იგი აღდგომის ეკლესიის მღვდელი იყო. იოსებ აღდგომის დეკანოზის მინაწერია ჯვრის მონასტრის სამოციქულოს ერთ-ერთ გვერდზე[22].

№ 7. ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა, პირველ სიტყვას ბოლოებგაორკაპებული ჩაკვეთილი ჯვარი ჰყოფს; კარის მარცხნივ მესამე სვეტზე. მიწიდან — 100 სმ. წარწერის ფართობი: 6,5 სმ.×10 სმ. ასოების სიმაღლე: 1 სმ.—1,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: ბოლოწერტილოვანი კლაკნილი ხაზი (სურ. 11, 12).

ს(ა)ფლ(ავ)ი ქ(რისტ)ე(სი) შ(ეიწყალ)ე ს(უ)ლი ჩ(ე)მ-





სურ. 11. წარწერა № 7. მონახაზი სურ. 12. წარწერა № 7. ფოტო

[20] ელ. მეტრეველი, მასალები... გვ. 37, 40.

[21] Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 153; R. Blake, Catalogue des Manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem. Paris. გვ. 104. იოსებ ხუნტუსძის მინაწერები გვხვდება იერუსალიმის და სინას მთის სხვა ქართულ ხელნაწერებშიც.

[22] Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

№ 8. ერთსტრიქონიანი ნუსხური წარწერა კარის მარცხნივ მესამე სვეტზე, მიწიდან — 146 სმ; წარწერის ფართობი: 2 სმ.×4,5 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5 სმ.—1,8 სმ. (სურ. 13, 14).

ქ(რის)ტ(ე) შ(ეიწყალ)ე გ(იორგ)ი





სურ. 13. წარწერა № 8. მონახაზი სურ. 14. წარწერა № 8. ფოტო

№ 9. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარცხნივ მესამე სვეტზე; მიწიდან — 197 სმ. წარწერის ფართობი· 3 სმ.×8,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7 სმ.—1,4 სმ. ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი ხაზი (სურ. 15).

ბა(რ) თლ(ო)მ(ე)ს შ(ეუნდო)ს ღ(მერთმა)ნ



სურ. 15. წარწერა № 9. მონახაზი

იერუსალიმის სვინაქსარს (ნ. მარის კატალოგის მიხედვით № 48) ვინმე ბართლომეს სულის მოსახსენიებელი მინაწერი აქვს[23].

№ 10. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზაზე, მიწიდან — 56 სმ. წარწერის ფართობი: 2,5 სმ×3 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5 სმ.—2 სმ. ქარაგმის ნიშანი: მოკლე სწორი ხაზი (სურ. 16).

ქ(რის)ტ)ე შ(ეიწყალ)ე



სურ. 16. წარწერა № 10. მონახაზი

№ 11. ერთსტრიქონიანი ნუსხურნარევი გაკუთხოვნებული ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზაზე. მიწიდან — 63 სმ. წარწერის ფართობი: 4,5 სმ.×7 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7 სმ.—2,5 სმ. ქარაგმის ნიშანი: სწორი ხაზი (სურ. 17).

ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე იოს[ებ].

სურ. 17. წარწერა № 11. მონახაზი

№ 12. ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ პირველი სვეტის ბაზაზე, მიწიდან — 67 სმ. წარწერის ფართობი: 2,5 სმ. × 11 სმ. ასოების სიმაღლე: 1 სმ.—2 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორი წერტილი. (სურ. 18).

დ(ავი)თ(ს) შ(ეუნდვე)ნ ღ(მერთმა)ნ ა(მე)ნ



სურ. 18. წარწერა № 12. მონახაზი

№ 13. ერთსტრიქონიანი დაგრძელებული ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე, მიწიდან — 120 სმ. წარწერის ფართობი: 5 სმ. × 7,5 სმ. ასოების სიმაღლე: 3 სმ. — 5 სმ. (სურ. 19, 20).

გერ(მანო)ზს



სურ. 19, 20. წარწერა № 13. მონახაზი და ფოტო

---

23 ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

10. „მაცნე" [illegible] სერია. 1972. № 1

ეს წარწერა დაუსრულებელია, რაზეც სახელის მიცემითი ბრუნვაც მეტყველებს. გერმანოზი იშვიათი სახელია, თუმცა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ამ სახელით რამდენიმე პირი მოღვაწეობდა. XIV ს-ის შუახანებში ამ მონასტრის წინამძღვარი იყო ვინმე გერმანოზი. მას Jér. № 44 ხელნაწერზე შეუსრულებია მხედრული წარწერა: „ქრისტეს საფლავო მალხინე მე ცოდვილსა ჯუარის მამას და ცოდვილსა შეუნდვენ“[24]. ჯვრის მონასტერს 1056 წ. გადაწერილი ბასილი დიდის ცხოვრება მოგვიანებით შეუკაზმავს ვინმე გერმანე უზდაველიძეს[25]. ალ. ცაგარელს ჯოლღამის ეკლესიის სალაროში ენახავს ოლარი, რომელიც ჯვრის მონასტრის მღვდელ-მონაზონ გერმანეს შეუკერვინებია და ქრისტეს საფლავისა და ჯვრის მონასტრისთვის შეუწირავს[26].

№ 14. ორსტრიქონიანი განუთხოვნებული ასომთავრული წარწერა კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე. მიწიდან — 123 სმ. წარწერის ფართობი: 5,5 სმ × 10,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,5 სმ.—2,5 სმ. (სურ. 21, 22).

მათე გ(რი)გ(ო)ლს ღ(მერთმა)ნ შ(ეუნდვე)ნ

სურ. 21. წარწერა № 14. მონახაზი



სურ. 22. წარწერა № 14. ფოტო

მათე-გრიგოლი ჩვენთვის უცნობი პირია. სინაის მთის XII—XIV სს. ლიტურგიკული კრებულის (Sin. 70) ანდერძ-მინაწერში ამავე სახელებით [illegible]

---

[24] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 36.
[25] Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ 173, 174; ნ. მარი, დასახ. ნაშრომი, გვ 1[illegible]
[26] Цагарели Ал., დასახ. ნაშრომი, გვ. 250, XXVIII.

სხვადასხვა პირია დამოწმებული: გამზრდელი გიორგი და მისი შეგირდი მათე, „ამისსა დამწერელსა მათეს, გამზრდელსა გიორგისსა შეუნდევენ ღმერთმან, ამენ“[27].

№ 15. ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის დასაწყისში ჯვარია გამოსახული. წარწერა მდებარეობს კარის მარჯვნივ მეორე სვეტზე, მიწიდან — 135 სმ. წარწერის ფართობი: 5,5 სმ X 11,5 სმ. ასოების სიმაღლე: 1,5 სმ.—2 სმ. (სურ. 23).

ამოტ შ(ეუ)ნ(დო)ს შნ...



სურ. 23. წარწერა № 15. მონახაზი.

ამრიგად, წმინდა საფლავის ეკლესიის კარიბჭის ქართულ მინაწერთა ისტორიულ-პალეოგრაფიულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მცირე გამონაკლისის გარდა ყველანი XIV—XV სს. მიეკუთვნებიან იმ პერიოდს, როდესაც განსაკუთრებით აქტიურდება ქართველთა სწრაფვა იერუსალიმის წმინდა ადგილებისა და უფლის საფლავისაკენ.

მინაწერები მცირე ინფორმაციის შემცველი მოსახსენებლებია, აქ დამოწმებულ პირთა უმეტესობა, როგორც ჩანს, წმინდა მიწაზე მოსალოცად ჩამოსული პილიგრიმები იყვნენ. თუმც არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მათგანი ქრისტეს საფლავის ქართული სავანის ან რომელიმე ადგილობრივი ქართული მონასტრის წევრი იყოს[28].

Г. Ю. ГАГОШИДЗЕ

НАДПИСИ ГРУЗИНСКИХ ПОЛОМНИКОВ НА ПОРТАЛЕ ХРАМА ГРОБА ГОСПОДНЯ В ИЕРУСАЛИМЕ

Резюме

В статье рассмотрены пятнадцать грузинских надписей, вырезанных на мраморных колоннах, обрамляющих южный вход в храм Гроба Господня в Иерусалиме.

Большинство надписей относится к XIV—XV векам — к периоду высокой активности грузин в Святой Земле.

---

[27] რ. გვარამია, ელ. მეტრეველი, ც. ქანქიევი, ლ. ხევსურიანი, ლ. ჯღამაია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია, ნაკვეთი III, თბ., 1987, გვ. 149.

[28] ფოტოები გადაიღეს: ნ. თოიძემ, გ. ბერიძემ და ავტორმა. ნახატები შეასრულა ავტორმა.

Надписи в основном поминальные и, следовательно, малоинформативны. Большинство из них, по-видимому, исполнено пилигримами, однако не исключено, что некоторые из упоминаемых в надписях лиц являлись членами грузинских монашеских общин Иерусалима.

G. GAGOSHIDZE

INSCRIPTIONS OF GEORGIAN PILGRIMS ON THE PORTAL OF THE HOLY SEPULCHRE IN JERUSALEM

Summary

In the article fifteen Georgian inscriptions are reviewed. They ar carved on the marble columns of the fraims on the south gat eof the Holye Sepulchre in Jerusalem.

Most of the inscriptions date from the XIV—XV cc. period of great activity of Georgians in the Holy Land.

Inscriptions, are mainly prayers and hence less informative. Most of them are made by pilgrims, and, maybe, some of the mentioned persons were members of Georgian monastic communities of Jerusalem.

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

სარედაქციო კოლეგიისაგან

ჟურნალ „მაცნეს" (ისტორიის სერიის) სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლის პირველი ნომრიდან იწყება დისკუსია საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. დისკუსიის დასაწყებად რედაქციის მიერ შემოთავაზებული იყო შემდეგი საკითხები: .

1. ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის შესახებ საქართველოში.

2. საქართველოს ისტორიის კვლევისას რომელ საკითხებზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებით ყურადღება?

3. რამდენად მართებულია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით საერთოდ ისტორიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის გააზრება.

სარედაქციო-კოლეგიის თხოვნა, გაეცათ ამ კითხვებზე პასუხი, სპეციალისტებს დაეგზავნათ გასული წლის სექტემბერში.

რედაქციამ მიიღო ზოგიერთი მკვლევრის გამოხმაურება შემოთავაზებულ კითხვებზე, რომელთაც ვბეჭდავთ ჩვენთან შემოსვლის თანამიმდევრობის დაცვით.

სასურველად მიგვაჩნია სპეციალისტთა ფართოდ ჩართვა დისკუსიაში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
გიორგი მელიქიშვილი

ფორმაციათა თეორიის შესახებ

„მაცნეს" სარედაქციო კოლეგიის პირველ ორ შეკითხვაზე ფაქტობრივად გაცემული მაქვს პასუხი ჩემს ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა ამავე ჟურნალის 1990 წ. № 1-ში. ამიტომაც აქ მხოლოდ უკანასკნელ კითხვას — სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის საკითხს შევეხები.

1. კ. მარქსის მიხედვით[1] საზოგადოებრივი წარმოების პროცესში ადამიანები ამყარებენ გარკვეული სახის ურთიერთობას („წარმოებითი ურთიერთობები"), რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონეს შეესატყვისება. ამ წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა — რეალური ბაზისი, რომელსაც ეფუძნება იურიდი-

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის (წინასიტყვაობა).

ული და პოლიტიკური ზედნაშენი, აგრეთვე საზოგადოებრივი შემეცნების გარკვეული ფორმები (ცხოვრების სოციალური, პოლიტიკური და სულიერი პროცესები). საწარმოო ძალთა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საწარმოო ძალები წინააღმდეგობაში მოდიან არსებულ წარმოებით ურთიერთობებთან, რომლებიც მათი განვითარების ბორკილებად იქცევიან. ასეთ დროს დგება სოციალურ რევოლუციათა ეპოქა. ხდება ეკონომიკური ბაზისის („წარმოებითი ურთიერთობანი", საკუთრების ურთიერთობანი) ცვლა და მასთან ერთად გადატრიალდება უზარმაზარი ზედნაშენიც. შემდეგ კ. მარქსი ჩამოთვლის „ეკონომიკური საზოგადოებრივი ფორმაციის ძირითად ეპოქებს", ესენია — აზიური, ანტიკური, ფეოდალური და ბურჟუაზიული. სწორედ საზოგადოებრივი განვითარების ეტაპების (საფეხურების) სახეობებად წარმოუდგენია კ. მარქსს ზემოჩამოთვლილი „ფორმაციები", რომელთა არსზე და ცვლის მექანიზმზე იგი ლაპარაკობს მანამდე.

„ფორმაციების" საკითხი დიდი ხანია რაც მაინტერესებს. ამავე „მაცნე"-ს 1971 წლის № 3-ში დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნული მქონდა, რომ კ. მარქსთან მოცემული განსაზღვრა ფორმაციის ცნებისა სინამდვილეში კარგად შეესატყვისება მსოფლიო ისტორიის სამ მთავარ ეპოქას: პირველყოფილ უკლასო საზოგადოებას, კლასობრივ საზოგადოებას და მომავლისათვის ნავარაუდევ განვითარებულ უკლასო (კომუნისტურ) საზოგადოებას.

პირველყოფილ-თემური წყობილების დროს, მართლაც, საწარმოო ძალთა განვითარების დონე ისე დაბალი იყო, რომ არ არსებობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის, მისი შრომის პროდუქტის მითვისების ობიექტური პირობები. შესაძლებლობა ამ მხრივ დიდ ნახტომს წარმოადგენდა ნეოლითის ხანაში დაწყებული გადასვლა მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე („ნეოლითური რევოლუცია"), ხოლო უფრო მძიმე ბუნებრივ პირობებში მცხოვრებ საზოგადოებებისათვის (რკინის) მეტალურგიაზე გადასვლა. ამან შექმნა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის (ზედმეტი პროდუქტის წარმოების) შესაძლებლობა და განსაზღვრა კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა. დაბოლოს, ადგილი აქვს კიდევ ერთ ნახტომს საწარმოო ძალთა განვითარებაში — ესაა უკვე კაპიტალიზმის წიაღში მომხდარი „სამრეწველო რევოლუცია" და შემდეგ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რაც, ბევრს ეჩვენებოდა, ქმნიდა საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ ეტაპზე — განვითარებულ უკლასო საზოგადოებაზე გადასვლის შესაძლებლობას, რადგანაც ამ ეტაპზე ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია თანდათან ხდება უაზრო, უსაგნო საზოგადოების არც ერთ წევრს არ შეუძლია სხვისაგან მიითვისოს რამე, რაც თვითონ არ გააჩნია. სამწუხაროდ, ამ ეპოქასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა — დემოგრაფიულმა აფეთქებამ, ეკოლოგიურმა კრიზისმა, დედამიწის ბუნებრივი სასიცოცხლო რესურსების გამოლევამ და სხვ. ასეთი ვითარების (=კომუნიზმის!) შექმნა არსებითად ეჭვქვეშ დააყენა, არარეალური გახადა.

ამრიგად, თუ ძირითად კრიტერიუმად საზოგადოების განვითარების პროცესში საწარმოო ძალთა დონეს მივიჩნევთ (დღეს ეს ასეც არის აღიარებული — იხ. მსოფლიო ისტორიის დაყოფა ტრადიციულ (წინაინდუსტრიულ), ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებად), ჩვენ რეალურად „ფორმაციული" ნიშნით (=საზოგადოებრივი განვითარების ეტაპები) ფაქტობრივად ორი ეტაპიღა შეგვრჩება — პირველყოფილი უკლასო და კლასობ-

რიგი საზოგადოებები (ამ უკანასკნელში შევა აგრეთვე ე. წ. „რეალური სოციალიზმის“ — ფაქტობრივად მარქსის „წარმოების აზიური წესის“ ნაირსახეობის საზოგადოებაც). რაც შეეხება იმ ეტაპებს, რომელსაც კონკრეტულად ასახელებს კ. მარქსი — აზიური, ანტიკური (=მონათმფლობელური), ფეოდალური, კაპიტალისტური საზოგადოებები, მათი ფორმაციების სახით გამოყოფა ნაკლებ შეესაბამება თვით მარქსის მიერ პოსტულირებულ ფორმაციის არსისა და ფუნქციონირება-განვითარების მექანიზმს. აშკარაა, ყოველ შემთხვევაში, რომ არაეკონომიკური იძულების სხვადასხვა სახის (აზიური, მონათმფლობელური, ფეოდალური) ბატონობა არაა დამოკიდებული საწარმოო ძალთა განვითარების დონესთან. ძველ სამყაროსა და შუა საუკუნეებში ამ მხრივ ადგილი არ ჰქონია ისეთ არსებით ძვრებს, რომლებსაც შეეძლოთ განესაზღვრათ ექსპლუატაციის სახის არსებითი შეცვლა. თვით კაპიტალისტურ ურთიერთობათა გენეზისიც არ შეიძლება მივიჩნიოთ საწარმოო ძალთა განვითარებაში მომხდარი ნახტომის შედეგად. ასეთ ნახტომს ადგილი ჰქონდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების უკვე საკმაოდ მაღალ საფეხურზე და იგი მოასწავებდა განვითარების ახალ („ინდუსტრიული საზოგადოების“) ეტაპზე გადასვლას.

არც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის კონკრეტული ისტორია იძლევა საბუთს, რომ კ. მარქსისეული „ფორმაციების“ სქემაზე მოცემული თანმიმდევრობით დავალაგოთ. ალმოსავლეთში, კერძოდ, როგორც ძველ დროს, ისე შუა საუკუნეებში. მარქსის მიხედვითაც ერთი და იგივე წყობილება („წარმოების აზიური წესი“) ბატონობდა, რომელმაც ახალი („კოლონიური“) ხანის დროს დაიწყო ტრანსფორმაცია კაპიტალიზმში, არა მარქსის მიერ მოცემული ფორმაციების ცვლის მექანიზმის მიხედვით, არამედ გარეშე ფაქტორის (იმპერიალისტური ქვეყნების წყობილების) ზეგავლენით. ფაქტობრივად ჩვენ მხოლოდ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე ვხვდებით შინაგანი, იმანენტური განვითარების გზით ერთი ფორმაციიდან (ფეოდალიზმიდან) მეორეზე (კაპიტალიზმზე) გადასვლის მაგალითს. გამონაკლისის სახით გამოიყურება აგრეთვე ანტიკური საბერძნეთ-რომის მონათმფლობელობა, რომელიც თავის თავში ავლენს განვითარების სხვადასხვა ეტაპის (მათ შორის — კაპიტალისტურისაც კი) დამახასიათებელ ნიშნებს. დასავლეთევროპული ფეოდალიზმიც უპირატესად რომაული მონათმფლობელობისა და გერმანული თემური წყობილების სინთეზის პროდუქტია და ა. შ.

ერთი სიტყვით, კაცობრიობის „ნამდვილი“ ისტორიის (და არა პრეისტორიის) მანძილზე ჩვენ ვხვდებით კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ წყობილებათა დიდ ნაირსახეობებს, რომელთა ჩამოყალიბება და განვითარება უნდა აიხსნას კონკრეტული ისტორიული პირობებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. ამისი რაიმე ზოგადსოციალური სქემებით შეცვლა დიდს არაფერს შველის.

საბჭოური ხანის მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული სურათის აღდგენა მართლაც, როგორც წესი, ასე ხდებოდა. ფაქტობრივად ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი ქვეყნის პოლიტიკური ისტორია, მისი სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი წყობილება, კულტურა, ისე რომ მათ შორის კავშირები მაინცდამაინც საგანგებოდ არ იძებნებოდა, კერძოდ „ფორმაციული ნიშნით“. ფორმაციულობა არსებითად თავს იჩენდა სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ზოგადსოციოლოგიურ წანამძღვრე-

ბის დახასიათებაში. ამ სტილზეა არსებითად წარმოდგენილი საქართველოს ისტორია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეულშიც, რომელიც 1970—1980 წლებში გამოქვეყნდა.

„ფორმაციასთან“ შედარებით უფრო ტევადი ცნებაა, ჩვენი აზრით, „ცივილიზაციის“ ცნება. იქ, სადაც ამ ტერმინით მიდგომა შეიძლება, ცალკეული ხალხების (ქვეყნების) და რეგიონების ისტორიისადმი მას შეუძლია გააერთიანოს ბევრი რამ: პირველ ყოვლისა „ფორმაციის“ ცნების საკმაოდ ბუნდოვან ტერმინში „ზედნაშენი“ მოქცეული კულტურა, კერძოდ სულიერი კულტურა თავისი მნიშვნელოვანწილად ეთნიკური ელფერით, სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი სტრუქტურის სპეციფიკა, პოლიტიკური განვითარების ძირითადი სვლა-გეზი, ერთი სიტყვით — პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ-რელიგიურ და ინტელექტუალურ ტრადიციათა ერთობლიობა, ფასეულობათა გარკვეული კომპლექსი და სხვ. სწორედ ამ ტერმინის მომარჯვებით უკეთ შეიძლება ამა თუ იმ ხალხის (ქვეყნის, რეგიონის) ისტორიული ბედ-იღბლისა და სვლა-გეზის განზოგადოება, ერთიანი გააზრება.

„ცივილიზაცია“, რა თქმა უნდა, შეიძლება სულ სხვადასხვანაირი იყოს მასშტაბურობით: მსოფლიო, რეგიონალური, გარკვეული ქრონოლოგიური პერიოდის მომცველი და ა. შ. და იგი ყველა ამ მნიშვნელობით იხმარება კიდეც.

2. ამრიგად, ფორმაციის ცნება ასახავს უპირატესად საზოგადოების შიგნით სოციალ-ეკონომიკურ ვითარებას. მას არ შეუძლია მოიცვას საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მრავალსახეობა, თუმცა ამაზე გარკვეული პრეტენზია აქვს, „ზედნაშენის“ ცნების შემოტანასთან დაკავშირებით. თუ „საწარმოო ძალებსა“ და „წარმოებით ურთიერთობათა“ შორის კავშირი, მეტად ზოგად ასპექტში, მსოფლიო ისტორიის მასშტაბით, მართლაც შეიმჩნევა (იხ. ზემოთ), ძნელი მისაკვლევია კავშირები „ეკონომიკურ ბაზისსა“ და ზედნაშენობრივ მოვლენებს შორის, განსაკუთრებით ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა სულიერი და, მნიშვნელოვანწილად მატერიალური, კულტურა, ზნე-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და ა. შ. ბევრი არაფერი ითქმის აგრეთვე შინაპოლიტიკური თუ საგარეოპოლიტიკური ვითარების დეტერმინირების შესახებ „ბაზისური მოვლენებით“. ყველაფერი ეს დიდი ხანია ცნობილია. მარქსიზმის დაბადებისთანავე ბევრი მიუთითებდა მის გატაცებაზე ეკონომიკური დეტერმინიზმით. გასათვალისწინებელია ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ მხარეს თავისი საკუთარი კანონზომიერება აქვს. საზოგადოება რთული ორგანიზმია, რომელშიც მოქმედებს მრავალი სხვადასხვა ფაქტორი და მათი გადაჯაჭვა, ურთიერთმოქმედება განსაზღვრავს ყოველ იმ კონკრეტულ სიტუაციას, რომელსაც ისინი ქმნიან. ამიტომაც გასაგები ხდება ზემოთ უკვე ხაზგასმული გარემოება, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისას ფაქტობრივად ვერც იყენებდა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ფორმაციათა კონცეფციას და იგი უცხო სხეულად რჩებოდა ისტორიული წარსულის ამსახველ ნარკვევებში. კონკრეტული ისტორიის გადმოცემისას მას მეტოქეობას უწევდა და ცვლიდა კიდეც ფაქტორების კონცეფცია: სოციალური თუ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის პრინციპებით მიდგომა და ა. შ.

ფორმაციული მიდგომის ერთადერთი ალტერნატივა უნდა იყოს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი სისტემური მიდგომა, რომლის ანარეკლი ჩვენ ფორმაციების თეორიაშიც გვაქვს. საზოგადოება, რა თქმა უნდა, გარკვეული

სისტემაა და მისი თეორიული გააზრებაც უნდა სისტემურ გააზრებაში მდგომარეობდეს. ამგვარი მიდგომა კი მარქსიზმის ფუძემდებლებთან ჩვენ მთელი სიღრმით, მთელი სიგრძე-სიგანით არ მოგვეპოვება. სისტემური ანალიზი გულისხმობს სისტემის ელემენტების გამოყოფას და ამ ელემენტებს შორის კავშირ-ურთიერთობათა, დამოკიდებულებათა სახეობებისა და ვარიანტების დადგენას. ამასთანავე, ამ ანალიზისას ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საზოგადოება არ არის ისე მკვეთრად შეკრული სისტემა, როგორიც არიან მკვდარი (მატერიალური) და თუნდაც ბიოლოგიური სამყაროს წარმონაქმნები. იგი არის საკმაოდ არამტკიცე, ფხვიერი ერთობა, რომლის ელემენტებიც უამრავია, მათ შორის კომბინაციებიც — უსასრულო და, რაც მთავარია, თვითონ ელემენტები არიან მუდმივცვალებადნი, დინამიურნი. ამიტომაც ერთიანი, უცვლელი კანონზომიერებების დადგენა უცილობლად ჭირს.

სწორედ სისტემურმა ანალიზმა უნდა აჩვენოს რამდენად მართებულია საზოგადოებათა კლასიფიკაციის ესა თუ ის თეორია, რასთან გვაქვს ჩვენ საქმე სისტემის შემოქმედ ფაქტორების სახით — ერთადერთ, უმთავრეს და მეორეხარისხოვან ფაქტორებთან თუ ფაქტორების დაახლოებით ერთნაირ, თანაბარ-ღირებულეობანებასთან. სასურველი სისრულით საზოგადოების, როგორც სისტემის ანალიზი, ვფიქრობ, როგორც ჩვენში, ისე საერთოდ მსოფლიო მეცნიერებაში ჯერ არ არის ჩატარებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ თვით ადამიანი არის საზოგადოების, როგორც სისტემის, ერთი რიგის ელემენტი. ამიტომაც გასაგებია რა რთულ, ცვალებად, დინამიურ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე მისი სახით საზოგადოებრივ ურთიერთობათა ლაბირინთში. მთელი სისრულით ადამიანის როლის, ფუნქციის, ადგილის გააზრება საზოგადოებაში, მისი ყველა მხარის გათვალისწინება, რა თქმა უნდა, საკმარისად გაკეთებული არ არის, მით უმეტეს ფორმაციების თეორიაში, რომელსაც დიდი ხანია რაც სამართლიანად უსაყვედურებენ სწორედ ადამიანის ფენომენის უგულებელყოფას.

ჩამოსახელებული გააზრება საზოგადოების როგორც სისტემისა არ არის მარტო განყენებული მსჯელობისა და ფილოსოფიის საგანი. იგი გულისხმობს აგრეთვე ძლიერი, მრავალფეროვანი კონკრეტული სისტემური მასალის მოხმობა-გაანალიზებასაც. ერთი სიტყვით იგი კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს.

8. ზემონათქვამი იმას არ ნიშნავს, რომ ტრადიციული ხმარება ტერმინებისა „წარმოების აზიური წესი", მონათმფლობელობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი მოკლებულია აზრს. ეს ტერმინები აღნიშნავენ საზოგადოებათა გარკვეულ სახეებს, ტიპებს.

„წარმოების აზიური წესი" ანუ აღმოსავლური ფეოდალიზმი ახასიათებს აღმოსავლური ქვეყნების უმეტესობას ძველ ხანასა და შუა საუკუნეებში. მისთვის დამახასიათებელია ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობა (მიწაზე უზენაესი სამეფო საკუთრება და პრივილეგიური ფენის არსებობა სამხედრო-სამოხელეო არისტოკრატიის სახით), თავისუფალ მიწათმოქმედთა ფართო ფენის — სახელმწიფოსთან დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის — ექსპლუატაცია უპირატესად გადასახადების გადახდევინებითა და სხვა ვალდებულებათა შესრულებით, აგრეთვე ქალაქების — ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ცენტრების ფუნქციონირება ძლიერი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ და ა. შ.

საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში კლასობრივი საზოგადოების ეს სახე მცირე მოდიფიკაციებს განიცდის და ამ სახით აღწევს ვიდრე ახალ დრომდე.

ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში სტრუქტურის (სისტემის) შემქმნელი ფაქტორია პოლისი (ქალაქ-სახელმწიფოს თავისუფალ მესაკუთრეთა ორგანიზაცია). საზოგადოების ზედაფენას ქმნიან აქ მიწისა და მონების მსხვილი მესაკუთრენი, რომელთა წრეში მოხვედრა შეიძლებოდა როგორც სახელმწიფო აპარატის, ისე განვითარებული სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის გზით. ამავე საზოგადოებისათვის დამახასიათებელია ექსპლუატაციის ძირითადი უღლის გატანა საზოგადოების გარეთ, ჩამორჩენილი გარემოცვის ექსპლუატაცია მათი დოვლათის მიტაცებისა (სამხედრო ძალით ან არაეკვივალენტური ვაჭრობის მეშვეობით) და ტყვე-მონების დიდი მასების ხელთგდებით.

დასავლეთევროპული ფეოდალიზმის წიაღში გაბატონებულ წრეს ქმნის აღზევებული სამხედრო წოდება, რომელიც პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და დეცენტრალიზაციისაკენ საკმაო წარმატებით ისწრაფვის. სახელმწიფო ხელისუფლებას იგი იყენებს მსხვილ მიწათმფლობელად და მასზე მსხდომი სასოფლო-სამეურნეო მოსახლეობის მეპატრონედ გადაქცევისათვის. უშუალო მწარმოებელი აქ იურიდიულად ნახევრადთავისუფალი პიროვნებაა, რომელიც ექსპლუატაციას განიცდის არაეკონომიკური იძულების გზით.

კაპიტალისტური წარმოების წესი გულისხმობს სრულიად თავისუფალი საკუთრების (მათ შორის საკუთარ შრომაზე საკუთრების, მისი გაყიდვის უფლების) არსებობას. ამიტომაც, იქ სადაც ასეთი საკუთრება არსებობს, საზოგადოება უცილობლად ატარებს კაპიტალისტურ ხასიათს. თუ „წარმოების აზიურ წესში" ექსპლუატაციის უმთავრეს ფორმას განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების ყოვლისშემძლეობა, ანტიკურ საზოგადოებაში — პოლისი, დასავლეთევროპულ ფეოდალიზმში — ფეოდალთა სამხედრო ფენა, კაპიტალისტურში — კაპიტალი და კაპიტალისტები, „რეალურ სოციალიზმში" — პარტიული და საბჭოთა ბიუროკრატია.

კლასობრივ საზოგადოებათა ტიპებში ცალკე შეიძლება გამოიყოს ისეთი „ადრეკლასობრივი პროტოფეოდალური საზოგადოებები", როგორიცაა „მთური ფეოდალიზმის" ან „მომთაბარული ფეოდალიზმის საზოგადოებები", რომლებიც ხასიათდებიან შეზღუდული ეკონომიკური ბაზით და, ამის გამო, ვერ ახერხებენ კლასობრივ განსხვავებათა გაღრმავება-პოლარიზაციას, საკმაოდ მტკიცედ ინახავენ თემური დემოკრატიის ინსტიტუტებს და ა. შ.

შეიძლება დასახელებულთა გარდა გამოიყოს „შერეული ფორმაციები" სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ წყობის თანაარსებობით, ან საზოგადოებათა გარდამავალი ტიპები.

კლასობრივი საზოგადოებების კლასიფიკაცია მრავალი სხვადასხვა კრიტერიუმით შეიძლება განხორციელდეს და არა მხოლოდ იმ მომენტებით, რომელთაც ხაზს უსვამდნენ მარქსიზმის ფუძემდებლები „ფორმაციათა" არსის დახასიათებისას.

ერთი კრიტერიუმია — ექსპლუატაციის სახეობა. შეიძლება საზოგადოებათა კლასიფიკაცია ექსპლუატაციის ფორმის მიხედვით: მონობა, ბატონყმობა, დაქირავებული შრომა, მოსახლეობის ექსპლუატაცია პოლიტიკურად წამყვანი კლასის მიერ. შეიძლება აგრეთვე კლასიფიკაცია ექსპლუატაციის სახე-

ობის — ეკონომიკური თუ არაეკონომიკური (პოლიტიკური) იძულების ფორმის მიხედვით.

მეორე ძირითადი კრიტერიუმია — საკუთრების ფორმა. აქ ერთმანეთს მკვეთრად უპირისპირდება სრულიად თავისუფალი კერძო საკუთრება ან პოლისურ-მონათმფლობელური და სახელმწიფო საკუთრების პრიმატობა, დაბოლოს ფეოდალური (სიუზერენულ-ვასალურ ურთიერთობაზე დამყარებული) საკუთრება.

„ფორმაციათა“ თეორიის შემოქმედნი მათ ძირითადად იაზრებდნენ, როგორც საფეხურებს, ეტაპებს საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. ირკვევა, რომ ამ მხრივ ძნელია ფორმაციათა ისეთი მწყობრი განლაგება ერთი მეორის შემდეგ, როგორც ეს მათ წარმოედგინათ. ასე მაგალითად, მონათესავე სტრუქტურებს ქმნიან წარმოების აზიური წესის (აღმოსავლური ფეოდალიზმის) და დასავლეთევროპული ფეოდალური საზოგადოებები. საწინააღმდეგო წყვილს კი სულ სხვადასხვა ეპოქაში არსებული კაპიტალისტური და ანტიკურ-მონათმფლობელური საზოგადოებები (ორივეგან შეუზღუდავი კერძო საკუთრების ინსტიტუტი, კოლონიალიზმი, არაეკვივალენტური ვაჭრობა, დაქირავებული შრომის გვერდით ადრეულ კაპიტალისტურ ეტაპზე მონათა ფართო ექსპლუატაცია ამერიკაში და ა. შ.). ანტიკურ-მონათმფლობელური (პოლისურ-მონათმფლობელური) საზოგადოება, ერთი მხრით, შეიცავს არქაულ სტრუქტურათა ელემენტებს (მონათა ექსპლუატაცია), ხოლო მეორე მხრით, კაპიტალისტურთან სიახლოვეს იჩენს თავისუფალი, შეუზღუდავი კერძო საკუთრების ინსტიტუტის არსებობით, არაერთი „ზედნაშენობრივი“ ინსტიტუტით — დემოკრატია, თავისუფალი აზროვნება...

დიდ (ანტიკურ-კაპიტალისტურ საზოგადოებათა მსგავსად დიალექტიკური „უარყოფის უარყოფის“ სახის) სიახლოვეს ამჟღავნებენ ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი „წარმოების აზიური წესი“ და ჩვენი თანამედროვე „რეალური სოციალიზმი“: სახელმწიფო საკუთრების დომინანტობა, გაბატონებული კლასის არსებობა სამხედრო-სამოხელეო და, მეორე მხრივ, პარტიულ-საბჭოთა ბიუროკრატიის სახით, უკიდურესი ცენტრალიზაცია, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობა და ალკვეთა და მრავალი სხვა აახლოვებს ამ ორ წყობილებას, რაზედაც მრავალგზის იყო აქამდეც ყურადღება გამახვილებული.

თუ მაინცდამაინც გვინდა საზოგადოებრივი განვითარების სტადიალური ეტაპობრივი კლასიფიკაცია კლასობრივი საზოგადოების არსებობის პირობებში, როგორც ადრეც არაერთგზის აღვნიშნავდით, მიზანშეწონილია გამოიყოს ადრეკლასობრივი, განვითარებული კლასობრივი და გვიანკლასობრივი ეტაპები. პირველისა და ბოლოს გამოყოფა იწარმოებს ამასთან პირველყოფილ და ჰიპოთეტურ განვითარებულ უკლასო საზოგადოებასთან სიახლოვის ნიშნით. არსებითად ადრეკლასობრივი ბუნებისაა მთური ფეოდალიზმი, მომთაბარეული ფეოდალიზმი, აგრეთვე აღმოსავლური ფეოდალიზმის (წარმოების აზიური წესის) საზოგადოებები. განვითარებული კლასობრივი საზოგადოების ეტაპს განასახიერებს მონათმფლობელური წყობილება და დასავლეთევროპული ფეოდალიზმი. რაც შეეხება გვიანკლასობრივ ეტაპს, მას უნდა მივაკუთვნოთ კაპიტალისტური ქვეყნები, განსაკუთრებით განვითარების გვიან, თანამედროვე საფეხურზე, როდესაც მასში ფეხს იკიდებს მძლავრი სოციალისტური ელემენტები, და ამასთან ერთად „რეალური სოციალიზმის“ საზოგადო-

ება, მიუხედავად მისი დიდი მსგავსებისა დაბალი რანგის (მაგალითად, წარმოების აზიური წესის) სტრუქტურებთან ამ შემთხვევაში ამ ორ საზოგადოებას აახლოებს, აერთიანებს, მსგავსი საწარმოო ძალების, ერთგვარი ეკონომიკური ბაზის არსებობა, რაც საზოგადოებათა კლასიფიკაციის დროს, აგრეთვე, გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც ერთ-ერთი არსებითი ნიშანი.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
ელენე ხოშტარია-ბროსე

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონისა და კრიტიკული ამოცანების შესახებ

1. ქართული ისტორიული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმ მემკვიდრეობით, რომელიც მას მიღებული აქვს საქართველოს ისტორიის პრობლემებზე მომუშავე წინა თაობათაგან და, რომელსაც ფაქტობრივად ეფუძნება იგი დღეს. ეს მემკვიდრეობა, უპირველეს ყოვლისა, არის 20—40-იანი წლების სამეცნიერო პროდუქცია, რომელიც ივ. ჯავახიშვილსა და მისი სკოლის წარმომადგენლებს (ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს და მათ მოწაფეებს) ეკუთვნის. 50-იანი წლებიდან ხდება ამ მემკვიდრეობის შემოქმედებითი და ერთდროულად კრიტიკული ათვისება, კვლევა-ძიების ჩაღრმავებაც და გაფართოებაც, რაც გვაძლევს ისტორიოგრაფიის განვითარების თანამედროვე დონეს. პირველი ეტაპის დამთავრებას წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა, რასაც წინ უძღოდა მანამდე ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე ქვეყნის ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის გამართვა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება (ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი). ამით მოხდა იმ ცოდნის სისტემატიზაცია, რაც მანამდე იყო დაგროვებული და საერთოდ ისტორიული მეცნიერების იმდროინდელ დონეს შეესაბამებოდა, საკუთრივ ისტორიისა და დამხმარე დისციპლინების, პირველ რიგში წყაროთმცოდნეობის განვითარების მდგომარეობის თვალსაზრისით. საქართველოს ისტორიის წყაროების ფართო პუბლიკაცია იმ პერიოდში განხორციელდა ს. კაკაბაძის მიერ. ამ დროსვე იწყება დოკუმენტური მასალის თემატური (ეკონომიკა, სოციალური ისტორია) პუბლიკაცია (ნ. ბერძენიშვილი). დიდი როლი შეასრულა არქეოლოგიური მეცნიერების (ძველის თუ შუა საუკუნეების) თვალსაჩინო წარმატებებმა. რაც შეეხება საქართველოს ახალი ისტორიის შესწავლას, იგი მხოლოდ ფეხს იდგამდა.

50-იანი წლებიდან ქვეყნდება ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ძველსა და შუა საუკუნეების ისტორიაში (გ. მელიქიშვილი, ვ. გაბაშვილი, შ. მესხია, ლ. გვრიტიშვილი, მ. ლორთქიფანიძე და სხვები), ხდება ახალი ისტორიის პრობლემების მონოგრაფიული შესწავლა (ა. კიკვიძე, მ. დუმბაძე, ი. ანთელავა, პ. რატიანი...). ჩატარებულმა მუშაობამ ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიის ახალ, დამხმარე სახელმძღვანელოსა (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დასასრულამდე) და სასკოლო სახელმძღვანელოებში (ავტორები ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი). 60—70-იან წლებში საქართველოს ძველი თუ შუა საუკუნეების

ისტორიის პრობლემებზე უკვე მთელი კოლექტივები მუშაობენ. შესაბამისად გაფართოვდა საკვლევი თემატიკა და გამრავლდა ბეჭდური პროდუქციაც ცალკეული მონოგრაფიებისა და პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო წერილების სახით. მონოგრაფიების დიდი უმრავლესობა სადოქტორო ნაშრომებს წარმოადგენდა.

ამ ეტაპის უმნიშვნელოვანესი მიღწევაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მრავალტომეულის შექმნა და გამოქვეყნება (70-იან წლებში), რაც ისტორიკოსთა დიდი კოლექტივის შრომის ნაყოფია (გ. მელიქიშვილის ხელმძღვანელობით). „ნარკვევებში" თავმოყრილი და შეჯამებულია საქართველოს ისტორიის დარგში დღემდე ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელნიც არსებითად ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელ დონეს გამოხატავს.

რა მიღწევები გვაქვს ზოგადად და კონკრეტულად საქართველოს შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის შესწავლის დარგში?

ესაა უპირველეს ყოვლისა საქართველოს ისტორიული თავგადასავლის მთლიანობაში წარმოდგენა მის სხვადასხვა გამოვლენაში (პოლიტიკური ცხოვრება, სოციალური ურთიერთობანი, ეკონომიკა, კულტურა). ესაა სწორედ ქვეყნის ისტორიის გაშუქების ცდა ფაქტოლოგიური და კონცეფტუალური თვალსაზრისით, რამაც თავდაპირველად ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის პირველ პროგრამებში, შემდგომ გამოცემულ სახელმძღვანელოებში და ბოლოს „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მრავალტომეულში.

შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა საქართველოს ისტორიული განვითარების პროცესის თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი თუ მოვლენა, რომელსაც ერთი ან რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევა არ ჰქონდეს მიძღვნილი, იქნება ეს ქვეყნის შიდა ისტორიისა თუ საგარეო ურთიერთობების სფერო.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა კვლევა-ძიების წყაროთმცოდნეობითი ბაზა საქართველოს ისტორიის ორიგინალური თუ უცხოური წყაროების გამოქვეყნების და შესწავლის გზით; ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შედეგებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. ყაუხჩიშვილის მიერ „ქართლის ცხოვრების" ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტის გამოცემა ორ ტომად (1955 წ., 1959 წ.). მის მიერვე განხორციელებული სერია „ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ". დიდძალი დოკუმენტური მასალა გამოქვეყნდა ი. დოლიძის მრავალტომიან სერიაში: „ქართული სამართლის ძეგლები". მიმდინარეობს „ქართლის ცხოვრების" შედგენის პრობლემების შესწავლა (ც. გრიგოლია). ორიგინალური თუ უცხოური საისტორიო მასალები ქვეყნდება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის ხაზით. ინტენსიურად გამოიყენება ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური თუ ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემები. საგანგებო ყურადღება ეთმობა ისტორიულ-გეოგრაფიული მასალის ძიებას და კვლევას.

2. ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პრობლემა ერთნაირი სიღრმით და ხარისხით არის დამუშავებული, რომ მომავალში გასაკეთებელი ცოტაა; პირიქით, ამა თუ იმ საკითხის საფუძვლიანი შესწავლა მეცნიერების წინაშე ახალ საკითხებს სვამს. [illegible] ხარვეზებს, [illegible] ჩატარებულ კვლევაში, მო-

ითხოვს ზოგი რამის დაზუსტებას ან სულაც ახლებურად გადაწყვეტას. რაც კვალიფიციურად და კომპეტენტურად უნდა ხდებოდეს, სერიოზული კვლევა-ძიების ჩატარების საფუძველზე.

ბუნებრივია, რომ ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს ამ საკითხებზე, რომელნიც კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევენ. ეს საუკუნეების ისტორიის მონაკვეთში ასეთებად წარმოგვიდგება ფეოდალიზმის განვითარების მთელ სიგრძეზე ცალკეული საზოგადოებრივი ფენების და კერძოდ, მსახურთა თუ ერისთავთა სტატუსი, „მოლაშქრეობის" საკითხი, ერისთავობის ინსტიტუტის არსი და განვითარება, ადრეფეოდალური და მომდევნო ხანის სენიორიათა თუ სათავადოთა ბუნება და როლი ქვეყნის ცხოვრებაში და სხვა ასეთი. ამ საკითხებზე ჯეროვანი პასუხის გაცემაზე ბევრად არის დამოკიდებული ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის პრობლემის საბოლოო გარკვევაც, რომლის შესახებაც ბოლო ხანებში დიდი აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა. ეს აშკარად გამოჩნდა საქვეყნო დისკუსიის გამართვისას და ამ დისკუსიის მასალების კრებულში, ცალკეულ მონოგრაფიებსა და წერილებში. თუ კი აქამდე მიღებული პერიოდიზაციით, რომელიც მრავალწლიან კვლევა-ძიებას ემყარება და სახელმძღვანელო ლიტერატურაშიც დამკვიდრდა, ფეოდალიზმის ჩამოყალიბების ხანად, ანუ ადრეფეოდალურ ურთიერთობათა პერიოდად მიჩნეული იყო IV—X სს., უკანასკნელ ხანებში შემოთავაზებული პერიოდიზაციით ადრეფეოდალურიდან განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლის დროდ მიჩნეულია ან IX ს. (ა. ბოგვერაძე, გ. ჯამბურია), ან VIII ს. შუა ხანები (დ. მუსხელიშვილი). აქედანვე იღებს სათავეს ჩვენში „ბატონყმობის" შემოსვლაც. რადგან ამ საკითხზე არსებული მოსაზრებანი ჩვენ საგანგებოდ გვაქვს განხილული (ისტორიოგრაფიული და წყაროების მონაცემების მოხმობით) შრომაში „ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების ზოგიერთი საკითხი"[1] და. აგრეთვე. ცალკეულ წერილებში, რომელნიც „ერის" თუ „მსახურთა" თინის სტატუსსა და ადრეფეოდალურ საზოგადოებაში მათ ადგილს ეძღვნება[2], აქ მასზე აღარ შევჩერდებით. თავისთავად ეს პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები იმდენად რთულია, რომ მათი გადაწყვეტა არამც თუ გაკვრით, არამედ [illegible] [illegible] [illegible] მაგრამ [illegible] [illegible] [illegible] ობის და ეკონომიკის საკითხებთან მჭიდრო [illegible] [illegible]. რომ [illegible] თველოს ისტორიის ნარკვევების" [illegible] [illegible] [illegible] (საქართველო IV—X საუკუნეებში, თბ., 1988 წ.) შესავალში (დ. მუსხელიშვილი) [illegible], რომ IV—X სს. საქართველოს ისტორიაში არის ფეოდალურ ურთიერთობათა გენეზისის, ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდი, ხოლო განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობათა დამკვიდრების დროდ მიჩნეულია

1 იხ. ე. ხოშტარია-ბროსე. ფეოდალური ხანის საქართველოს [illegible] ისტორიის საკითხები, თბ., 1984, გვ. 4—38

2 ე. ხოშტარია-ბროსე. ძველი ქართული [illegible] [illegible] [illegible] [illegible] „ერის" [illegible] [illegible] შესახებ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] ამბ. 120, № 3, 1985, გვ. 433—435; [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 1988, გვ. 160—167; [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 1979, № 4

VIII ს-ის შუა ხანები. ამავე დროს ტომის ძირითად ტექსტში, მეოთხე თავში — „სოციალურ-ეკონომიკური განვითარება VI—VIII სს." (ა. ბოგვერაძე) და მეხუთე თავში — „ცვლილებანი სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში IX—X სს." (მ. ლორთქიფანიძე) ძირითადად X ს-ის ერთი და იმავე ძეგლის — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების" მონაცემების საფუძველზე, ლაპარაკია ადრეფეოდალური სენიორიის და ურთიერთობათა, სასოფლო-ტერიტორიული თემის არსებობაზე, ფეოდალთა მხრივ უშუალო მწარმოებელთა უპირატესად არა ინდივიდუალურად, არამედ თემობრივად დაქვემდებარებაზე და ვასალეტის განუვითარებლობაზე. IX—X სს. სოციალურ-ეკონომიკური ვითარების განხილვისასაც ხაზგასმით არის აღნიშნული სათემო მიწათმფლობელობის ხანგრძლივად არსებობა, თუმცა თემი, როგორც უფრო ადრე, ისევე ამ დროს უკვე ფეოდალურ ექსპლუატაციის ობიექტს წარმოადგენდა. მაგრამ, დასკვნაში აქ ნათქვამია, რომ „IX საუკუნისათვის ძირითადად მთავრდება მიწის ფეოდალიზაციის პროცესი" (გვ. 224). მანამდე კი აღნიშნულია, რომ „IX—X სს. ძირითადად ლიკვიდირებული უნდა ყოფილიყვნენ მიწათმფლობელობის წინამორბედი ფორმების გადმონაშთები" (გვ. 221).

საქმე ისაა, რომ ამ დროს (X ს.) ძირითადი წყარო — „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება" გვიხატავს სურათს ჯერ კიდევ მიმდინარე „ბრძოლისა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის" (ს. ჯანაშია) და ეს პროცესი ამ ძეგლში დამთავრებულად არ არის წარმოდგენილი. და თუ კი ის ერთნაირად გამოიყენება VIII და IX—X საუკუნეების ვითარების დასახასიათებლად, ვინაიდან ასახავს ადრეფეოდალურ ურთიერთობებს, რამდენად მართებულია განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლაზე საუბარი არამცთუ VIII ს-ის შუახანებიდან, ან თუნდაც IX ს-ისათვის, არამედ X ს-შიც კი, ამ საუკუნის დასასრულამდე?

ასე რომ, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რუსული გამოცემის მეორე ტომის შესავალში მოცემული მიჯნა განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობებზე გადასვლისა არ შეესაბამება ძირითად ტექსტში მოტანილ მასალას და მსჯელობასაც. ამდენად, „ნარკვევების" II ტომის ქართული გამოცემის (1973 წ.) შესავალში მოცემული ტრადიციული პერიოდიზაცია (რ. მე[illegible]ა) ამ თვალსაზრისით უფრო თანამიმდევრულია მით უმეტეს, რომ ამ (ქართულ) გამოცემაში გატარებული თვალსაზრისით: „IX—X საუკუნეები ფეოდალური საქართველოს ისტორიაში გარდამავალი ეტაპია ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე" (გვ. 322), იმ საფუძველზე რომ მხოლოდ „X საუკუნეში ძირითადად სრულდება მიწათმფლობელობის ფეოდალიზაციის პროცესი" (გვ. 338).

ერთი სიტყვით საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებულ საფეხურზე გადასვლის და ამდენადვე ბატონყმობის შემოსვლის საკითხი შემდგომ ჩაღრმავებულ დამუშავებას და დაზუსტებას საჭიროებს. ამასთან კავშირში აუცილებელია ფეოდალიზაციის პროცესში თემური მიწათმფლობელობის შემოყვანის, უშუალო მწარმოებელთა თემობრივი ფეოდალური დაქვემდებარების და ექსპლუატაციის საკითხის სკრუპულოზური შესწავლა. „ერის", როგორც მდაბიორ-მოლაშქრეთა ფენის სტატუსის და მისი დაშლის პირობების გათვალისწინებით. აქვეა საძიებელი საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების სპეციფიკაც რაც უპირველეს ყოვლისა სამხედრო ორგანიზაციის სფეროში იჩენს თავს.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის სფეროში კიდევ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ პრობლემებზე მუშაობა ყველაზე უფრო საშური და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, მით უმეტეს რომ ამ პრობლემებში თავს იყრის არა ერთი არსებითი საკითხი.

მინდა შევეხო საქართველოს ახალი ისტორიის დარგში არსებულ ზოგიერთ მიღწევასა და აქტუალურ საკითხებსაც. საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი ინტენსიური შესწავლის საგნად ხდება 50-იან წლებიდან, როდესაც კვლევის სფეროში შემოტანილი იქნა დიდძალი საარქივო მასალა. ამით შესაძლებელი გახდა წინა პერიოდში ჩატარებული მუშაობის (პ. გუგუშვილი, შ. ჩხეტია, ს. ხუნდაძე, ა. კიკვიძე) გაღრმავება და ახალ საფეხურზე აყვანა. კერძოდ, ქვეყნის სამრეწველო განვითარების დარგში შესაძლებელი გახდა მრეწველობის სხვადასხვა ფორმის (წვრილი წარმოების, მანუფაქტურის და ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის) თანაფარდობის დადგენა დროის სხვადასხვა მონაკვეთში; შესწავლილი იქნა აგრარული ევოლუციის პროცესი, ბურჟუაზიულ ურთიერთობათა შემოჭრა სოფლის მეურნეობაში; დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და ბრძოლის შესასწავლად.

ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელ ამოცანას ახალი ისტორიის დარგში წარმოადგენს განთავისუფლება იმ მეთოდოლოგიური სტერეოტიპებისაგან და ჩარჩოებისაგან, რომელნიც ზღუდავდნენ ისტორიოგრაფიას შვიდი ათეული წლის მანძილზე, განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და რევოლუციური ბრძოლის ისტორიის გაშუქებისას. წინ უნდა წამოიწიოს ის პრობლემები, რომელთაც უკანასკნელ დრომდე „ტაბუ“ ჰქონდა დადებული და თუ კი ვინმე მათ შეეხებოდა, რისხვაც არ ასცდებოდა (ეროვნული მოძრაობა, სხვადასხვა პარტიის ისტორია და სხვ.).

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარების აუცილებელ საწინდარად უნდა იქნეს მიჩნეული მუშაობის გაძლიერება ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის დარგებში.

უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა ტენდენცია ისტორიოგრაფიული მიმოხილვის იგნორირებისა გამოკვლევებში, ან მისი მინიმუმამდე დაყვანა ადგილის სიმცირისა თუ უქონლობის მოტივით ცალკეულ მონოგრაფიებსა თუ დისერტაციებში. ხშირად ანგარიში არ ეწევა წინამორბედ მკვლევართა მიერ ჩატარებულ სამუშაოსაც ამა თუ იმ პრობლემის კვლევისას; ზოგი ავტორი კვლევას იწყებს „თავიდან“, რაც მიუღებელია არა მარტო მეცნიერული ეთიკის თვალსაზრისით, არამედ საზიანოა თვით კვლევის წარმატებისათვისაც. ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება აუცილებელი წინაპირობაა ისტორიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა.

ამდენად, აუცილებლად მიგვაჩნია ამ თვალსაზრისით ყურადღების გამახვილება, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების მონოგრაფიულ შესწავლაზე მუშაობის გაგრძელება ცალკეული ეტაპების მიხედვით და შედეგების გამოქვეყნება.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის ძირითადი წყაროებია დოკუმენტური მასალები, ხოლო ნარატიულ ძეგლთაგან — „ქართლის ცხოვრება“. წყაროების ორივე ეს სახეობა ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრშია. რამოდენიმე ათეული წელია, რაც მიმდინარეობს მუშაობა „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ შედგენაზე, მაგრამ ჩვენი პალეოგრაფი-

ული ბაზის უსუსურობის გამო მოხერხდა მხოლოდ ერთი ტომის გამოცემა 1984 წ.). მომდევნო ტომი წლების განმავლობაში სტამბაშია და, ჩანს, გამოქვეყნება არ უწერია. ეს აფერხებს შემდგომი ტომების გამოსაცემად მომზადებას, რადგან სტიმულს უკარგავს მკვლევართ.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებას“, მართალია, გვაქვს სიმონ ყაუხჩიშვილის ხელმძღვანელობით და რედაქტორობით განხორციელებული ორტომეული (1955 წ., 1959 წ.), რომლის გამოცემა ეტაპური მოვლენა იყო ქართულ წყაროთმცოდნეობაში, და თვით ტექსტის შესწავლაზედაც არაერთი მკვლევარი მუშაობს, მაგრამ იგრძნობა ძალთა დაქსაქსულობა, ერთგვარი „კუსტარულობა“, მაშინ, როდესაც აუცილებელია ასეთი შრომის ერთ ფოკუსში თავმოყრა. სხვა არ იყოს რა, არა გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ ერთიანი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, სადაც გამოჩნდებოდა ის მუშაობა, რომელიც ამ ძეგლზე მთელ თაობებს აქვთ ჩატარებული და რაც დღეს კეთდება. ეს კი ერთ-ერთი საწინდარია „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული ტექსტის დადგენისა, რისი საჭიროებაც დღეისათვის ესოდენ მძაფრად იგრძნობა. კრიტიკულად დადგენილი ტექსტის უქონლობა თავს იჩენს როგორც ისტორიული კვლევა-ძიების პროცესში, ასევე ძეგლის რუსულად და ევროპულ ენებზე თარგმანისას. აღნიშნული ხარვეზების დაძლევა ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუდებელი ამოცანაა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული ქართული სამართლის ისტორიკოსთა მიერ. ივ. ჯავახიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ამ დარგის ფართო მეცნიერულ კვლევას, რაც გაგრძელდა მომდევნო თაობის სპეციალისტების მიერ (ივ. სურგულაძე, ი. დოლიძე, დ. ფურცელაძე და სხვ.), გამოქვეყნდა მთელი რიგი მონოგრაფიებისა და განხორციელდა მასალის მრავალტომიანი პუბლიკაციები. ამან შექმნა მყარი საფუძველი ქართული სამართლის ისტორიის პრობლემების შემდგომი კვლევისათვის და იმ სადავო საკითხების გადასაჭრელად, რომელნიც უხვად გვაქვს ამ დარგში. ქართული სამართლის ძეგლების შედგენის ვითარებისა და ხასიათის სწორ გაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენში სამართალშეგნებისა და სამართალქმედების პროცესების გასარკვევად. თავის მხრივ, ყოველივე ეს შუქს ჰფენს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის არა ერთ კარდინალურ პრობლემას. ამდენად, ეს უბანიც ჩვენი ისტორიოგრაფიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მოქცეული.

3. დაბოლოს, საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია საქართველოს ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით შესწავლა.

ჩვენში ჯერ კიდევ ლეონტი მროველს (XI ს.) ესმოდა, რომ ისტორიული ცხოვრება ადგილზე არ დგას და მასში ცვლილებებს აქვს ადგილი, რომ „მამასახლისთა ხანა“, ე. ი. მეფობის წინა ხანა, შეიცვალა „მეფობის ხანით“. რა არის ეს თუ არა პირობითად ისტორიის „ფორმაციების“ მიხედვით ვაზრება. რაც შეეხება ფორმაციების მარქსისტულ თეორიას, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურის მონაცვლეობა მარქსიზმის აღმოჩენა არ არის და არც თვით მარქსიზმი იყო მხოლოდ საბჭოთა მეცნიერების კუთვნილება, თუმცა საბჭოთა კავშირში და, ამდენად, ჩვენშიც იგი სავალდებულო იდეოლოგიად იყო ქცეული და დოგმატური სახეც ჰქონდა მიცემული. ასე რომ, ერთია საზოგადოების ისტორიული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ეტაპების მიხედვით გააზრება და მეორეა ამ პროცესის დოგმა-

ტურ სქემებში ჩაჰქონდა. ფორმაციების მარქსიზმისათვის დამახასიათებელი დოგმატურობისა და სქემატურობისაგან განთავისუფლება დასავლეთში უკვე 60-იან წლებში ფრანგმა მარქსისტებმა სცადეს, რასაც ჩვენშიც მოჰყვა გამოხმაურება (გ. მელიქიშვილი), თუმცა არც ადრე მიჰყვებოდა ქართული მარქსისტული ისტორიოგრაფია ბრმად ფორმაციების დოგმატურ გეგმას, მით უმეტეს, რომ ფორმაციების აღიარება და სიტყვა „მონათმფლობელურის" ხმარება მაინცდამაინც არა მარტო ხარკის მოხდა იყო გაბატონებული იდეოლოგიისადმი, არამედ საერთოდ იმდროინდელ ისტორიულ მეცნიერებაში აზრთა ჭიდილსაც გამოხატავდა (დისკუსიები წარმოების აღმოსავლური წესისა და მონათმფლობელობის პრობლემებზე). ქართული ისტორიოგრაფია არ მოექცა დოგმატიზმის ჩარჩოებში, რის ილუსტრირებაცაა სტრაბონის დროინდელი იბერიის საზოგადოების განხილვა, როგორც გვაროვნულიდან კლასობრივში (ფეოდალურში) გარდამავალ საფეხურზე მდგომი საზოგადოებისა, სადაც სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის ელემენტები ებრძვიან ერთმანეთს, რაც განასხვავებდა აქ არსებულ საზოგადოებას და სახელმწიფოებს (კოლხეთის, იბერიის) ბერძნული და რომაული ტიპის მონათმფლობელურ სახელმწიფოთაგან და საზოგადოებათაგან (ს. ჯანაშია). ასე რომ, ამჟამადაც წინაკლასობრივი საზოგადოების გამიჯვნას კლასობრივისაგან, მათ შორის გარდამავალი საფეხურების ჩვენებით, და ამა თუ იმ დიდ რეგიონში ამ გადასვლის თავისებურებების გათვალისწინებით, ამავე დროს თვით კლასობრივი საზოგადოების სხვადასხვა საფეხურის აღიარებას, ფეოდალიზმი იქნება ეს თუ კაპიტალიზმი, ჩვენ ვერ ავცდებით. ამის გარეშე ისტორიული პროცესის გააზრება წარმოუდგენელია.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი

მერაბ ვაჩნაძე

მოსაზრებანი საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე

ჟურნალ „მაცნეს" (ისტორიის სერია) სარედაქციო კოლეგიამ მთხოვა მონაწილეობა მიმეღო დისკუსიაში, რომელიც ეძღვნება საქართველოს ისტორიის აქტუალურ საკითხებს, ჩამოვაყალიბო მოსაზრებანი მის მიერ დასმულ სამ საკითხზე.

1. ისტორიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე საქართველოში.

მიმაჩნია, რომ ისტორიული მეცნიერების განვითარების დონე საქართველოში დღეს, საერთოდ, მაღალკვალიფიციური და პროფესიულია. მხედველობაში მაქვს თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია, რომელსაც შესწავლილი აქვს საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XX ს-ის დასაწყისამდე. არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის არც ერთი სფერო, რომ არ ვქონდეს მაღალკვალიფიციური გამოკვლევები — საუკეთესო მეცნიერული სტატიები და მონოგრაფიები: ქართველი ხალხის პრეისტორიის, ეთნოგენეზის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის, ძველი, შუა საუკუნეებისა

და ბურჟუაზიული პერიოდის პოლიტიკური, სოციალური, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ომების, ქართული კულტურის განვითარების ისტორიისა და მთელ რიგ სხვა პრობლემებსა და საკითხებზე. მარტო კაპიტალური მონოგრაფიების ჩამოთვლაც კი ამ მხრივ შორს წაგვიყვანდა.

დიდი განვითარება ჰპოვა ქართული ისტორიული მეცნიერების ისეთმა დარგებმაც, როგორიცაა: არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ხელოვნების ისტორია, ნუმიზმატიკა, დიპლომატიკა. გადაჭარბებული არ იქნება თუ აღვნიშნავ, რომ ქართული ისტორიული მეცნიერება მსოფლიო ისტორიული მეცნიერების ღირსეულ დონეზე დგას.

ცხადია, ზემოთქმული იმას არ ნიშნავს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას ნაკლი, ხარვეზები, არ გააჩნია და ამიერიდან გასაკეთებელი არაფერია. გასაკეთებელი და საძიები ქართულ ისტორიულ მეცნიერებას მუდამ ექნება.

ამ მხრივ დიდი ჩავარდნა გვაქვს საბჭოთა პერიოდის შემსწავლელ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში, რაც გამოიწვია 70-წლიანი ეპოქის დიქტატურამ და მისი პოლიტიკური იდეოლოგიის აბსოლუტურმა ბატონობამ, რის შედეგად, ბუნებრივია, საბჭოთა პერიოდის ისტორია ატარებს ეპოქის ნიშნებსა და მისი იდეოლოგიის ანაბეჭდებს. მთლიანად მიუღებელი და უვარგისია საბჭოთა პერიოდის ისტორიის შეფასების ძირითადი ხაზი, განსაკუთრებით კი ეროვნული საკითხის საბჭოური გადაწყვეტისა, რამაც რუსეთის იმპერიის მეორე გამოცემა მოგვცა მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის ყალბ სამოსელში გახვეული ველიკორუსული ბოლშევიზმის იდეოლოგიით, რომლის ძირითადი მიზანი იყო რუსიფიკაციის პოლიტიკა — არარუსი ერების გარუსება.

მთლიანად მიუღებელი და უვარგისია აგრეთვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მოცემული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921 წწ.) ისტორიული ადგილის შეფასება. ამ მხრივ მისი მეცნიერულ-ობიექტური შეფასება დაიწყო მხოლოდ 1989 წლიდან.

თუმცა ერთი რამ აქვე უნდა ითქვას. პატიოსან და ნიჭიერ ქართველ ისტორიკოსთა მნიშვნელოვან ნაწილს, რომლებიც საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიაზე მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ, მთლიანად ვერ დავადანაშაულებთ. ისინი ეპოქამ აღზარდა და გულწრფელად სჯეროდათ მათ (და არა მარტო მათ) სოციალიზმის იდეისა და თეორიისა სოციალურ და ეკონომიკური განვითარების სფეროში. ეროვნული საკითხის უკუღმართ გაშუქებაში კი მათ ვერანაირ გამართლებას ვერ მოუძებნი.

ერთი სიტყვით, საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორია მთლიანად ხელახლა დასაწერია, მთლიანად უვარგისია მასზე არსებული ძველი მემკვიდრეობა და იგი ობიექტურად უნდა გაშუქდეს. ეს საქმე არსებითად თვით თანამედროვე საბჭოთა პერიოდის ისტორიის მკვლევარმა ქართველმა ისტორიკოსებმა უნდა გააკეთონ, როგორც ახალმა, ისე უფროსმა თაობამ.

2. საქართველოს ისტორიის კვლევისას რომელ საკითხებზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება?

ვფიქრობ, რომ საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისას ყველა საკითხი სათანადო სისრულით უნდა იქნეს შესწავლილი და წარმოჩენილი. ქვეყნის ისტორია, მისი ყველა სფერო კომპლექსურად უნდა იყოს შესწავლილი. მაგრამ, ცნობილია, ერთდროულად ეს ვერ ხერხდება და ქვეყნის ისტო-

რიის ესა თუ ის უბანი, პრობლემა ან საკითხი სათანადოდ ვერ შექლება. — საკლებად შესწავლილი, ახლა სულაც შეუსწავლელი რჩება. ასეთ შემთხვევაში გარკვეულ ეტაპზე ისტორიოგრაფიის წინაშე დგება ამოცანა შეუსწავლელი ან საკლებად შესწავლილი საკითხის სათანადოდ გამოკვლევის შესახებ. ასევე ითქმის ზოგიერთ საკითხზე, რომელიც არაობიექტურად, მცდარად, არის შესწავლილ-გაშუქებული, ანდა კიდევ ისეთზე, რომელიც საერთოდ პრობლემატურია.

ჩემი აზრით, ქართულ ისტორიოგრაფიაში ასეთი საკითხები, რაზედაც უნდა გამახვილდეს ყურადღება და დაიწეროს ნაშრომები, საკმაოდ ბევრია. სახელდობრ, მიმაჩნია, რომ უნდა დაიწეროს უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ქართველი ხალხის სამამულო ომების (ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების) ისტორია.

ასევე, უნდა დაიწეროს ფეოდალური საქართველოს უშუალო მწარმოებელი კლასის — ქართველი გლეხობის ისტორია, იმ მშრომელი კლასისა, რომელმაც ფაქტობრივად გადაარჩინა და დღემდე მოიტანა საქართველო, რადგან ქართველი გლეხობა შეადგენდა ქვეყნის მოსახლეობის დიდ უმრავლეს ნაწილს. იგი ქმნიდა ქვეყნის მთელ მატერიალურ დოვლათს და, ამასთან, მის მხრებზე გადადიოდა ქართველი ხალხის სამამულო ომების ძირითადი სიმძიმე. სამშობლო ქვეყნის ისტორიის ანალიზისას ჩვენი ერის დიდი მოძღვარი ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მშრომელი ქართველი ხალხის ისტორია არ არის წარმოჩენილი, „ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც ძოწეული პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული", რომ „ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზედ ფეხი უდგას და ხელი გუთანს უჭირავს. თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა და ერის სიმდიდრისა მარტო გუთანი და მიწა ყოფილა და იქნება კიდეც" (ტ. IV, გვ. 150; V, 170, 1987 წ.).

ამ საკითხზე ცალკეული გამოკვლევების არსებობის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ქართველი ისტორიკოსები ვალში ვრჩებით საქართველოს ძირითადი მწარმოებელი კლასის, ქართველი გლეხობის ისტორიის საფუძვლიანად და ერთიანად წარმოჩენის საქმეში.

ასევე, უნდა შეიქმნას ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორია. დღეს, როდესაც საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და ცდილობს მის ფაქტობრივ რეალიზაციას — საერთაშორისო იურიდიული პირის სტატუსის მოპოვებას (გაეროს წევრად გახდომას), ქართული სახელმწიფოებრივი წყობილების ისტორიის ცალკე წარმოჩენა აქტუალური და საშური საქმეა.

აქტუალურია, ჩემი აზრით, ქართული დიპლომატიის ისტორიის შექმნაც, რაც, ასევე, დღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის პოლიტიკურ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

დღემდე პრობლემატურია, ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის მომცველი საზოგადოებრივი წყობილების, — ფეოდალიზმის, — გენეზისის საკითხი საქართველოში, რაც ახლებურ მეცნიერულ გააზრებებს საჭიროებს. ცხადია, აქტუალური შეიძლება იყოს ასევე საქართველოს ისტორიის რიგი სხვა საკითხებიც.

ამასთან, მიმაჩნია, აღნიშნულ საკითხებზე შექმნილი განმაზოგადოებელი ისტორიები უნდა ითარგმნოს უცხოურ ენებზე. რაც საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე წარმოაჩენს.

8. რამდენად მართებულია სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით საერთოდ ისტორიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიის გააზრება?

როგორც ჩანს, ბოლო დროს აქა-იქ გაისმის მტკიცება იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორიის დაყოფა სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებად მცდარია და იგი საჭირო არაა, თორემ ასეთი კითხვა არ დაისმებოდა

მიმაჩნია, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიის სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციებად დაყოფის უარყოფა გაუგებრობაა. კაცობრიობის, მთლიანი საზოგადოების, საერთოდ, და კერძოდ საქართველოს ისტორია, მათი მატერიალური და წერილობითი წყაროები თავისთავად გვკარნახობენ საზოგადოების განვითარების ისტორიის პრინციპულად განსხვავებულ ეპოქებს, ეტაპებს, რომლის მეცნიერული კლასიფიკაცია გვიან ხანაში, XIX ს-ში მოხდა. იგი დაკავშირებულია კ. მარქსის სახელთან. თავის დიდ ნაშრომებში: „გერმანულ იდეოლოგიაში" (1845 წ.), „ეკონომიკურ ხელნაწერებში" (1857—1859 წწ.), „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედ ფორმებში", „კაპიტალში" (1867 წ.) კ. მარქსმა თანდათან შეიმუშავა და გააზრა მწყობრი მეცნიერული სოციოლოგიური თეორია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შესახებ, რომელიც ემყარებოდა ძველი სამყაროს, შუა საუკუნეებისა და კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა ანალიზს. ამასთან, „გერმანულ იდეოლოგიაში" ჩანს, რომ მარქსს გააზრებული ჰქონდა პირველყოფილ-გვაროვნული კომუნისტური საზოგადოების არსებობაც. უფრო ადრე კი, ეს უკანასკნელი გაიაზრეს ფრ. პელგრეემა, გ. ჰანსენმა და სხვ.

1859 წ. გამოქვეყნებული ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" წინასიტყვაობაში მოცემულია მარქსის ჩამოყალიბებული მეცნიერული კონცეფცია განვლილ საზოგადოებათა ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, კაცობრიობის ისტორიის საზოგადოებრივ ფორმაციებად დაყოფისა. როგორც პროგრესული ეპოქები: აზიურ-ალმოსავლური, ანტიკური (მონათმფლობელური), ფეოდალური და კაპიტალისტური. ლ. მორგანის ნაშრომის „ძველი საზოგადოების" გამოქვეყნების (1878 წ.) შემდეგ კ. მარქსი უფრო დაწვრილებით გაეცნო პირველყოფილ გვაროვნულ წყობილებას და ვრცელი კონსპექტი შეადგინა ამ წიგნზე. მეცნიერები დღეს დავობენ ზემოაღნიშნული მარქსისეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების სქემის „აზიური" ანუ „წარმოების აზიური წესის" შინაარსზე, მაგრამ მარქსისეული სქემა კაცობრიობის განვლილ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციებზე, როგორიცაა: ანტიკურ-მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, — მეცნიერებაში უგუვარა და, ჩემი აზრით, ვერ უკუაგდებენ. მარქსის შემდეგ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების საკითხზე კვლევა გაგრძელდა. მათ შორის, პირველყოფილ გვაროვნულ-კომუნისტური წყობილების შესახებ, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში საწყის საზოგადოებრივ ფორმაციად ითვლება. რაც მთავარია, მარქსმა შეიმუშავა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება, რომელსაც საფუძვლად უდევს წარმოების წესი, წარმოებითი ურთიერთობა, ხოლო ამ უკანასკნელს — საკუთრების ფორმები (საზოგადოებრივი, კერძო-ალოდალური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური...).

წარმოებითი ურთიერთობა ეს არის ბაზისი, რომელზედაც აღმართულია საზოგადოების იურიდიული და პოლიტიკური ზედნაშენი. სწორედ ამით, — წარმოებითი ურთიერთობით (რომლის საფუძველია საკუთრების ფორმები წარმოების საშუალებებზე) და იურიდიულ-პოლიტიკური ზედნაშენის სისტემით ძირითადად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები. კ. მარქსმა დაამტკიცა, რომ აღნიშნული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები ბუნებრივ-ისტორიული განვითარების პროგრესული ეპოქებია.

როდესაც ისტორიკოსები ვეცნობით კაცობრიობის პრეისტორიულ ეპოქას, ძველ კლასობრივ სამყაროს, შუა საუკუნეებსა და ახალ ისტორიას, შეუძლებელია კარგად არ დავინახოთ ის, თუ როგორ განსხვავდებიან ეს ეპოქები ერთიმეორისაგან. სახელდობრ, კლასობრივ-მონათმფლობელური პრინციპულად განსხვავდება უკლასო გვაროვნულ-თემური საზოგადოებისაგან, ფეოდალური ასევე განსხვავდება ძველი მსოფლიოს მონათმფლობელური საზოგადოებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის დამახასიათებელ რიგ ინსტიტუტებს (როგორიც ბაზისეულს, — საკუთრების ფორმებს, ისე ზედნაშენურ კატეგორიებს) მრავლად ვხედავთ წინაფეოდალურ კლასობრივ სამყაროში. რაც შეეხება კაპიტალისტურ ფორმაციას, იგი ხომ მთლიანად განსხვავდება ფეოდალიზმისაგან: საკუთრებისა და ექსპლუატაციის ფორმებით, პიროვნების უფლებრივი სტატუსით, სახელმწიფოებრივი წყობით, მატერიალური და სულიერი კულტურით. აღარაფერს ვიტყვით იმ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე (წარმოების იარაღები, ტექნიკა...), რითაც ეს პროგრესული ეპოქები, ფორმაციები, დაწყებული გვაროვნული საზოგადოებიდან, ერთმანეთისაგან განუზომლად განსხვავდებიან.

მაშასადამე, ის 4 თუ 5 ძირითადი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომელიც კაცობრიობამ განვლო დღემდე თავისი ისტორიის მანძილზე, პრინციპულად განსხვავებულ-გამოკვეთილი პროგრესული ეპოქებია. ამის უარყოფა და კაცობრიობის ისტორიის რაღაც ერთიან სოციალურ-ეკონომიკურ ნაკადად წარმოჩენა, გაუგებრობაა, მისი უარყოფით მივიღებთ სრულ ქაოსს. შეიძლება დავა, ვთქვათ, წარმოების აზიურ წესზე, მის არსზე, ვაღიაროთ იგი თუ არა ცალკე ფორმაციად, ასევე — ამა თუ იმ ფორმაციის ქრონოლოგიურ ზღვარზე; ასევე შეიძლება ცალკეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები იხლებურად დავყოთ განვითარების მეტ-ნაკლებ ეტაპებად, ფაზებად, და ა. შ., მაგრამ კაცობრიობის ისტორიის ის 4 თუ 5-წევრიანი სქემა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისა სწორად მიმაჩნია.

შეიძლებოდა ჩვენ დაგვეყო კაცობრიობის ისტორია საზოგადოებრივი ფორმაციების გარეშე ასეთ დიდ ეპოქებად: წინაკლასობრივი, ძველი მსოფლიო, შუასაუკუნეები და ახალი ისტორია; ანდა კიდევ: წინაკლასობრივი, ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუასაუკუნეები და ახალი ისტორია. მაგრამ ასეთ ზოგად ეპოქებად დაყოფისას არ ჩანს ამა თუ იმ ეპოქაში არსებული საზოგადოების კონკრეტული ფიზიონომია, კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ტიპი, რომლის წარმოჩენის გარეშე კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების ჩვენება შეუძლებელია. ისტორიულ-სოციოლოგიური მეცნიერების ამოცანა კი არის კაცობრიობის განვლილ საზოგადოებათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

ბოლო დროს მოდად იქცა მარქსის უარყოფა. ამჟამადაც მიმაჩნია, რომ მარქსი კაცობრიობის უდიდეს სოციოლოგად რჩება. მას ახე ადვილად ვერ უარყოფ. აშკარაა, რეაქცია მარქსის წინააღმდეგ რუსული ბოლშევიზმის უკუღმართობამ გამოიწვია, მაგრამ რუსული ბოლშევიზმი მარქსიზმი სრულებითაც არ არის, პირიქით, იგი ანტიმარქსიზმია. მარქსიზმის საწინააღმდეგოდ რუსულმა ბოლშევიზმმა სოციალიზმის აშენების ექსპერიმენტი ჩაატარა სოციალურ-ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ რუსეთის იმპერიაში, თანაც გაუგონარი ბარბაროსული მეთოდებით, დიქტატურისა და ტირანიის ვითარებაში. შედეგად მივიღეთ სოციალიზმის მახინჯი ფორმა — ყაზარმული სოციალიზმი ტოტალიტარულ იმპერიაში. ასეთი მახინჯი ყაზარმული სოციალიზმით კი, ცხადია, ჩვენ არ უნდა შევაფასოთ ჭეშმარიტი სოციალიზმის თეორია. ამასთან, რაც მთავარია, წინააღმდეგ მარქსიზმისა. რომელიც ყველა ერის დამოუკიდებლობას მოითხოვს, რუსულმა ბოლშევიზმმა რუსეთის იმპერიის ერებისთვის თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიცემის ნაცვლად მოახდინა რევოლუციის შედეგად განთავისუფლებული რიგი ერების სახელმწიფოების ანექსია, შექმნა მოდერნიზებული რუსეთის საბჭოთა იმპერია და განაგრძო ძველი ცარიზმის ველიკორუსული შოვინისტური პოლიტიკა — არარუსი ერების გარუსება.

ამიტომ, გასაგები და კანონიერია ჩვენში, საქართველოში, სიძულვილი რუსული ბოლშევიზმისა, საბჭოთა იმპერიისა, მაგრამ, ამასთან, გაუგებარია რეაქცია და ხელაღებით უარყოფა მარქსისა.

სოციალიზმის იდეა კ. მარქსს არ გამოუგონებია. ეს იდეა მანამდე წარმოიშვა და ვითარდებოდა. კაპიტალის პირვანდელმა დაგროვებამ, — კაპიტალიზმის განვითარების საწყისმა ეტაპმა, — ინგლისში შეამცირა, მშრომელი გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწებიდან აჰყარა და უქონელ ლატაკებად აქცია. შემდეგში საფრანგეთის 1789 წლის დიდმა რევოლუციამ შეძრა ევროპა. კაპიტალისტური საკუთრების დამკვიდრება იყო საფუძველი და მიზეზი სოციალიზმის იდეის წარმოშობისა. მარქსიც თავისი ეპოქის შვილი იყო, რომლის თვალწინ ჩაიარა გრანდიოზულმა კლასობრივმა ბრძოლებმა — 1848—1850 წლებისა და 1871 წლის რევოლუციებმა, რის შედეგად ევროპის ქუჩებში სისხლი იღვრებოდა. მუშათა კლასი, პროლეტარიატი, მშრომელები საარსებო ეკონომიკური პირობებისა და სოციალური თანასწორობისათვის იბრძოდნენ კაპიტალისტებისა და მემამულეების საკუთრების წინააღმდეგ. ამიტომ, ისე როგორც წინამორბედმა ადრეულმა სოციალისტებმა, მშრომელთა სოციალური ჩაგვრისა და ექსპლუატაციის მოსასპობად, სოციალური და ეკონომიური თანასწორობის დასამკვიდრებლად, კ. მარქსმა მაშინ ძირითადი გამოსავალი დაინახა კერძო კაპიტალისტური საკუთრების შეცვლაში საზოგადოებრივი საკუთრებით. სწორია თუ არა ეს იდეა, კაცობრიობის კეთილდღეობის თვალსაზრისით საკუთრების რომელი ფორმა სჯობია, — კერძო კაპიტალისტური თუ საზოგადოებრივი, — ეს ასე ხელაღებით ადვილად სათქმელი არაა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ესა თუ ის სოციალური იდეა, რომელიც ამა თუ იმ პირვანდელ ეტაპზე კაცობრიობისათვის მიუღებელია და არ მართლდება, მომავალში იგი დადებით გადაწყვეტას პოულობს და, პირიქით, ის სოციალურ-ეკონომიკური იდეა, რომელიც დღევანდელ ეტაპზე დადებითია, მომავალი ეტაპი კაცობრიობის განვითარებისა — უარყოფს. პირადად მე, საწარმოო ძალების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, ყოველ შემთხვევაში რიგი ქვეყნე-

ბისათვის, ოპტიმალურად მიმაჩნია საკუთრების შერეული ფორმები — საზოგადოებრივი (სახელმწიფო), კერძო-ინდივიდუალური, კოოპერაციულ-კორპორაციული.

დღეს რომ მარქსი ცოცხალი იყოს, ეჭვი არაა, იგი სულ სხვაგვარ ანალიზს გაუკეთებდა დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიკას, კაპიტალისტურ წარმოებას და სულ სხვაგვარ შეფასებას მისცემდა XX ს-ის, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელ კაპიტალიზმის ეტაპს. აშკარაა, დღევანდელი კაპიტალიზმი XIX ს-ის კაპიტალიზმი არაა. მან არსებითი ტრანსფორმაცია, განვითარება განიცადა. განუზომლად წინ წავიდა წარმოების ტექნიკა. ასევე გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, ექსპლუატაციის მძიმე ფორმები აღარ არის. როგორც XIX ს-ში იყო და მშრომელი მასები გაცილებით უკეთ ცხოვრობენ დღეს, ვიდრე მაშინ. მართალია, კაპიტალიზმის ძირითადი არსი იგივე დარჩა: თავისუფალი მეწარმეობა, საბაზრო ეკონომიკა, მოგება, მაგრამ განუზომლად დიდად ამაღლდა მატერიალური დოვლათის წარმოების დონე და შესაბამისად მოსახლეობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო და პროფკავშირული კანონმდებლობით დაცულია მშრომელთა სოციალური და ეკონომიკური უფლებები, გარანტირებულია უმუშევართა მატერიალური უზრუნველყოფაც. ძნელია თქმა სტადიალურად როგორი ეტაპი შეიძლება ეწოდოს დღევანდელ კაპიტალიზმს: „ინდუსტრიული“, „სახალხო კაპიტალიზმი“ თუ სხვა. მაგრამ, აშკარაა, რომ მარქსი სულ სხვაგვარ ანალიზსა და შეფასებას მისცემდა დღევანდელ მსოფლიო კაპიტალიზმს. ის ანალიზი კი, რომელიც კ. მარქსმა თავისი ეპოქის XIX ს-ის კაპიტალისტურ წარმოებას და ექსპლუატაციის ფორმებს [illegible], — სწორი და მართებული იყო.

რაც შეეხება კაცობრიობის განვლილ ისტორიის ეპოქებს, მარქსმა იგი ღრმა მეცნიერული დონით გაანალიზა, დაჰყო საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებად და გენიალურად განსაზღვრა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების არსი, რაც შემდგომში დიდმა სოციოლოგმა ავტორიტეტებმა სწორად მიიჩნიეს. მისი უარყოფა და საზოგადოების განვითარების რაღაც ერთიანი ნაკადის თეორიის შექმნა სრულ გაუგებრობასა და ქაოსს გამოიწვევს ისტორიულ მეცნიერებაში, რადგან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციები (წყობილებანი) ტიპოლოგიურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

გივი ჟორდანია

(დაბადების 80 წლისთავი)

80 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის პროფესორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, გივი ჟორდანიას.

დიდია ბატონი გივის ღვაწლი მსოფლიო ისტორიის კვლევა-ძიების საქმეში, გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი შუა საუკუნეების ევროპის, რუსეთისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე.

უაღრესად ფასეულია მისი გამოკვლევა XVI ს-ის დასასრულისა და XVII ს-ის პირველი ნახევრის რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობათა ისტორიაში. მანამდე მეცნიერებისათვის თითქმის არ იყო ცნობილი ამ დროის რუსეთ-საფრანგეთს შორის რაიმე სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების არსებობის ფაქტები და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიას, ჩვეულებრივ, პეტრე დიდიდან იწყებდნენ. გ. ჟორდანიამ ევროპის, განსაკუთრებით კი რუსეთის არქივებში დაცული მასალებით ნათელი გახადა ამ ურთიერთობის სიძველე და მრავალმხრივობა. გ. ჟორდანიას კვლევა-ძიება ზემოაღნიშნულ თემაზე აისახა მის რუსულ ენაზე გამოცემულ ორტომიან კაპიტალურ მონოგრაფიაში „ნარკვევები რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის პირველ ნახევარში". ამ ნაშრომისათვის მიენიჭა მას ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ამ ნაშრომმა როგორც ჩვენი, ისე უცხოელ მეცნიერთა ერთსულოვანი აღიარება დაიმსახურა. მეცნიერის კვლევის შედეგები ფართოდ არის გამოყენებული ჩვენი თუ უცხოელი ავტორების მიერ. გ. ჟორდანიას, როგორც რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობათა ისტორიის მკვლევრის ავტორიტეტი კარგად გამოჩნდა 1966 წელს პარიზში გამართულ საბჭოთა და ფრანგი ისტორიკოსების მეორე ერთობლივ კოლოქვიუმზე, სადაც მან წარმოადგინა მოხსენება — „საფრანგეთის 1629 წლის ელჩობა რუსეთში". მოხსენებამ ფრანგ ისტორიკოსთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია, კოლოქვიუმმა გაიზიარა მისი ძირითადი დებულებანი

გ. ჟორდანიას მეცნიერულ ინტერესებში შედის შუა საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის ისტორიაც. მას ეკუთვნის ქართულ და გერმანულ ენებზე გამოქვეყნებული ნაშრომი თამარის ქორწინების საკითხზე, სადაც მკვლევარმა დაადგინა, რომ გერმანიის მბრძანებელს, ე. წ. „რომის საღმრთო იმპერიის" იმპერატორს, ფრიდრიხ I ბარბაროსას, დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონია საქართველოს სამეფო კართან გიორგი III-ისა და თამარის მმართველობის ჟამს, რომ ფრიდრიხ I-ის ერთ-ერთი ვაჟი თამარზე დაქორწინების მსურველიც კი ყოფილა. გ. ჟორდანიამ ეს ფაქტი

თამარის ეპოქის ფართო საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე განიხილა. ამით მან სრულიად ახალი ფურცელი გადაშალა XII ს-ის დამლევის საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის ისტორიაში.

გ. ჟორდანიას გატაცება საქართველოს, ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებით ამით არ ამოიწურება. მის კალამს ეკუთვნის უაღრესად საყურადღებო ნარკვევები: „უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ XVII საუკუნეში“ (ჟურნ. „მნათობი“, 1962, № 8) და „თეიმურაზ მეფე და ძმანი უწილაძენი“ (ჟურნ. „მნათობი“, 1984, №№ 5 და 6).

გ. ჟორდანიას მეცნიერული შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ქართული კულტურის ისტორია. მან ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა კავკასიური მუზეუმის დაარსებას (დაარსდა 1852 წ.), თუ ადრე ამ მუზეუმის დამაარსებლად გუსტავ რადე ითვლებოდა, გ. ჟორდანიამ მრავალი სამუზეუმო და საარქივო დოკუმენტების საფუძველზე ცხადი გახადა, რომ მისი დამაარსებლები იყვნენ რუსი და ქართველი კულტურის მოღვაწენი, განსაკუთრებით კი რუსი მწერალი ვლადიმერ სოლოგუბი და ქართველი მწერალი და ეთნოგრაფი რაფიელ ერისთავი. გუსტავ რადემ ეს მუზეუმი მხოლოდ აღადგინა. გ. ჟორდანიამ ასევე ვრცელ მონოგრაფიაში „მეხურელთა და არამხურელ ვინაობის შესახებ“ საქართველოს უძველესი ისტორიის ფონზე განიხილა ქართველთა ძველ აღმოსავლურ ხალხებთან, განსაკუთრებით ხურიტებთან და ურარტუელებთან ურთიერთობის საკითხი. გ. ჟორდანიამ ნაშრომები მიუძღვნა აგრეთვე ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, რევოლუციამდელი „ქართული კულტურის მოყვარულთა საზოგადოების“ საქმიანობას და სხვ.

გ. ჟორდანიას ნაშრომებიდან აღსანიშნავია მისი ვრცელი მეცნიერულ-პუბლიცისტური გამოკვლევა „დაბრუნებული საუნჯე“, სადაც მდიდარი საარქივო მასალებით გადმოცემულია ის 24-წლიანი (1921—1945) ისტორია, ფათერაკებით აღსავსე „ოდისეა“, რომელიც წილად ხვდა უცხოეთში გახიზნულ ქართულ საუნჯეს, მოთხრობილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და მამულიშვილის ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურებაზე საზღვარგარეთ გატანილი სამუზეუმო სიძველეების დაცვა-პატრონობის საქმეში.

გ. ჟორდანიას ინიციატივით (შ. ხანთაძესთან ერთად) გამოქვეყნდა თ. ჟორდანიას განთქმული საისტორიო პუბლიკაციის „ქრონიკების“ მესამე ტომი, მანამდე დაუმუშავებელი მასალები, რომლის პირველი ნაკვეთების გამოცემაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. მისივე რედაქტორობით გამოცემულია არაერთი სახელმძღვანელო და მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე.

გ. ჟორდანიამ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენციკლოპედიის ორგანიზაციის საქმეშიც. უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ენციკლოპედიის მსოფლიო ისტორიის რედაქცია, არის ენციკლოპედიის მსოფლიო ისტორიის სიტყვარის ერთ-ერთი მთავარი შემდგენელი, 130-ზე მეტი სტატიის ავტორი, თუ რედაქტორი.

დიდ და ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად, ბ-ნი გივი შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგია, მისი მოღვაწეობა ძირითადად უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ახალი და შუა საუკუნეების ისტორიის კათედრებს, უძღვებოდა აქ ეროვნული ისტორიოგრაფიული კადრების მომზადებას. მისი ხელმძღვანელობით არა-

ერთი მეცნიერებათა კანდიდატი, თუ დოქტორი მომზადდა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწეობენ.

გ. ჟორდანია ქართული სულიერი კულტურის „ორნატზე" მომუშავე ჭეშმარიტი ინტელიგენტია, ერთგულად აგრძელებს იმ ქართველ მეცნიერთა ტრადიციებს, რომლებმაც ჩვენს უნივერსიტეტში იმთავითვე დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს ისტორიის დარგს. ცნობილი რუსი ისტორიკოსი პროფ. ი. გალკინი ამ ათიოდე წლის წინ სავსებით სამართლიანად წერდა, რომ გ. ჟორდანიას სახით ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელიც თავისი მოღვაწეობით გვიჩვენებს ხალხის, სახელმწიფოსა და მეცნიერების დიდი პასუხისმგებლობის მაგალითს.

მეცნიერი დღესაც ენერგიულად იღწვის პედაგოგიურ და მეცნიერულ ასპარეზზე. ეჭვი არაა, იგი შემდგომშიაც ახალი გამოკვლევებით გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას. ვუსურვებთ იუბილარს, გამოჩენილ მეცნიერსა და შესანიშნავს პიროვნებას, ჯანმრთელობასა და დიდი ხნის სიცოცხლეს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ჟურნალ „მაცნეს" სარედაქციო კოლეგია

აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადების 100 წლისთავი (1890—1990)

1990 წლის 23 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს გიორგი ჩიტაიას 100 წელი შეუსრულდა.

დიდია გიორგი ჩიტაიას დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე. მან XIX საუკუნეში დაწყებული საქმე ეროვნული კულტურის საგანძურის შეკრებისა, დაცვისა და შესწავლისა მეცნიერულად გააგრძელა და მეცნიერულად განავითარა. გვასწავლა, რომ ეთნოლოგები მიუბრუნდნენ წარსულს, იმ მდიდარ ინტელექტუალურ განძს, რომელიც შექმნეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა.

გიორგი ჩიტაიას და ვერა ბარდაველიძის სახელთან არის დაკავშირებული ჩვენში ეთნოგრაფიული მუშაობის მთლიანი გადახალისება და მისი მეცნიერულ დონეზე ჩამოყალიბება, ახალი სამეცნიერო კერების შექმნა და კადრების აღზრდა. დიდი მეცნიერული პოტენციალის, ფართო ჰუმანიტარული განათლების და იშვიათი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, გ. ჩიტაია სამართლიანად ითვლება ეთნოგრაფთა თაობების ხელმძღვანელად არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაშიც.

68 წელია, რაც ქართული ეთნოგრაფიის მიზანდასახული კვლევა მიმდინარეობს. მთავარი მონაპოვარი ამ სფეროსა, რომლის დამკვიდრებლად გ. ჩიტაია ითვლება, არის ის, რომ დღეს არსებობს საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული მეცნიერული დისციპლინა — ქართული ეთნოგრაფია; მისი უმთავრესი პროგრამა არის საქართველოს ეთნოგრაფიული კვლევა ქართველი ერის ისტორიასთან განუყოფელ კავშირში, ქართული ეთნოგრაფიის განვითარების საერთო ტენდენცია, ქართული ეთნოგრაფიის მნიშვნელობის ჩვენება ერის ცხოვრებაში და ისტორიაში.

გ. ჩიტაია დაიბადა 1890 წ. ქ. ფოთში. თბილისის ვაჟთა II გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ქართულ-სომხურ განყოფილებაზე. იგი ჩაება ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით პეტერბურგში დაარსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიის შედგენაზე, საღვთისმეტყველო მასალის შეკრებაზე, სიძველეების აღრიცხვაზე, ძველი ხელნაწერების შესწავლაზე და სხვ. გ. ჩიტაია ამ წრის გამგეობის თავმჯდომარედ იქნა არჩეული.

პეტერბურგიდან იგი მიავლინეს კენიგსბერგში, სადაც ისმენდა აღმოსავლურ-ქრისტიანული ლიტერატურის მცოდნის ბროკელმანის ლექციებს. 1917 წელს ბატონი გიორგი საქართველოში (ფოთში) დაბრუნდა, სადაც ჯერ გიმნაზიის მასწავლებლის, ხოლო შემდეგ ქალაქის თავის — მერის თანამდებობა დაიკავა. 1922 წელს რთული პოლიტიკური ვითარების გამო საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ივ. ჯავახიშვილის წინადადებით მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიულ განყოფილებაში, ხოლო შემდეგ სათავეში ჩაუდგა საკუთრივ ეთნოგრაფიის დარგს და მას შემდეგ მისი უცვლელი ხელმძღვანელი იყო.

ფართოა გ. ჩიტაიას მეცნიერული თვალსაწიერი, მაგრამ მისი კვლევის სფეროში ძირითადად მოქცეული იყო სამიწათმოქმედო სისტემები, სახვნელი იარაღები, საქართველოს კულტურულ-ისტორიული და ეთნოგენეტიკური საკითხები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, დასახლების ტიპი, ხელოსნობა, ხალხური ორნამენტი და სხვ.

გ. ჩიტაია განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდა სამუზეუმო საქმიანობას. საკუთარი ინიციატივით შეძლო თავი მოეყარა ყველა კოლექციისთვის, რომლებიც სხვადასხვა მუზეუმში იყო გაბნეული. ეს საქმე მან საზოგადოებრივ საქმედ აქცია და ამით დიდი ამაგი დასდო მას, რაც დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის წარსულის პროპაგანდასთან. მის მიერ შემუშავებული საგამოფენო პროგრამა საფუძვლად დაედო ეთნოგრაფიული ექსპოზიციის

მოწყობას. გ. ჩიტაიას და ვ. ბარდაველიძის ხელმძღვანელობით სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში რამდენიმე მეცნიერული გამოფენა განხორციელდა.

გ. ჩიტაიას, როგორც სამუზეუმო საქმის სპეციალისტის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო დამსახურებად ისაა, რომ მან უარყო მუზეუმში დამკვიდრებული რარიტეტული და ანტიკვარული გამოფენის მოწყობის წესი და გზა გაუხსნა ხალხის ყოფისა და კულტურის დამახასიათებელ ნივთებს, უპირველესად კი შრომის იარაღების ექსპოზიციას. უდავოდ მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში დღეს არაჩვეული კოლექცია — უნიკალური საქსოვები და ხალიჩებია დაცული.

მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა გ. ჩიტაია სამიწათმოქმედო სისტემებსა და სახვნელ იარაღებს. მან გამოავლინა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ხალხის მყარი ემპირიული ცოდნა და თვითმყოფადობა მეურნეობის ამ დარგში. დაადგინა, რომ კავკასიისა და საქართველოს მოსახლეობის კულტურა არ არის პერიფერიული კულტურა, რომ ამ ხალხთა მიერ შექმნილია ორიგინალური, თავისთავადი ნიშნების მქონე ცივილიზაცია, რომელიც გამოირჩევა სხვა დიდი თუ მცირე ცივილიზაციებიდან. სამიწათმოქმედო ყოფა მას გააზრებული აქვს, თვითმყოფი კულტურული კომპლექსების სახით, რაც ვლინდება შრომის ჩვევებსა და საწარმოო გამოცდილების თავისებურებებში.

გ. ჩიტაია არა მარტო აღწერდა და ხსნიდა ფაქტებს, არამედ არკვევდა მათ ურთიერთკავშირს, აჩვენებდა სიღრმისეულ ფესვებს და განსაზღვრავდა მოვლენების მიზეზობრიობას. მას ჰქონდა მახვილი თვალი და ეთნოგრაფიული მასალის სპეციფიკის წვდომის, განზოგადებისა და გამოჩენის იშვიათი ნიჭი. ამაში მას ხელს უწყობდა აგრეთვე საქართველოს, კავკასიის, წინა აზიისა და სხვა ხალხთა ისტორიის, არქეოლოგიისა და ისტორიული ეთნოგრაფიის ბრწყინვალე ცოდნა.

გ. ჩიტაიამ დაადგინა მთის მოსახლეობის ბარად დინების ისტორიული პროცესების კანონზომიერება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესწავლისათვის. ახსნა მოსახლეობის ბარში ჩამოსახლების ისტორიული პროცესების კანონზომიერება, რომელიც მთის პირობებში საწარმოო ძალთა და ურთიერთობათა განვითარების კონკრეტული პირობებით იყო განსაზღვრული და მუდმივმოქმედ ფაქტორს წარმოადგენდა. შენიშნა, რომ მოსახლეობის მიგრაციას განაპირობებდა ეკონომიკურ-სამეურნეო პირობები, მცირემიწიანობა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შეზღუდულობა, რაც აიძულებდა ნაწილ მოსახლეობისას საარსებო მინიმუმის შექმნას.

გ. ჩიტაიამ იცოდა თავისი ვალი ერისა და ხალხის წინაშე. ამიტომ მუდამ ცხოვრების შუაგულში მოქცეული, იმ რთულ საქმეს აკეთებდა, რომლისთვისაც ყველაზე მეტად იყო საჭირო დიდი ნებისყოფა და თავდადება. მისი გულისყური მიპყრობილი იყო იმ საჭიროებებისადმი, რასაც ქვეყნის დღევანდელი დღე აყენებს. ამის ნათელსაყოფად შეიძლება დავასახელოთ თბილისში მისი თაოსნობით და უშუალო ხელმძღვანელობით დაარსებული ღია ცის ქვეშ მუზეუმი, რომლის შექმნაზე ზრუნვა მან ჯერ კიდევ ს. ჯანაშიას მოადგილეობით დაიწყო. გ. ჩიტაიამ კარგად იცოდა, რომ ამ მეტად საშური საქმეს ეროვნულად უნდოდა მოეცვა ხალხის წიაღში დაფლულ განძს — ადამიანის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომის და ნივთიერი თუ სულიერი კულტურის ამსახველ ძეგლებს სათანადო შენახვა ესაჭიროებოდა. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ სოფლად მიმდინარე სამეურნეო და კულტურული პროცესების შედეგად ძველებური ხალხური არქიტექტურის სრული გაქრობა ემუქრება, უფრო ნათელი გახდება დიდი მეცნიერის დამსახურება ძეგლთა დაცვის საქმეში.

ბატონმა გიორგიმ დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ (დამაარსებელი ლევან გოთუა) საქმიანობაში. იგი 22 წლის მანძილზე იყო მისი ერთ-ერთი განყოფილების — ეთნოგრაფიის მუდმივი პასუხისმგებელი რედაქტორი.

განსაკუთრებულია გიორგი ჩიტაიას, როგორც „საქართველოს ისტორიული საზოგადოების“ თავმჯდომარის მოღვაწეობა. იგი აქტიურად ხელმძღვანელობდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ეთნოგრაფიის სექციის თემატიკის დადგენასა და სრულყოფას. მეცნიერის ბევრი წამოწყებული საქმიანობიდან უნდა აღინიშნოს ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის მასალების გამოცემა, რომლის ოთხი ნაკვეთი მიწათმოქმედება (1980), მემინდვრეობა (1985), საქართველოს მთური საცხოვრებელი ნაგებობანი და მესაქონლეობა საქართველოში (1986) გამოვიდა.

გ. ჩიტაია იყო მრავალი ათეული სამეცნიერო კრებულის თუ მონოგრაფიის რედაქტორი და გამოკვლევის რეცენზენტი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა ეთნოგრაფიული კრებული „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, რომლის იყო ტომის რედაქტორი

თავად გახლდათ (1938—1979 წწ.). თუ თვალს გავადევნებთ ბატონი გიორგის მოღვაწეობას, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რა ნაყოფიერი და ახალგაზრდული მონდომებით სავსე იყო მისი ხანდაზმულობის წლებიც კი. მან ვერ მოასწრო დაესრულებინა დიდი ხნის ნაფიქრი და ნაოცნებარი ეთნოგრაფიული ნარკვევები, რომლის ერთი ვარიანტი „ქართველებისა" სახით ჯერ კიდევ 1956—1958 წწ. დაიწერა. ამ საქმეს 1985 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ინიციატივით ჩაეყარა საფუძველი. ნარკვევებს მეცნიერი რედაქტორი და მიწათმოქმედების ამსახველი ტომის დიდი მონაკვეთის ავტორი ბატონი გიორგი უნდა ყოფილიყო. ამასთან ერთად მას განეხორციელებინა დიდი მრავალი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, მაგრამ ყველაფერი ის, რაც მოასწრო, ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული კულტურის ისტორიაში.

დასასრულს უნდა შევჩერდე გ. ჩიტაიას საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროზე — საველე მუშაობაზე, რომელსაც უდიდესი კავშირი აქვს მთელ მის შემოქმედებასთან. განსაკუთრებული იყო ბატონი გიორგი ველზე მუშაობის დროს. ამ საქმეში მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა; მის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა; მას ჰქონდა არაჩვეულებრივი ალღო მთხრობელთან ურთიერთობის. ამ მიმართებით ბატონ გიორგიზე ამომწურავი სიტყვის თქმა ძალიან ძნელია; ეს, ალბათ, მომავლის საქმეა, რადგან მასთან მუშაობა, რომელზედაც დაუსრულებლად შეიძლება ითქვას, განუმეორებელი სკოლა იყო ახალგაზრდობისათვის.

დიდია გ. ჩიტაიას ღვაწლი, როგორც მასწავლებლისა. იგი დაუღალავ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა მის სიცოცხლის ბოლომდე. გაჰყვა ზრუნვა ასპირანტების, თანამშრომლების, სტუდენტების და ეთნოგრაფიით დაინტერესებული მოსწავლეებისადმი. იგი იყო [illegible] უბადლო. ხელმძღვანელი, ბ-ნი გიორგი არა მარტო სამეცნიერო ინტერესებით ამდიდრებდა მოწაფეების, ახალგაზრდობის ცოდნას, არამედ აძლევდა პრინციპულობის, მაღალადამიანურობის გაკვეთილს, ალევდა შემოქმედებისათვის აუცილებელ ალღოს, და სწორ ხედვას, აწვდიდა ქვეყნისა და ხალხის სიყვარულს.

გ. ჩიტაია ყველასათვის მისაბაძი იყო. მასში შეერთებული იყო ყველა ის თვისება, რომელიც ჭეშმარიტ მეცნიერსა და მაღალი ბუნების ადამიანს უნდა ახასიათებდეს. იგი კვლავ დიდ მასწავლებლად რჩება ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ხალხი და მისი სამსახური.

ამ წერილშივე უნდა აღვნიშნო გ. ჩიტაიას მიმზიდველი ადამიანური თვისებები — თავმდაბლობა, უბრალოება, გულისხმიერება, გამორჩეული დახმარება, რასაც სოციალურ ტაქტით და ფაქიზად აწვდიდა. იგი უხმაურო, დინჯი, ღრმად ერუდირებული მეცნიერი იყო, ამასთან მხარში მდგომი ყველა იმისა, ვინც მის ერს სიკეთეს მოუტანდა.

წავიდა ჩვენგან დიდი ერისკაცი და საზოგადო მოღვაწე, რომელსაც თან გაჰყვა ქართული მეცნიერების წინსვლაზე, საქართველოს ეთნოგრაფიის მომავალზე ზრუნვა და ფიქრი.

ჯულიეტა რუხაძე

კლოდ კაენის ხსოვნას

დიდად სამწუხარო ცნობა მოვიდა საფრანგეთიდან. 1991 წლის 18 ნოემბერს 82 წლის ასაკში გარდაიცვალა პარიზის I და III უნივერსიტეტების დამსახურებული და საპატიო პროფესორი, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო და სახელმოხვეჭილი ისტორიკოსი ორიენტალისტი, მედიევისტი, თავისი საქმის ზედმიწევნით ღრმა მცოდნე და ფართო დიაპაზონის მეცნიერი, უჩვეულოდ გულისხმიერი და ყურადღებიანი პიროვნება კლოდ კაენი.

ნებისმიერ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსს ეს სამწუხარო ცნობა შეუძლებელია გულისტკივილით არ მიეღო.

პროფ. კლოდ კაენის მრავალრიცხოვან ღრმაშინაარსიან და სიახლით აღსავსე სამეცნიერო ნაშრომებზე, თამამად შეიძლება ითქვას, აღიზარდა ქართველ ორიენტალისტ ისტორიკოსთა არა ერთი თაობა. ამიტომ პროფ. კლოდ კაენის სიკვდილი ჩვენთვის, ქართველ აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთათვის, განსაკუთრებით გულდასაწყვეტი და საწყენია.

თავისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომთაგანი პროფ. კლოდ კაენმა გამოაქვეყნა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ (იხ. მ ი ს ი. Vole sur les seigneurs de Saone et de Zardana, ჟურნ. „Syria", 1931, გვ. 154—159) და მის შემდეგ გულმოდგინედ და, რაც მთავარია, ნაყოფიერად ეწეოდა მეცნიერის მძიმე, მაგრამ საპატიო ჭაპანს.

რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში პროფ. კლოდ კაენის სამეცნიერო ნაშრომები ისტამბებოდა მსოფლიო ორიენტალისტიკის როგორც სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ისევე ვ. ფ. ლეემანსთან ერთად მის მიერვე დაარსებულ სამეცნიერო ორგანოში „Journal of the Economic and Social History of the Orient" და ცალკე წიგნებადაც (იხ. მაგალითად. „Syrie du Nord au temps des croisades", Paris, 1940. „Pre-Ottoman Turkey. A General survey of the Material and spiritual Culture and History c. 1071—1330", London, 1968, და სხვა.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს პროფ. კლოდ კაენის თანამშრომლობა „ისლამის ენციკლოპედიის" ახალი გამოცემის რედაქციაში და იქ გამოქვეყნებული უამრავი სტატია.

პროფ. კლოდ კაენის, როგორც თანამედროვე გამოჩენილი ორიენტალისტ ისტორიკოსის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი იყო ის, რომ იგი არასოდეს კმაყოფილდებოდა მხოლოდ ცალკეული ისტორიული ფაქტების უბრალო აღნუსხვით ან ჩამოთვლით. როგორც წესი, იგი ყოველთვის ცდილობდა ღრმად ჩასწვდომოდა ისტორიულ მოვლენას თუ ფაქტს და გამოეტანა აქედან სათანადო დასკვნები. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი ძირითადი მიზანი იყო ამა თუ იმ აღმოსავლური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების ახლებურად გააზრება-გაგება და მათი გადაწყვეტა. ამის მკაფიო

მაგალითია პროფ. კლოდ კაენის მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული ნაშრომი „Mouvements populaires et autonomisme urbain dans l'Asie musulmane du Moyen Age", პირველად გამოქვეყნებული ჟურნალში „Arabica" (ტ. V—VI, 1958—59), ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც დასტამბული ამონაბეჭდის სახით ე. ბრილის გამომცემლობაში.

ამ ნაშრომმა თავის დროზე ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მედიევისტ ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებლის პროფ. ე. გაბაშვილის საგანგებო ყურადღება მიიპყრო და მაღალი შეფასებაც დაიმსახურა (იხ. მ ი ს ი რეცენზია კრებულში „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1963, გვ. 240—248).

სითცარი იყო პროფ. კლოდ კაენის, ამ დიდებული პიროვნებისა და მეცნიერის, არაჩვეულებრივად თბილი დამოკიდებულება, დარწმუნებული ვართ, ქკლებლივ ყველას მიმართ. მიუხედავად თავისუფალი დროის ყოველთვის ნაკლებობისა, მისთვის არ არსებობდა შემაფერხებელი მიზეზი იმისა, რომ მას უყურადღებოდ დაეტოვებინა ნებისმიერი წერილი თუ დასასტამბავად გაგზავნილი მასალა, რომელსაც თავის ადგილს მოუჩენდა გამოსაცემად თუ თავის ხემოხსენებულ ჟურნალში არა, რომელიმე სხვა სამეცნიერო ორგანოში.

პროფ. კლოდ კაენის ამ მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გამოხატვის მოწმე ვყოფილვართ პირადად ჩვენ არა ერთხელ მასთან ურთიერთობის ოცი წლისა და მეტი ხნის მანძილზე.

წავიდა ჩვენგან პროფ. კლოდ კაენი — მსოფლიო ორიენტალისტიკის წინაშე ვალმოხდილი მეცნიერი და მშვენება, მრავალრიცხოვანი ოჯახის მზრუნველი მამა, აღმოსავლეთმცოდნეთა დინჯი დამრიგებელი და გულისხმიერი მასწავლებელი, რომლის, ეჰეი არ არის, ნათელი სახე ფოტოსურათზეც კი არ უხილავს როგორც მკითხველს, ასევე, სამწუხაროდ, წინამდებარე სტრიქონების ავტორს.

თამარ ცქიტიშვილი